ეროვნული ბიბლიოთეკა


# კვირის პალიტრა

საჩუქარი ჩვენი კვირის პალიტრა მკითხველისათვის

ყოველკვირეული გაზეთი

№ 27 (387) ◆ 8 - 14 ივლისი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## მიმდინარეობს ხელისუფლების „მხედრიონიზაცია“!

### თუ სოროსი სულელია, რატომ იღებენ მისგან ფულს?..

გუბერნატორის ე.წ. დაცვა, რომელშიც ოფიციალურად შედის რამდენიმე ათეული ადამიანი და პლუს ასობით ადამიანი, რომელიც იქ იარაღდება, გახლავთ ჩანასახი ახალი ტიპის სამთავრობო „მხედრიონისა“ და მოწმობს, რომ პრეზიდენტს იმდენად უჭირს, მზად არის დაეყრდნოს მხოლოდ მსგავს გაერთიანებებს...

პაატა შევარდნაძე ლობირებს ფრანგულ კონგლომერატს, რომელიც უახლოეს სამ კვირაში აპირებს „თბილწყალკანალის“ ყიდვას... რომ ფუნქციონირებდეს საკრებულო, ვერ მოატყუებდნენ და ქონების გასხვისება ასე იოლად და დახურულად არ მოხდებოდა.

გვ.3

## ამერიკიდან ხორბალი ადგილობრივი ფერმერების გასაკოტრებლად შემოიტანეს?..

გვ.6,11

### როგორ პურს მიირთმევდა დავით აღმაშენებელი?!



...ქართული ხორბალი იმიტომ არ ვარგა, რომ მასში წებოგვარას შემცველობა ძალზე დაბალია. ამიტომ ცომი იმდენად თხელი გამოდის, რომ პური არ ცხვება.

...გასაგებია გლეხების და ფერმერების გულისტკივილი, მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის, რომ ხორბლის ფასი მთელ მსოფლიოში დაბალია.

...დედაკაცმა ბენზინის ბიდონი დამიმალა, თორემ გადავასხამდი ზედა ხორბლის ყანასა, მერე სპიჩკა და იმის ჯანი. ვინც ამის იქით ხორბალი სახელმწიფოს ჩასაბარებლად დათესოს, ჩემთავათ იმისი ოხერი დედაცა და მამაცა...

...არ გვეკადრება ეს შირაქისა და ელდარის ველების პატრონებს, სადაც იმდენი ხორბალი მოდიოდა, რომ არათუ საქართველოს, მთელ კავკასიას ჰყოფნიდა. ვერც იმას დავიჯერებთ, რომ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე უხარისხო პურს მიირთმევდნენ მაშინ, როცა ამერიკა აღმოჩენილიც კი არ იყო.

## მშობლების მკვლელი დანაშაულს ნანობს...



### „საშინელი მშიშარა და ეგოისტი ვარ, ეს იმიტომ დამემართა“...

...მთავარი ის არის, რომ იყო პიროვნება, ვინც აჩიკოს აშინებდა. აჩიკოს ჯგუფელია, გვარი არ ვიცი. ამქვეყნად მხოლოდ ერთი ნატვრა მაქვს, — რომ მშობლები მყავდეს.

*...რატომ გავხდი მკვლელი და რამ გამაკეთებინა, აღარც კი მახსოვს, ყველაფერს უკვე მექანიკურად ვაკეთებდი.*

გვ.5

## სამხედრო თემაზე:

გვ.8

## „შეუნშრ აფხაზებს რუსის ჯარში გაიწვევენ“

საინტერესოა ის გარემოება, რომ რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ აფხაზი ახალგაზრდები იძულებულნი იქნებიან, სამხედრო სავალდებულო სამსახური რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გაიარონ. ინფორმაციით, რომელსაც ვფლობთ, აფხაზებს ძირითადად, როგორც გამოცდილ კავკასიელ მებრძოლებს, სწორედ ჩეჩნეთში უკრავენ თავს.

## მკითხველის პრემია

გვ.35

### თქვენ ირჩევთ, ჩვენ ვაჯილდოებთ

## The New York Times რას წერენ ჩვენზე



თურქეთის მიწა-წყალზე ქართველთაგან სულიერად მიტოვებულ უდიდეს სავანეებს —

### ოშკს იშხანს ხახულს პარხალსა და ოთხთა ეკლესიას

გვ.12

მალე ბრიტანული და ფრანგული კომპანიები წყლით დატბორავენ(!)

## „მე შევარდნაძის ერთგული ვიყავი ყოველთვის და ასეთად დავრჩი“



მხარს ვუჭერ ბატონ ედუარდს, რაზეა აქ საუბარი. შვიდი წელი ვიყავი კარცერში და გამათავისუფლა. წარმოგიდგენიათ? თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ შევალ მოქალაქეთა კავშირში. — აჭარაში ჩასვლას ვაპირებ ბატონ ასლანთან შესახვედრად, რათა დიდი მადლობა გადავუხადო.

გვ.7

## რუბრიკის პრემიერა — თქვენი თხოვნით

## მამულ-დედული

გვ.24

## ახლა ზაფხულია... ზაფხულში ბავშვები ყველაზე სწრაფად იზრდებიან

გვ.4

ჩვენი საჩუქარი —

### „სახაზავი შირაფი“

დაგეხმარებათ თვალი მიადევნოთ, რამდენს მოიმატებს თქვენი პატარა სიმაღლეში სასექტემბროდ და შემდგომშიც...

### ქართველების მონად გაყიდვის ამბავი...




ვერსია

## პროვინციული მადონა...

რამდენიმე წუთში სასტუმროს ნომერი ვიღაც უცხო პირებითა და სასტუმროს თანამშრომლებით გაივსო. „სქესობრივი იძულება, გაუპატიურება ძალადობის გამოყენებით“, — დააფიქსირეს ოქმში და გურამი სადღაც წაიყვანეს ვიღაცის მანქანით. გურამი ყველაფერს მიხვდა. ოღონდ ის ვერ გაეგო, რისთვის დაიდგა ეს სპექტაკლი.

გვ.10

დიდი ფული „დააწერეს“ იმ ღამით გურამს. პირდაპირ უთხრეს: — ახლა არ დაგვიწყო, ფული ბანკში მაქვს და მის გალებამდე ვერ გამოვიტანო.

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

კვირის პალიტრა 8 — 14 ივლისი, 2002

## „იტერა“ ულტიმატუმს აყენებს

ხელისუფლება მთელი კვირის მანძილზე, რომ იტყვიან, კაპიკ-კაპიკ ცდილობდა შეეგროვებინა „საქგაზის“ დავალიანების გასასტუმრებელი ერთი მილიონ 700 ათასი ლარი და სამისოდ კომერციული ბანკების კარიც ააკალახეს! შედეგად, გადასარიცხ თანხას 150 ათასი ლარი აკლდებოდა, მაგრამ ლეონიდ დეიკალო გაზის მოწოდების აღდგენას არ ჩქარობდა და უკანასკნელ ლარს ელოდა „საქგაზის“ „ყულაბაში“, თან ყური მოსკოვისკენ ჰქონდა მიპყრობილი მითითებების მისაღებად. დეიკალომ მაშინაც არ შეიბერტყა ყური, როცა თბილისის მერიამ ერთი მილიონ 700 ათასი ლარი ჩაუთვალა. მაგრამ რუსებმა ახალი ულტიმატუმი წაუყენეს ქართულ მხარეს, რომლის თანახმად, თბილისს გაზს მანამ არ მიაწვდიან, სანამ ენერგეტიკის სექტორში დაგროვილი ყველა ძველი ვალის რესტრუქტურიზაცია არ მოხდება! ეს ვალი კი მთლიანობაში 90 მილიონ ლარს შეადგენს(!). ამ ულტიმატუმმა ელექტროშოკივით დაუარა ხელისუფლებას და მოსკოვს უმალ მიაშურეს სახელმწიფო და ენერგეტიკის მინისტრებმა... იმავდროულად, სახელმწიფო კანცელარიაში და თბილისის მერიაში ლეონიდ დეიკალოს არაკომპეტენტურობაში დასდეს ბრალი. ქართული მხარე უკვე აცხადებს, რომ რუსებს ამ ქმედებებით „თბილგაზის“ ხელში ჩაგდება სურთ. რაც შეეხება ებრაულ კომპანია „ტაპალს“, რომელსაც უნდა შეესყიდა „თბილგაზი“, გაირკვა, რომ მან უარი თქვა ტენდერში მონაწილეობაზე... მოსკოვში მყოფ ავთო ჯორბენაძეს კი „იტერას“ მესვეურებისგან საკმაოდ მკვახე-მკვახე განცხადებების მოსმენა მოუხდა თბილისის მერიის ხელმძღვანელების მისამართით გამოთქმული, რომლებსაც რუსებმა თაღლითები უწოდეს... შევარდნაძის მიერ თბილისში სასწრაფოდ გამოძახებულმა ჯორბენაძემ მხოლოდ ისღა თქვა, გაზს ამ დღეებში მოგვაწვდიანო! მისი გამოძახების მიზეზად კი ლევან მამალაძის ირგვლივ ამტყდარ და ხელისუფლებისთვის საშიშ სკანდალს ასახელებენ.

## რუსთავურმა ეპოპეამ პიკს მიაღწია

პარლამენტში კატეგორიულად დაისვა პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმების საკითხი. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა პოლიციამ 2 ივნისის არჩევნების დღეს რუსთავში გატაცებული ბიულეტენების საქმესთან დაკავშირებით დააკავა ლევან მამალაძის დაცვის ყოფილი წევრი შოთა თინიკაშვილი. გამოძიებამ მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მოითხოვა, რადგან დაკავებული ეჭვმიტანილია მიკროავტობუსზე თავდასხმასა და ბიულეტენების გატაცებაში. თინიკაშვილი უკვე ამოიცნო იმ ორმა პოლიციელმა და საარჩევნო კომისიის რამდენიმე წევრმა, რომლებსაც თბილისიდან რუსთავში მიჰქონდათ ბიულეტენები. ახლა გამოძიება რამდენიმე ვერსიას ასახელებს, თუ ვინ შეიძლება მდგარიყო თინიკაშვილის უკან. ამ ამბებს დიდი აურზაური მოჰყვა პარლამენტში მამალაძის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. რეფორმატორები უკვე კატეგორიულად მოითხოვენ მამალაძის პოსტიდან გადადგომას!

## პატარა ინციდენტი „რეზიდენციასთან“

2 ივლისს ვაკისა და ბაგების მოსახლეობა უჩვეულო სურათის მოწმე გახდა. ვაკის, კუს ტბისა და ბაგების თავზე, საკმაოდ დაბლა, წრეს უვლიდა ვერტმფრენი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ვერტმფრენი ბაგებში ზურაბ წერეთლის სასახლეში შეკრებილი საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის იყო „ჩამოკიდებული“ საჰაერო სივრცეში. დიდი მონუმენტალისტი რუმინეთის პრეზიდენტ იონ ილიესკუს და ედუარდ შევარდნაძეს მასპინძლობდა. მაგრამ ვერტმფრენმა მაინც ვერ შეძლო პატარა ინციდენტის თავიდან აცილება. „რეზიდენციიდან“ რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით სხვა საზოგადოებაც ქეიფობდა, კერძოდ, აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვაჟი, 22 წლის ვლადიმერ ნადარეიშვილი (იგი დაცვის სპეცსამსახურის თანამშრომელია) და მისი მეგობრები. ახალგაზრდები ერთ-ერთი მეგობრის შვილის დაბადებას აღნიშნავდნენ. ქეიფისას კი, ხუთჯერ გაისროლეს ჰაერში... მოქეიფენი ოპერატიულად აიყვანეს. მოგვიანებით დაკავებულები შინ გაუშვეს და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

## ინიციატივიანი მრჩეველი

პრეზიდენტის მრჩეველმა გია ლომაძემ აღორძინებულ „მოქალაქეთა კავშირის“ ყრილობას ბროშურა მიუძღვნა სახელწოდებით „ენით ხურონი“, რომელშიც ვაშლიჯვრის ოფისის აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის გადაცემაზეა საუბარი. ამ ოფისში ამჟერად ზურაბ ჟვანიას გუნდს უდევს ბინა, რომლის წევრებიც ბუნებრივია, გვარიანად შეაშფოთა ლომაძის ინიციატივამ და პარლამენტის სხდომაზე გია ბარამიძემ პრეზიდენტის ადმინისტრაცია მორიგი ძალადობის დაგეგმვაში დაადანაშაულა. ბარამიძემ გონიერებისკენ მოუწოდა პრეზიდენტსა და სახელმწიფო მინისტრს და შეახსენა მათ, რომ ეს ნაბიჯი საზოგადოებაში სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს...

## კიდევ ერთი უცხოელი იკარგება

თბილისში კიდევ ერთი უცხოელი დაიკარგა. გერმანიის მოქალაქე, ქართულ-გერმანული საერთაშორისო სატრანსპორტო ტვირთების გადაზიდვის კომპანიის წარმომადგენელი კლაუს დეკლერ დროიგე უკვე ერთი კვირაა აღარავის უნახავს. ბარნოვის ქუჩაზე მდებარე ოფისში, სადაც გერმანელი ბიზნესმენი ცხოვრობდა, აბაზანაში სისხლისმაგვარი ლაქები აღმოჩნდა. გამოძიება რამდენიმე ვერსიას ამუშავებს. არ გამორიცხავენ, რომ ბიზნესმენი ან თანამშრომელთა გაუფრთხილებლად წავიდა სადმე ან მიიმალა, ან გაიტაცეს. საინტერესოა, რომ ბიზნესმენის გაუჩინარებამდე ოფისის სეიფის გასაღები დაიკარგა და როცა სეიფი სპეციალისტს გაახსნევინეს, იქ არსებული რამდენიმე ათასი დოლარი და ლარი აორთქლებული დახვდათ! საქმეში ჩაერთო საქართველოში გერმანიის საელჩოც... გერმანელი ბიზნესმენი საქართველოში 1995 წელს ჩამოვიდა, დააფუძნა საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების კომპანია, რომელსაც ამჟამად ქართულ ბაზარზე მომსახურების 30% აქვს დაკავებული.

## განაჩენი გამოტანილია

საოლქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ვალერი ასათიანის სარჩელი და „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტს აკაკი გოგიჩაიშვილს და მსჯავრდადებულ კერესელიძეს, რომელიც ასათიანს მკვლელობაში ადანაშაულებდა, ასათიანის სასარგებლოდ 50 ათასი ლარის გადახდა დააკისრა (ასათიანი 10 მილიონ დოლარს ითხოვდა მორალური კომპენსაციისთვის). იმავდროულად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა გოგიჩაიშვილის საპასუხო სარჩელი, რომელიც ასათიანის მიერ პრესაში გაკეთებული გოგიჩაიშვილის შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო ასევე 10 მილიონს ითხოვდა მორალური კომპენსაციისთვის კულტურის ყოფილი მინისტრისგან! სასამართლომ ასევე დააკისრა აკაკი გოგიჩაიშვილს და „რუსთავი-2“-ს იმ ცნობების საჯაროდ უარყოფა, რომლებიც ვალერი ასათიანის პატივსა და ღირსებას ლახავდა!

## საქმეში ინტერპოლიც ჩაერთვება

პიტერ შოუს გატაცებიდან თითქმის ორი კვირის შემდეგ, 2 ივლისს უცნობი პირები პირველად რამდენჯერმე შეეცადნენ მოლაპარაკების დაწყებას „აგრობიზნესბანკის“ თანამშრომლებთან და 2 მლნ დოლარი მოითხოვეს პიტერ შოუს ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და ბიზნესმენის გათავისუფლებაში! უცნობები თბილისის სატელეფონო ჯიხურებიდან ურეკავდნენ ბანკის თანამშრომლებს. საქმეში უმალ ჩაერთვნენ ექსპერტები, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა აღნიშნული სატელეფონო ჯიხურების ადგილის დასადგენად. ამასობაში, გამოძიება ამუშავებს ერთ საინტერესო ვერსიასაც — გატაცების ინსცენირებას, რადგან ევროკავშირიდან მოსული ცნობები თითქმის ეჭვს აღარ ტოვებს, რომ შოუს ფინანსურ მაქინაციებთან ჰქონდა კავშირი. ამიტომ შესაძლოა მალე საქმეში ინტერპოლიც ჩაერთოს...

## ეგზეკუციამ გაამართლა

„თბილწყალკანალმა“ საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობას სასმელი წყლის მიწოდება შეუწყვიტა 16-მილიონიანი დავალიანების გამო. თვითონ „თბილწყალკანალს“ კი „ეი-ი-ეს თელასი“ „ახრჩობს“ 13-მილიონიანი დავალიანების გადაუხდელობის გამო. „თბილწყალკანალის“ შეფი იუზა ცარციძე იმუქრება, რომ სადამსჯელო ღონისძიებები კვლავაც გაგრძელდება იმათ მიმართ, ვინც ფულს არ იხდის. სახელმწიფო კანცელარიასა და პარლამენტს წყალი შეუფერხებლად მიეწოდება, თუმცა „ეგზეკუტორებმა“ პარლამენტის გარაჟებს დაარტყეს და უწყლოდ დატოვეს, რითაც პარლამენტართა და მათი მძღოლების ლანძღვა-გინება დაიმსახურეს — მანქანებს პარლამენტის გარაჟში ველარ რეცხავენ და, როგორც ჩანს, ავტოსამრეცხაოებში მათი გარეცხვა „მძიმე უღლად“ აწვებათ კისერზე! „თბილწყალკანალს“ შავ სიაში ჰყავს შეყვანილი ინფექციური საავადმყოფო, ხოლო სტრატეგიული დანიშნულების ბაქტერიოფაგის ინსტიტუტს, სადაც პაციენტებისთვის პრეპარატები მზადდება, შეუწყვიტეს წყლის მიწოდება... „ეგზეკუციამ“ შედეგი მაინც გამოიღო და რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაციამ დავალიანების გადახდა დაიწყო. რაც შეეხება მოსახლეობას, მას „თბილწყალკანალის“ 27 მილიონი ლარი მართებს, მაგრამ მათთვის წყლის შეწყვეტას, ჯერჯერობით, არ აპირებს!

## აღინიშნა ქართველ მებრძოლთა ხსოვნის დღე

ქართულმა არმიამ აღნიშნა 1993 წლის ივლისში აფხაზეთში, ტამიშთან გადმოსხმული 1500-კაციანი რუსული დესანტის განადგურების ოპერაციაში დაღუპულ ქართველ მებრძოლთა ხსოვნის დღე. მაშინ ტამიშთან ორი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა რუს მედესანტეთა განადგურების ოპერაცია, რომლის დროსაც მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა — ქართულ საჯარისო ფორმირებებს და „მხედრიონს“ შეუერთდნენ ლოთი ქობალიას რაზმებიც და ერთობლივი ძალისხმევით დესანტი განადგურდა. ქართულმა მხარემ დიდ მსხვერპლი გაიღო ამ ოპერაციისას. შავნაბადას ბატალიონის თითქმის ნახევარი დაიღუპა. 2 ივლისს ელიას მთაზე მდებარე საარტილერიო პოლკში დაღუპულთა ხსოვნის დღე აღინიშნა, რომელშიც მონაწილეობდნენ დაღუპული გმირების მშობლები, ნათესავ-მეგობრები, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და ვეტერანები.

## ჟანგიც ვალდებულებების შესრულებას მოითხოვს

თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორი შენგან ჟანგი, რომელმაც აუწყა ქართულ მხარეს, რომ თბილისის მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ მსოფლიო ბანკი 10 მილიონი დოლარის ტრანშის გამოყოფას აპირებს. მაგრამ შემდეგ ბატონმა ჟანგმა იმის გარკვევა დაიწყო, ასრულებს თუ არა ქვეყნის მთავრობა იმ დანაპირებს, რომელიც მან მსოფლიო ბანკის წინაშე იკისრა და რომლის შეუსრულებლობის გამოც ამას წინათ მსოფლიო ბანკმა შეაჩერა საქართველოში დაგეგმილი სამი პროექტის განხორციელებისთვის საჭირო 60 მილიონი დოლარის გამოყოფის განხილვა...

## „მორცხვმა უმრავლესობამ“ გამარჯვება იზეიმა

პარლამენტის სხდომებზე, სადაც სახელმწიფო მინისტრი იანვარში მოცემული დაპირებისამებრ 2002 წლის პირველი ოთხი თვის საბიუჯეტო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშით წარდგა (ეს გეგმა 38 მილიონი ლარით გაირღვა), ჟვანია-სააკაშვილის ფრაქციებმა და ტრადიციონალისტებმა მასირებული შტურმი განახორციელეს ავთანდილ ჯორბენაძის წინააღმდეგ და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვეს. ჯორბენაძეს ორი დღის მანძილზე იცავდნენ პრეზიდენტის მხარდამჭერი ფრაქციები, რომლებსაც „მორცხვი უმრავლესობა“ შეარქვეს. ბატალიებისას მოულოდნელად თვით ნინო ბურჯანაძე და ავთანდილ ჯორბენაძე „შეებნენ“ ერთმანეთს. ჯორბენაძემ სხდომის არასწორად წარმართვაში დაადანაშაულა სპიკერი და იქ მიმდინარე ამბებს „დადგმული სხდომა“ უწოდა. ბურჯანაძემ შეახსენა სახელმწიფო მინისტრს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფოში მეორე პირია და სახელმწიფო მინისტრს არა აქვს უფლება სპიკერს შენიშვნები მისცეს! ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ჟვანია-სააკაშვილის ფრაქციებმა ვერ გაიტანეს თავიანთი დადგენილების პროექტი, რომელშიც არადამაკმაყოფილებლად იყო შეფასებული 4 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ჯორბენაძის ანგარიში და დასმული იყო სახელმწიფო მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხიც! ჯორბენაძის მომხრეებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს...

## კანონი რელიგიის შესახებ

იუსტიციის სამინისტროში შემუშავებულმა რელიგიის შესახებ კანონპროექტმა კვლავ გამოიწვია ვნებათაღელვა. საქართველოს საპატრიარქომ დაიწუნა კანონპროექტი, რომელიც ასევე გააპროტესტეს სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებმაც და კანონპროექტის შეცვლა მოითხოვეს. საპატრიარქოს განცხადებით, კანონპროექტში დაშვებულია ისეთი ლაფსუსები, რომლებიც საშუალებას აძლევს პატარ-პატარა ჯგუფებს თავი გამოაცხადონ რელიგიურ ორგანიზაციებად და დაიწყონ „მოღვაწეობა“. სხვა რელიგიური კონფესიები კი აცხადებენ, რომ კანონპროექტი მათ უფლებებს ზღუდავს და საჭიროა მისი ლიბერალიზაცია... ახლა ერთობლივი ძალისხმევით აპირებენ კანონპროექტის დახვეწას, რის შემდეგაც პარლამენტს გადაეცემა დასამტკიცებლად.

## თავდამსხმელი „ინკასატორები“ მოიგერიეს

ვარკეთილში, დღისით-მზისით, ხომლელის ქუჩაზე მცხოვრებ ჯუანშერ ჩიქოვანის ოჯახს ბანდიტთა სამკაციანი ჯგუფი დაესხა თავს, რომლებმაც „ეი-ი-ეს თელასის“ ინკასატორებად გაასაღეს თავი და კარის გაღებისთანავე ცეცხლი გახსნეს. მათ მოსაგერიებლად ჯუანშერ ჩიქოვანმაც გახსნა ცეცხლი. ორმხრივი სროლის შედეგად ერთი „ინკასატორი“ ბექა აბრამიშვილი ადგილზევე დაიღუპა (იგი ადრე ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი), მეორე, დავით ხუსია კი დაიჭრა. მესამე გაიქცა. ასევე დაიჭრა ჯუანშერ ჩიქოვანიც, რომელსაც ოპერაცია გაუკეთდა და გადარჩა. გამოძიების განცხადებით, ჯუანშერ ჩიქოვანს კანონიერად აქვს შეძენილი პისტოლეტი „ტეტე“, რომლითაც მოიგერია თავდამსხმელები!

## შეიარაღების დაბრუნება „დროის საქმეა“!

პროკურატურისთვის ვაზიანის ბაზიდან შეიარაღების ქურდობაში კიდევ ერთი ეჭვმიტანილის ვინაობა გახდა ცნობილი. მე-11 ბრიგადის ასმეთაური ზვიად ჩუბინიძე პროკურატურაში დანაშაულის აღიარებით საკუთარი ფეხით გამოცხადდა. იგი არ დაუპატიმრებიათ, მხოლოდ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სამართალდამცველები აცხადებენ, რომ ჩუბინიძე გამოძიებას დიდ დახმარებას გაუწევს. ჩუბინიძე ქურდობაში თანამონაწილედ მეორე ასმეთაურს, ლევან პაპაშვილს ასახელებს. დაკავებულია მესამე ეჭვმიტანილიც... უახლოეს დღეებში უკვე თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანს „მიაკითხავენ“, მოპარული შეიარაღების დაბრუნება კი, გამოძიების თქმით, მხოლოდ დროის საქმეა!

## მომგებიანი „ინფოკომი“ „წამგებიანი“ აღმოჩნდა

პოლიტიკურ პარტიებსა და ფრაქციებში მძვინვარე დაპირისპირების ფონზე სახელმწიფო უწყებებიც დაეტაკნენ ერთმანეთს, კერძოდ, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ ქონების მართვის მინისტრი სახელმწიფო ქონების წამგებიანი პირობებით გასხვისებაში დადანაშაულა! ტრანსპორტის მინისტრის მოადგილის, გიორგი კარბელაშვილის განცხადებით, სატელეგრაფო ინტერნეტ-პროვაიდერისა და საბანკო გადარიცხვების მწარმოებელი ფირმა „ინფოკომი“ წამგებიანი პირობებით გაყიდა. ქონების მართვის მინისტრი კი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და ამტკიცებს, რომ საწარმოს გაკოტრება ემუქრებოდა და მისი გაყიდვით უამრავი თანამშრომელი უმუშევრობას გადაურჩა! „საქმის გარჩევა“ პარლამენტშიც გაიმართა, სადაც ითქვა, რომ „ინფოკომი“ მიზერულ თანხად, 350 ათას დოლარად გაიყიდა და ეს მაშინ, როცა საბანკო გადარიცხვების წარმოებაში საქართველოში კონკურენტი არ ჰყავს. შესაბამისად, სახელმწიფოს ამ საწარმოს გაყიდვით სოლიდური თანხები უნდა მიეღო, სულ მცირე ორი მილიონი დოლარი! ამ გარჩევას დიდი ხმაური მოჰყვა პარლამენტში და დეპუტატებმაც საქმე ანტიკორუფციულ საბჭოს გადაულოცეს, რომლის წინაშეც ამ დღეებში ახსნა-განმარტებით უნდა წარდგეს ქონების მართვის მინისტრი პავლიაშვილი, რომელიც ირწმუნება, რომ „ინფოკომი“ წამგებიანი საწარმო იყო და საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში პრეზიდენტის ბრძანებულებით მოხვდა! „ინფოკომის“ თანამშრომლები კი ამ პრივატიზაციის უკან ყოფილ თუ მოქმედ მაღალჩინოსანთა და გავლენიან ფინანსურ კლანთა ხელს ხედავენ...

## ყაჩაღმა სიდედრ-სიმამრი ცემით მოკლა

თემქაზე, პოლიციის მიერ ძებნილმა 29 წლის გიორგი კალანდაძემ ჯოხის ცემით საკუთარი სიდედრი, 47 წლის ლუიზა ყოლბაია მოკლა, სიმამრი დავით გერგედავა კი სიკვდილის პირამდე მიიყვანა. გერგედავა იმან გადაარჩინა, რომ გონება დაკარგა და თავდამსხმელს იგი მკვდარი ეგონა და თავი მიანება. კალანდაძე თავის ძმასა და მეგობართან ერთად დილის სამ საათზე მივიდა სიმამრის ბინაში და ფული მოითხოვა, რომელიც მას საზღვარგარეთ წასასვლელად სჭირდებოდა. უარის შემდეგ ტაბურეტის ფეხითა და იარაღის ტარით მისდგა სიდედრ-სიმამრს... შემდეგ კი 49 ათასი დოლარი(!) გაიტაცა. კალანდაძე 1995 წლიდან იძებნება გურიაში ჩადენილი ყაჩაღობისთვის.

## ნარკომანებს „მკურნალობას“ უპირებენ

პარლამენტმა განიხილა კანონპროექტი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და ნარკოლოგიური დახმარებების შესახებ, რომლის მიღების წინააღმდეგაც კატეგორიულად გაილაშქრა დეპუტატმა ნატო ჩხეიძემ. კანონპროექტი ოთხი წლის წინ მომზადდა ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით. მას შემდეგ მის მიღებას სამჯერ უყარეს კენჭი და სამჯერვე უშედეგოდ. კანონპროექტის ავტორები ქვეყანაში შემოსული ნარკოტიკული პრეპარატების საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობას უსვამდნენ ხაზს. ამასთან, დიდი აყალმაყალი გამოიწვია ნარკომანთა ე.წ. ჩანაცვლებითი თერაპიის დაწესების საკითხმა, რომლის თანახმად ნარკომანს, მას შემდეგ, რაც იგი კანონით ავადმყოფად გამოცხადდება, სახელმწიფომ საკუთარი ხარჯებით უნდა უმკურნალოს! ნატო ჩხეიძე აცხადებს, რომ კანონპროექტში ზუსტად უნდა იყოს მითითებული ამ მკურნალობის დაფინანსების წყაროები, რაც ამჟამად ბუნდოვნად არის მინიშნებული! ექსპერტები კი აცხადებენ, რომ მწირი ბიუჯეტის მქონე ქვეყანაში ამ სახით კანონის მიღება ხელს შეუწყობს კორუფციას, დანაშაულის ზრდას და ნარკომანთა კიდევ უფრო მომრავლებას! სახელმწიფოს მიერ ავადმყოფებად გამოცხადებულ ნარკომანთა მკურნალობაში იგულისხმება ნარკომანებისთვის ნარკოტიკული პრეპარატების გაკეთებაც, კრიზისული მდგომარეობიდან, ე.წ. „ლომკიდან“ გამოსაყვანად და სხვა ღონისძიებები...

## მე არ დამიჭრია...

ახლახან, საინფორმაციო საშუალებებით, მათ შორის „კვირის პალიტრით“, გავრცელდა ინფორმაცია სამტრედიაში მომხდარი ინციდენტის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ შპს „იულონის“ დიაგნოსტიკური ცენტრის ხელმძღვანელს ელგუჯა წოწელიას გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ შეიარაღებული ყაჩაღები, რომლებიც წოწელიამ მოიგერია, იარაღი წაართვა და თავდამსხმელები დაჭრა. როგორც საგამოძიებო დეპარტამენტის სამტრედიის რაიონული განყოფილების გამომძიებელმა იაგო ანდღულაძემ გვაცნობა, ელგუჯა წოწელიას მართლაც დაესხნენ თავს ავტომატით და დანით შეიარაღებული ზაზა კალაძე და მამუკა ტალაბაძე. წოწელიას მათთვის იარაღი არ წაურთმევია, თუმცა გაუწია წინააღმდეგობა — მას მიეხმარა დიაგნოსტიკურ ცენტრში მყოფი მისივე შვილი. მათსა და ყაჩაღებს შორის ურთიერთჭიდილის დროს ზაზა კალაძის ხელთ არსებული ავტომატიდან რამდენჯერმე მოხდა გასროლა, რის შედეგადაც თავის არეში დაიჭრა მამუკა ტალაბაძე, ფეხში კი თავად კალაძე. წოწელიამ მიიღო სხეულის დაზიანება... ყაჩაღები დაკავებულნი არიან და მიმდინარეობს გამოძიება.

## სადამ ჰუსეინის გერი დააკავეს




აშშ-ის საემიგრაციო სამსახურმა მაიამის აეროპორტში დააკავა სადამ ჰუსეინის გერი, 16 წლის მუჰამედ საფი, რომელიც ამჟამად ახალი ზელანდიის მოქალაქეა. იგი აშშ-ში შესვლას ტურისტული ვიზით ცდილობდა, შემდეგ კი ფლორიდის ცნობილ საავიაციო სკოლაში... თვითმფრინავის მართვის კურსები უნდა გაევლო(!). ეს ის სკოლაა, სადაც მომზადება გაიარეს 11 სექტემბრის ტერაქტების ავტორმა არაბმა კამიკაძეებმა. ამერიკელებმა მუჰამედ საფი სავიზო რეჟიმის დარღვევის ბრალდებით დააკავეს და ახლა მას მინიმუმ სამი თვე მოუწევს ამერიკულ ციხეში „დროის გატარება“, შემდეგ კი კვლავ ახალ ზელანდიაში მიაბრძანებენ.

## „თალიბანი არ მომკვდარა“...

შაბათს, ქაბულში ავტომანქანა „ჯიპში“ ჩაცხრილეს ავღანეთის ვიცე-პრეზიდენტის რანგში მყოფი და ქვეყნის მეთაურის კარზაის უახლოესი თანამებრძოლი აბდულ კადირი. მისი დაცვის რამდენიმე წევრი დაიჭრა. ამ ტერაქტის შემდეგ ავღანეთის მთავრობამ მიიღო „მესიჯი“, სადაც უცნობი პირი ალაჰის სახელით დაემუქრა კარზაის და მის ხელისუფლებას, რომ თალიბანი არ მომკვდარა და რომ თალიბანის ყველა მტერს სიკვდილი ელის! ავღანეთში ამ ტერაქტის უკან ყველამ კვლავ უსამა ბენ ლადენის ხელი დაინახა, თუმცა გამოძიება ჯერჯერობით თავს იკავებს რაიმე კომენტარისაგან...

# „თუ სოროსი სულელია, რატომ იღებენ მისგან ფულს?..“

# მიმდინარეობს ხელისუფლების „მხედრიონიზაცია“!



**ალჟირში არჩევნების ბათილად გამოცხადებამ გამოიწვია სამოქალაქო ომი; ხოლო ბელგრადის მუნიციპალური არჩევნების გაუქმებას მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება და დამთავრდა მილოშევიჩის დამხობით. იგივე მოხდა ბირმაშიც. მაგრამ ამ ქვეყნების მთავრობებიდან ყველაზე სუსტი არის შევარდნაძის ხელისუფლება, რომელსაც არც ძლიერი არმია ჰყავს, როგორიც ჰყავდა მილოშევიჩს; არც ალჟირისავით მძლავრი სანავთობე შემოსავლები გააჩნია და არც ძლიერი უშიშროების სამსახური ჰყავს, როგორც ბირმას.**

*„ჩვენ ვიცით, რომ ყოფილა წარსულში და ველურთა შორის ახლაც არის პირველყოფილი ველური თემი; ყოფილა ბარბაროსთა თემი, კლანი, — პატრიარქალური კომუნა, სოფლის კომუნა... ყოფილა ფედერაცია ქალაქთა და თემთა; არსებობდა საზოგადოება სამხედრო წყობილებისა, საზოგადოება სამრეწველო ხასიათისა; ქალაქი-სახელმწიფოები, ყოფილა და არის სახელმწიფოებრივი საზოგადოება... მაგრამ არის საზოგადოებათა კიდევ ერთი კლასიფიკაცია დროში განვითარების მიხედვით: პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოება, საზოგადოება მონობისა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი და მომავალში აუცილებლად განსახორციელებელი სოციალისტური საზოგადოება...“*

**მიხაკო წერეთელი**

ზემოთ ჩამოთვლილ კლასიფიკაციათაგან დღევანდელი ქართული სახელმწიფოს, ხელისუფლებისა და საზოგადოების, უწინარესად მისი კორუმპირებული ნაწილის დასახასიათებლად, ალბათ ბევრისთვის მისაღები იქნება ტერმინები — ველური თემი, პატრიარქალური კომუნა, ფეოდალიზმი (სამწუხაროდ, ველურ კაპიტალიზმსაც ველარ უწოდებ იმას, რაც ხდება), ან ყველაფერი ეს ერთადაღებული. ცნება დემოკრატიას უკვე ძნელად თუ სადმე მიუჩენ ადგილს და უწინარესად, — უკვე მხოლოდ ალაგ-ალაგ შემორჩენილ ჭეშმარიტად თავისუფალ საინფორმაციო საშუალებებში... საუბედუროდ, სხვა კლასიფიკაციას, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ჩვენს გაუბედურებულ სახელმწიფოებრივ ყოფას ველარ მოვუძებნით, მით უმეტეს, რომ რუსთავში ბიულეტენების გატაცება-განადგურების საქმის გახსნამ მთლიანად გააშიშვლა ხელისუფალთა ჩანაფიქრები, რომელთა მიმართ მოსახლეობის ნდობის ხარისხი საბოლოოდ ჩამოსცილდა ნულის ნიშნულსაც კი... ვესაუბრები ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიული ფრონტის ლიდერს **მიხეილ სააკაშვილს:**

— საქართველოში გამორჩეული არაფერი ხდება. მიმდინარეობს ისეთივე „ბანანიზაციის პროცესი“, რომელიც ბევრმა ქვეყანამ გაიარა. ხელისუფლება აშკარად მიდის ძალადობაზე. პრინციპი, რომელიც პრეზიდენტმა დანერგა, მარტივია — მთავარია, გარს ეხვიოს მისდამი ლოიალურად განწყობილი პირები და სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღიაო. შედეგად, ამ ხალხმა ჯერ ათასების მოპარვა დაიწყო, შემდეგ მილიონების და ბუნებრივია, მილიონების შესანარჩუნებლად ალარ ერიდებიან ძალადობას. ის ფაქტი, რომ ლევან მამალაძე ქვემო ქართლში ქმნის გასამხედროებულ ფორმირებებს, პრეზიდენტისთვის საიდუმლო არ არის და ამის შესახებ დიდი ხანია ვაფრთხილებდით მას. ამ მიზნით იარალი შემოდის საქართველოში. გუბერნატორის ე.წ. დაცვა, რომელშიც ოფიციალურად შედის რამდენიმე ათეული ადამიანი და პლუს ასობით ადამიანი, რომელიც იქ იარაღდება, გახლავთ ჩანასახი ახალი ტიპის სამთავრობო „მხედრიონისა“ და ეს მოწმობს, რომ პრეზიდენტს იმდენად უჭირს, მზად არის დაეყრდნოს მხოლოდ მსგავს გაერთიანებებს... ვგულისხმობ, ე.წ. შეიარაღებულ ორგანიზაციას „ომი და მშვიდობა“, რომელიც ვითომ ვეტერანებისაგან იქმნება ქვემო ქართლში. სხვა სახელები შეიძლება დაერქვას მსგავს ჯგუფებს სამეგრელოში, სადაც ჩემი მონაცემებით 16 შეიარაღებული ფორმირება მოქმედებს, რომელთაგან 10 ხელისუფლებასთან აქტიურად თანამშრომლობს. ეს ფორმირებები არ არის ვილაც მამალაძის, ან ქათამაძის ინიციატივით შექმნილი, არამედ პრეზიდენტი ახალისებს თავის ვასალებსა და ფეოდალებს ასეთი გაერთიანებების შესაქმნელად. ასე რომ, როცა აშკარად მიმდინარეობს ხელისუფლების „მხედრიონიზაცია“, ბუნებრივია, უსაფრთხოების ხარისხი კლებულობს და უცხოელთა გატაცებები, ყაჩალობებისა და მკვლელობების სიმრავლეც ამის დასტურია. ასე იყო „მხედრიონის“ თარეშის დროსაც. ამ ფონზე, დემოკრატიულ ძალებს და საზოგადოებას არ გვიტოვებენ არჩევანს. ჩვენი ამოცანა არასოდეს არ ყოფილა შევარდნაძის ძალადობრივი ან სხვა ტიპის დამხობა, უბრალოდ, გვსურდა მოვსულიყავით თბილისის საკრებულოში, რომელსაც არა აქვს დიდი უფლებამოსილებანი, მაგრამ რაც გააჩნია, საკმარისია თბილისის მოსახლეობას დაანახვოს, რომ შეიძლება სხვანაირად მართვა დედაქალაქისა და ამ გზით შეგვექმნა შევარდნაძის მთავრობის ალტერნატივა. იმას მაინც გავაკეთებდით, რომ კორუფციის მასშტაბი შემცირდებოდა, მაგრამ ამის გაკეთების საშუალებას გვისპობენ. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილი აქვს რამდენიმე დღეში არჩევნების შედეგების გაუქმება.

**— ამის შესახებ სარწმუნო ინფორმაცია გაგაჩნიათ?**

— არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ საოლქო სასამართლოს პირდაპირი მითითება აქვს მიცემული კანცელარიიდან. თანაც უკვე შეიქმნა „მოქალაქეთა კავშირი“, რომელმაც გამოაცხადა, რომ ამიერიდან ყველა არჩევნები უნდა მოიგოს, შესაბამისად, სამინისტროების თანამშრომლებს ძალით ტენიან მასში და იქმნება კანცელარიის პარტია. ანუ, გამოსავალს ალარ გვიტოვებენ...

**— და მაინც, თუ საოლქო სასამართლომ არ გააუქმა არჩევნების შედეგები, თქვენ მზად ხართ, დაიკავოთ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი?**

— რა თქმა უნდა, გადაწყვეტილია ჩემი თავმჯდომარეობის საკითხი, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. უკვე ვაწყობდით მუშაობის გეგმას, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკური ინტერესების გამო არ გვებრძვიან. იმ პერიოდში, როდესაც თბილისს არა ჰყავს საკრებულო, ნაჩქარევად აპირებენ „თბილგაზის“ გაყიდვას და საკითხიც გადაწყვეტილი იყო, რომ არა ვაკის გონივრული განვითარების საზოგადოება და დიდი დილმის ორგანიზაცია, რომლებმაც დაბლოკეს ეს გარიგება. მეორეც, პაატა შევარდნაძე ლობირებს ფრანგულ კონგლომერატს, რომელიც უახლოეს სამ კვირაში აპირებს „თბილწყალკანალის“ ყიდვას. რომ ფუნქციონირებდეს საკრებულო, ვერ მოატყუებდნენ და ქონების გასხვისება ასე იოლად და დახურულად არ მოხდებოდა. ახლა კი, პრეზიდენტის ოჯახი დაინტერესებულია, რომ თბილისის ქონებას არ აკონტროლებდეს საკრებულო, რადგან თბილისი გადაიქცა ამ ოჯახის შემოსავლის უდიდეს წყაროდ! ჩვენ კი პირდაპირ გვეუბნებიან — არჩევნების გზით ხელისუფლებაში ველარ მოხვალთ! რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ? ხელისუფლების მტკიცება, რომ სასამართლო საქმეებში არ ერევა, არის ბლეფი და ამას ალარავინ ჭამს. არჩევნების გაუქმება უმძიმეს შედეგს გამოიწვევს მთავრობისთვის საერთაშორისო ასპარეზზე.

ალჟირში არჩევნების ბათილად გამოცხადებამ გამოიწვია სამოქალაქო ომი; ხოლო ბელგრადის მუნიციპალური არჩევნების გაუქმებას მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება და დამთავრდა მილოშევიჩის დამხობით. იგივე მოხდა ბირმაშიც. მაგრამ ამ ქვეყნების მთავრობებიდან ყველაზე სუსტი არის შევარდნაძის ხელისუფლება, რომელსაც არც ძლიერი არმია ჰყავს, როგორიც ჰყავდა მილოშევიჩს; არც ალჟირისავით მძლავრი სანავთობე შემოსავლები გააჩნია და არც ძლიერი უშიშროების სამსახური ჰყავს, როგორც ბირმას. მთავრობა გამოკიდებულია ჰაერში, დარწმუნებული ვარ, რომ შემოდგომაზე შევარდნაძე შეეცდება შემოიტანოს მინისტრთა კაბინეტის მოდელი, რაც დღემდე უკვე ორჯერ გაითამაშა და მინისტრთა კაბინეტის თემის მუსირებით ორჯერვე გააცურა პოლიტიკური სპექტრი. ამჯერად, ჩემი ინფორმაციით, მინისტრთა კაბინეტს შემოიღებს და შექმნის იმის ილუზიას, რომ თავისი უფლებამოსილებანი შეიზღუდა.

**— და პრემიერ-მინისტრი ვინ იქნება თქვენი ინფორმაციით?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ იქნება ავთანდილ ჯორბენაძე. მოძებნიან კიდევ ერთ ფიგურას, რომელიც იქნება მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე და ამ ნაბიჯით შეეცდება შეაკავოს ხალხის უკმაყოფილების ტალღა. რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ ყველა დემოკრატიული მეთოდით და კანცელარიიდან უცხოეთში გავრცელებული ინფორმაციაც, თითქოს ვანო მერაბიშვილმა კანცელარიის შტურმისკენ მოუწოდა ხალხს, სიცრუეა. მერაბიშვილმა მხოლოდ ის თქვა, რომ ხალხს უბიძგებენ ამისკენო. რაც მართლაც ასეა: ხალხი არც ისე უტყვია, როგორც დღემდე ეგონათ.

**— შემოდგომა და მინისტრთა კაბინეტი ახსენეთ და თქვენი აზრით, სწორედ მაშინ არის მოსალოდნელი ვითარების კიდევ უფრო გართულება ღმერთმა დაიფაროს და თუ ტყვია გავარდა, მაშინ?**

— ჩვენ ბევრი მხარდამჭერი და გონიერი ენთუზიასტი ადამიანი გვყავს, რომლებთანაც ერთად მოვახერხებთ ისეთ დონეზე ორგანიზებას, რომ მთავრობას არ მივცემთ საშუალებას, ყველაფერი გადაზარდოს ქაოსში და სამოქალაქო დაპირისპირებაში. თუ ტყვია გავარდა, გავარდება ხელისუფლების მხრიდან. ჩვენ იარალი არა გვაქვს, მაგრამ როგორც კი გავარდება, ეს იქნება მათი დასასრული. ასე რომ, არა მგონია, ამაზე წავიდნენ მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად არა მაქვს მათი კეთილგონიერების იმედი. ვფიქრობ, უფრო თვითგადარჩენის ინსტინქტი არ გადაადგმევინებთ ასეთ ნაბიჯს.

**— რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს ხელისუფლებას, და მის უკან მდგომ ფინანსურ-ეკონომიკურ დაჯგუფებებს...**

— შევარდნაძის მარცხის მთავარი მიზეზია ის, რომ მან ნამდვილი ინტელექტუალები გარიყა და გადაიმტერა თავისივე პოლიტიკით და არა პიროვნულად. ასეთი ტიპის ინტელექტუალურ ოპოზიციასთან არასოდეს საქმე არა ჰქონია. ავალებენ სამინისტროებს, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის მოიტანონ ფული და პროპაგანდის საშუალებით აპირებენ საპარლამენტო არჩევნების ყიდვას. მაგრამ არ გამოუვათ, ისევე როგორც არ გამოუვიდათ „ახალ მემარჯვენეებს“ ფულით ამ არჩევნების მოგება. მორჩა, ფულით არჩევნებს საქართველოში ველარ მოიგებენ ამომრჩევლის აქტიურობის პირობებში. მათ ორი ამოცანა აქვთ: ხელი ჩააქნევინონ ხალხს პოლიტიკაზე და იყიდონ არჩევნები! ხოლო თუ ამჟამად გააუქმებენ არჩევნების შედეგებს, ახლავე დავიწყებთ დიდ საარჩევნო კამპანიას ხელისუფლების მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით შესაცვლელად. ამ კამპანიას კი ველარ გააჩერებენ... საქართველოს პირობებში ე.წ. მემკვიდრეს ვერ დაასახელებენ და გამოერიცხავ, რომ შევარდნაძე ფიქრობდეს ამ ე.წ. მემკვიდრეზე. იგი არ არის ის მოლვაწე, რომელიც ოდესმე იფიქრებს პოლიტიკიდან წასვლაზე. ამ ე.წ. მემკვიდრეზე საუბრისას სოროსმა პირდაპირ მითხრა ბუდაპეშტში: ქართველი ხალხი განსხვავდება სხვა ხალხებისაგან. თქვენ გყავთ ნიჭიერი, ჭკვიანი და უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ხალხი, რომლებიც ალარ დაუშვებენ ვილაცისგან ბრმად მოხვეულ ნებას! ხალხი თვითონ აირჩევს პრეზიდენტს. ძახილი „შევარდნაძეს შემცვლელი არ ჰყავსო“, არის იმ კლანების ბეუტური, რომლებსაც შევარდნაძემ მისცა ქონება! მათ ჰგონიათ, რომ შევარდნაძის გარეშე ვერ იცხოვრებენ, თუმცა ესეც ტყუილია. ისინი შეინარჩუნებენ პოზიციას ნებისმიერი სხვა მმართველობის პირობებში, რადგან რევოლუციურად ქონების გადანაწილებას ვერავინ შეძლებს და არც უნდა შეძლოს. უბრალოდ, უნდა შეიქმნას ახალი ქონება, რომელიც დამსახურებულად და სამართლიანად გადანაწილდება. ესენი კი შიშობენ, რომ თუ მამა-მარჩენალი ალარ ეყოლებათ, დაილუპებიან. დიახ, მათ შევარდნაძემ მისცა ქონება, მაგრამ ის, რომ შევარდნაძის წასვლის შემდეგ დაკარგავენ ქონებას, ტყუილია! ჩვენ თანაბარი შესაძლებლობები უნდა შევუქმნათ საზოგადოებას და მაშინ, დღევანდელი ოლიგარქები უმნიშვნელო გახდებიან ახალ ეკონომიკურ ძალებთან შედარებით. სხვა საკითხია, ჩემი ინიციატივა დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ, რომელიც მხოლოდ მალალ თანამდებობის პირებს ეხებათ და კვლავ ძალაშია. ამ პირებს არათუ მხოლოდ ქონება უნდა ჩამოერთვათ, არამედ ციხეში უნდა წავიდნენ და აქ ორი აზრი არ არის!

ორშაბათ-სამშაბათს ვაშინგტონი საქართველოს ხელისუფლების მისამართით გააკეთებს სერიოზულ გაფრთხილებებს საოლქო სასამართლოს პროცესის წინ, რადგან მთავრობები, რომლებიც არჩევნების შედეგებს აუქმებენ, საერთაშორისო თანამეგობრობიდან გარიყულ მთავრობებად მიიჩნევიან. აქ კი, ვინც უკმაყოფილებას გამოხატავს ხელისუფლებისადმი, ყველა ცხადდება კრემლის აგენტად! ჯორჯ სოროსმა პირდაპირ მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს და მთავრობას გადადგნენ, ჩატარდეს ახალი არჩევნები და აირჩეს ახალი პრეზიდენტი და ხელისუფლება, მეორე დღესვე მთავრობასთან დაახლოებულმა პირებმა სოროსი გამოაცხადეს არაკომპეტენტურად და სულელად(!) თუ სულელია, რატომ იღებდნენ მისგან ფულს? და რაც მთავარია: კარგად უნდა შეიგნონ, რომ სოროსის ასეთ განცხადებებს უკვე გადაჰყვა სლოვაკეთის ორი მთავრობა, უნგრეთის ორი მთავრობა და თითქმის გადაჰყვა უკრაინის მთავრობაც! სოროსის ერთ სიტყვაზე სავალუტო ბირჟები ეცემა. მის ერთ სიტყვაზე ხუთი წლის წინ დაეცა ლონდონის ბირჟა, სამი წლის წინ კი აზიის ყველა ბირჟას იგივე დაემართა! როგორც ჩანს, კანცელარიისთვის სოროსი სულელია, სამაგიეროდ, ვინმე მირიანაშვილის სიტყვაა კომპეტენტური, ან სხვა რომელიმე მრჩევლის! არადა ჩვენ გვყავს უნიჭიერესი და უგანათლებულესი ადამიანები. ამერიკაში, შევხვდი 60 ქართველ სტუდენტს და გავოგნდი მათი აზროვნების მასშტაბით. ახლახან, გერმანიაში გამოიცა 25 წლის ნინო კალანდაძის სენსაციური გამოკვლევა ბიოეთიკაში, რომელმაც დასავლეთის სამეცნიერო წრეები აალაპარაკა. ასეთი ხალხი გვყავს იქაც და აქაც. ამერიკაში მყოფი ის 60 სტუდენტი მოდის საქართველოში და დავსვათ კითხვა — სად ბრუნდებიან? ბრუნდებიან სამშობლოში, სადაც ზის განათლებით ფერშალი პრეზიდენტი და რომელიც აუქმებს არჩევნების შედეგებს; თუ ევროსაბჭომ გააკრიტიკა, რა თქმა უნდა, ეს სააკაშვილისა და ჟვანიას დაბეზღების შედეგია და ა.შ. ამიტომაა, რომ უდიდესი გულისტკივილით შევყურებ საქართველოს ავტორიტეტის დაცემას, რომლის მოპოვებაშიც წლების მანძილზე მეც მიმიძღვის წვლილი. ხომ გვიყიჟინებდნენ, რომ ამაში მხოლოდ და მხოლოდ შევარდნაძის დამსახურებაა და თქვენ არაფერი გაგიკეთებიათო. კი, ბატონო არის შევარდნაძის დამსახურება, მაგრამ ალარა ვართ შევარდნაძის გვერდით და საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტიც მიდის უფსკრულისკენ! შევარდნაძეს დასაყრდენად დარჩა ღია კრიმინალები — მამალაძე და სხვები, რომელთა ადგილი ციხეშია. მან აირჩია ისინი, ჩვენც წამოვედით და უკან მიბრუნებას არ ვაპირებთ. თუ რაიმეს გააკეთებს პრეზიდენტი, ღმერთმა ხელი მოუმართოს... ჩვენ კი, ამ წლებში შევიძინეთ უნიკალური პოლიტიკური გამოცდილება, რომელიც საქართველოში არა აქვს არც ერთ ოპოზიციურ ძალას. ჩვენ შევიძინეთ კონსტიტუციური მართვის გამოცდილება არაკომუნისტური მთავრობის პირობებში. დიახ შევარდნაძემ მოგვცა ამის საშუალება, მაგრამ მე ჩემი ქვეყნის შვილი ვარ და ვხედავ, რომ მან საქართველოს მოუსპო განვითარების შესაძლებლობა...

**ზურაბ მჭედლიშვილი**

## თბილისელები გვეკითხებიან:

## ემუქრება თუ არა თბილისს რადიოაქტიური ღრუბელი?!

გასულ კვირას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და სომხეთის მოსაზღვრე თურქეთის რაიონების მოსახლეობა გვარიანად შეაშფოთა ინფორმაციამ, რომ სომხეთის ატომური ელექტროსადგური ავარიულად გამოირთო. ატომური რეაქტორი ბოლო დროს უკვე ზედიზედ მესამედ გამოირთო, რის მიზეზადაც სადგურში ძაბვის ვარდნის შედეგად გამოწვეულ უწესრიგობებს ასახელებენ. ითქვა ისიც, რომ საერთაშორისო კონვენციის თანახმად, სომხეთის ხელისუფლება ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გაეფრთხილებინა მეზობელი სახელმწიფოები და მაგატე (ატომურ ენერგიაზე კონტროლის საერთაშორისო ორგანიზაცია) მომხდარისა და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, მაგრამ ერევანს ეს არ გაუკეთებია. არადა ზოგიერთი ქართველი ექსპერტი ირწმუნება, სომხეთის ატომური ელექტროსადგურის კატასტროფის შემთხვევაში რადიოაქტიური ღრუბელი თბილისამდე 8 საათში მოაღწევს და შესაბამისად, ამ ხნის განმავლობაში უნდა მოესწროს თბილისის მთელი მოსახლეობის ევაკუაციაო(!) საერთოდ, ფაქტია, რომ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის თემა ხშირად გვახსენებს თავს. ამომწურავ პასუხს კი არავინ იძლევა. ვესაუბრები საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს **ზურაბ სარალიძეს.**

— თავდაპირველად მცირე განმარტება: სომხეთის ატომური ელექტროსადგური არ არის ჩერნობილის ატომური სადგურის ანალოგი. ჩერნობილის ატომურ რეაქტორში ნეიტრონების შემანელებლად გამოიყენებოდა გრაფიტი, სითბოს მოსახსნელად კი, როგორც გამაცივებელს, ხმარობდნენ წყალს. სომხეთის სადგურში კი არის ე.წ. წყალ-წყლური ენერგეტიკული რეაქტორი, ანუ იქ წყალი გამოიყენება ნეიტრონების შემანელებლადაც და გამაცივებლადაც. ასეთი ტიპის რეაქტორები გაცილებით უსაფრთხოა. ცხადია, ნებისმიერი ატომური ელექტროსადგური თუ რეაქტორი პოტენციური საფრთხის მატარებელია, მაგრამ ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში კატასტროფული ავარიის ალბათობა, ძალიან მცირეა. რეაქტორის ავარიული გამორთვა იმას არ ნიშნავს, რომ სადგურში სერიოზული ავარია მოხდა. ავარიული გამორთვის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს — იგივე ძაბვის ვარდნა, ცვალებადობა, რაც რადიაციულ საფრთხეს არ შეიცავს. როგორც კი თბილისში გავრცელდა ეს ინფორმაცია, პირველწყაროდან, ანუ საქართველოს ბირთვული რადიაციული უსაფრთხოების სამსახურისგან შევიტყვე, რომ ისინი დაკავშირებიან სომხეთის ატომური ელექტროსადგურის თანამშრომლებსა და შესაბამის სამსახურს და მათგან გაუგიათ, რომ არანაირი სერიოზული ავარია, რომელიც გამოიწვევდა გარემოს რადიაციულ დაბინძურებას, სადგურზე არ მომხდარა.

(გაგრძელება იხ. გვ. 4)

# მოციქულთა საქმეები

## პეტრე და პავლე დავრდომილებს უფლის სახელით კურნავენ...

**ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ 12 ივლისს მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს მოციქულთა თავთა წმიდათა პეტრესი და პავლეს ხსენების დღეს. შეგახსენებთ რამდენიმე ეპიზოდს მათი ცხოვრებიდან.**

უკვე მოქცეული პავლე მოციქულ ბარნაბასთან ერთად ქალაქიდან ქალაქში დადიოდა და უფლის სიტყვას ქადაგებდა. როცა ქადაგება დამთავრდებოდა, ბევრი იუდეველი რჯულშეცვლილი მისდევდა პავლეს... მოსახლეობა ქრისტეს მორწმუნედ და უარმყოფლად იყოფოდა. უარმყოფლებს უნდოდათ ქვებით ჩაექოლათ პავლე და ბარნაბა. მათ ეს შეიტყვეს და ლისტრასა და დერბეში გაიქცნენ. ქალაქ ლისტრაში იყო დაბადებიდანვე დავრდომილი, ფეხებმოწყვეტილი კაცი. იგი გულისყურით ისმენდა პავლეს საუბარს. პავლემ დაინახა, რომ ავადმყოფს ჰქონდა განკურნების რწმენა და უთხრა: „შენ გეუბნები უფლის, იესო ქრისტეს სახელით: წამოდექ ფეხზე და გაიმართე!" ისიც წამოდგა, გაიმართა და სიარული დაიწყო... ხალხი გაოგნდა... და მოციქულებისთვის მსხვერპლის შეწირვა გადაწყვიტა, ძლივს გადააფიქრებინეს პავლემ და ბარნაბამ. ამ დროს ანტიოქიიდან, იკონიიდან მოვიდნენ იუდეველნი, რომელთაც ხალხი გააბრიყვეს და ქვებით ჩააქოლინეს პავლე. მკვდარი ეგონათ და ქალაქიდან გაათრიეს. როცა ჩაქოლილს მოწაფეები შემოეხვივნენ, იგი წამოდგა და ქალაქში შევიდა. კიდევ უფრო ირწმუნა ხალხმა სასწაული.

• • •

პეტრე და იოანე მოციქულები ერთად ადიოდნენ ტაძარში სალოცავად. ამ ტაძარში ხშირად მოჰყავდათ დავრდომილი კაცი, დასვამდნენ ტაძრის კართან, რომ ტაძარში შემსვლელთათვის მოწყალება ეთხოვა. მან პეტრესა და იოანეს დაჟინებული მზერა მიაპყრო იმ იმედით, რომ რამეს გამორჩენოდა. პეტრემ უთხრა: „ოქრო-ვერცხლი არ მაქვს, მაგრამ რაც მაქვს, იმას გაძლევ — იესოს სახელით იარე!" მარჯვენაზე მოჰკიდა ხელი და წამოაყენა. ხეიბარს უცებ გაუმაგრდა სახსრები, წამოდგა და მათთან ერთად შევიდა ტაძარში, სადაც გულმხურვალედ ადიდებდა უფალს. ხალხი შეჰყურებდა მას და შიშით და განცვიფრებით ივსებოდა.

მოციქულთა საქმეები ქრისტიანებს კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ყოველი ადამიანი თავის თავში უსათნოეს სიკეთეს მალავს და უფალი მცირეოდენ ჩვენს გარჯას აკურთხებს და მოწყალედ მიიღებს.

### ტროპარი:

**მოციქულთა თავნო და ყოვლისა სოფლისა მოძღუარნო (წმინდაო პეტრე და წმინდაო პავლე), მაცხოვარსა ყოვლისათა ევედრენით, რათა მოსცეს სოფელსა მშვიდობა და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა. ამინ!**

**13 ივლისი — სვეტიცხოვლობა — თორმეტ მოციქულთა კრება**

**საქართველოს უპირატესი საკათედრო ტაძარი ელის მლოცველებს**




საჩუქარი ჩვენი

კვირის პალიტრა

მკითხველისათვის

# „სახაზავი ჟირაფი" და თქვენი პატარა

*დადასტურებულია, რომ ბავშვები ზაფხულში სწრაფად იზრდებიან.*

*თვალი მიადევნეთ, რამდენს მოიმატებს სიმაღლეში თქვენი პატარა სასექტემბროდ და შემდგომშიც. თარიღების მიხედვით გააკეთეთ „სახაზავზე" სათანადო აღნიშვნები და შეუნახეთ სამახსოვროდ.*

ერთ პატარა, ბევრისგან შემოწმებულ და გამართლებულ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: გაზომეთ თქვენი პატარა ორი წლის ასაკში და როცა ზრდას დაასრულებს, დაახლოებით ორჯერ მაღალი იქნება...

მაგალითად: თუ თქვენი პატარა 2 წლის ასაკში დავუშვათ, 87 სმ-ია, მისი საბოლოო სიმაღლე იქნება 87X2=174სმ.

**მცირე ინსტრუქცია**: აზომეთ იატაკიდან 70 სმ და მიაკარით „სახაზავი ჟირაფი" კედელს ისე, რომ მასზე აღბეჭდილი 70 სმ-ის ნიშნული თქვენ მიერ იატაკიდან აზომილს დაემთხვეს.

# ემუქრება თუ არა თბილისს რადიოაქტიური ღრუბელი?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 3)*

თავის დროზე სპიტაკის მიწისძვრამ, რომელმაც გვარიანად შეარყია თბილისიც და მისი შემოგარენიც, მცირეოდენი ზიანიც კი ვერ მიაყენა მცხეთის რეაქტორს, მაგრამ მოსკოვმა მაინც კატეგორიულად გვიბრძანა გაგვეჩერებინა სადგური და გადაგვემოწმებინა, გაუძლებდა თუ არა ის ცხრაბალიან მიწისძვრას. რა თქმა უნდა, იგივე გაკეთდა სომხეთის ატომურ სადგურზეც (რომელიც 8 ბალზე იყო გათვლილი) და რადგან გაუშვეს ექსპლუატაციაში ე.ი. აკმაყოფილებს სეისმომედეგობის გაზრდილ ცხრაბალიან მოთხოვნებს. სპიტაკის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ თვითონ სომხები იყვნენ კატეგორიული წინააღმდეგნი ამ სადგურის ფუნქციონირებისა და გააჩერეს კიდეც რამდენიმე წლით. მაგრამ ისეთმა საშინელმა ენერგოკრიზისმა მოიცვა სომხეთი, რომ იძულებულნი გახდნენ კვლავ აემუშავებინათ სადგური და დღეს აბსოლუტურად უზრუნველყოფილნი არიან ელექტროენერგიითაც და მის ექსპორტსაც ეწევიან. ბუნებრივია, სომხეთის ატომური სადგური ექვემდებარება მაგატეს კონტროლს და სადგურის ექსპლუატაციის ნებართვაც მიცემული აქვთ. თვითონ სადგურის ადგილიც კარგად არის შერჩეული და გეოლოგიურად ისეთ ბუნებრივ ფილაზე დგას, რომელიც არ იწვევს კატასტროფულ შედეგს მიწისძვრებისას.

**— და მაინც, — მართლა რომ მოხდეს სერიოზული ავარია, მაშინ?**

— ნებისმიერი ობიექტის დაცვისთვის, რომელიც დაკავშირებულია ბირთვული მასალის გამოყენებასთან და პოტენციურ საფრთხეს შეიცავს, განიხილება არა მარტო რეალური ავარიული სიტუაციებისთვის მზადყოფნა, არამედ გათვალისწინებულია ჰიპოთეტური ავარიული სიტუაციებისგან დაცვაც. მაგალითად, დასავლეთში ასეთ ატომურ ელექტროსადგურებს ზემოდან გადაფარებული აქვს საგანგებო რამდენიმეფენიანი ფოლადისა და რკინა-ბეტონის დამცავი ზღუდე, რომელიც თვითმფრინავის დაჯახებასაც კი გაუძლებს. რამდენადაც ვიცი, სომხეთის სადგური არ არის ასე დაცული. ამიტომ, ნებისმიერი ავარიული შემთხვევისთვის უნდა არსებობდეს საავარიო გეგმა. შესაძლო შედეგების თავიდან ასაცილებლად, საქართველოშიც უნდა არსებობდეს კონკრეტული სამოქმედო და საევაკუაციო გეგმა, შეთანხმებული ყველა უწყებასთან და ორგანიზაციასთან, რაც ჩვენი ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამომდინარე არ არსებობს. აბა, წარმოვიდგინოთ მილიონ-ნახევარი თბილისელის ევაკუაცია! რა აჯობებს — მოსახლეობის ამ უზარმაზარი მასის სადმე გაყვანა, რასაც პანიკა მოჰყვება, თუ მათი ადგილზე დატოვება? — არ არის კონკრეტულად შეფასებული. მე არ ვიცი, როგორ არის გათვლილი — 8 საათში მოაღწევს თბილისამდე ბირთვული ღრუბელი, თუ უფრო ნაკლებ დროში — მაგრამ გასათვალისწინებელია ე.წ. გაბატონებული ქარების მიმართულება, ისიც, თუ როგორ ცვლის ამ ქარების ძალას რელიეფი და ა.შ. სავსებით შესაძლებელია, რომ რეალური საფრთხე საქართველოს არც მოელოდეს, თუ ქარი სხვა მიმართულებით ქრის, მაგრამ ამის შესწავლა სასიცოცხლოდ აუცილებელია. საქართველოს რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სამსახურს კი მწირი დაფინანსებით და არსებული შემადგენლობით ასეთი რთული და ძვირად ღირებული სამუშაოს შესრულება არ შეუძლია. თუ აღმოჩნდა, რომ თბილისში რადიაციული ფონი გაზრდილია ხუთჯერ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საფრთხე გვემუქრება და აქედან უნდა გავიქცეთ. მსოფლიოში არის რაიონები, სადაც ბუნებრივი რადიაციული ფონი ასჯერ უფრო მეტია, ვიდრე თბილისში და საქართველოში, მაგრამ იქ ხალხი საუკუნეების მანძილზე ჯანმრთელად ცხოვრობს. ამიტომ, სანამ მსგავსი ინფორმაცია გავრცელდება, რამაც შეიძლება დამატებითი მძიმე სტრესი გამოიწვიოს ისედაც რადიოფობიით შეპყრობილ მოსახლეობაში, საჭიროა სპეციალისტების შეფასება და დასკვნა. სკეპტიკოსებმა შეიძლება ბევრი იძახონ, სომხები მალავენ რეალურ სიტუაციასო, მაგრამ აქვს კი აზრი თავად სომხებისთვის მსგავსი ინფორმაციის დამალვას? სანამ თბილისამდე მოაღწევს ბირთვული ღრუბელი, სომხეთისგან ხომ აღარაფერი დარჩება! თუ სომხეთის ატომური რეაქტორი ისეთ მდგომარეობაშია, რომ საფრთხეს უქმნის ქვეყანას, თვითონვე გააჩერებენ და სხვისი კარნახი არ დასჭირდებათ.

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# ფიქრია და ალუდა — ამერიკის ჩემპიონები!

ფიქრიას წითური, ხშირი თმა აქვს, ალუდა შავტუხაა, ერთმანეთს საერთოდ არ ჰგვანან, მაგრამ ტყუპისცალები არიან. ერთი წელიც არ არის, რაც ატლანტაში ცხოვრობენ მშობლებთან ერთად (მამა გოჩა სალიაშვილი ემორის ცნობილი კლინიკის კარდიოლოგია), თუმცა უკვე საკმაოდ პოპულარულები გახდნენ.

ამ ცოტა ხნის წინ ორეგონის შტატში, ქალაქ პორტლენდში ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატი ჩატარდა ნორჩ მოჭადრაკეთა შორის. ასპარეზობაში 2080 ბავშვი მონაწილეობდა. 11 წლის ტყუპმა ჯერ სასკოლო პირველობაზე გაიმარჯვა, შემდეგ სკოლის გუნდთან ერთად ჯორჯიის შტატში აჯობა ყველას.

ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით ჩატარდა 7 ტურად. გუნდურ ჩათვლაში ოთხი საუკეთესო წევრის შედეგებს აჯამებდნენ. ატლანტელები 20 ქულით ჩემპიონები გახდნენ თავიანთ ასაკობრივ ჯგუფში (410 მონაწილეს შორის). ამ 20 ქულაში ალუდასა და ფიქრიას 11,5 ქულა იყო, თანაც ალუდას არც ერთი პარტია არ წაუგია (ფიქრია მხოლოდ ერთხელ დამარცხდა). ალუდამ და ფიქრიამ ჩემპიონობის გარდა სპეციალური პრიზებიც დაიმსახურეს.



ტყუპებს ტელეფონით დავუკავშირდით და გამარჯვება მივულოცეთ.

**ალუდა:** — ჩვენ ორი ჯორჯიის „სახელით" გამოვდიოდით — საქართველოს და ამერიკის. ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, თქვენთან როგორი საჭადრაკო სკოლააო, მე ვუპასუხე — ამერიკულზე ძლიერი! გაეცინა, მაგრამ მე და ფიქრიამ დავამტკიცეთ, რომ ქართველები მართლა მაგრები ვართ!

**ფიქრია:** — გული მწყდება, ერთი პარტია წავაგე, მაგრამ მიხარია, რომ შტატში ჩემპიონებად დავბრუნდით. ახლა მასწავლებლებიც სხვა თვალით გვიყურებენ, ჩვენს ქუჩაზეც უკვე ყველა გვიცნობს...

***— თქვენი მწვრთნელი ვინ არის ამერიკაში?***

**ფიქრია:** — ამერიკაში არავინ. აქ მწვრთნელის აყვანა ძალიან ძვირი ღირს. ჩვენი მწვრთნელი გვეხმარება თბილისიდან, ბესო ძია — კომპიუტერით ვარჩევთ პარტიებს...

ბესო ძია ბესო სხილაძე გახლავთ. იგი და-ძმას თბილისში, 150-ე საშუალო სკოლაში ასწავლიდა ჭადრაკს.

**ბესო სხილაძე:** — ფიქრიას და ალუდას საქართველოს ჩემპიონებად ვზრდიდი და... ამერიკის ჩემპიონები გახდნენ. ამ ჩემპიონატში ძალიან ბევრი მაღალი რეიტინგის მქონე ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა, რამხელა ამბავია — ჩემმა მოსწავლეებმა ყველას აჯობეს, მეც ახლა ჩემს თავს ამერიკის ჩემპიონად ვთვლი... მწვრთნელებს შორის!

... ფიქრიას, ალუდას და მათ უმცროს დას სალომეს სკოლაში მუსიკოსებადაც იცნობენ — ფიქრია ვიოლონჩელზე უკრავს, ალუდა — საყვირზე, სალომე — პიანინოზე. თუმცა არც მუსიკაში ჰყავთ „მწვრთნელი", თუ არ ჩავთვლით დედას, მუსიკოს თამუნა ჭოჭუას, რომელმაც ამერიკაში სამუშაო ჯერჯერობით ასე „გაინაღდა".

P.S. ამ დღეებში ამერიკაში რამდენიმე წლით მიემგზავრება ტყუპის ერთ-ერთი ახლობელი, რომელსაც „კვირის პალიტრის" ამ ნომერს და ჩვენი მკითხველების მილოცვას გავატანთ შტატების ქართველ ჩემპიონებთან — ფიქრია და ალუდა სალიაშვილებთან.

***სალომე შოშიტაშვილი***

**რუბრიკა — ჭორი**

# ნიკო ლეკიშვილი შოუბიზნესის ვარსკვლავების კონკურენტი ხდება



*საქართველოში ყველაზე „მსხვილ გადამხდელ" ნიკო ლეკიშვილზე გავრცელებულ ჭორს ბოროტს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. როგორც პოლიტიკურ კულუარებში მოჩურჩულეთაგან გავიგე, ბატონი ნიკო ქართული საესტრადო სცენის დაპყრობას აპირებს. წარმატებული ბიზნესმენი და მოქნილი პოლიტიკოსი, ბუბა კიკაბიძესთან და ნანი ბრეგვაძესთან ერთად ასრულებს ვახტანგ კახიძის სიმღერას. სიმღერას უკვე იწერენ რომელიღაც მუსიკალურ სტუდიაში და უფრო მეტიც, თურმე კლიპის გადასაღებადაც ემზადებიან. ცნობილი მუსიკალური, თბილისური „გაზაფხულისა" და „შემოდგომის" ფესტივალების ავტორი ბატონი ნიკო ლეკიშვილი კინაღამ სიცილით ჩაბჟირდა, როცა ჭორ-მართლის გარკვევა ვთხოვე და მიპასუხა:*

— ჯერჯერობით ეს ნამდვილად ჭორია, მაგრამ არაფერია გამორიცხული და ვერ გეტყვით, რა იქნება თუნდაც ერთი კვირის შემდეგ.

**— ე.ი. ჭორაობის საფუძველი მაინც არსებობს, თორემ უარსაც გადაჭრით იტყოდით.**

— სანამ ჯანსულ კახიძე ცოცხალი იყო, ხშირად მთავაზობდა სიმღერას დიდ სცენაზე, უნდოდა მასთან ან სხვასთან ერთად მემღერა, მაგრამ რატომღაც ეს ვერ მოხერხდა. ალბათ, მე არ მოვინდომე.

**— ჭორი პოლიტიკოსებისგან გავრცელდა, თქვეს — ბატონი ნიკო პოლიტიკით დაღლილა და მთელ თავის ენერგიას და უნარს ანი მხოლოდ მუსიკას მოახმარსო.**

— გმადლობთ. შესანიშნავია. ისე, თუ იქნება სერიოზული შემოთავაზება, თანხმობა გამორიცხული არ არის. სხვათა შორის, მე არაერთხელ მიმღერია კონკრეტულ პიროვნებებთან და ანსამბლ „ქართულ ხმებთან" ერთადაც. მე და ჯანსულს ეკა მამალაძესთან და გოგი დოლიძესთანაც გვიმღერია. ეს რამდენიმე წლის წინ „თბილისური გაზაფხულის" მუსიკალურ ფესტივალზე იყო... ბევრმა იცის, რომ ნიკო ლეკიშვილი მღერის და უკრავს.

**— ვახტანგ კახიძემ მართლა რომ შემოგთავაზოთ ქალბატონ ნანისთან და ბატონ ბუბასთან ერთად სიმღერა, იმღერებთ?**

— სიამოვნებით. ნანისთან ერთად არაერთხელ მიმღერია სუფრასთან, სადაც მის მთელ რეპერტუარს ვასრულებდით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეს მართლა არაფერი ხდება, მაგრამ ხვალ არაფერია გამორიცხული.

P.S. „ზოგჯერ სულ არ მემღერება, მაგრამ მაინც ვმღერი"... — გახსოვთ ალბათ ცნობილი სიმღერა. ყველას გვიდგას ასეთი პერიოდები. როგორც ჩანს, ბატონ ნიკოს ახლა ემღერება.

***ეკა ლომიძე***

# „საშინელი მშიშარა და ეგოისტი ვარ, ეს იმიტომ დამემართა“...

## -- მშობლების მკვლელი დანაშაულს ნანობს...

ამ კვირას უზენაესი სასამართლო განაჩენს გამოიტანს მკვლელობაზე, რომლის სისასტიკემ მთელი საზოგადოება გააოგნა. სხვათა შორის, ეს დანაშაული თავის დროზე დასავლეთის ტელევიზიამაც კი გააშუქა. 18 წლის აჩიკო ძეგველიშვილმა საკუთარი მშობლები მძინარენი სანადირო თოფით დახოცა, შემდეგ გვამები მეორე ოთახში გაიტანა, ტახტში ჩააწყო და სილა მიაყარა. როცა პოლიცია ბინაში მივიდა, აჩიკო ძეგველიშვილი და მისი და — ნინო შემწვარ კარტოფილს შეექცეოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი გამოძიებამ დაადგინა, რომ ძეგველიშვილმა დაჭრილ მამაზე საკონტროლო გასროლაც განახორციელა. ამ მკვლელობაში კიდევ ის არის გამაოგნებელი, რომ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აჩიკო ძეგველიშვილი ფსიქიკურად ნორმალური აღმოჩნდა...

აი, ასეთ დანაშაულზე უნდა გამოიტანოს სასამართლომ განაჩენი.

გასულ კვირას, ბრალდების მხარემ ძეგველიშვილისთვის თავისუფლების 19 წლით აღკვეთა მოითხოვა. მიუხედავად ადვოკატების მცდელობისა, დაესაბუთებინათ, რომ ძეგველიშვილმა დანაშაული აფექტის დროს ჩაიდინა და ამიტომ ხუთ წლამდე პატიმრობას ითხოვდნენ, სავარაუდოა, რომ მოსამართლე უფრო მკაცრ სასჯელს გამოიტანს. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ეს სასჯელი, ფაქტია, რომ ეს მკვლელობა საზოგადოებისთვის კარგა ხანს დარჩება შოკისმომგვრელ დანაშაულად.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა განსასჯელის მამიდებს, რომლებიც ძმიშვილების საქციელს სხვადასხვაგვარად აფასებენ.

**— ქალბატონო ლეილა, ახლო ურთიერთობა გქონდათ თქვენი ძმის ოჯახთან?**

— კი, ჩვეულებრივი.

**— მითხრეს, რომ კონფლიქტი გქონდათ...**

— ის მეორე მამიდაა... რძალ-მულს უბრალოდ ოჯახური კონფლიქტი ჰქონდა, იყო გაუთავებელი ბრძოლა ჩემს დას, მზიასა და რძალს — მანანას შორის.

**— აჩიკოს დედა კონფლიქტური პიროვნება იყო?**

— კი, მაგრამ იცით, თვითონ არავის საქმეში არ ერეოდა და არც შეურაცხყოფას მიაყენებდა ვინმეს. უფრო ცდილობდა, დამოუკიდებელი ყოფილიყო... მაგრამ ერთი პერიოდი ცოლ-ქმარმა სამსახური დაკარგა და იძულებულნი გახდნენ ახმეტის რაიონში, სოფელ ხოდაშენში დაბრუნებულიყვნენ. ფიზიკური შრომით ირჩენდნენ თავს. ეს რამდენიმე წლის წინ იყო, აჩიკო და ნინო ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდნენ. მერე მოახერხეს და ისევ თბილისში გადმოვიდნენ. მე თელავის რაიონში ვცხოვრობ, თბილისში გადმოსვლის შემდეგ მათთან ხშირ ურთიერთობას ველარ ვახერხებდი.

**— როგორც ვიცი, ტრაგედიის შემდეგ ნინო თქვენს ოჯახში წაიყვანეთ...**

— კი, და სწორად გამიგეთ, ეს ჩემთვის ძალიან ძნელი იყო. დიდი ოჯახი მაქვს. წარმოიდგინეთ, მეუღლე და სამი ბიჭი. სანათესავომ მოვითათბირეთ, ვთქვით, რომ აჩიკო გაუბედურდა და გადავწყვიტეთ, ნინო მაინც შემოგვებრუნებინა და დაგვეყენებინა სწორ გზაზე. ფაქტობრივად, ვიშვილე. ყველაფერი ვცადე, მაგრამ გულახდილად გეტყვით, არაფერი გამომივიდა.

**— რატომ ამბობთ ამას, რას გულისხმობთ?**

— სანამ ეს ტრაგედია მოხდებოდა, ჩემს ძმისშვილებს ყოველთვის უყვარდათ ჩვენთან მოსვლა. ჭირსა თუ ლხინში ყოველთვის ჩვენთან იყვნენ. ისე, ჩემმა ძმამ იცოდა თქმა, აჩიკო დაიტოვე თუ გინდა, ნინოს კი ვერ გაუძლებო. აჩიკოსთვის ცუდი არაფერი შემიმჩნევია. გარდა ამისა, იცით როგორი მორიდებული იყო?... რაც შეხება ნინოს... ვუთხარი: ჩემს ოჯახში სიგარეტს არ მოგაწევინებ. ჩემი მეუღლე ამას ვერ აიტანს-მეთქი... თავიდან დამთანხმდა, რამდენიმე დღის შემდეგ კი გამომიცხადა — სიგარეტის გარეშე ვერ გავძლებო. გაგრძელდა იგივე საუბრები, ბავშვებთან ჩხუბი მოსდიოდა, მერე ჩემმა მეუღლემ მითხრა, შენი ძმისშვილის აქ ყოფნას ვერ აგიკრძალავ, მაგრამ ამ ოჯახში ვერ გავჩერდები, მისი ქცევის ყურება არ შემიძლია, წავალ სოფელში, იქ ვიქნები და თუ მაგას გაზრდი, გამოასწორებ, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო.

**— ისეთი რა ქცევა ჰქონდა?**

— ჩემი ქმარი ხედავდა, რომ ნინოს არავითარი ჭირისუფლობა და მგლოვიარობა არ ეტყობოდა. საერთოდ, არანაირი განცდა არ ჰქონდა. ამ დროს ვერ წარმოიდგენთ, იმ ტრაგედიამ რა დღეში ჩამაგდო, ლოგინად ჩავვარდი. საბავშვო ბაღის გამგე ვარ, სამსახურში აღარ დავდიოდი, ქუჩაში ვერ გამოვდიოდი. გაგიჟებული ვიყავი: როგორ შეიძლება ეს ჩემს ძმისშვილებს გაეკეთებინათ-მეთქი. თავმოყვარეობა ხომ მაქვს. ნინოს კი, იცით, რა უთქვამს? — მამიდაჩემი „უჟასივით“ დადის, 24 საათი ცრემლი სდის და მე მაგას სად ვუყურო. მე მაგას ვერ გავუძლებო. მერე ველაპარაკე, რა ვქნა, შვილო, ასე დამიყენეთ საქმე და დაიცადე, გავიდეს წლები, თაობები შეიცვლება, ხალხს რაღაც მიავიწყდება-მეთქი. შენიშვნებს ვაძლევდი: ნინო, რა არის ასეთი სიცილი, რა გაცინებს-მეთქი... მაგრამ გამომიცხადა: მე დედაჩემის და მამაჩემის ჭკუაზე არ გამივლია და შენს ჭკუაზე გავივლიო?!

მე პირადად ჩემი ძმის და რძლის საფლავებს არასოდეს მივატოვებ. ისინი იმსახურებენ ამას. კაპიკი რომ არ მქონდეს, მაინც არაფერს მოვაკლებ მათ სულებს.



აჩიკო ძეგველიშვილი

**— არ გიცდიათ, რომ ნინო ფსიქიატრთან მიგეყვანათ ასეთი არაადეკვატური ქცევის გამო?**

— ერთხელ ვუთხარი, მოდი, ახლობელი ექიმი მყავს, გაგსინჯე, არავის ვეტყვი და იქნებ, რამე წამალი, დამაწყნარებლები დაგინიშნოს-მეთქი. მიპასუხა — სამკურნალო შენ ხარო. გარდა ამისა, გამოძიებამ იცით რა გვირჩია? შესაძლებელია, ეს გოგოც იყოს რამეში დამნაშავე, მაგრამ გოგოა, გარეგნობით ცუდი არ არის, მომავალს ნუ დავუკარგავთ, იქნებ ოჯახი შექმნასო. ძალიან გამიჭირდა ჩემს ოჯახში მისი ყოფნა, მაგრამ ვითმენდი.

ამ დროს საუბარში ჩაგვერთო მეორე მამიდა, ქ-ნი მზია. ქ-ნ ლეილასთან საუბრის შემდეგ ბუნებრივად გაგვიჩნდა არაერთი კითხვა, რომელიც ქ-ნ მზიას დავუსვით. იგი ჟურნალისტებზე ნაწყენია, თავის დროზე სკანდალური ვერსიის — და-ძმას შორის შესაძლო ინტიმური კავშირის გავრცელების გამო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პრესამ გამოაქვეყნა ექსპერტიზის დასკვნაც, რომელმაც ეს ვერსია გამორიცხა. ისე კი, ქ-ნმა მზიამ არ დამალა, რომ შემზარავი მკვლელობის შემდეგ ეს ეჭვი მასაც გაუჩნდა: იცით, თავიდან, როდესაც გავიგეთ, რომ ნინომ დაფარა ძმის საქციელი, ჩვენც დავეჭვდით. მერე კი, როდესაც უკვე დავწყნარდი და ექსპერტიზის დასკვნამაც გამორიცხა, გული დამწყდა, რომ აჩიკოს გული ვატკინე: ასე ვუთხარი, ამაშიც კი ეჭვი მეპარება-მეთქი. მან მიპასუხა: ახალ ცოდვას ნუღარ დამდებო... ცოტა დრო რომ გავიდა და ყველაფერს დაწყნარებული თვალით დავაკვირდი, იცით, რა დავინახე ამ ბავშვებში? ნინოს მაგალითად, ისეთი განცდები არა აქვს, როგორიც საერთოდ ჩვეულებრივ ადამიანს უნდა ჰქონდეს. ამ ბავშვებმა სიყვარული არ იციან. საკითხი გენეტიკურადაც გასარკვევია, მათი უცნაურობა საიდანღაც უნდა მოდიოდეს, ხომ? ვერაფერს გეტყვით მათი დედის გენეალოგიაზე, არც არავის განკითხვა მინდა.

**— რას გულისხმობთ?**

— ძალიან მკაცრად ექცეოდნენ შვილებს. ავადმყოფურად განიცდიდნენ, თუკი ბავშვები რაიმეს გააფუჭებდნენ, ერთ წუთში რომ ცემით მოკლავდნენ, მეორე წუთში ეფერებოდნენ. მამამისიც და დედამისიც ყველასგან — შვილებისგან, ჩემგან, სხვისგანაც მაქსიმალურს მოითხოვდნენ. თვლიდნენ, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ მართლები და სხვები ტყუოდნენ. აბსოლუტურ იზოლაციაში ცხოვრობდნენ. არავისთან ურთიერთობა არ უნდოდათ. შვილებს უნდა ჩაუნერგო, რომ მეგობარი უნდა გიყვარდეს, მამიდა უნდა გიყვარდეს... ადამიანები უნდა გიყვარდეს... აჩიკო წუმპეში აღმოჩნდა. ნორმალური მეგობრები რომ ჰყოლოდა, დაეხმარებოდნენ. უამრავი ნათესავი ჰყავდათ და არავისთან არ ჰქონდათ კონტაქტი. აჩიკოს ვუთხარი, რატომ ჩემთან არ მოხვედი-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? როგორ უნდა მოვსულიყავი, შენი სახლიც კი არ ვიცოდიო. მითხარით, მამიდის სახლი რატომ არ უნდა სცოდნოდა?! რატომ არ უნდა ჰქონოდათ ბავშვებს ჩემთან ურთიერთობა?! ორი რაიონი პატივს მცემს და მაგათთვის ვიქნებოდი ცუდი? ორივე ძმისშვილი სიგიჟემდე მიყვარდა და მაინც ცუდი მამიდა ვიყავი. ჩემთან მოსვლის უფლება არ ჰქონდათ.

**— თქვენ ერთადერთი პიროვნება ხართ, ვისაც ციხეში აჩიკოსთან აქვს ურთიერთობა. რა გიამბოთ აჩიკომ — რატომ გააკეთა ეს?**

— თავიდან ვერ ვიჯერებდი, რომ ეს აჩიკომ ჩაიდინა. ნახვაც იმიტომ მინდოდა, ვფიქრობდი, იქნებ ამის უკან რაღაც იმალება და მას არ ჩაუდენია ეს საშინელება-მეთქი. მითხრა, — მე გავაკეთეო. ფული მქონდა წაგებული, ისინი მაშინებდნენო. აქეთ მამაჩემის მეშინოდაო. როცა ისევ წააგო, იმ ბიჭთან ლაპარაკიც კი ჰქონია და ცოტა თანხა მოუკლო თურმე. 1.100 ლარზე იყო ლაპარაკი. მითხრა, ვიფიქრე, მამაჩემი სასტიკად გამამწარებს, იმ ბიჭებთან მივა და შემარცხვენსო. თავიდან სახლიდან წასვლა გადაუწყვეტია, დედას არ გაუშვია, უთქვამს — მამამ არ გაიგოსო. თუმცა იმავე სალამოს, მამასთან სწორედ ამაზე მოსვლია ჩხუბი. მამას უცემია და ზალაში დაგდებული დაუტოვებია. აჩიკომ მითხრა, ამის შემდეგ წავიდნენ და დაიძინესო. იატაკზე ვეგდე და ვფიქრობდი, რა უნდა გამეკეთებინა, და ამის შემდეგ, როდის, რატომ გავხდი მკვლელი და რამ გამაკეთებინა, აღარც კი მახსოვს, ყველაფერს უკვე მექანიკურად ვაკეთებდიო. ეს ყველაფერი ცალკე მითხრა, არავინ გვისმენდა. როდესაც შემომხედა, ხმამაღალი ტირილი დაიწყო. იცით, როგორი თვალებით მიყურებდა? თითქოს უნდა გამოეცნო, ვაპატიე თუ არა. მე ვაწყნარებდი. ის კი მეუბნებოდა: მაპატიებ, რაც გავაკეთეო? ნანობდა... მითხრა: თავი უნდა მომეკლაო. აივანზე გადავიწიე, მაგრამ ვერ გავბედე, საშინელი მშიშარა და ეგოისტი ვყოფილვარ. საერთოდაც მშიშარა ვარ და ეს ყველაფერი იმიტომ დამემართაო...

**— ორივე მამიდას მინდა გკითხოთ. თქვენ, ქალბატონო მზია, აპატიეთ აჩიკოს ეს დანაშაული შინაგანად?**

— ვაპატიე, იცით რატომ? მის აღზრდაში შეცდომები რომ არ დაეშვათ და სრულფასოვან ადამიანად გაეზარდათ, ამას არ ჩაიდენდა. მე მას დანაშაული ვაპატიე, როგორც არასრულფასოვან ადამიანს.

**— თქვენ, ქალბატონო ლეილა, თქვენ აპატიეთ?**

— რა ვქნა, მე ვერ ვაპატიებ. არ შემიძლია. ალბათ იმიტომ, რომ დედა ვარ.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა ბრალდებულის დას **ნინო ძეგველიშვილსაც.**

**— ნინო, როგორ ცხოვრობ, როგორ შეძელი, რომ ეს ყველაფერი გადაგეტანა, გაგიჭირდა?**

— ადამიანი ფიქრობს, რომ შეუძლებელი არაფერია. ამქვეყნად ყველაფერი შესაძლებელია, როგორც ჩანს...

**— დიდი ტკივილი განიცადე?**

— მაქვს კიდეც.

**— გახსენდება ხოლმე შენი მშობლები? გენატრებიან?**

— კი. ძალიან მენატრებიან. ამქვეყნად მხოლოდ ერთი ნატვრა მაქვს, — რომ მშობლები მყავდეს. როცა ცოცხლები იყვნენ, ვერ ვხვდებოდი, რომ მყავდნენ, ძალიან უდარდელი ცხოვრება მქონდა.

**— შინაგანად მარტო გრძნობ თავს?**

— ასეც არის, მარტოც ვარ.

**— შენს ძმასთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?**

— ჩვეულებრივი. მისთვის დანაშაული ბოლომდე არ მიპატიებია, თუმცა, ალბათ, ეს დროც მოვა. ისე, დარწმუნებული ხართ, რომ მან ჩაიდინა ეს დანაშაული?

**— თქვენი ძმა თავად ამბობს.**

— კი ამბობს, მაგრამ ეს ყველაფერს არ ნიშნავს. მას ბიჭები ხშირად აკითხავდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ გვამების სხვა ოთახში გადატანაში ვიღაც მიეხმარა. ამას რატომ არ არკვევენ?

**— თქვენ იმ ღამეს სახლში იყავით, ვინმე იყო?**

— მე მეძინა, არაფერი გამიგია, მაგრამ გამორიცხული არ არის. მეორეხარისხოვნად მიმაჩნია, რომ აჩიკოს მშობლები მკაცრად ექცეოდნენ. მთავარი ის არის, რომ იყო პიროვნება, ვინც აჩიკოს აშინებდა, რომ ჩვენებთან დარეკავდა.

**— ვინ არის ეს პიროვნება?**

— აჩიკოს ჯგუფელია, გვარი არ ვიცი. მე არ ვამბობ, რომ ის დამნაშავეა, ვამბობ, რომ აჩიკოს აშინებდა.

**— თუნდაც დაეშინებინათ, ფიქრობ, რომ ეს ამართლებს აჩიკოს?**

— არა, აჩიკოს არ ვამართლებ, მაგრამ შიშმა მიიყვანა ამ ზომამდე.

**— ნახულობთ თქვენს ძმას?**

— ნახვით არ ვნახულობ. წერილობით მაქვს ურთიერთობა. იცით, ძალიან ნანობს და ამბობს, დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, ამას აღარასოდეს გააკეთებდა.

*მარინა მამისაშვილი*

# „სერგო ორჯონიკიძის ძმა პაპულია იყო ასეთი ჭორების დიდოსტატი...“

გასულ კვირას საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა ერთით შემცირდა. დეპუტატმა გურამ შარაძემ სხდომაზე საკმაოდ ემოციური გამოსვლის შემდეგ, გულის ჯიბიდან დეპუტატის მანდატი ამოიღო და პარლამენტის თავმჯდომარეს — ნინო ბურჯანაძეს მიართვა. „მე ვტოვებ პარლამენტს და არ დავბრუნდები მანამ, სანამ არ გაარკვევენ, მართლა ვარ თუ არა აგენტი!“ — განაცხადა ბატონმა შარაძემ და პარლამენტის საგანგებო სხდომა დემონსტრაციულად დატოვა.

მავანთაგან აგენტობაში დადანაშაულებულ და ამის გამო აღშფოთებულ **გურამ შარაძეს** „კვირის პალიტრა“ ცხელ გულზე ესაუბრა.

**— ბატონო გურამ, პარლამენტის დატოვების შესახებ განცხადებაც ცხელ გულზე ხომ არ გააკეთეთ?**

— არა. ამის შესახებ მთელი სამი დღე ვფიქრობდი და ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე.

**— რატომ მიიღეთ ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება?**

— იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას ბრალდებების ნიაღვარს, რომელიც ჩემს საწინააღმდეგოდ არის მომართული. „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთმა წევრმა ლევან რამიშვილმა „რუსთავი-2“-ის პირდაპირი ეთერის საშუალებით განაცხადა — გურამ შარაძე აგენტი იყოო. კი, ბატონო, გამოიძიონ, გამოიკვლიონ, მართლა ვიყავი და ვარ თუ არა აგენტი. გარდა ამისა, იმავე „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრმა დავით ზურაბიშვილმა ჩემს დამოკიდებულებას რელიგიის კანონთან, ბასილ მკალავიშვილისა და მისი მრევლის მიმართ ანტიქართული უწოდა. დაახლოებით ასეთივე შეფასება „დავიმსახურე“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტის, თინა ხიდაშელისგანაც. ეს იყო სრულებით უსამართლო ბრალდებები, რამაც ჩემი სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ტელევიზიის ეთერი მარჯვედ გამოიყენეს ჩემი საწინააღმდეგო პროვოკაციების მოსაწყობად.

**— გურამ შარაძე — მედიის წინააღმდეგ?**

— არავითარ შემთხვევაში! ნურავინ ეცდება ჩემი პროტესტის გამოყენებას ტელევიზიის და საერთოდ, მედიის წინააღმდეგ. თავისუფალ მედიას თუ ვინმე იცავს საქართველოში, ერთ-ერთი გურამ შარაძე გახლავთ. თუ მართალია ის, რაც ჩემ შესახებ ლევან რამიშვილმა განაცხადა, მაშინ მე უფლება არ მაქვს ვიყო საქართველოს პარლამენტის წევრი და არც იმის უფლება მაქვს, ჩემი შვილის საფლავი ვნახო. ხოლო თუ მართალი არ არის, პასუხი აგონ მათ, ვინც ასეთი ცილისმწამებლური განცხადებებით ჩემი, როგორც მოქალაქის და როგორც დეპუტატის, პატივი და ღირსება შელახეს. მე, როგორც პარლამენტის წევრი, სხვების პატივსა და ღირსებას უნდა ვიცავდე და რა გამოდის, მე თვითონ მქონია თავი დასაცავი?

**— მსგავსი ბრალდებებით თქვენს წინააღმდეგ სხვა დროსაც არაერთხელ გამოსულან, მაგრამ ასე საჯაროდ არასოდეს გაგიპროტესტებიათ...**

— კი, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაესვას წერტილი ამ ბინძურ ნიაღვარს? ვიღაცვიღაცებმა მოდად აქციეს მათთვის არასასურველი ადამიანების აგენტობაში დადანაშაულება... ისე, ეს ნაცნობი მეთოდია. ამ ხერხს „წარმატებით“ იყენებდა სერგო ორჯონიკიძის „ღირსეული“ ძმა პაპულია ორჯონიკიძე, რომელიც ძმის „დიდი კაცობით“ სარგებლობდა და ამით გათამამებული თბილისში უამრავ უმსგავსობას სჩადიოდა. პაპულია თავის მეტოქე მამაკაცებზე ჭორს ავრცელებდა ხოლმე — მამათმავალიაო. რომ მისცვივდებოდნენ და ეტყოდნენ — რას ამბობ, პაპულია, ეს კაცი ქალაქში პირველი ვაჟკაცია და ქალები მისთვის გიჟდებიანო, პასუხობდა — ჰოდა, მეც სწორედ ამიტომ ვამბობ და ახლა ამტკიცოს, მართლა არის თუ არ არისო.

მე ორი მოწვევის პარლამენტის წევრი ვარ და სულ ვამბობ, მივიღოთ კანონი ლუსტრაციის შესახებ. სწორედ ისინი, ვისაც ამ კანონის მიღების ეშინიათ, სხვებისკენ უთითებენ და აგენტობას აბრალებენ. იმედი მაქვს, ჩემი გადაწყვეტილების შემდეგ მაინც იზრუნებს პარლამენტი, რომ ლუსტრაციის კანონი როგორმე მივიღოთ და, ბოლოს და ბოლოს, გავარკვიოთ — ვინ რუსეთის აგენტია, ვინ — ოკეანისგაღმელების და ვინ გამოღმელების.

**— როგორ გგონიათ, ამ კანონის ამოქმედების შემთხვევაში ბევრი ჯაშუში გამოვლინდება?**

— მე არ ვიცი, ბევრი გამოვლინდება თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ამის გაკეთება აუცილებელია. ჯაშუშების ადგილი არ არის არც პარლამენტში და არც მთავრობაში.

*(გაგრძელება იხ. გვ. 12)*



# ამერიკიდან ხორბალი ადგილობრივი ფერმერების გასაკოტრებლად შემოიტანეს?..

## როგორ პურს მიირთმევდა დავით აღმაშენებელი?!

კახელი ფერმერებისა და გლეხების ერთი ჯგუფი სოფელ-სოფელ დადის და თბილისში, სახელმწიფო კანცელარიისა და პარლამენტის წინ დასაწვავ ხორბალს აგროვებს. ასეთივე საპროტესტო აქციის მოწყობას ფერმერები პურპროდუქტების კორპორაციის შენობასთან აპირებენ. დასაწვავი ხორბლის შეგროვება საიდუმლოდ იმ გლეხებში ხდება, ვისაც ენაზე კბილის დაჭერა შეუძლიათ, რათა ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა და პოლიციამ მათი განზრახვა დროზე ადრე არ შეიტყონ და დაგეგმილი საპროტესტო აქცია არ ჩაუშალონ. უკვე მანქანებიც და მძღოლებიც გამოინახა, რომლებიც ხორბლის თბილისში, რუსთაველის გამზირზე ჩატანას დათანხმდნენ. ღინჯი კახელები შექმნილი სიტუაციიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ. პროტესტის ასეთ უკიდურეს ფორმას იმიტომ მიმართეს, რომ საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ თავიანთ გასაჭირს და მთელი წლის ნაჯაფი როგორმე დაიცვან და წყალს არ გაატანონ.

საქმე ის არის, რომ ალოობის, ანუ ხორბლის მოსავლის აღების წინ საქართველოში ჰუმანიტარული პროგრამით ამერიკიდან 35 ათასი ტონა ხორბლით დატვირთული გემი ჩამოვიდა. ქართველ ფერმერთა განცხადებით, „ალოობის წინ ამერიკიდან უფასო ხორბალი იმ მიზნით შემოიტანეს, რომ მოთხოვნილება ადგილობრივზე შემცირდეს. ეს კი თავისთავად მისი ფასის მინიმალური ზღვრის დაცემას გამოიწვევს და ჩვენც იძულებულნი ვიქნებით, მთელი წლის სარჩო გროშებად გავყიდოთ, ან საერთოდ ვერსად ჩავაბაროთ. ამის თქმის საფუძველს წინა წლების გამოცდილება გვაძლევს. სახელმწიფო ყოველთვის უმიზეზოდ გვეუბნებოდა უარს ქართული ხორბლის შესყიდვაზე და უპირატესობას უცხოეთიდან შემოტანილ ხორბალს ანიჭებდა მაშინ, როცა ჩვენ ხორბალი გვილპებოდა. ოფიციალურად ცნობილია, რომ ამერიკული ხორბალი საქართველოში ე.წ. სახელმწიფო რეგულირების საბჭომ შემოიტანა, სინამდვილეში კი საბჭოში ყველაფერს ანზორ ბურჯანაძე განაგებს. თუ მისი და ზოგიერთი ჩინოვნიკის ჩანაფიქრი განხორციელდა, ალბათ ეს უკანასკნელი ხორბლის მოსავალი იქნება საქართველოში. კორუმპირებულ სახელმწიფო ჩინოვნიკებს განზრახული აქვთ ქართველ ფერმერებს ერთხელ და სამუდამოდ უარი ათქმევინონ ხორბლის მოყვანაზე. მათხოვრობით მიღებული ხორბლისაგან უფრო მეტ გამორჩენას ელოდებიან, ვიდრე ჩვენგან. სამწუხაროდ, მათ მხარს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროც უჭერს და, რა თქმა უნდა, პარლამენტიც".

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, მაინცდამაინც ალოობის დაწყების წინ სხვა ქვეყნიდან ხორბლის შემოტანა დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. იმჟამად საქართველოში ხორბლის მარაგი საკმარისი იყო და ამერიკიდან დაძველებული, უხარისხო 35 ათასი ტონის შემოტანა, ბუნებრივია, ფერმერების მტკიცებას უფრო სარწმუნოს ხდის, — ამასთან, წელს საქართველოში ხორბლის არნახული მოსავალია.

### ქართული ჯიშის ხორბალი უვარგისი ყოფილა(?!)

ამ საჭირბოროტო პრობლემისთვის რომ ნათელი მოგვეფინა, უპირველესად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეწვიეთ. კვების მრეწველობის განვითარების სამმართველოს უფროსი **მიხეილ ჩხენკელი**: „გაკვირვებული ვარ იმ აურზაურით, რაც ამერიკიდან ხორბლის შემოტანას მოჰყვა. შარშანწინაც და შარშანაც შემოვიტანეთ ხორბალი, მაგრამ სიტყვა არავის დაუძრავს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ

> კონტრაბანდული ფქვილითაა გავსებული თბილისის ბაზრობა. შირაქის ველები სულ უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, პროკურორებს და გამგებლებს აქვთ აღებული. ჩვენ მათ მოჯამაგირეებად ვუდგავართ. მათ მოწეულ მოსავალს სახელმწიფო ძვირად იბარებს, ჩვენსას კი გროშებად. მთელ კახეთში ერთი კაცი ვარ, რომელსაც ქართული ჯიშის ხორბალი მითესია. ისიც იმიტომ, რომ უნიკალური ჯიშები არ გადაშენდეს.

საქართველოში მოწეული ხორბალი გლეხს საკუთარი თავის შესანახადაც არ ეყოფა. აქ მოწეული ხორბლით მოთხოვნილების 10% თუ დაკმაყოფილდება. და მეორეც, მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით ხარისხიანი პური არ გამოცხვება. ამიტომაც საქართველოს სისტემატურად შემოაქვს საზღვარგარეთიდან ხორბლის მარცვალი. რაც შეეხება მის ფასს, მოგახსენებთ, რომ პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა შპს „მარეგულირებელი საბჭო". მისი ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა გახლავთ ხორბალზე ფასების რეგულირება; ანუ ხორბალს არ უნდა დაედოს გაუმართლებლად მაღალი ან დაბალი ფასი. მაგალითად, თუ რუსეთიდან სხვადასხვა მიზეზის გამო არ შემოვა ხორბალი ან ფქვილი, ან უბრალოდ, თუ რუსეთმა ბლოკადა გამოგვიცხადა, ბუნებრივია, ბაზარს ხორბალი დააკლდება. სწორედ ასეთ დროს „მარეგულირებელი საბჭო" ამერიკიდან მიღებულ ხორბალს ბაზარზე გაიტანს და მის ფასს დასწევს. ხორბლით ბაზრის გაჯერების შემთხვევაში, ამერიკული ხორბალი საწყობში იქნება. ამასთან, 35 ათასი ტონა ხორბალი საქართველოსთვის ერთი თვის მარაგია. რესპუბლიკას, მინიმუმ 80 ათასი ტონა მაინც სჭირდება. ისე არ გამიგოთ, თითქოს ადგილობრივ ხორბალზე უარს ვამბობდეთ. თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ქართული ხორბლის ფქვილით ხარისხიანი პური არ ცხვება".

საუბარში ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **სვეტლანა ჩხენკელი** ჩაგვერთო: „ქართული ხორბალი იმიტომ არვარგა, რომ მასში წებოგვარას შემცველობა ძალზე დაბალია. ამიტომ ცომი იმდენად თხელი გამოდის, რომ პური არ ცხვება. ხარისხიანი პური რომ გამოცხვეს, ხორბალში წებოგვარას რაოდენობა მაღალი უნდა იყოს. ერთი სიტყვით, ქართული ხორბლის ხარისხობრივი მაჩვენებელი დაბალია. იგი მხოლოდ თონის პურის გამოსაცხობად თუ გამოდგება, რადგან ქართულ პურში აფუების დონე დაბალია, ხოლო ქარხნული წესით გამომცხვარი პური უფრო მაღალხარისხიან ფქვილს თხოულობს.

ჩვენ ამაზე კი არ უნდა ვლაპარაკობდეთ, არამედ იმაზე, რომ საქართველო წალეკა კონტრაბანდულმა ფქვილმა. სწორედ ამან თითქმის მოსპო ხორბლის მოყვანა საქართველოში. ამის გამოა, რომ ამჟამად ერთ სულ მოსახლეზე დღეში 57 გრამი პური მოდის. ასეთი მდგომარეობა ლენინგრადის ბლოკადის დროს არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემი არარეალური, თუმცა კი ფაქტია. ერთ სულ მოსახლეზე მინიმუმ 400 გრამი პური მაინც არის საჭირო. კონტრაბანდა გახლავთ პრობლემა, რომელიც მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებას უშლის ხელს, თორემ ნეტავ ამერიკიდან უფრო მეტი ხორბალი მიგველო. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ამერიკული ხორბალი ჰუმანიტარული პროგრამით, ანუ უფასოდ შემოდის."

კვების მრეწველობის განვითარების სამმართველოს უფროსის მოადგილე **დავით გოგიბედაშვილი**: „გასაგებია გლეხების და ფერმერების გულისტკივილი, მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის, რომ ხორბლის ფასი მთელ მსოფლიოში დაბალია. მაგალითად, ამ დღეებში სტავროპოლიდან მივიღეთ ფაქსი, — ტონა ხორბალს (ჩამოტანით) 130 დოლარად გვთავაზობენ, ადგილზე კი თურმე 80 დოლარად იყიდება. ეს ხორბალი გაცილებით სჯობია ხარისხობრივი მაჩვენებლით ქართულ ხორბალს, რომლის გაყიდვა გლეხებს კილოგრამის 30 თეთრად სურთ. ამ ფასად ამჟამად ამერიკული ხორბალიც არ იყიდება და რეგულირების საბჭო ფინანსთა სამინისტროს მასზე ფასის დაკლებას სთხოვს. ერთიც არის, ამერიკული ხორბლის ფქვილს გამოსავლიანობა უფრო მეტი აქვს, ვიდრე ქართულს. ამერიკული მეტ წყალს ისხამს, რაც ხაბაზებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია".

### ქართული ჯიშის ხორბალი მსოფლიოში საუკეთესოა

ჩვენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში გადავამოწმეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაწუნებული ქართული ხორბლის ხარისხიანობა. ბოტანიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, პროფესორი **ჯონდო ჩიკვაიძე**: „ქართული ხორბლის ჯიშების დაწუნება როგორ შეიძლება, ვინ ამბობს ასეთ სისულელეს?! მახა და ზანური ქართული ენდემური ჯიშებია. მათი მაღალი ხარისხი მსოფლიოს მეცნიერების მიერ არის აღიარებული. არც ერთ ცნობილ სელექციონერს არ გამოუყვანია ახალი ხორბლის ჯიშები ქართული ხორბლის ჯიშისა და მისი მონაწილეობის გარეშე. ჩვენი ხორბალი მდგრადია სოკოვანი და სხვა დაავადებების მიმართ. რაც მთავარია, მარცვალი ცილების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მის მაღალკალორიულობას. ქართულ ხორბალს ვერც ერთი სხვა ჯიშის ხორბალი ვერ შეედრება ყუათიანობით. მხოლოდ ერთადერთი ნაკლი აქვს, შედარებით მცირემოსავლიანია".

ჩვენთან საუბარი ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **გურანდა ღვალაძემ** განაგრძო: „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხორბლის ქართული ჯიშები საქართველოს პირობებს მორგებულია და



ეს უნიკალური ფოტო სვანეთშია გადაღებული, მასზე ქართული დოლის პურის ჯიშის „წითელი სვანური თავთუხის" უკანასკნელი მოსავალია აღბეჭდილი

ასე ხელაღებით მასზე უარის თქმა გაუმართლებელია. თუმცა, მოსავლიანობის მხრივ ამერიკული ჯიშები სჯობია, იგი ამ ერთადერთი თვისებით აჭარბებს ქართულ ხორბალს. ყუათიანობით კი ქართულ ხორბალს ვერაფერი შეედრება. ქართული ხორბლის ფქვილით გამომცხვარი ერთი პური სამ „ამერიკულს" უდრის კალორიულობით და ამით ახდენს მცირე მოსავლის კომპენსირებას. ჩვენს განყოფილებაში არაერთი გამოკვლევა ჩატარდა და დამტკიცდა, რომ ქართული ხორბალი თავისი კვებითი მაჩვენებლით საუკეთესოა. თუ ხელისუფლების ნება იქნება, საქართველოს სოფლის მეურნეობას დღესვე შეუძლია ქართული ხორბლით მოთხოვნილების 60%-ის დაკმაყოფილება. მაგრამ ხელისუფლებას ამის ნაცვლად, ხორბლის უცხო ქვეყნებში მათხოვრობა ურჩევნია. ეს გასაგებიცაა, ჰუმანიტარული პროგრამებით გამოგზავნილი პროდუქციით უზარმაზარ თანხებს იჯიბავენ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, თუ როგორ ზრუნავენ სახელმწიფო ჩინოვნიკები სოფლის მეურნეობის განვითარებისა და, კერძოდ, ხორბლის მოსავლიანობის გაზრდაზე. რამდენიმე წლის წინ, ჩემმა დისშვილმა მარნეულის რაიონში რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწა იჯარით აიღო. ხორბლის დიდი მოსავალიც მოიწია. კომბაინიც კი იყიდა მოსავლის ასაღებად, მაგრამ მისი ეს წარმატება არავის ესიამოვნა. ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობა ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერით ცდილობდა, როგორმე მოსავალი გაენადგურებინა და არ შექმნილიყო პრეცედენტი ქართველი კაცის ამ რაიონში ჩამოსახლებისა. თავისი წვლილი ამ საქმეში მაშინდელმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ გულუამაც შეიტანა. საშუალება არ მისცა, ამხელა მოსავალი სახელმწიფოსთვის მიეყიდათ. განაცხადა, ერთი გრამი ქართული ხორბალი არ ვნახო ელევატორებშიო. რა უნდა ექნათ, საუკეთესო ხორბლის მოსავალი კასპის სპირტის ქარხანაში გროშებად ჩააბარეს. ხელისუფლებას ურჩევნია ჯიბის გასასქელებლად თურქეთიდან ფათ-ოღლის საფურაჟე ხორბლის, ათასგვარი ქიმიური მინარევებით „გაკეთილშობილებული", სინამდვილეში კი მომწამვლელი ფქვილი შემოიტანოს და ხალხს აჭამოს, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. როცა ფათ-ოღლის ფქვილი პირველად შემოვიდა საქართველოში, ტომრებზე ღორის თავი იყო დახატული. ღორის საკვებით გვიმასპინძლდებოდნენ... იცით რატომ აწყდება ქართული ხორბალი წინააღმდეგობას სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩინოვნიკებთან? იმიტომ, რომ ახლახან ანზორ ბურჯანაძემ ამერიკიდან რამდენიმე ათეული ათასი ტონა ხორბალი შემოიტანა და ხორბალზე ფასის ხელოვნურად დაგდებით, გლეხებს და ფერმერებს აკოტრებს. ანზორ ბურჯანაძეს უბატონოდ ხმას ვერ გასცემენ, უშველოს ახლა ნინო ბურჯანაძემ გლეხებს. გოგი თოფაძემ ქართული ხორბლის მოსავალი რომ ნახა, თქვა: აფსუსია, ეს ხორბალი ლუდის გამოსახდელად ჩავიბაროო. არადა, გლეხებს სხვა გზა აღარ აქვთ. არ დაიჯეროთ, თითქოს ქართული ხორბლით ხარისხიანი პურის გამოცხობა შეუძლებელი იყოს, — შესაძლებელია და თან ყოველგვარი მინარევის გარეშე. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბურჯანაძის დაკრულზე ცეკვავს. მათაც ხომ უნდათ ფულის გაკეთება?! სახელმწიფოს პური არ ჰყოფნის და მოწეულ ხორბალს კი არყისა და ლუდის ქარხნებში აბარებინებს იაფად მოსახლეობას, — ამაზე დიდი დანაშაული შეიძლება მოხდეს? ჯერ ჩვენი ხორბალი უნდა გასაღდეს და მერე ამერიკულიც გავასაღოთ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ეს ხელს არ აძლევს უსინდისოთა ხრო-

> ხელისუფლებას ურჩევნია ჯიბის გასასქელებლად თურქეთიდან, ფათ-ოღლის საფურაჟე ხორბლის, ათასგვარი ქიმიური მინარევებით „გაკეთილშობილებული", ხინამდვილეში კი მომწამვლელი ფქვილი შემოიტანოს და ხალხს აჭამოს, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. როცა ფათ-ოღლის ფქვილი პირველად შემოვიდა საქართველოში, ტომრებზე ღორის თავი იყო დახატული. ღორის საკვებით გვიმასპინძლდებოდნენ...

ვას, — ყველაფერი ჯიბესა და კუჭზე გადაახურდავეს".

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის კულტურული ფლორის განყოფილების გამგე **ტარიელ ბერიშვილი**: „სამინისტროში იმდენად უვიცები სხედან, არც კი იციან, რომ ქართული ხორბლის ჯიშები დღეს საქართველოში თითქმის აღარსად ითესება. მხოლოდ რუსული ჯიშის „უფხო პირველითაა" ქართული სავარგულები დათესილი. ამ ჯიშმა ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის დროს განდევნა ადგილობრივი ჯიშები.

სამინისტროს შემოაქვს მასობრივი მოხმარების უხარისხო ფქვილი, რომლისგანაც ასევე უვარგისი პური ცხვება. შემოდის ჰუმანიტარული ხორბალიც და ჩვენს პროდუქციას ფასს ვილა დაადებს?! ეს არის საბაზრო ეკონომიკის ველური კანონი და მას კიდევ უფრო აველურებენ ქართველი სახელმწიფო ჩინოვნიკები. სურვილი არ მაქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოკალათებულ ჩინოვნიკებთან კამათისა. უნდა იცოდნენ, რომ ხორბლის ხარისხი მარტო წებოგვარას შემცველობით არ განისაზღვრება. წებოგვარა მხოლოდ პურის გარეგნულ სახეს აუმჯობესებს, ხარისხიანობის განმსაზღვრელი კი მასში ცილების რაოდენობაა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობა ის ჰგონია, როცა ამერიკაში იმათხოვრებს და სამოწყალოდ ხორბალს გამოუგზავნიან. ასე დარგი არ აღორძინდება".

ჩვენ კახეთშიც გავემგზავრეთ, რათა ადგილზე გავსაუბრებოდით იქაურ ფერმერებსა და გლეხებს. გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის მკვიდრი **დათო ჯავახიშვილი**: „გინახავს სადმე, ჯო, რომა კაცმა მოსავალი მაიყვანოს, მთავრობა კი არ იბარებდეს და სხვისი ნაგავის გასაღებაზე ფიქრობდეს, ხოლო ჩვენს ბროლივით ხორბლისაგან სპირტსა ხდიდეს. სპირტის და არყის გამოსახდელად ღმერთს ყურძენი გაუჩენია, მაგრამ ყურძენსაც რომ არ იბარებენ?! ერთი ჰექტრის დამუშავება 500 ლარამდე ჯდება. კილო ხორბალი რომ 20 თეთრად ჩავაბაროთ, რა ხეირია, თანაც სპირტის ქარხანა ტონაში 100 კილოგრამს გვაკლებს.

დედაკაცმა ბენზინის ბიდონი დამიმალა, თიორემა გადავასხამდი ზედა ხორბლის ყანასა, მერე სპიჩკა და იმის ჯანი. ვინც ამის იქით ხორბალი სახელმწიფოს ჩასაბარებლად დათესოს, ჩემთავათ იმისი ოხერი დედაცა და მამაცა... აგე ჩვენი გამომგონებელი ბოტანიკოსიც მოვიდა. ეგა უბრალო ვინმე არ გეგონოს, მართალია, ჩვენთან ჩასიძებულია, მაგრამა კაი ბიჭია, მეცნიერიც არი და ფერმერიცა. ეე მაგას ელაპარაკე და ეგ მოგიყვება ყველაფერსა".

ადგილობრივი ფერმერი, პარალელურად ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი **ფირან ჩხეიძე**: „ამ ქვეყანას პატრონი არა ჰყავს. მოსავალი მოდის და ხელსაყრელ ფასად ვერ გაგვიყიდია. თურქეთიდან და რუსეთიდან შემოტანილი კონტრაბანდული ფქვილითაა გავსებული თბილისის ბაზრობა.

(გაგრძელება იხ. გვ.11)

# ჯორბენაძე — ქართველი პუტინი?..

## „ვფიქრობ ბატონი ავთო გაკვირვებული დატოვებს პოლიტიკას...“



სახელისუფლებო შტოებს შორის კარგა ხნის წინ დაწყებულმა დაპირისპირებამ გასულ კვირას იჩინა თავი, როცა სახელმწიფო მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე „მთელი საქართველოს თვალწინ“ წაეკიდნენ ერთმანეთს. ბურჯანაძე-ჯორბენაძის მოზომილი, მაგრამ მკვახე დიალოგი პრეზიდენტის მომხრე კონსერვატორებსა და ახლებურად მოაზროვნე დემოკრატ-რეფორმატორთა შორის ბრძოლის ახალი ეტაპის დაწყების ნიშანი გახდა. ბრძოლის განახლების კიდევ ერთი ნიშანი მამალაძე-ტყეშელაშვილის პოლიტიკური დუელიც იყო, რომელშიც ქვემო ქართლის გუბერნატორი „სასიკვდილოდ დაიჭრა“.

ამ მოვლენების ფონზე შედარებით ჩრდილში რჩება პრეზიდენტი, რომელიც ჯერჯერობით მაყურებლის პოზიციას სჯერდება და ისევ სახელმწიფო მინისტრს აძლევს თავისუფალი მოქმედებისთვის კარტ-ბლანშს.

რა ხდება ქვეყანაში? რეალურად ვინ კაზმავს საქართველოში პოლიტიკურ სოუსს და როგორია ჩვენი ხელისუფლების სამომავლო (ანუ საშემოდგომო) შანსები? გვესაუბრება ანტიკორუფციული საბჭოს წევრი **გივი თარგამაძე**.

— საუბარს ფართო ასპარეზზე ჯორბენაძის გამოსვლით დავიწყებ. ვფიქრობ, ეს არ იყო მხოლოდ პრეზიდენტის ინიციატივა. ავთო ჯორბენაძის გააქტიურება უპირობოდ უკავშირდება ნანული ცაგარეიშვილს. საბოლოოდ ფსონი ჯორბენაძეზე მაშინ დაიდო, როცა ის სახელმწიფო მინისტრი გახდა. ჩემი ინფორმაციით, ამ პოსტს პრეზიდენტი ბადრი ხატიძეს უმზადებდა, მაგრამ მისი მეუღლის პოზიციამ გადასძლია.

**— რით დაიმსახურა ჯორბენაძემ პრეზიდენტის ოჯახის დიდი სიმპათია?**

— პრეზიდენტის მეუღლის სიმპათია იმან განაპირობა, რომ ჯორბენაძე უზრუნველყოფდა და ახლაც უზრუნველყოფს მის მკურნალობას და სამკურნალო მიზნებით მის მოგზაურობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგი მიიჩნევს, რომ უტაქტობაა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩემი აზრით, საქილიკო ამაში არაფერია. როგორც ვიცი, მას მკურნალობენ სხვადასხვა ძვირად ღირებულ კლინიკაში — ვენაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. რადგან ჯორბენაძე ხელმძღვანელობდა ამ საკმაოდ სერიოზული საკითხის მოგვარებას, ამან აღძრა დიდი სიმპათია მის მიმართ. სწორედ მისი დამსახურებაა ავთო ჯორბენაძის დაწინაურება. მენაღარიშვილი-ჯორბენაძის ბიძაშვილურ-მამიდაშვილური ტანდემიდან პრეზიდენტი მენაღარიშვილს უფრო ამჯობინებდა და ეს გამართლებულიც იქნებოდა, რადგან აქამდე მენაღარიშვილი ახერხებდა იმიჯის შენარჩუნებას და ეს პრეზიდენტს დროის მოგების საშუალებას მისცემდა. კატეგორიულად ვერ დავეთანხმები მენაღარიშვილს, რომელმაც მონოტონურად დაუშალა სააკაშვილს მთავრობის სხდომაზე, — ფართო ჟესტს ნუ აკეთებო. მენაღარიშვილი ერთ-ერთი ძირითადი კორუმპირებული ფიგურაა ქართულ პოლიტიკაში. კორუფცია ჯანდაცვის სისტემაში სწორედ მან ააყვავა და შემდეგ გადაულოცა ნათესავს.

**— მაგრამ ფაქტია, რომ ჯორბენაძე დღეს ყველაზე ქმედითი სახელმწიფო მინისტრია.**

— ბატონი სახელმწიფო მინისტრი ამბიციური კაცია და იმავდროულად, არ აქვს სახელმწიფოს მართვის არანაირი კომპეტენცია. თუმცა თავგამოდებით ცდილობს თავისი უფლებები ნებისმიერ სფეროზე გაავრცელოს და ამას მეტად მოუქნელად აკეთებს. ასე ჯორბენაძე ქვეყანას აბსოლუტურ კოლაფსამდე მიიყვანს. ბიუჯეტის გარღვევა უკვე სახეზეა. ეს გარღვევა კიდევ უფრო გაღრმავდება. ვფიქრობ, სექტემბრისთვის პენსიების და ხელფასების გაცემაც ვერ მოხერხდება. ერთადერთი ფაქტორი, რაც მის სასარგებლოდ მოქმედებს, ზაფხულია. ამ დროს ხალხი, როგორც წესი, პასიურია.

გასულ კვირას მწვავედ დადგა გაზის საკითხი. მილიონი ლარის მოძებნას საშველი არ დაადგა. მერე გაირკვა, რომ თანხა ნაპოვნია, მაგრამ მის გადარიცხვას ეწინააღმდეგებოდა ჯორბენაძე. მას სურს ეს ფაქტი ზოდელავას საწინააღმდეგოდ გამოიყენოს, რათა საპარლამენტო არჩევნების წინ თბილისში თავისი მერი და გამგებლები დანიშნოს.

ჯორბენაძის პირველი ნაბიჯი სახელმწიფო მინისტრის პოსტზე ის იყო, რომ მან გააქილიკა მსოფლიო ბანკი — ორგანიზაცია, რომელზეც დამოკიდებულია დღეს მთელი ქვეყანა და თვითონ ჯორბენაძეც. სახელმწიფო მინისტრის ასეთი ქმედება მაფიქრებინებს, რომ ჯორბენაძე საშემოდგომოდ პრობლემების დიდ მოსავალს მოიმკის. არ ვიცი, რისი იმედი აქვს პრეზიდენტს, აბსოლუტურად გაუგებარია რას ეყრდნობა ეს ხელისუფლება?! პრეზიდენტის ქმედებები ალოგიკურია.

**— ალბათ, არ უნდა დავივიწყოთ „მოქალაქეთა კავშირის“ ყრილობა, რომელზეც მრავლად იყვნენ პრეზიდენტის მომხრეები. თუნდაც ამ ხალხზე შეძლებს დაყრდნობას პრეზიდენტი.**

— როგორ შეიძლება პარტიას, რომელშიც შევიდნენ გუბერნატორები, მინისტრები, გამგებლები, ანუ ის ნომენკლატურა, რომელიც ხალხში აგრესიას იწვევს, ოდესმე არჩევნებში გამარჯვების იმედი ჰქონდეს?!

**— გასულ კვირას ნინო ბურჯანაძისა და სახელმწიფო მინისტრის შეკამათება სახელისუფლებო შტოებს შორის არსებული დაპირისპირების გამოვლენა იყო?**

— ჯორბენაძე ცდილობს ძალისმიერი მეთოდებით აღიარებინოს ყველას, რომ ქვეყანაში მეორე კაცია. ნაწილობრივ იმასაც ცდილობს, რომ თავისი პირველკაცობაც დაამტკიცოს. ცხოვრება ისე არ არის მოწყობილი, რომ ადამიანმა ერთი ფრაზით შეცვალოს რეალობა. დარწმუნებული ვარ, ჯორბენაძეს გაუკვირდა, როცა ბურჯანაძემ წინააღმდეგობა გაუწია. თუმცა, გარწმუნებთ, კიდევ ბევრი რამ გააკვირვებს ბატონ ავთოს და საერთოდ, ვფიქრობ, გაკვირვებული დატოვებს პოლიტიკას.

**— თუ ამდენი შეცდომები ჰქონდა, რატომ შეაჩერა პრეზიდენტმა არჩევანი ჯორბენაძეზე?**

— მათ მიიღეს გარანტიები... ისინი ცდილობდნენ რუსული ვარიანტი გაეთამაშებინათ და მიეღოთ პუტინის ქართული ვარიანტი, მაგრამ... მაქვს (ჯერჯერობით გადაუმოწმებელი) ინფორმაცია, რომ ბატონი ავთო ოჯახთან ერთად კრწანისის რეზიდენციაში გადაიყვანეს და ერთი ფლიგელი დაუთმეს, რადგან, უფრო დიდხანს იყოს მათთან ერთად.

შემიძლია ცალსახა პროგნოზი გავაკეთო — შევარდნაძის ხანა ამ შემოდგომაზე დასრულდება. ვერც ერთ სუბიექტურ თუ ობიექტურ ასპექტს ველარ ვხედავ, რაც ამ მომენტს გამორიცხავს.

თავის დროზე „მოქკავშირი“ შეიქმნა, როგორც კომპარტიის შემცვლელი, მემკვიდრე პარტია, მაგრამ ვერ მიიღო ამ პარტიამ ისეთი სახე, როგორისთვისაც იყო გამიზნული. მეორე მხრივ, შევარდნაძესაც არ ეყო გამბედაობა დაემყარებინა დიქტატურა. შევარდნაძემ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი 1998 წელს — მეორე ტერაქტის შემდეგ ამოწურა და ამით დაამთავრა მოღვაწეობა.

**— ანუ იმ მეორე ტერაქტმა ასე შეაშინა პრეზიდენტი?**

— აშკარად. მეორე ტერაქტის შემდეგ შევარდნაძე ისე შეშინდა, ქვეყანა პრაქტიკულად ძალოვნებს გადააბარა. ძალიან დააჩქარა შევარდნაძისთვის სამწუხარო მოვლენები საჯაიას გარდაცვალებამაც. დღეს გახდა აშკარა, რა დატვირთვა ჰქონდა ამ ფიგურას. სისტემა რაზეც შევარდნაძის ხელისუფლება იდგა, მთლიანად ჩამოიშალა. ამას დაერთო კადრების დეფიციტიც. შევარდნაძეს კადრები აღარ ჰყავს. ხატიძის ადგილზე დანიშნეს კაცი (ბოჭორიძე), რომელიც თვითონვე ამბობს, — სიზმარას მეძახიანო. მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი, რომელიც საჯაიას კადრებით იყო დაკომპლექტებული, არ აღმოჩნდა მზად საჯარო პოლიტიკისათვის — მარჩენლის გარეშე ისინი ძალზე უუნაროები ყოფილან.

მოვიყვანოთ თუნდაც შსს-ს მაგალითი. ნარჩემაშვილი საჯაიას კადრია, მაგრამ ის სრულფასოვნად ვერ აკონტროლებს თავის სამინისტროს — იქ გავლენას ისევ ინარჩუნებს კახა თარგამაძე. ეს იწვევს დაპირისპირებებსა და შეჯახებებს პოლიცია-პროკურატურას შორის და თვით შსს-შიც. არსებობს სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც ვერ ინაწილებენ გავლენის სფეროებს. ეს პროცესი გადაედო პროკურატურასაც.

**— ძალთა გადანაწილებები დაიწყო პარლამენტში. ერთი შეხედვით, ჩანს, რომ იქ სიტუაცია ძალზე არეულია.**

— მოხდა საპარლამენტო გადატრიალება — საპარლამენტო სტრუქტურები და კომიტეტების ხელმძღვანელობა დაკომპლექტდა საშუალო რანგის საბჭოთა ჩინოვნიკებით. თვითონ პრეზიდენტის ფლანგსაც აღარ აქვს იმედი, რომ რალაცას მოახერხებს და ამიტომ თანამდებობისთვის აღარავის უბრძოლია. დათმეს, ოღონდ ზედმეტი პასუხისმგებლობა არ აეღოთ თავიანთ თავზე.

**— ამ ეტაპზე ჯორბენაძის მხარდამჭერები არცთუ უმწეოდ გამოიყურებიან პარლამენტში.**

— ჯერჯერობით, იქ პროჯორბენაძისტული ნაწილი მძლავრობს. მაგრამ რისი გამკეთებელია ეს ძალა? ამ ხალხს უნდა ჯორბენაძის გაპრეზიდენტება, მაგრამ არ იციან, რა უნდა გააკეთონ ხალხისთვის. მომავალში ამ გუნდშიც აუცილებლად დაიწყება შიდადაპირისპირება. მამალაძის ფლანგი, რომელიც ამ პროცესის დასაწყისში მაქსიმალურად გამოიყენეს, დღეს თავადვე ეხამუშებათ. ამ ფლანგს სერიოზული პრეტენზიები აქვს და რაკი მათ არ არგუნეს საერთო ტორტიდან გემრიელი ნაჭრები, ეს გაზრდის დაძაბულობას. პროტესტი გაიზრდება „ახლების“ მხრიდანაც. მათ სიხარულით გვამცნეს, — საქართველოს მასშტაბით ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვება, მაგრამ მათ უთხრეს, რომ იქნებიან არა „ახლები“, არამედ „ახალი მოქალაქეები“ და ისინიც დაემორჩილნენ ამ ბრძანებას; ანუ „ახლებს“ წყალში ჩაეყარათ მთელი ძალისხმევა, რის გამოც განაწყენებულნი არიან.

**— პრეზიდენტის ფავორიტად აქამდე ზურაბ ჟვანია იყო მიჩნეული. მან რატომ ვერ შეინარჩუნა ადგილი პრეზიდენტის გვერდით?**

— ვფიქრობ, შეცდა ჟვანია. იგი გვიან მიხვდა, რომ თუ პრეზიდენტთან ახლო ურთიერთობას შეინარჩუნებდა, საზოგადოებას დაშორდებოდა. ჟვანიას შეცდომა ის იყო, რომ თამაში დაიწყო შევარდნაძის მოედანზე, ანუ ცდილობდა ეწარმოებინა დაბალანსების პოლიტიკა. მაგრამ ეს არის შევარდნაძის სტილი. რაოდენ დასუსტებულიც უნდა იყოს, ამ მოედანზე მას ვერც ჟვანია მოუგებს, ვერც სხვა ვინმე. ამიტომაც იყო, რომ ამ შერკინებაში საბოლოოდ ჟვანია დამარცხდა.

დღეს კორუფცია ზეობს საქართველოში. იმ სისტემის პირობებში, რაც დღეს საქართველოშია, ანტიკორუფციული საბჭოს მუშაობას აღარ აქვს აზრი. თუ ვინმეს გადაყენებას შეძლებთ თანამდებობიდან, ის მალევე აღმოჩნდება პარლამენტში, ან რომელიმე მაღალ პოსტზე. გადავცემთ საქმეებს პროკურატურას და ის აუცილებლად „დააძინებს“ მათ...

პრეზიდენტს უნდა მყუდროდ და კომფორტულად იყოს, მიაწოდონ მხოლოდ კარგი ინფორმაციები და მხოლოდ სასიამოვნო თემებზე ელაპარაკონ. ეს არის გადაღლილი ადამიანის ტიპური ქცევა... ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დროს თურქეთში ვიყავი. ფეხბურთს მთელი ქვეყანა ყურადღებით ადევნებდა თვალყურს და ყოველი მოგებული მატჩის შემდეგ, ხალხი თავისი ქვეყნის ყოფილ ლიდერს, ათათურქს სწირავდა მადლობას, ქვეყანა რომ ააყვავა.

შევარდნაძეს ჰქონდა შესაძლებლობა ასეთი ლიდერი გამხდარიყო, მაგრამ მან, სამწუხაროდ, ამაზე უარი თქვა და ხალხის სიყვარულს, თავისი ნათესაობის მერკანტილური ინტერესები ანაცვალა.

*იზო რუკაძე*

# „მე შევარდნაძის ერთგული ვიყავი ყოველთვის და ასეთად დავრჩი“



გურამ პაპუკაშვილი და თემურ ხაჩიშვილი

თემურ ხაჩიშვილი, გიგა გელაშვილი და გურამ პაპუკაშვილი გაათავისუფლეს. 1995 წლის 29 აგვისტოს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში დადანაშაულებული მსჯავრდებულები თავად პრეზიდენტმა შეიწყალა. „საუკუნის პროცესის“ მთავარმა „გმირებმა“ იმდენად უხმაუროდ და ჩუმად დატოვეს საპატიმრო, რომ ჟურნალისტთა კორპუსმაც კი მხოლოდ ბოლო მომენტში შეიტყო ეს ამბავი. არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარის, ნანა კაკაბაძის თქმით, ეს თავად მისჯილების სურვილი იყო.

ყოველივე ეს უცნაურად გამოიყურება, იმ ფონზე, რომ თემურ ხაჩიშვილი სკანდალურ განცხადებებს აკეთებდა და ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ტერაქტის მზადებაში თავად ხელისუფლებას ადანაშაულებდა, აჭარა კი სასურველი პატიმრის აჭარაში სასწრაფო გადაყვანას ითხოვდა. „ცენტრმა“ ხომ თავის დროზე ყველაფერი გააკეთა, რომ თემურ ხაჩიშვილი ორთაჭალის „ადინოჩკაში“ დარჩენილიყო. დღეს კი, იგივე ხაჩიშვილს არათუ აჭარაში აგზავნიან, საერთოდ ათავისუფლებენ. მეორე მხრივ, სწორედ გიგა გელაშვილი და გურამ პაპუკაშვილი იყვნენ ის პიროვნებები, რომლებიც 29 აგვისტოს ტერაქტის მომზადებასა და შესრულებაში იმხილებოდნენ. რა დგას ყოველივე ამის უკან? რა ჩაიფიქრა ედუარდ შევარდნაძემ და რატომ ათავისუფლებს იმათ, ვინც მისმა უზენაესმა სასამართლომ თავის დროზე ტერორისტებად შერაცხა და რატომ არ ათავისუფლებს მაგალითად, იგივე გელბახიანსა და დოკვაძეს, რომლებმაც ხილიანის ქუჩაზე ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ ტერაქტი მოაწყვეს?

სანამ **თემურ ხაჩიშვილს** პირადად ვესაუბრებოდით, გვეგონა, რომ მისი გათავისუფლების საკითხი ბუნდოვანი იქნებოდა. თუმცა, მასთან საუბრისას დავრწმუნდით, რომ ედუარდ შევარდნაძემ გათავისუფლებული პატიმრების სახით ახალი მეხოტბეები შეიძინა.

**— ბატონო თემურ, თქვენს გათავისუფლებას არავინ ელოდა. როგორ მოახერხეთ ისე ჩუმად გამოსვლა, რომ ჟურნალისტთა კორპუსმაც ვერაფერი გაიგო?**

— ჩემთვისაც ძალიან მოულოდნელი იყო. ოსაძის კომისიის დასკვნის შემდეგ პრეზიდენტის სახელზე განცხადება დავწერე, ვთხოვდი, ჩემი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიეღო.

**— განცხადებით შეწყალებას ითხოვდით?**

— ოჯახში შექმნილი მდგომარეობის გამო ვითხოვე გათავისუფლება. განცხადებაში ასევე ვწერდი, რომ შევარდნაძის ერთგული ვიყავი და ასეთად დავრჩი ციხეშიც, ამიტომ ვთხოვე, მიეღო გადაწყვეტილება ჩემი გათავისუფლების შესახებ.

**— განცხადება თქვენ დაწერეთ, მაგრამ თქვენთან ერთად გაათავისუფლეს გიგა გელაშვილი და გურამ პაპუკაშვილი. ისინი რის საფუძველზე გაათავისუფლეს?**

— ვერ გეტყვით. გიგას არ შევხვედრივარ საერთოდ.

**— მითხრეს, რომ თქვენს გათავისუფლებაზე რუსუდან ბერიძემ იზრუნა.**

— ჩამოგითვლით, ვის მიუძღვის უდიდესი წვლილი: ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ბატონი ასლან აბაშიძე, ქალბატონი რუსუდან ბერიძე, ნუგზარ გაბრიჩიძე, ვალერი ხაბურძანია, მიხეილ ოსაძე და როლანდ გილიგაშვილი. ჯემალ გოგიტიძემ დაიწყო ეს საქმე. საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძემ თქვა.

**— თქვენ გინდოდათ გადაეყვანეთ აჭარაში, სადაც სკანდალური განცხადების გაკეთებას აპირებდით. გადასვლაზე არაერთხელ გითხრეს უარი და უცნაურია, რომ ამ დროს, საერთოდ გათავისუფლდით. როგორ ფიქრობთ, რატომ გააკეთა ეს შევარდნაძემ?**

— არა, უარი მითხრეს ერთხელ. ეს სააკაშვილისა და მეფარიშვილის ბრალი იყო.

**— ყველას კარგად გვახსოვს თქვენი საკმაოდ სკანდალური განცხადება ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ტერაქტთან დაკავშირებით. ამბობდით, რომ გაქვთ მასალები. მაინტერესებს რას აპირებთ ამასთან დაკავშირებით.**

— უწყებებში, რომლებზეც ვსაუბრობდი, ხელმძღვანელები შეიცვალნენ. ეს ერთი. მეორეც, — აჭარაში ჩასვლას ვაპირებ ბატონ ასლანთან შესახვედრად, რათა დიდი მადლობა გადავუხადო. რაც შეეხება იმ მასალებს, უკვე დაადასტურა ოსაძის კომისიამ და თუ საჭირო გახდება, პროკურატურაში შემიძლია ჩვენება მივცე.

**— რამდენადაც ვიცი, ცოლ-შვილი საბერძნეთში გყავთ გაგზავნილი. აპირებთ თუ არა მათ ჩამოყვანას? ალბათ, თქვენ ვერ შეძლებთ ქვეყნიდან გასვლას...**

— მათ ჯერ ქვეყანაში ჩამოსვლის უფლებაც კი არ აქვთ. თუ ორივე მშობლის თანხმობა არ არის, არასრულწლოვან ბავშვებს არ უშვებენ. ჩემი თანხმობა ჯერ არ არის, რადგან წესით, თავად უნდა ჩავიდე საბერძნეთში, ეს უამრავ პრობლემას უკავშირდება. ჯერ არ ვიცი, რა იქნება.

**— ვის გვერდით აპირებს დადგომას ყოფილი შსს-ს და უშიშროების მაღალჩინოსანი თემურ ხაჩიშვილი?**

— ჩემი შვილების გვერდით. პოლიტიკაში ყოფნა არც გადამიწყვეტია და არც სურვილი მაქვს. ერთადერთი, ვისზეც ვფიქრობ, ჩემი შვილები არიან.

**— ჯაბა იოსელიანმა თუ გნახათ?**

— ჯერ არა, ჯერ ჟურნალისტების გარემოცვაში ვარ.

**— გილოცავთ გათავისუფლებას და იქნებ გვითხრათ, ვის დაუჭერთ მომავალში მხარს?**

— კიდევ ვიმეორებ, რომ პრეზიდენტის მადლიერი ვარ. მან მიიღო, რომ იტყვიან, ობიექტური და არაორდინარული გადაწყვეტილება. ამაზე მეტის ლაპარაკი დღეს არ მინდა. ისე, რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებაშიც და ისეც, მხარს ვუჭერ ბატონ ედუარდს, რაზეა აქ საუბარი. შვიდი წელი ვიყავი კარცერში და გამათავისუფლა. წარმოგიდგენიათ? თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ შევალ მოქალაქეთა კავშირში.

**— მაღალი თანამდებობა რომ შემოგთავაზონ მოქალაქეთა კავშირში შესვლის სანაცვლოდ, მაინც არ შეხვალთ?**

— გამორიცხულია. არ შევალ მოქალაქეთა კავშირში.

**— რომელიმე სხვა პარტიაში?**

— ერთი პარტია მაქვს ჯერჯერობით — ჩემი შვილების პარტია.

*მარინა მამისაშვილი*

# სამხედრო თემაზე



## ვინ შეეცილება სოკოებივით მომრავლებულ „უნივერსიტეტებს" აბიტურიენტების წართმევაში?!

ამ კვირაში შეიძლება ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდეს თავდაცვის სამინისტროსა და კერძო უმაღლესი სასწავლებლების ინტერესები.

ეს სასწავლებლები, რომლებიც დღემდე აბიტურიენტ ვაჟებს იმით იზიდავდნენ, რომ მათ სწავლის პერიოდში გადაუვადდებოდათ ჯარში გაწვევა, ხახამშრალნი რჩებიან. დღე-დღეზე პრეზიდენტი ხელს მოაწერს კანონპროექტს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ", რომელიც პარლამენტმა მიიღო და მას წინა კვირას გაუგზავნა.

თავად ამ ცვლილებების შეტანა კანონში ისე ფორსმაჟორულად განხორციელდა (სამი მოსმენა ერთ დღეში გაიმართა), რომ ბევრი გაოგნებული დარჩა. „კვირის პალიტრის" ინფორმაციით, ამ კანონპროექტში აღარ შევიდა ის ცვლილებები, რომლის გატანასაც თავდაცვის სამინისტრო კბილებით ცდილობდა. კერძოდ, მთავარ სამხედრო უწყებაში ძალიან უნდოდათ, გაწვევის ახალ კანონში აღარ ყოფილიყო შეღავათები და ჯარში გაეწვიათ დედისერთებიც, 20 კვირის ორსული ცოლების მეუღლეებიც, ერთი შვილის პატრონებიც და სამხედრო კათედრის არმქონე სასწავლებლების სტუდენტებიც.

ამით მკვეთრად გაიზრდებოდა გასაწვევი კონტინგენტი, თუმცა ამდენი ახალგაზრდისთვის ჯარში ადგილი ნამდვილად არ მოიძებნება. ამიტომაც შემოდის 200-ლარიანი ბეგარა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ერთი წლით გადასავადებლად.

თავდაცვის სამინისტროს ფინანსისტები იმედოვნებდნენ, რომ ამ გზით ყოველწლიურად არანაკლებ 16 მლნ ლარი დაგროვდებოდა, საიდანაც 80%-ს თავდაცვის სამინისტრო თავის სპეცსახსრებზე დაიტოვებდა, დარჩენილი 20% კი სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხებოდა. ამან, სხვათა შორის, ძალიან გაალიზიანა შინაგანი და სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელები — თუკი ახალგაზრდები ჩვენს დანაყოფებშიც იმსახურებენ, მაშინ 200-ლარიანი ბეგარიდან წილი უნდა გვეკუთვნოდესო.

ასე იყო თუ ისე, თავდაცვის სამინისტროს მესვეურების იმედი ნაწილობრივ გამართლდა — პარლამენტმა შეღავათები არ მოუხსნა დედისერთებს, ორსული ცოლებისა თუ ერთი შვილის პატრონებს. ცვლილება მხოლოდ სამხედრო კათედრის არმქონე სასწავლებლების სტუდენტებს შეეხება.

მათ, ჩვეულებრივ, შუა სემესტრიდან გაიწვევენ ჯარში, ხოლო თუ ისინი სწავლას ამჯობინებენ, მაშინ ყოველი წლის გადასავადებლად 200 ლარის გადახდა მოუწევთ.

ახალი კანონის კომენტირებისთვის „კვირის პალიტრა" დაუკავშირდა ერთ-ერთი რაიონის სამხედრო კომისარს, რომელსაც კომისარიატში მუშაობის დიდი სტაჟი აქვს და შენიშვნები გააჩნია ახალი კანონის მიმართ. გასაგები მიზეზების გამო, მან ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

**— მონაწილეობდნენ თუ არა კომისარიატების წარმომადგენლები გაწვევის მოქმედ კანონში შესატან ცვლილებებზე მუშაობაში?**

— ძალზე საწყენია, რომ ჩვენთვის აზრი არავის უკითხავს. თავდაცვის მინისტრი ძალზე დაკავებული კია, მაგრამ ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა შეხვედროდა სამხედრო კომისრებს და ჩვენი შეხედულებებითაც დაინტერესებულიყო? ხშირად ტელევიზიით თუ პრესით ისეთი თანამდებობის პირები ლაპარაკობენ კომისარიატების თუ ჯარში გაწვევის პრობლემებზე, ვისაც წარმოდგენა არა აქვს, რა ხდება ამ სფეროში.

**— კომისარიატებზე ამბობენ, კორუფციაში აქვთ ხელი გარეულიო. შეიცვლება თუ არა რამე უკეთესობისკენ, როდესაც ახალი კანონის თანახმად 2003 წლის 1 იანვრიდან ჯარში გაწვევის პროცესის ორგანიზებას რაიონის გამგეობებთან შექმნილი სამოქალაქო განყოფილებები შეუდგებიან?**

— არ დავიწყებ მტკიცებას, ანგელოზები ვართ-მეთქი, მაგრამ კომისარიატებშიც არის პატიოსანი ხალხი, თუმცა 18-ლარიანი ხელფასის მქონეს ვერაფრით მოსთხოვ, ქრთამი არ აიღოო. თქვენ გგონიათ, სამოქალაქო სტრუქტურებში, იმავე გამგეობებში, ნაკლები მექრთამეობაა? არც ის დაგავიწყდეთ, რომ იქ გახსნილ სამოქალაქო განყოფილებებში სამუშაოდ ისევ დღევანდელი კომისარიატის სპეციალისტებს მიიწვევენ.

(გაგრძელება იხ. გვ. 9)

## ქართველების მონად გაყიდვის ამბავი

ჩემი პოლანდიელი რესპონდენტი ოჯახის წევრებისა და საკუთარ ფოტოზე დელიკატურ უარს მეუბნება. მიზეზს არ ასახელებს, მაგრამ ვხვდები, რომ ფრთხილობს. ის ხომ საქართველოშია, სადაც უცხოელები თრეფიკინგის არა, მაგრამ გამტაცებელთა მსხვერპლნი ხდებიან.

მარკ ჰულსტი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტია და ძირითადად უკანონო მიგრაციისა და თრეფიკინგის საკითხებზე მუშაობს. სანამ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოვლენილ თრეფიკინგის ქართველ მსხვერპლთა შესახებ დავიწყებდეთ საუბარს,

— საქართველოში როგორ მოეწყვეთ-მეთქი — ვკითხე მარკ ჰულსტს (ინტერვიუს ეს არაოფიციალური ნაწილი ქართულ ენაზე წარიმართა).

— ოთხ-ნახევარი წელია საქართველოში ვარ. მარტო ჩამოვედი და აქ შევქმენი ოჯახი. ჩემს ქართველ მეუღლეს (ვინაობას არ მიმხელს) 1997 წელს შევხვდი. უკვე გოგონაც გვყავს — მარინა. ამიტომ ჩემთვის გაცილებით ადვილია აქ ცხოვრება, ვიდრე მათთვის, ვისაც არც ოჯახი ჰყავს და არც ენა [illegible].

**— უცხოელების გატაცების ფაქტები ხომ არ გაშინებთ?**

— ვფიქრობ, უცხოელთა გატაცებები ძირითადად ბიზნეს-კონფლიქტებს უკავშირდება, ამ მხრივ ჩემი მდგომარეობა ნაკლებსახიფათოა. ყოველთვის ვაფრთხილებ საკუთარ თავს, — საქართველოში არავითარ ბიზნესში არ ჩაერთო! თუ ამ პრინციპს დაიცავ, უფრო დაცული ხარ.

**— მხოლოდ ეს არის საქართველოში უსაფრთხო ცხოვრების საშუალება თუ სხვა მეთოდებიც გაქვთ?**

— ნაკლებად დავდივარ ქუჩაში.. ადრე, პოლანდიაში რომ ვცხოვრობდი, ქუჩაში პრობლემები ძირითადად გიჟებთან და ნარკომანებთან მქონდა. ამ მხრივ საქართველოში ნაკლები პრობლემაა.

**— ფრთხილობთ და იმიტომ არ დადიხართ ქუჩაში?**

— საერთოდ ვარ ფრთხილი. ადრე, სანამ ოჯახს შევქმნიდი, კაფეებშიც დავდიოდი და რესტორნებშიც, დროც მეტი მქონდა. ახლა ოჯახი მაქვს და ძირითადად შინ ვარ.

**— რა არის თქვენი ორგანიზაციის საქართველოში მოღვაწეობის მიზანი?**

— მივაწოდოთ მოსახლეობას ინფორმაცია კანონიერი მიგრაციის შესახებ. დავიცვათ და გადავარჩინოთ ადამიანები თრეფიკინგისგან და დავეხმაროთ იმათ, ვინც საზღვარგარეთ აპირებს წასვლას.

ვიცით, რომ საქართველოში მრავალი სააგენტო და ტურისტული ფირმაა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ სთავაზობს სამუშაოს.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

## „შეუნდე აფხაზებს რუსის ჯარში გაიწვევენ"

*შესაძლოა, ახლო მომავალში აფხაზებმა ყველა კავკასიური ეთნოსი, განსაკუთრებით კი ჩეჩნური, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდონ თუ, რა თქმა უნდა, რუსეთი მზაკვრული გეგმის განხორციელებას შეძლებს და რუსეთის ფედერაციის ახალგამომცხვარ მოქალაქეებს — აფხაზებს ჩეჩნეთში ან სხვა რომელიმე „ცხელ წერტილში" საბრძოლველად უკრავს თავს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო პერიოდში კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეებში მოქმედი კაზაკთა გაერთიანების ხელმძღვანელობა აფხაზეთში ეწევა აგიტაციას, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ, მათ შორის კი უფრო ახალგაზრდობამ, მიიღოს რუსეთის მოქალაქეობა. ამის სანაცვლოდ მათ განსაკუთრებულ პრივილეგიებს — უპრობლემოდ სხვა ქვეყნებში გამგზავრებას, უმაღლეს და სამხედრო სასწავლებლებში მოწყობას და ა.შ. ჰპირდებიან. როგორც აფხაზეთში არსებული სიტუაცია მოწმობს, კაზაკების პროპაგანდამ მიზანს მიაღწია და დღეს აფხაზეთში მასობრივად მიმდინარეობს რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცესი. სეპარატისტების ლიდერები ამ ფაქტს რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების გასაფორმებლად მოსამზადებელ წინა ეტაპად განიხილავენ. საინტერესოა ის გარემოება, რომ რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ აფხაზი ახალგაზრდები იძულებულნი იქნებიან, სამხედრო სავალდებულო სამსახური რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გაიარონ. ინფორმაციით, რომელსაც ვფლობთ, აფხაზებს ძირითადად, როგორც გამოცდილ კავკასიელ მებრძოლებს, სწორედ ჩეჩნეთში უკრავენ თავს. ყოველივეს გადასამოწმებლად და საერთოდ აფხაზეთში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენების შესახებ სასაუბროდ მივმართეთ საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს,*

***ავთანდილ იოსელიანს.***

— პირველ რიგში ვადასტურებ თქვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას და აღვნიშნავ, რომ როგორც ჩანს, „კვირის პალიტრა" ინფორმაციის მოსაპოვებლად სერიოზულად მუშაობს. სამწუხაროდ, აფხაზეთში მართლაც მასობრივად მიმდინარეობს რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცესი. ვფიქრობ, ბევრს გაცნობიერებული არც აქვს, რა ნაბიჯს დგამს.

**— ეთანხმებით ინფორმაციას, რომ აფხაზები რუსებს კავკასიელ ხალხთან საბრძოლველად სჭირდებათ?**

— როცა რომელიმე ქვეყნის მოქალაქე ხდები, ავტომატურად იღებ ვალდებულებას ემსახურო ამ ქვეყანას და სამხედრო სამსახურიც მისი ინტერესების შესაბამისად გაიარო. აი, მაშინ რუსები ვის სად უკრავენ თავს, ეს უკვე მათი გადასაწყვეტი იქნება. ზოგიერთი უგუნური ამას ვერ ხვდება. არ მინდა აფხაზები ამ საშინელ ანკესზე წამოეგონ, მაგრამ უკვე გადადგმულია საბედისწერო ნაბიჯი და ამის შემდეგ რუსეთის მოქალაქე აფხაზებს აიძულებენ, ჩეჩნეთში „მშობლიური" რუსეთის ინტერესები დაიცვან.

**— თურმე აფხაზების გარუსების წინააღმდეგია აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილი, გვაქვს ინფორმაცია, რომ ეწყობა საპროტესტო გამოსვლებიც, სადაც აღნიშნავენ, რომ რუსებს როგორც საქართველო უნდათ ქართველების გარეშე, ისევე სურთ აფხაზებისგან „გაწმინდონ" აფხაზეთი.**

— სამწუხაროდ, უკვე წელიწად-ნახევარია, რაც რუსეთის დუმაში პოლიტიკოსების ნაწილი იმაზე მუშაობს, როგორ აქციონ აფხაზეთის მოსახლეობის 80% რუსეთის მოქალაქეებად. ორი დღის წინ გუდაუთელმა ოპოზიციონერმა ქალბატონმა ცისანა გუმბამ მოაწყო მიტინგი, რომელზეც აფხაზებს შეახსენა, რომ რუსული პასპორტების მიღებით აფხაზები დამოუკიდებლობას დაკარგავენ.



**საინტერესოა ის გარემოება, რომ რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ აფხაზი ახალგაზრდები იძულებულნი იქნებიან, სამხედრო სავალდებულო სამსახური რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გაიარონ. ინფორმაციით, რომელსაც ვფლობთ, აფხაზებს ძირითადად, როგორც გამოცდილ კავკასიელ მებრძოლებს, სწორედ ჩეჩნეთში უკრავენ თავს.**

**— თურმე აფხაზეთში მიმდინარეობს ჯავახეთიდან წასული სომხების მასობრივი ჩასახლების პროცესი, რაც ხდება ისევ რუსეთის ხელშეწყობით.**

— ჯავახეთიდან წასული თითო-ოროლა სომეხი უფრო კრასნოდარის და სოჭის ოლქებში სახლდება, სოხუმში ნაკლებად. ჯავახეთის სომხობა გონიერებისაკენ მოუწოდებს აფხაზეთში მცხოვრებ სომხებს და მათ მთლიანი საქართველოს შემადგენლობაში დარჩენას ურჩევს.

**— ახლახან ჩამობრძანდით ინგლისიდან, სადაც მასპინძელი მხარის შუამავლობით არაოფიციალური შეხვედრები შედგა ქართველ და აფხაზ დელეგატთა შორის. გამოიღო შეხვედრებმა რაიმე შედეგი?**

— რადგან ეს შეხვედრები არაოფიციალური იყო, ოფიციალური შეთანხმება არ მომხდარა. თუმცა, აფხაზები აშკარად დაინტერესდნენ ჩვენი წინადადებებით.

**— რა წინადადებებზეა საუბარი?**

— მე შევთავაზე აფხაზებს, მიეცით ქართველ და აფხაზ ჟურნალისტებს საშუალება, გაიარონ სათანადო აკრედიტაცია და თავისუფლად მოიპოვონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია-მეთქი. ირაკლი ბათიაშვილმა წამოაყენა წინადადება ერთობლივი პოლიტიკური რეჟიმის დამყარების შესახებ. თუ ეს გალში გამოვა, მერე ოჩამჩირეში გადავალთ, მერე ტყვარჩელში და...

**— ისევ ოცნების დონეზე გვიხდება აფხაზეთის დაბრუნებაზე ფიქრი...**

— გეთანხმებით. თუკი ამ გაუთავებელ შეხვედრებზე მართლა არ გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები, საქმე წინ ვერ წავა. აფხაზები რუსეთს თუ არ დაეკითხნენ, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ, პასუხს ვერაფერზე იძლევიან, არადა, ქართულ დელეგაციებთან შეხვედრისას ისინი ხმამაღლა აღნიშნავენ, რომ თუ საქართველოში სიტუაცია გამოსწორდება და ერთმანეთის ჭამას თავს დავანებებთ, თავად წამოვლენ ჩვენკენ. აფხაზები ახლა ცუდ დღეში არიან და აფხაზეთს კი არა, უფრო მათ სჭირდებათ დახმარება ქართველების მხრიდან. ვნახოთ, რა გამოხმაურება იქნება მათი მხრიდან ლონდონში შეთავაზებულ წინადადებებზე.

**— თუ მართლა დამყარდა გალში ქართულ-აფხაზური პოლიტიკური რეჟიმი, ხომ არ აღიქვამს ამას რუსეთი ლახვრის ჩაცემად?**

— შეიძლება ვინმეს არ ესიამოვნოს, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ რუსების გარეშე აფხაზეთის საკითხი არ მოგვარდება. გიჟები არც ჩვენ ვართ და არც რუსები, ამიტომ უნდა დავსხდეთ და გავარკვიოთ, ვის რა ინტერესები აქვს აფხაზეთში. მაგრამ აქვე ვიტყვი, თუ რუსები აფხაზებისა და ქართველებისაგან დაცლილი აფხაზეთის ხელში ჩაგდებას ფიქრობენ, მწარედ ცდებიან. ასეთ საჩუქარს მათ ვერ მივართმევთ.

*ეკა ლომიძე*

# ვინ შეეცილება სოკოებივით მომრავლებულ „უნივერსიტეტებს“ აბიტურიენტების წართმევაში?!

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

სხვათა შორის, ერთხელ უკვე იყო ამის პრეცედენტი: გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, ჯარში გაწვევის ორგანიზება ყოფილი საბჭოთა კომისარიატებიდან პრეფექტურებში გახსნილ სექტორებს გადაეცა. დღევანდლისგან განსხვავებით, მაშინ პატრიოტული სულით გამსჭვალული ახალგაზრდები თავისი ფეხით მოდიოდნენ და ეროვნულ ჯარში გაწვევას გვთხოვდნენ, მაგრამ თითოეულ სექტორში მომუშავე 3-4 სპეციალისტი ვერ აუდიოდა საქმეს. დღეს ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ სამოქალაქო სტრუქტურამ წვევამდელი მონახოს, თუნდაც 200-ლარიანი ბეგარის გადასახდელად.

**— იმუშავებს კი ახალი კანონი, რომელსაც პრეზიდენტმა ამ კვირას უნდა მოაწეროს ხელი?**

— ხელისუფლებას ბევრი კანონი მიუღია, მაგრამ რამდენი ხორციელდება? საბჭოთა პერიოდში წვევამდელებს კომისარიატში გამოსაცხადებლად შეტყობინებას რომ ვუგზავნიდით, 100-დან 70 კაცი თავისი ფეხით მოდიოდა, ახლა კალთები რომ დააგლიჯო, დარწმუნებული ვარ, ერთიც არ მოვა. ახალ კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს ჯარში გაწვევის სრული მექანიზმი. დღეს, როდესაც კომისარიატის წარმომადგენელი რამდენჯერმე აკითხავს წვევამდელს შინ, იგი კარს არ უღებს. წესის მიხედვით, ჩვენ დახმარებას პოლიციას ვთხოვთ, მაგრამ წვევამდელის სახლში შესასვლელად სასამართლოს დადგენილებაა საჭირო. ეს უკანასკნელი კი, პოლიციელს ამის უფლებას არ აძლევს იმ მოტივით, რომ მოქალაქეს არაფერი დაუშავებია. ასე მოხდება მომავალშიც — წვევამდელი არც 200-ლარიანი ბეგარის გადასახდელად გაიკარებს სახელმწიფოს წარმომადგენელს...

მიუხედავად ბევრი გაურკვევლობისა, ახალი კანონი ერთ საინტერესო და, ჩვენი აზრით, პროგრესულ ცვლილებასაც შეიცავს — წვევამდელს საშუალება ეძლევა, თავიდანვე კონტრაქტი დადოს სახელმწიფოსთან და პროფესიონალურად შეუდგეს სამხედრო სამსახურს, რისთვისაც იგი თვიურად არანაკლებ 380 ლარს მიიღებს, ოღონდ კონტრაქტის მინიმალური ვადა სავალდებულო სამხედრო სამსახურზე ორჯერ მეტი — 3 წელი იქნება. ბუნებრივია, რომ კონტრაქტი მხოლოდ იმ ახალწვეულებთან (ისევე, როგორც ჯარგამოვლილებთან) დაიდება, რომლებიც გაიმარჯვებენ სპეციალურ კონკურსში და თავდაცვის სამინისტროს დააკმაყოფილებენ თავისი ფიზიკურ-ფსიქიკური მონაცემებით.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა კიდევ ერთ მაღალჩინოსან სამხედროს, რომელსაც ჯარისკაცებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მან არ დამალა, რომ გასულ წლებში გენერალურ შტაბს (რომელსაც აბარია გაწვევისა და მობილიზაციის საკითხები) წესიერად რომ ემუშავა, დღეს კომისარიატებში არც ამხელა მექრთამეობა იქნებოდა და გაწვევის გეგმაც შესრულდებოდაო. გამგეობებისთვის ჯარში გაწვევის ორგანიზების გადაცემა მაშინ, როდესაც სავალდებულო სამსახურიც რჩება, მიუღებელია და უფრო მეტად შეუწყობს ხელს მექრთამეობას, რომელიც ისე გაშლის ფრთებს, რომ კომისარიატები სანატრელი დაგვრჩებაო, — აცხადებს მაღალჩინოსანი სამხედრო.

სახელისუფლო ეშელონებში არსებულ გაურკვევლობას კი ძირითადად ჩვეულებრივი ხალხის ინტერესები ეწირება. ბევრი კერძო „უნივერსიტეტი“ თუ „აკადემია“ დღემდე, ნამდვილი ცოდნის მიღების ნაცვლად, სწორედ ჯარში გაწვევისგან თავის დახსნის პერსპექტივით იზიდავდა აბიტურიენტებს. საინტერესოა, რა მოხდება ხვალ, თუკი ძალაში შევა პრეზიდენტის ხელმოწერილი ახალი კანონი ზემოხსენებული შეღავათების გაუქმების შესახებ?!

# თვითმფრინავები ჰაერში ეჯახებიან, რადგან ცაში სივიწროვეა, ხოლო დედამიწაზე — სძინავთ...

გერმანიის სამხრეთით მომხდარმა საჰაერო ტრაგედიამ გულგრილი არავინ დატოვა, რადგან ცხადი გახდა, რომ თანამედროვე უსაფრთხოების ტექნიკის მიუხედავად, ავიაკატასტროფისგან არავინაა დაზღვეული.

ბოდენზეეს ტბის ახლოს, 11 კმ-ის სიმაღლიდან ჩამოცვივდა თვითმფრინავების ალმოდებული ნამსხვრევები. საბედნიეროდ, მიწაზე არავინ დაზიანებულა, მაგრამ ცაში რამდენიმე წამში შეწყდა 71 ადამიანის სიცოცხლე. 69 ადამიანი (მათგან 52 ბავშვი) „ბაშკირეთის ავიახაზების“ Ту-154М ტიპის სამგზავრო ლაინერით ესპანეთის კურორტისკენ მიფრინავდა. მეორეს, საერთაშორისო გადაზიდვების კომპანია DHL-ის კუთვნილ Boeing-757 სატრანსპორტო თვითმფრინავს, რომელსაც გეზი ბაჰრეინიდან ბრიუსელისკენ ეჭირა, მხოლოდ ორი პილოტი მართავდა.

შვეიცარიელმა დისპეტჩერმა განგაში მხოლოდ მას შემდეგ ატეხა, რაც ერთ სიმაღლეზე მფრენ ამ ორ თვითმფრინავს შორის მანძილი სულ ათიოდე კილომეტრი, ანუ 44 წმ საფრენოსნო დრო დარჩა. მეორე გაფრთხილების შემდეგ რუსმა პილოტმა თავისი Ту ქვემოთ მიმართა, რათა 200 მ-ით დაშვებულიყო და ფრენის ახალი ეშელონი დაეჭირა.

ამასობაში, ამუშავდა „ბოინგის“ „დაჯახების თავიდან აცილების ავტომატური სისტემა“ (TCAS) და ამ თვითმფრინავმაც დაიწყო დაბლა დაშვება.

**ჩვენი დოსიე:** **ყველა თანამედროვე სამგზავრო ლაინერი ელექტრონული ხელსაწყო — ტრანსპონდერითაა აღჭურვილი, რომელიც ფრენისას მუდმივად გადასცემს ამ თვითმფრინავის სახელმწიფოებრივი კუთვნილების კოდურ სიგნალს, რეისის ნომერს, ფრენის კურსს, სიმაღლეს და საწვავის მარაგს. ამასთანავე, ლაინერებს უყენია „დაჯახების თავიდან აცილების სისტემის“ პასიური რადარი, რომელიც იღებს სხვა თვითმფრინავების ტრანსპონდერების მიერ გავრცელებულ რადიოსიგნალებს. თუკი საბორტო კომპიუტერმა გამოთვალა, რომ ორი თვითმფრინავი სახიფათო მანძილზე დაუახლოვდა ერთმანეთს, შეჯახებამდე 30-45 წმ-ით ადრე თვითმფრინავს ავტომატურად უცვლის ფრენის კურსს.**

ფაქტობრივად, მოხდა საბედისწერო შემთხვევითობების თანხვედრა — ორივე თვითმფრინავი დაეშვა 213 მეტრით და ერთმანეთს შეეჯახა. ერთ-ერთის ეკიპაჟს რომ ძველი კურსით გაეგრძელებინა ფრენა, საჰაერო კატასტროფას თავიდან აიცილებდნენ.

უეჭველია, რომ ეს უბედურება შვეიცარიელი დისპეტჩერის ბრალია. მას 5-10 წთ-ით ადრე უნდა გამოეთვალა, რომ ორივე თვითმფრინავის ფრენის კურსი ერთმანეთს კვეთდა და მაშინვე გადაეცა საჭირო ბრძანებები. კატასტროფას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სადისპეტჩეროში გამორთული იყო „საჰაერო სივრცის ავტომატური კონტროლის სისტემა“, ერთი დისპეტჩერი ისვენებდა, ხოლო მართვის პულტთან დარჩენილმა ძალზე დააგვიანა საჭირო გადაწყვეტილების მიღება.







**ჩვენი დოსიე: საჰაერო კატასტროფები არც ისე იშვიათია, მაგრამ ცაში შეჯახების მხოლოდ 71 შემთხვევაა აღრიცხული უკანასკნელი 57 წლის განმავლობაში. 1979 წლის 11 აგვისტოს უკრაინის ცაში ერთმანეთს ორი სამგზავრო Ту-134А შეეჯახა. ერთ-ერთში ტაშკენტის „ფახთაქორის“ საფეხბურთო კლუბის მთელი შემადგენლობა იჯდა. აქაც დამნაშავე დისპეტჩერი იყო. 1993 წლის 8 თებერვალს თეირანის აეროპორტიდან აფრენილ სამგზავრო Ту-154М-ს, რომელსაც მლოცველები მექაში მიჰყავდა, ჰაერში ირანულმა (მანამდე ერაყელებს ეკუთვნოდა) საფრონტო ბომბდამშენმა Су-24-მა ფრთა გაჰკრა. კატასტროფას ვერავინ გადაურჩა.**

**ჰაერში შეჯახებისას ყველაზე დიდი მსხვერპლი 1996 წლის 12 ნოემბრის ავიაკატასტროფას მოჰყვა: დელის აეროპორტიდან აფრენილი საუდის არაბეთის კუთვნილი უზარმაზარი სამგზავრო Boeing-747 აეროპორტში დასაჯდომად წამოსულ ყაზახურ სატრანსპორტო Ил-76-ს შეასკდა. ამ ტრაგედიამ 349 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და იგი Ил-76-ის ეკიპაჟის შეცდომის გამო მოხდა, რომელიც არასწორად ეშვებოდა აეროპორტში.**

როგორც ჩანს, დისპეტჩერების შეცდომები მიწაზე თუ პილოტებისა — ჰაერში, უფრო ხშირად ხდება ავიაკატასტროფების მიზეზი, ვიდრე თავად ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა.

საჰაერო ტრაგედიებს ისიც უწყობს ხელს, რომ საჰაერო ტრასები გამრავლდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა საჰაერო რეისები.

ევროპის თავზე მომხდარი ტრაგედია საქართველოს საჰაერო სივრცეში ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ჩვენს ცაში არც ისე ბევრი საჰაერო ტრასა გადის, ხოლო თბილისის აეროპორტიდან რეისების გაშვება-მიღებას შორის ინტერვალი საათებსაც აღწევს (ეს მაშინ, როდესაც დიდ აეროპორტებში ყოველ ნახევარ წუთში სხდებიან თვითმფრინავები).

ერთგვარ შიშს იწვევს გარემოება, როდესაც პრეზიდენტის სამგზავრო ლაინერი, ორი საბრძოლო Су-25-ის თანხლებით, თბილისს გადაუფრენს. საბრძოლო თვითმფრინავები პრეზიდენტის ლაინერს კუდში, საკმაოდ ახლოს მიჰყვებიან და იცავენ შესაძლო ტერორისტების საზენიტო რაკეტისგან, მაგრამ საკმარისია სულ მცირე საპილოტაჟო შეცდომა, რომ სამ, ერთმანეთთან ახლოს მფრენ თვითმფრინავს შორის საავარიო სიტუაცია შეიქმნას. ამბობენ, ერთი-ორჯერ პრეზიდენტის სამგზავრო ლაინერის რეაქტიული ძრავების გამონაბოლქვში მოხვედრილი Су კარგად „შეთამაშდაო“.




## მკითხველის სვეტი

თუ შეგიძლიათ განგვიმარტეთ, საჰაერო დესანტის გადასხმის რა საშუალებები და მეთოდები არსებობს.

*ბ. ჯაფარიძე*

# ჰაერიდან ცეცხლში... უპარაშუტოდ

XX საუკუნის დასაწყისში საფრენი აპარატების გამოგონებამ უპირველესად სამხედროების ყურადღება მიიქცია — გარდა იმისა, რომ თვითმფრინავებით შეიძლებოდა ჰაერში ბრძოლა ან დაბომბვა, ასევე მოსახერხებელი იყო დესანტის ოპერატიულად გადასხმა მტრის ზურგში. შვეულმფრენების გავრცელებამ (XX ს-ის 50-60-იანი წლები) კი სამხედრო მეთაურობას საშუალება მისცა, ძნელად მისადგომ ადგილებშიც (მთები, ხეობები), გადაესხა დესანტი და, რაც მთავარია, ძვირად ღირებული პარაშუტების გარეშე.



არსებობს შვეულმფრენებიდან ტაქტიკური დესანტის გადასხმის რამდენიმე მეთოდი, რომლებიც გამოიყენება ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებში.

თუკი ადგილმდებარეობა და ოპერატიული მდგომარეობა (ანუ, როცა არ არის საფრთხე მოწინააღმდეგის მხრიდან ცეცხლის გახსნისა) საშუალებას იძლევა, ეკიპაჟი შვეულმფრენს ნელ-ნელა სვამს მინდვრის პატარა მონაკვეთზე, მედესანტეებიც აუჩქარებლად გადადიან და გადააქვთ საბრძოლო საჭურველი. ა.წ. 12 აპრილს რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალებმა ამგვარად გადმოსხეს ტაქტიკური დესანტი კოდორის ხეობაში.

როდესაც მთაგორიან ადგილას ეკიპაჟს არ შეუძლია შვეულმფრენის დასმა, მაშინ შვეულმფრენი მცირე სიმაღლეზე (1,5-2,5 მ) „ჩამოეკიდება“ და მედესანტეები ხტებიან მიწაზე.

ამ დროს, თუკი მოწინააღმდეგე ცეცხლს ხსნის, პილოტი აგრძელებს მცირე სიჩქარით მცირე სიმაღლეზე ჰორიზონტალურად ფრენას (რათა მტერს გაუჭირდეს შვეულმფრენის მიზანში ამოღება) და მედესანტეებიც ტოვებენ ბორტს. სხვათა შორის, სწორედ ეს უსაფრთხოების მეთოდი არ გამოიყენა იმ რუსული Ми-8 ტიპის შვეულმფრენის ეკიპაჟმა, რომელიც აფხაზეთის ომის დროს სოფელ შრომასთან (სოხუმის ახლოს), ზეგანზე დაჯდა და ისე გადმოუშვა მედესანტეები. გაჩერებული შვეულმფრენი საუკეთესო სამიზნე გახდა ქართველი მებრძოლისთვის. მან ყუმბარსატყორცნის ერთი გასროლით ააფეთქა ორმილიონდოლარიანი რუსული შვეულმფრენი.

დესანტირების კიდევ ერთი საშუალებაა მაღალ სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენიდან თუ თვითმფრინავიდან გადმოხტომა. ამ დროს ფრენის სიმაღლე არანაკლებ 800 მ-ია. მედესანტის ძირითადი პარაშუტი შვეულმფრენის (თვითმფრინავის) სალონში კაუჭითაა მიბმული. გადმოხტომისას ეს კაუჭი იჭიმება და ხსნის პარაშუტს.

არსებობს შემთხვევები, როდესაც გამოცდილი მედესანტეები უკვე ფრენის დროს თავად ხსნიან ჰაერში პარაშუტებს.

დესანტირების ამ მეთოდს ის ნაკლი გააჩნია, რომ პარაშუტით ჰაერში მოლივლივე მედესანტე საუკეთესო სამიზნეა, ამასთანავე მოწინააღმდეგის რადიოლოკატორებს შეუძლიათ ზუსტად დააფიქსირონ დესანტირების ადგილი.

ამიტომაც, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს — ГРУ-ს სიღრმული დაზვერვის მზვერავ-დივერსანტები სახიფათოდ მცირე, 100-80 მ-დან ხტებოდნენ და არც სათადარიგო პარაშუტი ეკეთათ, რადგან მის გახსნას მცირე სიმაღლის გამო, ვერ მოასწრებდნენ. გაფრენის წინ დივერსანტებს სრული აღკაზმულობით წონიდნენ. პირველი ხტებოდა ყველაზე მძიმე, ბოლოს კი მსუბუქი, რათა ჰაერში ერთმანეთს არ შეჯახებოდნენ. ამიტომაც პირველად გადმოხტომა ძირითადად რადისტებს უწევდათ, რადგან მათ წონას რადიოგადამცემის მასაც ზრდიდა.

ამ ბოლო დროს ძალზე პოპულარული გახდა 5-10 მეტრზე „ჩამოკიდებული“ შვეულმფრენიდან ბაგირებით დაშვება. დესანტირების ამ მეთოდს ფართოდ იყენებდნენ ამერიკელი რეინჯერები და მას ქართველ კოლეგებსაც ასწავლიან „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში. ეს მეთოდი ეფექტიანია UH-1H „იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენიდან დესანტირებისას, რადგან მას ორივე მხარეს ორი ფართო კარი აქვს. მარტო ერთი, გვერდითა კარის მქონე Ми-8МТ-დან დაშვება კი არც ისე მოსახერხებელია და მთელი დესანტის ერთი ბაგირით ჩამოშვებას დიდი დრო სჭირდება. თუმცა, ბოლო დროს რუსებმა გააკეთეს მისი მოდიფიკაცია Ми-8АМТШ, რომელსაც მარჯვნივ მეორე კარი აქვს დატანებული, მაგრამ ამ შვეულმფრენების რაოდენობა თავად რუსეთის სახმელეთო ჯარების ავიაციაში თითზე ჩამოსათვლელია.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# სიკვდილი მწიფე ვენახში

## პირველი ღამე, პირველი დავალება

ვაგონის კუპეში ორნი იყვნენ: ქალი და მამაკაცი. ეს მათი, ასე ვთქვათ, საქორწინო მოგზაურობა გახლდათ. თუმცა კაცი ამ მოგზაურობისას იმდენ რამეს გეგმავდა, ახლანდელი დრო რომ ყოფილიყო, ამას უფრო ბიზნეს-ტურს დაარქმევდა. მართალია, ქალი ამ გეგმის დეტალებს არ იცნობდა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ კაცს სასიკეთო განზრახვა არ ამოძრავებდა და არც იმას გამორიცხავდა, რომ დღეს თუ არა ხვალ, მასაც შესთავაზებდა „საქმეში" მონაწილეობას. სხვათა შორის, ქალი უარს არ იყო. როგორღაც აინტერესებდა კიდეც ქურდულ საქმეებში გარევა, მაგრამ, როცა ხვევნა-კოცნითა და ალერსით დაღლილს კაცმა თავისი გეგმა გააცნო, ქალი შეცბა. არ მოელოდა, ცოლქმრულ, თუნდაც სექსუალურ პარტნიორობას ასე სწრაფად ქურდულ საქმეში პარტნიორობა თუ შეცვლიდა.

— დიდი ჯაფა არ დაგადგება, ნათო, ქართველი კაცია. შამპანური ღვინოების ქარხანაში მუშაობს და ბლომადაც ხვეტავს. მარტოხელაა, ცოლ-შვილი ქუთაისში ჰყავს და თუ შენნაირი ლამაზი გოგო მოიხელთა, ერთი-ორი ღამის სიამოვნებაზეც არ ამბობს უარს. დღეს საღამოს, იალტაში, ვორონცოვის სასახლეში (მკითხველის საყურადღებოდ! ეს კავკასიის მთავარმმართებელი ვორონცოვი არ გახლავთ) მეღვინეების საერთაშორისო სიმპოზიუმის დახურვაა, მე და შენ ყირიმელი ქურდები დაგვახვედრებენ მოსაწვევებს, ისედაც გვეკუთვნის... ბოლოს და ბოლოს, ღვინის ქვეყნიდან ვართ. სიმპოზიუმს ველარ ჩამოვუსწარით, რადგან ფრენა არ იყო უამინდობის გამო და მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჩამოვედით. არც ის დაგავიწყდეს, რომ თანამშრომლები ვართ და ერთ ქარხანაში ვმუშაობთ. მე მეღვინე ვარ, შენ ლაბორატორიის გამგე...

ქალი საწოლიდან წამოიწია, კაცმა თვალი შეავლო მის ჩამოქნილ ფეხებსა და მაღალ თეძოებს, ვნება წაეკიდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ისე უგულოდ მოიცილა ვაჟის ხელი, თითქოს კარგა ხანია მოყირჭებოდა ამ კაცის ალერსი.

— არ მეგონა, ასე სწრაფად თუ გამასხვისებდი. გამოდის, ის ქართველი უნდა შევაბა, არა? — ჰკითხა და ჯიქურ შეხედა ქმარს.

— ჰო, ბანკეტზე მასთან იცეკვებ. გაუშინაურდები, ცოტა ხელის მოთათუნების ნებასაც მისცემ. მერე ალბათ სასტუმროს ნომერშიც მიგიწვევს და...

— მერე რა უნდა ვქნა, ვეჭიდაო თუ დავნებდე... სექსუალური ფონი ხომ უნდა შევუქმნა თქვენს ვიდეოკამერას, — ნერვიულად ჩაეკითხა ქალი.

— შენ ქალიშვილის როლი უნდა ითამაშო, მაშინ ის ალბათ არატრადიციულ სექსს შემოგთავაზებს და ჩვენც ეგ გვინდა, — უშნოდ გაიღრიჭა კაცი.

— თქვენ კი გინდათ, მაგრამ მე მინდა თუ არა, აღარ მეკითხებით? ერთი დღის შერთული ცოლი ფულის გულისთვის სხვას როგორ უნდა მიუგდო, — ამოთქვა ქალმა, მაგრამ პროტესტის ნიშანწყალიც არ იგრძნობოდა მის ხმაში. წინასწარ მორიგებულებიც რომ არ ყოფილიყვნენ, ეს ქალბატონი მისი სქესის იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, მხოლოდ აზარტის გამო რომ წავიდოდა ასეთ რამეზე. ვითომ გაბუტვა კი ნიღაბი იყო მხოლოდ. ამით უნდოდა ქმრისათვის ვითომდა ერთგულება დაემტკიცებინა, მაგრამ კაცმა შესანიშნავად იცოდა, რა ერთგულებაც შეეძლო ნათიას. ანზორი კარგად იცნობდა მის წარსულს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინც უყვარდა ეს ქალი და ამის მიზეზი არა მარტო გარეგნული ხიბლი, მისი ამოუცნობი ხასიათიც იყო. ამიტომაც შეირთო ცოლად და იმედი ჰქონდა, მალე ულიანოვსკიდან, სადაც ის და ნათია ამ ათი წლის წინ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, საქართველოში ან სულაც რუსეთის დიდ ქალაქში გადავსახლდებით და ველარავინ გამახსენებს ცოლის წარსულსო. ნათიამ კი ულიანოვსკის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებამდე სამი ქმარი და თხუთმეტი საყვარელი მაინც გამოიცვალა. მშობლები მის დარდს გადაჰყვნენ, ერთადერთმა ძმამ კი შემოუთვალა — ქუთაისში არ გნახო ჩამოსული, თორემ დაგაკლავ დედ-მამის საფლავსო. ასე რომ, ახლა მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი ანზორი იყო და მართალია, დიდად არ უყვარდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც პატივს სცემდა თუნდაც იმისათვის, რომ ქართველმა კაცმა მისი წარსულის მქონე ქალს ცოლობა შესთავაზა.

## ზღვა ვარდები და თავდავიწყება

ზღაპრული სანახავი იყო ვორონცოვის სასახლე გაკრიალებული ცის ფონზე. ყველაფერი ბლომად იყო: მზეც, ვარდებიც, ხვავიანი სუფრაც, უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული მამაკაცებიც, მაგრამ ქალების ნაკლებობა იგრძნობოდა. ეს არც არავის უკვირდა. მეღვინეებში მამაკაცები ჭარბობდნენ ყოველთვის. ამ ფონზე მოკლე, ვიწრო ქვედატანსა და დეკოლტიან ბლუზაში გამოწყობილი მკერდსავსე და ყელყარყარა ნათიას გამოჩენას ერთდროულად რამდენიმე მამაკაცის ამოოხვრა მოჰყვა. ნათიას გვერდით უზადოდ ჩაცმული ანზორი მოჰყვებოდა, მაგრამ განსხვავება მაინც თვალში საცემი იყო. ქალი აშკარად სჯობდა კაცს. სიმპოზიუმის მონაწილეებს აზერბაიჯანელ სპეციალისტებად წარუდგნენ და ზღვის მხარეს, ტერასას მიაშურეს. შეკრებილთ საკმაოდ ახალგაზრდა, კავკასიური გარეგნობის, ელეგანტური მამაკაცი გამოეყო და საკმარისი იყო, ანზორს წამით გვერდზე გაეხედა, რომ მყისვე თეთრი, ულამაზესი ვარდი უსიტყვო ღიმილით გაუწოდა ნათიას. კაცი იმდენად უშუალო და გულწრფელი ჩანდა, რომ ქალმა თავისდა უნებურად დაასკვნა — თუ ამგვარი იქნება ჩემი დღევანდელი პარტნიორი, სიამოვნებით გავატარებ მასთან ღამეს, თუნდაც ვიდეოობიექტივის თანხლებითო. იმავდროულად, ანზორმაც ანიშნა, ჩვენი სამიზნე სწორედ ეგააო და ქალიც უცერემონიოდ გაჰყვა საცეკვაოდ გურამს.

— თქვენ უფრო ქართველს ჰგავხართ, ვიდრე აზერბაიჯანელს... — უთხრა ვაჟმა და ქალი თავისკენ მიიზიდა, როცა შეიტყო, ანზორი მხოლოდ და მხოლოდ ნათიას კოლეგა ყოფილა და მეტი არაფერიო.

— იქნებ იმიტომ, რომ ჩემი ბებიის დედა ქართველი იყო, — სიამაყით წარმოთქვა ქალმა და მუსიკის ტაქტს აჰყვა.

ბანკეტი გვიანობამდე გაგრძელდა. ანზორს ვილაც დედისტოლა უკრაინელი ქალი „შეება" და გურამსა და ნათიას წარუდგინა — ამაღამ ამასთან უნდა დავიძინოო. თან ნათიას მოუბოდიშა და ჯენტლმენურად გადასცა სასტუმროს ნომრის გასაღები, ესაა ჩემმა მეგობარმა მომიტანა და შენთვის დამითმიაო.



## ღამის კოშმარი

— გამოდის, რომ კავალერი დაკარგეთ. მე გაგაცილებთ, — შესთავაზა გურამმა და ისე გამოსდო ხელკავი, პასუხისთვის არც დაუცდია.

— ასეთია და რა ვქნა. ამაღამ ისე გამოტყვრება, ხვალ შუადღემდე ველარ გაიღვიძებს.

ქალს დიდი თავპატიჟი არ დაუწყია და ზრდილობიანად შეიპატიჟა ვაჟი სასტუმროს ნომერში. ჯერ მაინც ვერ დავიძინებ, ტელევიზორს ვუყუროთო. მერე კი ყველაფერი თავისთავად მოხდა. ერთი-ორი ქათინაური, ცოტა ალერსი მხრებსა და ყელკისერზე...

— რა ლამაზი ხარ!

— შენ კი ყველას სჯობდი დღეს ბანკეტზე. თავიდანვე გადავწყვიტე, თუ ვინმესთან გავატარებ ღამეს, მხოლოდ ამ კაცთან-მეთქი...

— კოცნა, კიდევ კოცნა, მერე ვნებაც გახელდა და ყველაფერი აირია, — იატაკზე ცვიოდა შანელის კაბა და ვერსაჩეს კოსტიუმი... დიდხანს გაგრძელდა სიყვარულის პირველი სეანსი, მერე კი, მერე, როცა ყველაფერი დროებით მინელდა, რათა ახალი ძალით ეფეთქა ვნებას, ქალი შეშლილივით დაიკლაკნა, იატაკიდან თავისი პერანგი და საცვალი დაითრია. თვალის დახამხამებაში ერთიც დაფხრიწა და მეორეც, მერე ფანჯარას მიასკდა და არაადამიანურად, გამყინავი ხმით დაიწივლა — „პამაგიტე"... ჯერ კიდევ დედიშობილა გურამი, რომელსაც ვერაფერი გაუგო რა ხდებოდა, აფთარივით წამოიჭრა და ქალს ეცა — რა გინდა, რამ გადაგრიაო, მაგრამ ქალის დამშვიდება შეუძლებელი იყო. რამდენიმე წუთში სასტუმროს ნომერი ვილაც უცხო პირებითა და სასტუმროს თანამშრომლებით გაივსო. „სქესობრივი იძულება, გაუპატიურება ძალადობის გამოყენებით", — დააფიქსირეს ოქმში და გურამი სადღაც წაიყვანეს ვილაცის მანქანით.

> ქალი შეშლილივით დაიკლაკნა, იატაკიდან თავისი პერანგი და საცვალი დაითრია. თვალის დახამხამებაში ერთიც დაფხრიწა და მეორეც, მერე ფანჯარას მიასკდა და არაადამიანურად, გამყინავი ხმით დაიწივლა — „პამაგიტე"... ჯერ კიდევ დედიშობილა გურამი, რომელსაც ვერაფერი გაეგო რა ხდებოდა, აფთარივით წამოიჭრა და ქალს ეცა — რა გინდა, რამ გადაგრიაო, მაგრამ ქალის დამშვიდება შეუძლებელი იყო.

გურამი ყველაფერს მიხვდა, ყველაფერი გაისიგრძეგანა. ოღონდ ის ვერ გაეგო, რისთვის დაიდგა ეს სპექტაკლი. ვინმეს მისი სამსახურიდან მოცილება უნდოდა თუ ფული — ასეა თუ ისე, ხვალვე მოახსენებენ საოლქო კომიტეტის მდივანს, რომ ყირიმის შამპანური ღვინოების უძველესი ქარხნის მთავარი ტექნოლოგი სქესობრივ გარყვნილებაში ამხილეს. აკი ქალი უცხოების გასაგონად გაჰკიოდა, ძალით გამაუპატიურაო.

— სკოლკო, — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა ეს ერთადერთი სიტყვა და უნებურად თვალი მის წინ მჯდომის პერანგის საყელოსკენ გაექცა, ქუჩის ლამპიონების შუქზეც კი აშკარად ჩანდა კისერზე ღრმა ნაჭრილობევის კვალი, რომელიც რატომღაც ქართულ „ი"-ს მოგაგონებდათ. მერე კი, როცა წინ მჯდომი შემობრუნდა, გურამმა ანზორი იცნო და რაკი სახელი არ იცოდა, გაოცებისაგან აღმოხდა — თქვენც?

დიდი ფული „დააწერეს" იმ ღამით გურამს. პირდაპირ უთხრეს: — ახლა არ დაგვიწყო ფული ბანკში მაქვს და მის გაღებამდე ვერ გამოვიტანო. კარგად ვიცით, არც ერთ მეღვინეს არ შეაქვს ფული შემნახველ სალაროში პარტიისა და მთავრობის შიშით. ამიტომ გათენებამდე მიაკითხავ შენს კოლეგებს და მილიონ მანეთს მოაცუნცულებ. თუ აგვეთესე, იცოდე, ამ კასეტაზე გვაქვს ჩაწერილი შენი სექსუალური წარმატებებიო.

სხვა რა გზა ჰქონდა. ნახევარი ყირიმი შემოირბინა და მეორე დღის თორმეტ საათზე შეპირებული თანხა გადასცა გამომძალველებს.

მეორედ ერთი წლის შემდეგ, ყურძნის კრეფის სეზონის დასასრულს შეხვდა გურამი მამედას, უფრო სწორად ანზორს, რომელიც ბოლოს და ბოლოს, ამ სახელით გაეცნო და კასეტის ასლი გადასცა.

— შენგან გაუპატიურებული ქალბატონი თავს იკლავს, კასეტის დედანი საოლქო კომიტეტის მდივანს უნდა გავუგზავნოო. თუ ახალი უსიამოვნება არ გინდა, სამასი ათასი მანეთი უნდა ჩაგვითვალოო.

თითქოს ნაჭრილობევი გაუხსნესო, შემზარავმა ელვამ დაუარა გურამს ტანში. ცოტა ხანს დაფიქრდა და... — მაგ კასეტის ათასი ასლის გადაღება შეიძლება რამდენიმე წამში, მე კი ამის თავი არ მექნება. აჯობებს, დღესვე მიიტანოთ მისამართზე. ის მაინც მეცოდინება, რომ საბოლოოდ ჩამოგიშორეთ, — უთხრა ანზორს.

— კარგი... — უცებ ქართულად ალაპარაკდა მამედა, — ისიც იცოდე, მე აზერბაიჯანელი მამედა კი არა, ქართველი ანზორ ქოქიაშვილი ვარ — აი, ჩემი პასპორტიც...

გურამმა ერთხანს უყურა პასპორტში ჩაკრულ ანზორის სურათს, მერე მწარედ ჩაიღიმა და თვალი თვალში გაუყარა.

— მერე ყირიმში იმისათვის ჩამოხვედი, რომ აქაც ქართველი გაძარცვო, ბიჭო. იცოდე, ეს საქმე კვლავაც რომ შემახსენოს ვინმემ, საფლავიდან ამოგიღებ. — და გურამს კიდევ ერთხელ გაექცა თვალი ანზორის ნაჭრილობევისკენ.

## პროვინციელი მადონა

მას შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა. გურამი საქართველოში სამტრესტის სისტემაში კარგ ადგილზე დანიშნეს როგორც გამოცდილი სპეციალისტი. ანზორი კი, ვიდრე ნათიას სახეზე აქა-იქ ნაოჭები არ შეეპარა, ძველი, ნაცადი მეთოდით ამუშავებდა ქალს. დიდ კაპიტალსაც დააგროვებდნენ, ანზორი რომ ბანქოს თამაშით არ ყოფილიყო გატაცებული. მერე ნათიას ბავშვიც გაუჩნდა და რამდენიმე თვე „საქმეზე" ველარ გავიდნენ. ურთიერთობა კი ნელ-ნელა მწვავდებოდა — მე ვილაც საქმოსნებს ვუწვები იმისთვის, რომ მერე შენ მთელი ფული კარტში წააგო. ამას ველარ მოვითმენო, — ხშირ-ხშირად უმეორებდა ქმარს, ერთხელ, როცა ცოლის საყვედურებით შეჭირვებული ანზორი მარტო წავიდა საქმეზე — ნახე, თუ უშენოდ არ შემიძლია ფულის შოვნაო, — და თაგვივით დაიჭირეს ბანკის სეიფის გატეხის მცდელობისას. ქალმა ბიჭს, რომელსაც უკვე საშუალო სკოლა დაემთავრებინა, ხელი ჩაჰკიდა და საქართველოს მიაშურა. იცოდა, ქუთაისში მშობლისეულ კერაზე არ ეცხოვრებოდა და კახეთში, ანზორის უპატრონოდ მიტოვებულ სახლში დამკვიდრდა...

ქალს რამდენჯერმე თელავში მოუწია გამგზავრება, ახალ საცხოვრებელ ადგილზე ჩაწერის გამო. გზაში ორმოცდაათს მიტანებული ვილაც მამაკაცი გაიცნო. — მიხო ვარ, დევნოზაშვილი, საავადმყოფოს სამნეო ნაწილის გამგე, ახლა სწორედ თელავისაკენ მივდივარ და დიდ პატივად ჩავთვლი თქვენისთანა მომხიბვლელი ქალბატონი ჩემს მანქანაში ჩაჯდომას თუ იკადრებსო, — შეაგება ქალს. ნათიას ჯერ კიდევ შერჩენოდა იმდენი სილამაზე, პროვინციელი მამაკაცის თვალში ლამაზმანად რომ წარმოჩენილიყო. როცა გაიგო, კაცი საავადმყოფოში მუშაობსო, გაახსენდა, თვითონაც ექიმი რომ იყო და თუმცა სამსახური მისთვის წარმოუდგენელი რამ იყო, ისიც გაიფიქრა, იქნებ სპეციალობით მემუშავაო.

— პედიატრი გახლავართ. აქამდე რუსეთში ვცხოვრობდი და სამედიცინო პრაქტიკასაც იქ გავდიოდი. აქაური მეუღლე მყავდა. რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა და არ მინდა მისი კერა გავაციო. მე და ჩემი ბიჭი ახლა მის სახლში ვცხოვრობთ და აქვე ვაპირებთ საბოლოოდ დაფუძნებას. იქნებ სამსახურიც ვიშოვო და ნელ-ნელა ავაწყობთ ცხოვრებასო.

...მერე ნელ-ნელა გრძნობაც გაჩნდა. მიხოს დახმარებით ნათია საფუძვლიანად დამკვიდრდა ანზორის სახლ-კარზე. აღარც ერთმანეთთან ურთიერთობებს მალავდნენ.

ამ ამბავს ადვილად შეეგუა ნათიას ვაჟი თამაზი. აი, მიხოს ცოლმა მელანომ კი კარგა დიდხანს იჭირვეულა, მაგრამ რომ ვერაფერი გააწყო, ხელი ჩაიქნია და ბედს შეურიგდა.

## სიკვდილი ვენახში

მოგვიანებით ნათიამ ანზორისეული სახლის გაყიდვა გადაწყვიტა. მყიდველიც მალე გამოჩნდა და მხოლოდ აუცილებელი ფორმალობები აბრკოლებდა საქმეს. ქალს მემკვიდრეობის მისაღებად მეუღლის გარდაცვალების მოწმობა მოსთხოვეს. ნათიას იმედი ჰქონდა, რომ ხანგრძლივი პატიმრობამისჯილი ანზორი ციხიდან ცოცხალი ველარ გამოაღწევდა ან იქნებ აქამდეც განუტევა სული. ვიდრე ის კოლონიაში გასაგზავნი შეკითხვის ტექსტს ამზადებდა მისი მეუღლის ჯანმრთელობის შესახებ, ანზორი სახლში გამოცხადდა. ამნისტიით გაეთავისუფლებინათ, საოცრად მოტეხილი და ფერგალეული ჩანდა.

— ეს ხალხი ვინლაა ან რა მუშტრის თვალით ზომავენ ამ სახლსა და ეზოს, — ჰკითხა ნათიას.

— ესენი ამ სახლის მყიდველები არიან. ბიჭი თბილისში უნდა წავიდეს ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

მერედა, ვისია ეს ბიჭი. ჩემსას რა უგავს? მე რომ მისი მამა ვიყო, ერთხელ მაინც გავახსენდებოდი: ან წერილს გამომიგზავნიდა კოლონიაში, ან ღია ბარათს. აი, ახლაც. ხელიც არ ჩამოურთმევია, განზე გადგა და მწიფე ღელავს შეჩერებია. არა, ვერ მოგართვეს, ქალბატონო, ეს სახლი არ გაიყიდება. მით უმეტეს, ამ ბიჭისთვის, რომლის მამის ვინაობა, დარწმუნებული ვარ, არც შენ იცი, — ვიდრე ცოცხალი ვარ, ეს სახლი არ გაიყიდება. მერე კი ანდერძით ჩემი გურიაში გათხოვილი დისშვილი მიიღებს. ასე რომ, სჯობს ახლავე და სამუდამოდ დატოვოთ აქაურობა შენ და შენმა ბიჭმა, — ამ სიტყვებით ანზორმა ქალს ზურგი შეაქცია და იქვე აივანზე გამოდგმულ ნახევრად ჩანგრეულ სკამლოგინზე დაეშვა.

— ამის პატიება არ შემიძლია, მიხო, გაიგე და თუ ვერ დამეხმარები, ხელს მაინც ნუ შემიშლი, — მოთქვამდა შეურაცხყოფილი ქალი და თუმცა არც თვითონ იყო წმინდა სულის, მაინც ანზორი მიაჩნდა საკუთარი უბედურების მიზეზად.

— კარგი... მე ამ საქმისთვის არ გამოვდგები, მაგრამ დღესვე ვნახავ აქაურ ნარკომანსა და ოხერს ბესო უხურგულაშვილს, ფულსაც მივცემ და დამთანხმდება კიდეც. ახლა წამალი შემოელია და ფულის გულისთვის ერთს კი არა, ათ კაცს მოკლავს...

დიდი ხანია კახეთში წვიმის წვეთი არ გადმოვარდნილა. ბული ასდიოდა მიწას. უჭირდა ვაზს და ამის გამო ცისტერნებით ეზიდებოდნენ წყალს ვენახების მოსარწყავად. დღესაც ის ნაკვეთები მორწყეს, სადაც ანზორის ვაზიც იდგა და მართალია, ტალახში გაუჭირდა, მაგრამ მაინც მიაღწია თავის ნაკვეთამდე, ვაზი შეათვალიერა — მორწყვის შემდეგ მტევანს აუცილებლად დაასრულებსო, — გაიფიქრა და ის იყო, უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ „ჟიგულმა" მისი მიმართულებით გადმოუხვია, — გიჟია, ეს შობელძაღლი, ტალახში რას მიერეკება ამ მანქანას, რა, ფეხით ველარ მოაღწევდნენ აქამდეო, — გაიფიქრა და უსიამოვნოდ, მაგრამ მაინც მოემზადა მათ შესახვედრად. მანქანიდან სამნი გადმოვიდნენ — ნათია, მისი შვილი თამაზი და ერთი უცნობი. ანზორი უსიამოვნოდ გაიზმორა და მორიგი შემოტევის მოსაგერიებლად მოემზადა. იცოდა, ახლა ისევ დაიწყებოდა ხანგრძლივი დავა სახლის გაყიდვის შესახებ, არ იცოდა, როდის მოელებოდა ამას ბოლო. თუმცა ამჯერად სხვაგვარად მოხდა:

— მაშ, ამ სახლს შენს დისშვილს უტოვებ, არა? საკუთარ ბიჭს კი ქუჩაში ტოვებ ხომ, — გამოსცრა ამჯერად უკვე უცნაურად სახეშეცვლილმა ქალმა. ანზორმა თავის დაქნევით დაუდასტურა, მართალი ხარო. თუმცა დაუმატა: — საკუთარი არა, შენი შვილი დარჩება ქუჩაშიო. ამის თქმა იყო და უცნობის ხელში სანადირო თოფმა იელვა. წამიც და თოფის ხმამ დაფარა ქალის კივილი — ძაღლი ხარ და ძაღლივით მოკვდიო, — ანზორის გვამი თავქვე ეგდო ტალახში.

## ეპილოგი ანუ მესამე შეხვედრა

ლაგოდეხისკენ მიმავალმა გურამმა, რომელიც ამ ზონაში მოსავლის აღების სამზადისთან დაკავშირებით მიევლინებინათ, ვაზებში მოვიშვიშე ხალხი რომ შენიშნა, მძღოლს მანქანა გააჩერებინა, ხალხი განზე გადგა და გურამმა პირქვედამხობილ გვამს ჰკიდა თვალი.

ყურის ბიბილოს უკან, კისერზე რატომღაც ქართული ასო „ი"-ს მსგავსი ღრმა ნაჭრილობევი აჩნდა მიცვალებულს.

(მოკლულისა და მკვლელობის მონაწილეთა გვარსახელები შეცვლილია).

*ვაჟა გავაშელი*

ფირან ჩხეიძე: მე ქართულ ხორბალს ვერ ვულალატებ



# ამერიკიდან ხორბალი ადგილობრივი ფერმერების გასაკოტრებლად შემოიტანეს?...

(დასაწყისი იხ. გვ.6)

შირაქის ველები სულ უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, პროკურორებს და გამგებლებს აქვთ აღებული. ჩვენ მათ მოჯამაგირეებად ვუდგავართ. მათ მოწეულ მოსავალს სახელმწიფო ძვირად იბარებს, ჩვენსას კი გროშებად. მთელ კახეთში ერთი კაცი ვარ, რომელსაც ქართული ჯიშის ხორბალი მითესია. ისიც იმიტომ, რომ უნიკალური ჯიშები არ გადაშენდეს. გამომგონებელს კი იმიტომ მეძახიან, რომ ქართული ჯიშის ხორბლისაგან უხვი მოსავალი მივიღე, თანაც უსასუქოდ, მაგრამ 18 თეთრად ძლივს ჩავაბარე სპირტის ქარხანას. მოგებას ვინ ჩივის, პირიქით, ვიზარალე".

## რაც მინდა, იმას შემოვიტან და გავყიდი

რადგან ხორბლის ფასის ხელოვნურად შემცირებას ფერმერები პურპროდუქტების კორპორაციის პრეზიდენტის სახელს უკავშირებენ, ამიტომ **ანზორ ბურჯანაძეს** ვთხოვეთ კომენტარი: „გულისყურით გავეცანი კახეთში ჩატარებულ თათბირზე მოიჯარეებისა და ფერმერების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს. ზოგიერთი მათგანი მართლაც ყურადსაღებია და იმსახურებს უმაღლეს დონეზე განხილვას, მაგრამ ზოგიერთმა მოწეული ხორბლის გასაღება-არგასაღების საკითხი ჩემს პიროვნებასთან, უფრო მეტიც, ქვეტექსტებით ჩემი ოჯახის წევრებთან დააკავშირა, — განსაკუთრებით ჩემს შვილთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესა და სიძესთან, საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილესთან, ბადრი ბიწაძესთან. თითქოს ჩვენი ოჯახი ხელს უშლიდეს ხორბლის მოსავლის შესყიდვას ხელსაყრელ ფასად. უზნეობაა, როცა ოჯახის წევრებს აკავშირებენ ერთმანეთთან; რომ მამა თურმე შეზღუდული უნდა იყოს, რაკი შვილი თანამდებობის პირია; ან ქმარი, თუკი ცოლი დიდ თანამდებობაზეა და პირიქით. ვიმეორებ, ამის გამო კრიტიკა უზნეობაა და სამწუხაროა, რომ უზნეობას საქართველოში დიდი გასაქანი მიეცა. კანონში ნათქვამია, — უშუალოდ ოჯახის ერთი წევრის დაქვემდებარებაში სამსახურის მხრივ არ უნდა იყოს ოჯახის მეორე წევრი და ასეთ შემთხვევაშიც არის დაშვებული გამონაკლისები და რა კავშირი აქვს ყველაფერ ამას კახეთში ხორბლის მოსავალთან?! გული მტკივა, გლეხები ვიღაცის ანკესზე წამოეგნენ და უსაფუძვლოდ ცილს მწამებენ. ასეთი რამ მათგან ნამდვილად არ დამიმსახურებია. ამ ცილისმწამებლური განცხადებებით მავანნი ცდილობენ, ჩირქი მოსცხონ ჩემს შვილს. სამწუხაროდ, პოლიტიკური ბრძოლა ბინძური ხერხებით მიმდინარეობს. საქართველოში ძალიან მომრავლდნენ მუშნი ზარანდიები და ცოტანი დარჩნენ დათა თუთაშხიები. სწორედ მუშნი ზარანდიას მეთოდი მოქმედებს დღეს საქართველოში; ანუ ისეთ რამეს დაგაბრალებენ, რომლის გამოსწორებისთვის თვითონ იბრძვი. ბურჯანაძეების ოჯახის წინააღმდეგ დიდი კამპანია მიმდინარეობს. ვერაფრით მოინელეს ვაიპოლიტიკოსებმა და ვაიპატრიოტებმა ნინო ბურჯანაძის დაწინაურება. არადა, ისეთი რა მოხდა, ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა პარლამენტში, რომელიც განათლებულიცაა, ნიჭიერიც, ინტელექტუალურიც და დახვეწილი გემოვნებითაც გამოირჩევა. ერთი განახვათ, უცხოეთში დიპლომატები რომ თითის წვერებზე დადიან მის წინ.

— **გამოდის, ტყუილუბრალოდ გწამებენ ხორბლის მაფიის თავკაცობას?**

— ვიღაცებმა (და არა ფერმერებმა და გლეხებმა) მოაწყვეს ყველაფერი ეს და ფარად გლეხები გამოიყენეს. მოდი, განვიხილოთ ის ცილისწამებები, რომელიც ჩემ მიმართ გამოითქვა. პირველი — თითქოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რითაც ხორბლის იმპორტი საერთოდ გათავისუფლდა საბაჟო და საგადასახადო დაბეგვრისაგან და ეს მე საშუალებას მაძლევს, ჩემი სურვილისამებრ დავაწესო ფასი ხორბალზე. სიცრუეა — ასეთი კანონი პარლამენტს არ მიუღია. მეორე ცილისწამება ახლახან სახელმწიფოს მიერ ამერიკიდან შემოტანილ ხორბალს შეეხება, — თითქოს ეს ხორბალი ჩემი იყოს. ოთხი წელიწადია, არათუ 35 ათასი ტონა, არამედ 35 კილოგრამი ხორბალიც კი არ შემომიტანია საქართველოში, ასევე არ შემოუტანია არც ერთ იმ ფირმას, რომელთანაც დაკავშირებული ვარ. ისე, თუ საშუალება მექნა, არავის შევეკითხები, ისე შემოვიტან ხორბალს, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვცხოვრობთ. ნურც იმას დაიჯერებთ, რომ კახელი გლეხი შვილივით, სათუთად მოვლილ ხორბლის ყანას დაწვავს.

— **რატომ თქვით ამ ბიზნესზე უარი?**

— იმიტომ არ და ვერ შემოვიტანე, რომ ეროვნული ბაზარი კონტრაბანდისაგან დაცული არ არის. თავაშვებულად გაიცემა ნებართვები ჰუმანიტარული ხორბლის შემოტანაზეც. დამისახელეთ ერთი სოფელი, ან თუნდაც ერთი ფერმერი, რომელმაც შეღავათით მიიღო ფქვილი ან ხორბალი.

— **იქნებ ფქვილისა და ხორბლის კონტრაბანდისტები დაგვისახელოთ?**

— ყველა ის ჩინოვნიკი და პარლამენტის წევრია კონტრაბანდისტების მფარველი, ვისაც საირმის გორაზე და ქალაქგარეთ მრავალსართულიანი სასახლეები აქვთ წამოჭიმული. ჩემსას კი ერთ სასახლესაც ვერ მაჩვენებთ... ისე, ჩვენი ფერმერები ნუ მიწყენენ და ქართული ხორბლის ფქვილით რიგიან პურს ვერ გამოაცხობ, — იგი აუცილებლად უნდა შეერიოს ამერიკულ ხორბალს.

— **თქვენ ერთი „ცილისწამება" გამოგრჩათ... როგორც ამბობენ, თქვენ აკონტროლებთ თითქმის ყველა ქარხანასა და პურის საცხობს.**

— ვხვდები, საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია. თქვენი ინფორმატორი, როგორც ის თავის თავს უწოდებს, სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის საზოგადოების პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი იქნება. გამოდის პარლამენტის წინ ამხელა კაცი და აცხადებს, რომ პურის საცხობ „შატილში" გამომცხვარმა პურმა ხალხი მოწამლა და თურმე ეს პურის საცხობი ჩემი ყოფილა. კერვალიშვილი თავს უფლებას აძლევს და მთავაზობს, იქ გამომცხვარი ღორების საჭმელი პური ჩემს შვილსა და სიძეს ვაჭამო. კატეგორიულად, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იმ პურის საცხობთან არაფერი მაკავშირებს".

P.S. ხალხმა იშრომა, ყანებში თავისი წონა ოფლი და სისხლი ჩააქცია, ხელისგულებზე ცხრაპირი ტყავი გადაიძრო; ხორბლის არნახული მოსავალი მოიწია და ამ დროს სახელმწიფო უარს აცხადებს მის ჩაბარებაზე. ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს გლეხების სასარგებლოდ. თორემ გლეხი ზურგს შეაქცევს ამ დარგს და სამუდამოდ გადაშენდება ხორბლის ქართული ჯიშები, რომლებიც ეროვნულ ფასეულობას წარმოადგენს. არ გვეკადრება ეს შირაქისა და ელდარის ველების პატრონებს, სადაც იმდენი ხორბალი მოდიოდა, რომ არათუ საქართველოს, მთელ კავკასიას ჰყოფნიდა. ვერც იმას დავიჯერებთ, რომ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე უხარისხო პურს მიირთმევდნენ მაშინ, როცა ამერიკა აღმოჩენილიც კი არ იყო.

*ზვიად ჩაკვეტაძე*




# ქართველების მონად გაყიდვის ამბავი...

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

ნუ ენდობით მათ ცრუ დაპირებებს. საქართველოს არც ერთ სახელმწიფოსთან არა აქვს ორმხრივი შრომითი ხელშეკრულება, აქედან გამომდინარე, როცა საეჭვო წარმოშობის სააგენტოებს ენდობით, თქვენს თავს საფრთხეში იგდებთ.

— **ძირითადად, რომელ ქვეყნებში ხდებიან ქართველები ტრეფიკინგის მსხვერპლნი?**

— თურქეთში, საბერძნეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. შარშან 121 ტრეფიკინგის შემთხვევა გამოვიკვლიეთ. 87% ამ დაზარალებულებისა, 20-დან 40 წლამდეა. მათგან 17 ქალბატონს სთავაზობდნენ აშშ-ში სამუშაოს ძიძებად, მოხუცებულების მომვლელებად, მაგრამ ადგილზე ჩასულებს ღამის კლუბებსა და სტრიპტიზბარებში მოუხდათ მუშაობა.

ძალზე ადვილია იმ ფირმების გამოცნობა, რომლებიც ადამიანებით ვაჭრობენ. შარშან ჩვენმა ორგანიზაციამ 30 ასეთი სააგენტო გამოავლინა. ჩვენი თანამშრომლები მიდიოდნენ იმ ფირმებში,



რომლებიც საინფორმაციო საშუალებით გაკეთებულ სარეკლამო განცხადებაში მოსახლეობას ჰპირდებოდა უცხოეთში დასაქმებას. როგორც გაირკვა, ეს ხალხი არც უმალავდა თავის კლიენტებს, რა პირობებში მოუწევდათ უცხოეთში მუშაობა. თურქეთში სამუშაოდ წამსვლელებმა იცოდნენ, რომ იქ პროსტიტუციით მიიღებდნენ შემოსავალს და თანახმა იყვნენ ამ პირობაზე, რადგან აქაც ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი და ფიქრობდნენ, რომ თურქეთში მეტს გადაუხდიდნენ. ადგილზე რომ ჩავიდნენ, გაირკვა — ანაზღაურება არც ისე მაღალია, დამქირავებლები და სუტენიორები ატყუებდნენ, თურქი მამაკაცები კი გაცილებით ცუდად ეპყრობოდნენ, ვიდრე ქართველები.

აქ ჩვენ გავესაუბრეთ 105 მეძავს. გაირკვა, რომ მათგან 6 ქალბატონი თურქეთში აღმოჩნდა მონად გაყიდული.

ამ ყველაფრისგან თავის დაცვა შეიძლება. მაგალითად, თუ თქვენ მიდიხართ გერმანიაში ძიძად, უნდა იცოდეთ, რომ იქ ანაზღაურება 200 დოლარზე მეტი არ არის. ფირმა, რომელიც 500 დოლარს გთავაზობთ, გატყუებთ. სანდო ფირმა სამსახურის შოვნისთვის 100-150 დოლარზე მეტს არ მოითხოვს. ფირმის სანდოობის მესამე ნიშანია კონტრაქტი. თუ ფირმა არ აფორმებს თქვენთან კონტრაქტს და მხოლოდ სიტყვიერ დაპირებას იძლევა, ის არასანდოა. თუ ფირმამ დაგიდოთ კონტრაქტი, ხელს მაშინვე ნუ მოაწერთ, ჯერ იურისტს აჩვენეთ. დარეკეთ იმ ოჯახში, სადაც აპირებთ მუშაობის დაწყებას. სჯობს აქ ცოტა გაწვალდეთ, რათა უცხოეთში არ შეგექმნათ პრობლემები. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ადგილზე ჩასულებს საერთოდ ვერ უპოვიათ ის ოჯახი, სადაც აპირებდნენ მუშაობას. იყო ისეთი ფაქტებიც, რომ ძიძის დამქირავებელი ოჯახის ნაცვლად, „მატყუარა ფირმის" თანამშრომლები გაესაუბრნენ ტელეფონით, ამიტომ აუცილებელია საელჩოში მოიძიოთ ინფორმაცია იმ ფირმაზე ან ოჯახზე, რომელიც სამსახურს გპირდებათ.

— **საქართველოს მოქალაქეთა მოტყუების რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს ხომ არ გაიხსენებდით?**

— 30 წლის ქალბატონს ბარსელონაში სურდა მუშაობის დაწყება. დაუკავშირდა საკმაოდ ცნობილ ფირმას (სახელს ვერ დავასახელებ), რომელმაც მოხუცის მომვლელის ადგილი უშოვა. ქალბატონს უთხრეს, რომ ჯერ თურქეთში უნდა ჩასულიყო, იქიდან კი გემით გაამგზავრებდნენ ესპანეთში. კლიენტმა სამი ათასი დოლარი გადაუხადა ფირმას. ის მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად ჩაიყვანეს ანკარაში, ვითომ ბარსელონის ვიზის მისაღებად. დოკუმენტაცია, პასპორტი ჯგუფის ხელმძღვანელთან ინახებოდა, ამიტომ ფირმის კლიენტებმა ვერც შეიტყვეს, რომ მათთვის ესპანეთში წასასვლელი ვიზა არავის მიუცია. თურქეთიდან სამხრეთ იტალიაში გადავიდნენ, იქიდან კი ბარსელონაში ჩავიდნენ. ეს მეტად უჩვეულო მარშრუტია. საქართველოს მოქალაქეებს ვიზები რომ ჰქონოდათ, ისინი თვითმფრინავითაც ჩაფრინდებოდნენ ესპანეთში, მაგრამ ჯგუფისთვის ასეთი მარშრუტი სათანადო დოკუმენტაციის არქონის გამო აირჩიეს. უკანონო მიგრანტები ძირითადად, მცირე ზომის გემებით და ამგვარი შემოვლითი გზებით შეჰყავთ ევროპაში.

ბარსელონაში ჩასვლის შემდეგ ეს ქალბატონი საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი აიძულეს, სტრიპტიზბარში ემუშავა და პროსტიტუცია დაეწყო. იქიდან მორალურადაც და ფიზიკურადაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი დაბრუნდა.

— **როგორ მოახერხა მან ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა?**

— როგორც ვიცი, გაიქცა სტრიპტიზბარიდან და პოლიციას სთხოვა შველა. ესპანეთის პოლიცია დაუკავშირდა პარიზში საქართველოს საელჩოს. მოიძიეს ინფორმაცია ამ ქალბატონზე, მისცეს დროებითი სამგზავრო დოკუმენტი და დააბრუნეს საქართველოში.

მაქვს კიდევ ერთი ინფორმაცია ქალბატონზე, რომელიც ამერიკაში წავიდა მომვლელად და არაბი წარმოშობის მოქალაქის ოჯახში მესამე ცოლი აღმოჩნდა. თავდაპირველად თურმე ეს ქალი საოჯახო საქმეებს აკეთებდა. არაბ მამაკაცს მოსწონებია და შეუთავაზებია, — მესამე ცოლად გამომყევიო. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი აქ, საქართველოში გათხოვილი იყო, დათანხმდა ამ მამაკაცს და ოფიციალურად გააფორმეს ქორწინების ქაღალდები. მაგრამ დროთა განმავლობაში, მათი ურთიერთობა გაფუჭდა. ოჯახში მას ძალზე ცუდად ეპყრობოდნენ, შეურაცხყოფდნენ და ქალბატონი იძულებული გახდა, მიემართა ვაშინგტონში საქართველოს საელჩოსთვის.

მაქვს კიდევ ერთი ინფორმაცია ქალბატონზე, რომელიც ამერიკაში წავიდა მომვლელად და არაბი წარმოშობის მოქალაქის ოჯახში მესამე ცოლი აღმოჩნდა. თავდაპირველად, თურმე ეს ქალი საოჯახო საქმეებს აკეთებდა. არაბ მამაკაცს მოსწონებია და შეუთავაზებია, — მესამე ცოლად გამომყევიო. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი აქ, საქართველოში გათხოვილი იყო, დათანხმდა ამ მამაკაცს და ოფიციალურად გააფორმეს ქორწინების ქაღალდები.

— **მამაკაცების შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— ოთხი ქართველი, გორელები (2 ქალი და 2 მამაკაცი) თბილისში დაუკავშირდნენ ერთ-ერთ ფირმას, რომელმაც დანიაში შესთავაზა სამსახური. ეს ხალხი მოსკოვის, ბელორუსიისა და პოლონეთის გავლით აღმოჩნდა დანიაში. მათ იქ რუსი ემიგრანტი დახვდათ, რომელსაც წესით უნდა დაესაქმებინა ეს ხალხი. კაცები ცალკე წაიყვანეს სამშენებლო სამუშაოზე, ქალებს კი რესტორნებსა და ბარებში ამუშავებდნენ დამლაგებლად. მაგრამ სამუშაო არ იყო მუდმივი. ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ, იმაზე გაცილებით ნაკლებს უხდიდნენ, ვიდრე დაჰპირდნენ და ცხოველებივით ექცეოდნენ. როდესაც დამქირავებელს აღარ დასჭირდა იაფი მუშახელი, ეს ხალხი იქაურ პოლიციას გადასცა და ამის შემდეგ მოხდა მათი დეპორტაცია.

ბევრი ადამიანი მიდის სამუშაოდ ბულგარეთშიც. გასულ კვირას გახლდით ათენში, სადაც ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ტრეფიკინგის საკითხებს სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. იქ ვესაუბრე ბულგარეთის შსს-ს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, რომლისგანაც შევიტყვე, რომ 2001-2002 წლებში 40 ქართველი ქალი გამხდარა ბულგარეთში ტრეფიკინგის მსხვერპლი. ისინი თურმე იძულებით იყვნენ ჩართულნი პროსტიტუციაში. ინფორმაცია ამის შესახებ მოუპოვებია ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სწორედ ჩემი თანამოსაუბრის წყალობით გათავისუფლებულან ქართველი ქალები დამამცირებელი და საშინელი მდგომარეობიდან.

ინტერვიუს ბოლოს მინდა გავაფრთხილო ყველა ადამიანი, რომელიც საზღვარგარეთ აპირებს ბედის საძიებლად გამგზავრებას:

— ნუ დაიჯერებთ, რომ ადვილია ფულის შოვნა საზღვარგარეთ!

*P.S. როგორც შევიტყვეთ, ანტიკორუფციული საბჭო და ტურიზმის დეპარტამენტი ითხოვს იმ სააგენტოების ლიცენზირებას, რომელიც უცხოეთში დასაქმებას ჰპირდება კლიენტებს. მაგრამ საკითხი პარლამენტში არ გასულა. საბაბად მსოფლიო ბანკის რეკომენდაცია მოუყვანიათ. ლიცენზირების სისტემის შემოღება, კორუფციულ ელემენტებს გაზრდის. ჩვენი რესპონდენტის თქმით კი, თვით პარლამენტში არ არიან დაინტერესებულნი ამ სააგენტოების შეზღუდვით, რადგან ბევრ დეპუტატს „საქმიანი კავშირი" აქვს ასეთ ფირმებთან და მათ კლიენტებსაც ხშირად ეხმარებიან საზღვარგარეთ გამგზავრებაში.*

*იზო რეკაძე*


ოპიზა

# წყალში ჩასაძირად განწირული საქართველოს ისტორია

The New York Times
SOPHISTICATED TRAVELER MAGAZINE | May 12, 2002, Sunday
ON THE VERGE; Death by Drowning

ტაო — მდინარე ჭოროხის შუა დინების აუზში მდებარე უძველესი ქართული მხარეა. აქ ჩაეყარა საფუძველი ბაგრატიონთა დინასტიის სამეფო გვირგვინით კურთხევას და არაბთა ბატონობით დაუძლურებულ ქვეყანაში სწორედ აქედან აიდგა ფეხი დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფოებრიობამ. აქედან აბრწყინებდა ქრისტიანული ნათელი სრულიად საქართველოს და, როგორც ბურჯნი ალმსარებლობისა, მართლმადიდებლობას დარაჯად ედგნენ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები: ოშკი, ბანა, ხახული, ოთხთა ეკლესია... ისინი დღემდე რჩებიან უტყუ მოწმეებად ამ მიწაზე ერის სულიერი და კულტურული განვითარებისა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც XV საუკუნის შუა წლებიდან სამცხე-საათაბაგოს დასავლეთის მხარეები და მათ შორის, ტაოც, ოსმალეთმა დაიპყრო, საქართველომ ველარ მოიშუშა ეს ჭრილობა, რომელიც თავის ნაკვთებმორღვეულ სხეულზე დააჩნდა და მაშინდელი ტკივილი მომდევნო საუკუნეებში მთელი საქართველოს ტკივილად იქცა დღემდე, რასაც ყველაზე სახიერად გამოხატავდნენ ხოლმე პოეტური სიტყვის შემოქმედნი: ერთნი ვერა და ვერ იმეტებდნენ გასასხვისებლად ამ სიწმინდეებს და ქვეყნის ერთობლივ სადღეგრძელოში იხსენიებდნენ საქართველოს „დიდების მომღერალ ოშკსა და ბებერ ტაოს", მეორენი წუხდნენ იმ ბედუკუმართ ვითარებაზე, რომელიც „არტანუჯის სევდას" უტოვებდათ გულში, ხოლო მესამენი პერიფრაზირებით ვაებდნენ: „ტაო ჩემო, ბედი არ გიწერია..."


ოთხთა ეკლესია

მაგრამ ყველაფერი, რაც აქამდე მომხდარა და რასაც აქამდე მისტიროდნენ ქართველები, არაფერია იმასთან შედარებით, რაც ახლო მომავალში ელოდება აქამდისაც მრავალჭირვარამგადანახად ამ ქართულ კუთხეს და იქ აღმართულ ქრისტიანულ ძეგლებს.

ამა წლის მაისის ნომერში, ამერიკულ ჟურნალში: sophicticated traveler („გამოცდილი მოგზაური") ჯონ ეშის ავტორობით დაიბეჭდა წერილი სათაურით: „სიკვდილი ჩაძირვით", რომელიც თურქეთის ამჟამინდელ ტერიტორიაზე მდებარე ქართული ეკლესია-მონასტრების საბედისწერო მომავალზე მოუთხრობს მკითხველს.

ჯონ ეშს მეგობრებთან ერთად უმოგზაურია თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში და იმდენად განცვიფრებულა და აღფრთოვანებულა ევროპული ხუროთმოძღვრებისგან მკაცრად გამიჯნული ქართული ეკლესიებით — ოშკით, ხახულით, იშხნით, პარხლით, ოთხთა ეკლესიით... რომ დაუფარავად აღიარებს, ამ საოცრებათა ხილვისას „გაოცებისაგან სუნთქვა გვეკვროდაო". დაინტერესებულ მოგზაურთ გადაუწყვეტიათ, კიდევ უფრო გულდასმით დაეთვალიერებინათ იქაურობა და მათ დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია, რომ იმ მიდამოებში ისეთი სახის მშენებლობა ყოფილა გაჩაღებული, რასაც აშკარად გარემოს შეცვლის პრეტენზია გააჩნდა. სასტუმროში დაბრუნებულნი სასტუმროს მეპატრონეს გამოლაპარაკებიან და როცა ნანახისა და განცდილის შთაბეჭდილებებზე მოუთხრობდნენ, პასუხად მისგან შეუტყვიათ, რომ სტუმართაგან ასე რიგად მოწონებულ ადგილებს მალე წყალი დაფარავდა. შემდეგ მივცეთ სიტყვა თვით ავტორს:

„როგორ! — წამოვიძახეთ ყველამ ერთად.

— დიახ, იქ ხუთი დიდი კაშხლის მშენებლობა მიმდინარეობს, ხოლო ახლომახლო კიდევ სხვა, შედარებით მცირე ზომის კაშხლები აიგება.

— კი მაგრამ, ეს ხომ საშინელებაა!

— ჩვენ უძლურნი ვართ. ეს საქმიანობა სამუშაო ადგილების გაჩენის საშუალებას იძლევა, რაც ძალიან ჭირს აქ".

როგორც ჯონ ეშმა გაარკვია, ართვინის პროვინციის ადგილობრივი მთავრობა თურმე 2008 წლამდე 10 კაშხლის დასრულებას გეგმავს ჭოროხში, შემდეგ კი წყალი აუცილებლად დატბორავს ხეობას, რაც დაახლოებით 15 სოფლის და რამდენიმე პატარა ქალაქის ჩაძირვასაც ნიშნავს და ბუნებრივად გულისხმობს იქაურ 15000 მცხოვრებზე მეტის ართვინში გადასახლებას.

შემდეგ ეს უცხო კაცი, ტკივილიანი თანაგრძნობით წერს ქართველებისათვის შემაძრწუნებელი საშიშროების შესახებ: „ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ამ რეგიონის უდიდესი ღირსშესანიშნაობების ანუ ქართული ეკლესიების ბედი გაურკვეველი დარჩება და თუ ყველაზე მაღლა მდებარე იშხანს დატბორვის საფრთხე შეიძლება არ დაემუქროს, დანარჩენი ეკლესიები საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან — მთელი მათი მიმდებარე ტერიტორიები წყლით დაიფარება!"

წერილის დასასრულს ავტორი ცდილობს მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობაში გაარკვიოს მკითხველი:

„კაშხლის აგების პროექტი შედგენილია ყოველგვარი კულტურული გარემოების გათვალისწინების გარეშე, თუმცა მარტო თურქებს არ უნდა დავემდუროთ ამ ულამაზესი რეგიონის განადგურებაში, რადგან ინვესტიციების გარეშე ამ სამწუხარო ფაქტს ადგილი არ ექნებოდა. მთავარი მომხრე ამ ინიციატივისა არის ფრანგული სამშენებლო კომპანია „ spie batighollе" და ამ კომპანიის 46% ბრიტანულ კომპანია „amec-ს ეკუთვნის... დღეისათვის 3 კაშხლის მშენებლობა უკვე წარმატებით მიმდინარეობს"...

*როგორც ვხედავთ, ოკეანისგაღმელი მოგზაური გულწრფელად წუხს ქართველი ერის სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის შესაძლო დანაკარგებზე და ამ დროს ქართული საკულტო ნაგებობების ბედს წყვეტენ თურქი, ფრანგი და ინგლისელი საქმოსნები და ბიზნესმენები. ჩვენ, ქართველებს, ამ საქმეში ხელი არა გვაქვს. არცა ვნაღვლობთ. არც გვაინტერესებს. ჩვენ აქამდე საქართველოს გარეთ უმეთვალყურეოდ დავთმეთ წინაპართაგან დატოვებული ყველა ქრისტიანული ძეგლი: ქართული ეკლესიები და სავანეები იერუსალიმში, ათონის მთაზე, სინას მთაზე, კვიპროსზე, პეტრიწონში... სულიერად, ღვთისმსახურებისათვის დავკარგეთ ყველა ქრისტიანული ტაძარი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე; ახლა კი მათ ფიზიკურადაც ვკარგავთ...*

*ზურაბ ქართველიშვილი*

# „სერგო ორჯონიკიძის ძმა პაპულია იყო ასეთი ქორების დიდოსტატი..."

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

**— რატომ მოითხოვეთ, რომ თქვენი საკითხი მაინცდამაინც პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას განეხილა და არა, ვთქვათ — პროკურატურას?**

— პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელსაც მიშა ოსაძე ხელმძღვანელობს, სწორედ იმისთვის არსებობს, რომ მსგავსი საკითხები განიხილოს. სხვათა შორის, ბატონი მიხეილ ოსაძე თავად გახლავთ პროფესიონალი ჩეკისტი და „კაგებეს" გენერალი. ასე რომ, სწორედ მან უნდა გამოიძიოს ეს მეტად დელიკატური საკითხი. თუკი ამას ოსაძის კომისია ვერ გამოიძიებს, აგერ არის სასამართლო და სულ მალე სარჩელს შევიტანთ. რაც შეეხება პროკურატურას, ვაცხადებ — მთავარია, სიმართლე გაირკვეს. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაარკვევს — პროკურატურა, შს სამინისტრო, უშიშროება თუ ოსაძის კომისია: მოვითხოვ — მივიღოთ ლუსტრაციის კანონი, რათა მართლაც გაიწმინდოს ხელისუფლება სპეცსამსახურების აგენტებისგან.

**— როგორც ვიცი, ამ საკითხში საკმაოდ აქტიური მხარდამჭერები გყავთ თქვენ მიერვე ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სახით.**

— დიახ, სულ ცოტა ხნის წინ რეგისტრაციაში გატარდა ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, „გურამ შარაძის მხარდამჭერთა საზოგადოება — ნაციონალური მოძრაობა ჩვენი საქართველო", რომელიც ილია ჭავჭავაძის ცნობილი ტრიადის საფუძველზე შეიქმნა — „ენა, მამული, სარწმუნოება".

**— საქართველოში ბევრი ეცილება ერთმანეთს ნაციონალისტობაში...**

— მე არ ვიცი, ვინ ვის რაში ეცილება; მაგრამ ჯერ კიდევ 1999 წლის 24 მარტს რეგისტრაციაში გატარდა „ნაციონალური მოძრაობა — საქართველო უპირველეს ყოვლისა", რომლის დამფუძნებელი სწორედ მე გახლდით. ეს შეგიძლიათ იუსტიციის სამინისტროშიც გადაამოწმოთ.

**— ყველაზე აქტიური ნაციონალისტი მიშა სააკაშვილი ხომ არ დაგავიწყდათ...**

— სხვათა შორის, 1995 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პირველივე სხდომაზე მოვიდა ჩემთან მაღალი, სიმპათიური ახალგაზრდა და მითხრა — ბატონო გურამ, მე გახლავართ მიხეილ სააკაშვილი და ბედნიერი ვარ, რომ იმ პარლამენტში უნდა ვიმუშაო, რომლის წევრიც გურამ შარაძეაო.

**— თუმცა მისი მოძრაობის ზოგიერთი წევრი თქვენ მიმართ მაინცდამაინც დიდ სიმპათიებს არ იჩენს...**

— მე სიმპათიებს და სიყვარულს არავისგან ვითხოვ... ჩვენ გაცილებით სერიოზული საქმეები გვაქვს მოსაგვარებელი.

*ხათუნა ყვირალაშვილი*

უკვე მეორე ტირაჟი დაიბეჭდა




და ისიც მალე გათავდება...

წიგნი იყიდება „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, წიგნისა და ეკლესიებთან არსებულ მაღაზიებში.

# რას გვეტყვი, მამაო?

**— ადრე ლოცვების კითხვა ძალიან დიდ სიხარულს მანიჭებდა — მაშინ ახალი მისული ვიყავი ეკლესიაში, ახლა რატომღაც გულგრილი გავხდი. რა ხდება ჩემს თავს, ვერაფერი გამიგია. იქნებ თქვენ განმიმარტოთ?**

— ადამიანი ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისში უანგაროდ და უშრომლად იღებს ღვთისაგან მადლს, რასაც საღვთისმეტყველო ენაზე „ხმობილი მადლი" ეწოდება. ამ მადლის მოქმედება ადამიანს უადვილებს პირველ ეტაპზე ქრისტიანულ ცხოვრებას — ლოცვას, მარხულობას, ეკლესიაში მსახურებებზე დასწრებას. მერე იწყება მეორე ეტაპი, როცა ადამიანმა ეს მადლი თავად უნდა მოიხვეჭოს და მოიხვეჭს მას ღვთის მცნებათა დაცვით, საკუთარი თავის იძულებით, დაუღალავი ღვაწლითა და შრომით.

**— ხატმწერს შევუკვეთე დედაღვთისმშობლის ხატი. შესრულებული ნამუშევარი ძალიან მომეწონა, მაგრამ გული მეტკინა, რომ შავ ჩარჩოში იყო ჩასმული. გადავწყვიტე გადამელება. ვაკურთხებინე მოძღვარს და მოულოდნელად ხატმა დაიწყო ნათლის გამოსხივება და კეთილსურნელების ფრქვევა. ეს სხვებმაც შენიშნეს, ვინც კი მიეახლა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩარჩო გადავალებინე. სამწუხაროდ, მას შემდეგ ხატი აღარ გამოსცემს ნათელსა და სურნელებას. ხომ არ დავაშავე ხატის წინაშე?**

— რთულია კონკრეტული პასუხის გაცემა თქვენს ხატთან დაკავშირებით, იყო თუ არა ეს მართლაც სასწაული. თქვენ უნდა დაიწყოთ გულმხურვალე ლოცვა და თუ თქვენი ცხონებისათვის სასარგებლო იქნება, უფალი გამოავლენს მადლს თქვენ მიმართ და ხატი წარმოგიჩენთ სასწაულს. ხოლო თუ ასე არ მოხდა, არც ეს იქნება ტრაგედია — ხატი ხომ ისედაც ახდენს სასწაულს, სამყაროს ვუკავშირდებით მისი მეშვეობით!

**— ცოტა ხნის წინ გამოვიდა ახალი გაზეთი, რომელიც რომანტიკულ საბურველში ხვევს ეროტიკულ მოვლენებს და ფართო გასაქანს აძლევს სექსუალურ ფანტაზიებს. მე ეს ფაქტი პორნოგრაფიაზე უფრო მეტ საშიშროებად მეჩვენება და „ანათემას" ღირსადაც მიმაჩნია. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— სამწუხაროდ, მსგავსი ხასიათის გაზეთების გამოჩენა სიმპტომატური გახდა დღევანდელი საქართველოსთვის. ეს იმის დადასტურებაცაა, თუ რამდენად დაცემულნი ვართ სულიერად. რაც შეეხება ამ გაზეთის გამომშვებებს და ორგანიზაციას, ვინც მისი გამოცემის ნებართვა გასცა — ისინი პასუხისმგებელნი არიან ღვთის წინაშე და თითოეულ სიტყვაზე აგებენ პასუხს და მოუნანიებელი აღსასრულის შემთხვევაში სამუდამოდ იქნებიან მოწყვეტილნი მარადიულ სასუფეველს.

**— ჩემს შვილს სკოლაში რელიგიის მასწავლებელმა აუხსნა, რომ არ არსებობს ცოდვა, რომელსაც არ აპატიებს უფალი, აღსარებაში მონანიების შემთხვევაში. ასეც სჩადის ერთსა და იმავე დანაშაულს და სულ ერთნაირადვე მპასუხობს — მოვინანიებ და უფალი შემინდობსო. როგორ უნდა შევაგონო, რომ დანაშაული აღარ გაიმეოროს?**

— ბავშვს უნდა აუხსნათ, რომ აღსარებისას ჭეშმარიტად მიტევებულად მხოლოდ ის სინანული მიიჩნევა, რომელიც ადამიანს ჩადენილ ცოდვას აღარ გაამეორებინებს, რომ მონანიების არსი არის ცოდვის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შეცვლა, ბრძოლა მის სრულ აღმოფხვრამდე; ისე კი, არც უფროსებს ავნებთ, იცოდნენ, რომ აღსარების საიდუმლოში ხდება ცოდვათა მიტევება და არა განკურნება ცოდვის მიმართ მიდრეკილებისაგან.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

კვირის პალიტრა

# გზა

**დარწმუნებულები ვართ, „კვირის პალიტრის“ ერთგული მკითხველებისთვის მისი ყოველკვირეული დამატება – ჟურნალი „გზაც“ არ უნდა იყოს უცხო. „გზის“ მკითხველი კი, „პროვოკატორსაც“ უნდა იცნობდეს, რომლის „მიმოხილვებითაც“ იწყება ხოლმე ყოველი ნომერი.**

**დღეს „პროვოკატორი“ ჩვენი გაზეთის სტუმარია, რის მიზეზიც „კვირის პალიტრის“ წინა ნომრის სარეიტინგო გამოკითხვის შედეგები გახდა.**

# ქურდები, დემოკრატია და... „ალალი“ მეათე ადგილი

ხანდახან, გინდ ჩვენი და გინდაც სხვა გაზეთის გადაშლისას, გამცინებია — ანტიდემოკრატიული ხელისუფლებაო, ადამიანის უფლებების შელახვაო, სიტყვის თავისუფლების დათრგუნვაო, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ჩაგვრაო და რა ვიცი, ათას რამეს აბრალებენ ჟურნალისტებიც და სხვა მოცლილი „ენაფხანიებიც“ საქართველოს სამივე ხელისუფლებას!

სასაცილოა, აბა, რა არის: სიტყვის თავისუფლება თუ იზღუდება, შენ საიდანღა ბეჭდავ დასტა-დასტა გაზეთებში და ტლიკინებ რადიო-ტელევიზიაში?! ე.ი. იმის უფლება და საშუალება მაინც გაქვს, რომ შენს უუფლებობაზე ილაპარაკო, არა?! ყველაზე მეტად კომუნისტებისა და მოკომუნისტო ადამიანებისა გამკვირვებია, ვინც იმ „ძველ დროს“ მისტირის — ეს რა მთავრობააო, ხმას არ გვალებინებენო, მიტინგს არ გვატარებინებენო, ესაო, ისაო... ვითომ ადრე საპირველმაისო და საშვიდნოემბრო დემონსტრაციების გარდა, რამე ენახოთ — რუსთაველზე სამი კაცი რომ დადგებოდა სალაპარაკოდ, მილიციელი მიდიოდა და, დაიშალეთ, ნუ შეჯგუფდებითო — უბრძანებდა.

არჩევნები ავიღოთ: აბა, ერთი გეთქვა, რატომ არის მხოლოდ ერთი კანდიდატიო, ან მეზობლისთვის გეჩივლა, რომელსაც მთელი ეზოს ბარათები მიჰქონდა საარჩევნო უბანში და ბიულეტენებსაც — პირდაპირ სტამბიდან მოტანილს, დასტად შეკრულს „დებდნენ“ ყუთებში!

გაბედავდა მაშინ ვინმე იმის თქმას, რომ ეს არადემოკრატიული იყო?! ვერ გაბედავდა! ახლა კი, ნებისმიერს შეუძლია, ხმამაღლა იძახოს, რომ არჩევნები დარღვევებით, გაყალბებებითა და მამძალლობებით, ერთი სიტყვით — არადემოკრატიულად ჩატარდა! აი, სწორედ ეს არის დემოკრატია და პლურალიზმი!

სულაც პროტესტის ერთ-ერთი ფორმა — შიმშილობა ავიღოთ: ვილაც ამერიკელ პაიდერს მთელი საბჭოთა კავშირი გულშემატკივრობდა, როდესაც „პოლ ბრეგის მეთოდით“ გახდომა, მაინცდამაინც თეთრი სახლის წინ წამოწოლილმა მოინდომა. დღეს კი, ჩვენში, ამ დალოცვილი „გაგანია დემოკრატიის“ დროს, მიდი და იშიმშილე, რამდენიც გინდა, ნებისმიერი მოთხოვნით — პრეზიდენტის გადადგომა, რვა თვის პენსიის გადახდა (წარმოიდგინეთ, ადრე რვა თვის პენსია რომ ერთად მოგეთხოვა), უგამოცდოდ დიპლომის აღება, ეზოში გარაჟის აშენების უფლება და ა.შ. (თანაც, თუ „ნებით“ არ იშიმშილებ, ძალით გაშიმშილებენ).

თუნდაც სხვადასხვა სახის გამოკითხვებსა და სოციოლოგიურ კვლევებზე ვთქვათ: ჩემს ჯეელობაში ათ საათზე „ვრემია“ რომ დაიწყებოდა მოსკოვზეც, თბილისზეც, ერევანზეც და საერთოდ, ყველა არხზე, კოსმონავტებითა და ბრეჟნევით გვესალმებოდა (თუკი იმ პაიდერის შიმშილობის „ორასმერამდენილაცე“ დღე არ იყო) და ვილაც „გელაპის“ ინსტიტუტის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებით გრძელდებოდა (რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, ამერიკაში კი ფუნქციონირებდა, მაგრამ „მგზნებარე საბჭოთა ჩეკისტებით“ ყოფილა დაკომპლექტებული). ეს „შედეგები“ კი, დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: ამერიკელთა 87,6% უმუშევარია, მათგან 76,8%-ს თავის მოკვლა აქვს გადაწყვეტილი იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებლად საბჭოთა კავშირში არ გამოუშვებენ; ყოველ წელს, აშშ-ში „ლინჩის წესით“ ასამართლებენ და მხეცურად კლავენ მილიონ-ნახევარ ზანგს და რვაასი ათას მულატს, რაზეც ქვეყნის ბიუჯეტის 25% იხარჯება და ა.შ.

აბა, თუ მაგარი ბიჭი იყავი, ეჭვი შეგეტანა ამ ინფორმაციის უტყუარობაში! თან, აზრადაც არ მოგივიდოდა — ეს ხომ თვით ამერიკული ინსტიტუტის მონაცემები იყო.

ასე გვატყუებდნენ და როგორი ბნელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ის დრო ენატრებოდეს?!

დღეს კი, არათუ ნებისმიერ გაზეთსა და ტელეარხს, არამედ ყველა ჯიხურსა და სადარბაზოში გახსნილ ინსტიტუტსა თუ აკადემიას შეუძლია და ატარებს კიდეც გამოკითხვებს არა მხოლოდ პოლიტიკურ და სოციალურ, არამედ უბრალო, ყოფით თემებზე. მაგალითად, შესაძლოა უთენია დაგირეკონ კარზე ზარი, გულგახეთქილი წამოვარდეთ ნიფხავ-პერანგის ამარა სოფლიდან უდროო დროს ჩამოსული ნათესავის ან წყლის ჩაშვებით გადარეული ქვედა მეზობლის მოლოდინში და... ხელთ ცქრიალა, 17-18 წლის გოგონა შეგრჩებათ, რომელიც ჟღურტულა ხმით გეტყვის:

— გამარჯობათ, მე ჯოტია ცაავას სახელობის ნავთლუღის სოციოლოგიური კვლევის აკადემიიდან განუხებთ, — თან ფერად-ფერად ფურცლებს აშრიალებს — ჩვენ გამოკითხვას ვატარებთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით! ერთადერთი კითხვით შეგაწუხებთ: რომელ საათზე დგებით დილით?

როგორია?! მე მგონი, კარგია! ჩამოივლიან ასე, შეკრებენ „მონაცემებს“, მერე იმ „აკადემიის“ „აკადემიკოსები“ დაადგენენ, რომ საქართველოში ხალხს ძილი არ ჰყოფნის, მიიღებენ გრანტს საძილე საშუალებების შემოსატანად და უფასოდ დასარიგებლად, დაუკავშირდებიან სხვა „გრანტიჭამიებს“, ნახევარს იმათ მისცემენ, ისინი გაყიდიან, შემოსული ფულის ნახევარს ისევ იმათ დაუბრუნებენ და ა.შ. „სოფელიც შენდება“ და ყველა კმაყოფილია.

ყოველთვის ასეც არ არის საქმე — „პლებისციტის“ შეკითხვა, შესაძლოა „კომბინირებულიც“ იყოს, ასე ვთქვათ — „პოლიტიკურ-შემეცნებითი“. მაგალითად: „ვინ არის საქართველოში ყველაზე სიმპათიური პოლიტიკოსი მამაკაცი და თქვენი ნება რომ იყოს, რომელ პოლიტიკოს ქალს „შეუწყვილებდით“ მას?“ ესეც საქმიანი კითხვაა: დააჯამებენ შედეგებს და რეკომენდაციებს უგზავნიან „გამარჯვებულ“ კანდიდატებს. ისინი შემდეგ თვითონ მიხედავენ საქმეს.

ერთი სიტყვით, შაყირი და ირონია გვერდით გადავდოთ და ვაღიაროთ, რომ ეს გამოკითხვები, თუკი ჩვენებური არჩევნებივით არ ჩატარდა, მართლაც საზოგადოებრივი აზრის სარკეა. უფრო მეტ ნდობას კი, ალბათ, თავისუფალი პრესის მიერ მოწყობილი მკითხველთა გამოკითხვა იწვევს და ამას იმიტომ არ ვამბობთ, რომ ჩვენი გაზეთი, უკვე რამდენიმე წელია, ყოველკვირა აწყობს გამოკითხვებს.

თავად განსაჯეთ: დაახლოებით ათასი კაცი, სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ-ქონებრივი ფენის წარმომადგენელი, რომლებიც ერთსა და იმავე კითხვას პასუხობენ, ვფიქრობთ, სრულიად საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ გავიგოთ, რას ფიქრობს ხალხი ამა თუ იმ საკითხზე.

და თუ ირონიაა, ირონია ამ შემთხვევაში შეკითხვებთან დაკავშირებით კი არა, ხშირად შედეგების შეჯამებისას უნდა მოვიშველიოთ, რადგან, როგორც ამბობენ — სიცილი ყველაფრის მკურნალია. არადა, ხანდახან ისეთი შედეგებია ხოლმე, ე.ი. თურმე ხალხს ისეთი აზრი აქვს მართლაც საჭირბოროტო საკითხზე, რომ ქვეყნისა და სახელმწიფოს გულშემატკივარ კაცს ან უნდა გაგეცინოს, ან გული უნდა გაგისკდეს!



აი, მაგალითი — ჩვენი გაზეთის სარეიტინგო კითხვა წინა კვირაში ასეთი გახლდათ: „ვინ იყო ივნისის თვის ადამიანი საქართველოში?“

გამოკითხვის „ლიდერებს“ თავი გავანებოთ, რადგან ჩვენთვის საინტერესო „ამბავი“ ათეულის ბოლოში ხდება: მეცხრე-მეათე ადგილებს თანაბარი ქულებით (0,7-0,7%) იყოფენ კანონიერი („რამკიანი“) ქურდი შაქრო კალაშოვი (პრესაში მისმა სახელმა იარაღის კონტრაბანდის ამბავთან დაკავშირებით გაიჟღერა) და... აბა, თუ მიხვდებით, ვინ?! ვინ, და — საქართველოს ორგზის 90%-ით არჩეული პრეზიდენტი, „მსოფლიო რომ ტაშს უკრავს“, — სწორედ ის!

მოდი ახლა და, ნუ ილადავებ! არა, ერთის მხრივ, მართლაც დემოკრატიის მწვერვალად უნდა ჩაითვალოს ორი ასეთი განსხვავებული „პროფესიის“ (ოფიციალურად მაინც) ადამიანის „ღვაწლის“ ერთნაირი შეფასება, მაგრამ, შესაძლოა, „მეგობარმა ქვეყნებმა“ ვერ გაგვიგონ!

ისე, 0,7%, თავისთავად, არ არის ურიგო შედეგი — ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ყოველი 1000 ადამიანიდან 7(!) პრეზიდენტის კურსის მომხრეა! ბატონ კალაშოვზე არ გვაქვს საუბარი, რომელსაც, ვფიქრობთ, სულაც არ გაუხარდებოდა თუნდაც რაღაც რეიტინგში „ფრაერის“ გვერდით დგომა. ბოლოს და ბოლოს ის კაცი იმიტომ არის ამდენი წელია იმ „სტატუსში“, რომელშიც არის, რომ რაც აილო თავის თავზე, იმას ანაღდებს, თორემ „იმპიჩმენტი“ მაგათ წრეში რომ იციან, ისე რომ იყოს ქართულ პოლიტიკაშიც, მაშინ ვნახავდი ბევრ ხელისუფალს კუპრის ქვაბში.

თუმცა, მთლად ისეც არ უნდა გავიგოთ, რომ ეს „საკრალური“ 0,7% მხოლოდ პრეზიდენტის პოპულარობის საზომია. როგორც რუსები ამბობენ, — „Каждый понимает по мере своей испорченности!“ იქნებ ასეთი დაბალი მაჩვენებელი სულაც მისი თანდაყოლილი მორიდებულობის შედეგია? კი, ნამდვილად ასე იქნება. აი, ნახავთ — ივლისში უფრო „მორიდებული“ იქნება და 0,5%-ს აიღებს, აგვისტოში — 0,3%-ს, სასექტემბროდ კი... თუმცა, დავლოდოთ, სექტემბრამდე არცთუ ისე დიდი დროა და თანაც ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი უცებ და გაუთვალისწინებლად (ხალხისთვის) ხდება.

*„პროვოკატორი“*


## ახალი იმოდიუმ ლინგვალური

### სწრაფად და მზრუნველობით აჩერებს დიარეას




ეს ენაზე სწრაფადხსნადი პატარა ტაბლეტები, რომელიც არ მოითხოვს წყლის მიყოლებას:

- შეუცვლელია შემთხვევაში, როდესაც დიარეას (ფაღარათს) თან ახლავს გულის რევა და პირღებინება;
- *მიღებისათვის მოხერხებულია ნებისმიერ პირობებში: სახლში, სამსახურში, გამოცდების პერიოდში ან თათბირებზე, აგარაკზე, მოგზაურობისას;*
- იძლევა საშუალებას მოაგვაროთ პრობლემა გარშემომყოფთათვის შეუმჩნევლად.

რა არის ახალი იმოდიუმ ლინგვალი?

- სწრაფად აჩერებს დიარეას;
- ქმნის პირობას ნაწლავების ნორმალური მუშაობის აღდგენისათვის;
- ამცირებს პერიოდს, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის მთლიანად აღდგენისათვის დიარეის შემდეგ;
- ახალი იმოდიუმ ლინგვალის უსაფრთხოება დადასტურებულია მსოფლიო გამოყენების გამოცდილებით.

როგორ მივიღოთ იმოდიუმ ლინგვალი?

დიარეის გაჩენისას - დაიდეთ 2 ტაბლეტი ენაზე, ნუ მიაყოლებთ წყალს.

უმრავლეს შემთხვევაში ეს დოზა საკმარისია დიარეის შესაჩერებლად.

თუ თხევადი განავალი განმეორდა - მიიღეთ 1 ტაბლეტი ყოველი თხევადი განავლით კუჭში გასვლის შემდეგ

არ მიიღოთ 8 ტაბლეტზე მეტი დღის განმავლობაში

დამატებითი ინფორმაციისათვის
ტელ.: 94 13 39 10.00-18.00
(დასვენების დღეები: შაბათი-კვირა).

„ჯონსონ ჯონსონის“ კორპორაცია
ფირმა „იანსენ-სილაგი“



## გამოცდილი და საიმედო პრეპარატი!



პოლიჟინაქსი –
ვულვოვაგინიტების
უსაფრთხო და ეფექტური
მკურნალობა
ქალებისა და გოგონებისათვის

ნებისმიერი ქალისათვის

# პოლიჟინაქსი

- გამოიყენება (სოკოვანი, ბაქტერიული, შერეული) ვაგინიტების მკურნალობის დროს
- როგორც პროფილაქტიკური საშუალება გინეკოლოგიაში ყველა სახის ოპერაციული ჩარევის წინ
- მისი გამოყენება უსაფრთხოა
  ახდენს სამოზე ლოკალურ მოქმედებას
  არ იწოვება სამოს ლორწოვანიდან
  არა აქვს სისტემური ტოქსიკურობა
- გამოიყენება ორსულებშიც




სერტიფიცირებულია

პოლიჟინაქსი პოლიჟინაქსი ვირგო

მკურნალობის სრული კურსის ხანგრძლივობა 12 დღე

იკითხეთ პსპ-ს აფთიაქებში

წარმომადგენლობა ინოტექ საქართველოში

LABORATOIRE INNOTECH INTERNATIONAL

# პანკისის ხეობაში სიტუაციას ქართველი ძალოვნები ვერ აკონტროლებენ



როგორც მოსალოდნელი იყო, ოფიციალურმა თბილისმა მტკივნეულად აღიქვა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ პრესკონფერენციაზე ნათქვამი — რუსეთის დაუხმარებლად საქართველო პანკისის ხეობის პრობლემას ვერ მოაგვარებსო. საქართველოს პრეზიდენტმა სტამბოლის სამიტზე განაცხადა, რომ „აუცილებლად დეტალურად შეისწავლის" თავისი რუსი კოლეგის პოზიციას.

თუ დავუჯერებთ საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან კავშირისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორს ბატონ სიხარულიძეს, საქართველო მზად არის, პანკისის ხეობის პრობლემის მოსაგვარებლად მიიღოს რუსეთის დახმარება, ოღონდ არა სამხედრო სახისა.

პოლიტიკური მოძრაობა „ერთობის" ლიდერი დეპუტატი ჯუმბერ პატიაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება დამოუკიდებლად ვერ შეძლებს პანკისში სიტუაციის განმუხტვას. იგი ამბობს, რომ ამერიკელები, რომლებიც ორი წელი მოუნდებიან სპეცრაზმის მომზადებას, ვერ გადაწყვეტენ იმ პრობლემას, რომელიც დღეს აწუხებს საქართველოს; ამიტომაც ქვეყნის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა სთხოვოს დახმარება რუსეთს პანკისის ხეობაში ქართულ-რუსული ერთობლივი ოპერაციის ჩასატარებლად.

სრულიად საპირისპირო აზრისაა დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი ავთანდილ იოსელიანი. მან განაცხადა, რომ უცხოელი სპეცსამსახურებისა და, მით უფრო, ჯარების მოზიდვამ პანკისში, შეიძლება ფართომასშტაბიანი ომი გამოიწვიოს რეგიონში და საქართველო „მეორე ჩეჩნეთად" გადააქციოს.

— უფრო მეტიც, — თქვა იოსელიანმა, — მოსკოვის მიერ შეთავაზებულმა სცენარმა შეიძლება საქართველო მთელი ისლამური სამყაროს სამიზნე გახადოს. ამიტომაც, მან თავისი პრობლემების გადაწყვეტა არ უნდა ანდოს არც ამერიკის, არც რუსეთის და არც სხვა ქვეყნის ჯარებს. ჩეჩნები უნდა წავიდნენ საქართველოდან და ამაში საქართველოს ხელისუფლება მათ ხელს არ შეუშლის.

პანკისის ხეობაში კი, სიტუაციის კონტროლი თანდათან ხელიდან ეცლება საქართველოს ძალოვნებს. ღამღამობით ხეობაში შეუფერხებლად შედის აუარებელი იარაღი, საზენიტო კომპლექსები და სხვა აღჭურვილობა. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა მოსკოვში, ჟურნალისტებთან შეხვედრისას თქვა, — დავილალე იმ დოკუმენტების კითხვით, თუ როგორ მზადდება საქართველოს ტერიტორიაზე, პანკისის ხეობაში, რუსეთის წინააღმდეგ ტერორისტული აქტებიო.

უეჭველია, რომ ბოევიკები რუსეთისკენ გასწევენ. ჩეჩენი ბანდფორმირებების ლიდერებს მათმა საზღვარგარეთელმა სპონსორებმა სერიოზული მიზანი დაუსახეს — 1996 წლის აგვისტოს განმეორება. ბოევიკები რომ წელს გროზნის აღებას აპირებენ, ამას ადასტურებს საზღვარგარეთიდან მათთვის გადმორიცხული თანხები.

საინტერესო ინფორმაცია მოვიდა აშშ-დან. გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, ჩეჩენ ბანდფორმირებებს, გულუხვად აფინანსებდა მუსლიმანური საქველმოქმედო ფონდი „ალ ბირ ალ დავალია", რომლის მიზანი იყო კონფლიქტის ზონებში მუსლიმანებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა.

გფბ-ს მიერ დაპატიმრებულმა ფონდის ხელმძღვანელმა ეაამ არნაუტმა, იმავე აბუ მაჰმუდმა, აღიარა, რომ ჩეჩნეთის ბანდფორმირებათა დასაფინანსებელი ფული ირიცხებოდა „ალ ბირ ალ დავალიას" ანგარიშზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და ლატვიის საბანკო განყოფილებებში. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაადგინა, რომ მარტო 2000 წელს, ოთხი თვის მანძილზე, ხატაბისა და ბასაევის ბანდებმა ამ განყოფილებებიდან თითქმის 700 ათასი დოლარი მიიღეს. სულ გამოვლენილია დაახლოებით ოცი ასეთი „სპონსორი".

ექსპერტების დასკვნით, რუსეთის სამხრეთით დაძაბულობის კერის შესანარჩუნებლად, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები ყოველწლიურად 20-დან 30 მლნ-მდე დოლარს ხარჯავენ.

*ნეზავისიმაია №127*

# ქართველი მეცნიერების ახალი აღიარება

**Science magazine**

## დავით ლორთქიფანიძე: ყოველ ახალ აღმოჩენას შამპანურით „ვასველებთ"...

*„საიენსი" იშვიათად უბრუნდება იმავე თემებს...*

***მაგრამ ამჯერად გამონაკლისი „დაუშვა" და მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულმა სამეცნიერო ჟურნალმა „საიენსმა" (აშშ) 5 ივლისის ნომერში კვლავ ვრცელი რეპორტაჟი დაუთმო დმანისში აღმოჩენილ 1,7-1,8 მლნ წლით დათარიღებული ჰომინიდის (პირველი ადამიანის) ნაშთების კვლევის უახლეს შედეგებს.***

„კვირის პალიტრის" მკითხველისთვის ცნობილია, რომ ამ სამი წლის წინათ დმანისში აღმოჩენილმა ჰომინიდების ნაშთებმა დაადასტურა, რომ პირველი ადამიანი ევრაზიაში სწორედ საქართველოდან მოხვდა. ასე რომ, საქართველო პირველი ევროპელის სამშობლოდ აღიარეს. ეს აღმოჩენა ჟურნალმა „საიენსმა" 2000 წლის მსოფლიო აღმოჩენათა სამეულში (მეორე ადგილზე) დაასახელა.

შარშან აგვისტოში კიდევ ერთი ჰომინიდის თავის ქალის აღმოჩენამ დმანისში ისევ აალაპარაკა მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება.

და აი, „საიენსის" ახლანდელი გამოხმაურება სწორედ ამ აღმოჩენას ეძღვნება.

ვესაუბრებით დმანისის პალეოანთროპოლოგიური გათხრების ხელმძღვანელს, პროფესორ **დავით ლორთქიფანიძეს**.

**— ბატონო დავით, „საიენსი" თავის ბოლო ნომერში პირველ თემად დმანისის აღმოჩენას წარუდგენს მკითხველს, თქვენი კომენტარი.**

— უფრო მეტსაც გეტყვით, ამერიკის ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოების (ამ საზოგადოების მხარდაჭერით წარმოებს გათხრები დმანისში. — ე.ს.) სატელევიზიო ჯგუფმა მოამზადა ფილმი დმანისის აღმოჩენებზე და ამ დღეებში მას მთელი მსოფლიო იხილავს. გარდა ამისა, ასევე პოპულარული ჟურნალი „ნეშენელ ჯეოგრაფი" მთელ 10 გვერდს და გარეკანს უთმობს ჩვენს მიღწევებს. ეს ჟურნალი კი 10 ენაზე იბეჭდება და მისი ტირაჟი 50 მილიონია!

**— დმანისში გათხრები და მეცნიერული კვლევები ისევ გაგრძელდება?**

— უკვე დავიწყეთ მორიგი გათხრები. ამჯერად ძირითადად ახალგაზრდა სპეციალისტები იმუშავებენ ჰარვარდის, მიჩიგანის, ნიუ-იორკის, სორბონის, ოქსფორდის, ბარსელონის... და თბილისის უნივერსიტეტებიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი თაობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება ერთმანეთს და დიდი მასშტაბით მოხდება ქართული მეცნიერების ინტეგრაცია მსოფლიო მეცნიერებაში.

**— ახალგაზრდა მეცნიერების საკომუნიკაციო ენა რომელია დმანისში?**

— ინგლისური და... (იცინის) ქართული.

**— ქართული ენა თქვენს პროგრამაში რა „დოზითაა" ჩართული?**

— ცალკეულ სიტყვებს ხალისით სწავლობენ, მაგრამ ქართული ცხოვრების წესს კი „სრულყოფილად" ეუფლებიან... ყოველ ახალ აღმოჩენას შამპანურით „ვასველებთ"...

**— იმედია, წლევანდელ გათხრებზეც ბევრჯერ მოგიწევთ შამპანურის გახსნა...**

— ამაში სავსებით ვართ დარწმუნებული ექსპედიციის ყველა წევრი. მით უმეტეს, რომ დმანისის საკვლევი ტერიტორიის მხოლოდ 5 პროცენტი გვაქვს ათვისებული.



უკვე მსოფლიოში ცნობილი ქართველი პალეოანთროპოლოგები: წინა პლანზე მედეა ნიორაძე, დავით ლორთქიფანიძე, აბესალომ ვეკუა

*ელენე სალარიძე*

# კოტე მახარაძე — საუდის არაბეთმა ჩეჩნებს მოქალაქეობა რომ მისცეს, კარგი იქნება?!



კირილ ლავროვთან ერთად

ამბობენ, გენიალურ პუშკინს პირველი ძეგლი თბილისში დაუდგესო. ის ახლაც დგას მისივე სახელობის ბაღში...

რა დაემართა ამ ბოლო, თხუთმეტ წელიწადში ამ ორ ქვეყანას, რა შავმა კატამ გაირბინა ჩვენ შორის? ვის აძლევს ეს ხელს?

მოსკოვში, ჩემი წიგნის, „რეპორტაჟი უმიკროფონოდ", პრეზენტაციაზე, სადაც მრავლად იყვნენ ქართული და რუსული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლები, წინადადება წამოვაყენე, შეგვეგროვებინა ხელმოწერები, რათა ბოლო მოეღოს იმ ქიშპობას, რომელიც უცხოა ორივე ხალხის ინტერესებისა და მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობისთვის. ამ მიმართვას საქართველოში უკვე მილიონზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი! მაგრამ იციან კი ამის შესახებ რუსეთში? სამწუხაროდ, არა.

საერთოდ, რა ხდება, ვერაფერი გამიგია... არ მესმის, სამი წელიწადი რატომ მალავდნენ ქართველი პოლიტიკოსები პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკების ყოფნას? ვერც რუსებისა გამიგია — ცხრა წელიწადია გაიძახიან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელიაო, მაგრამ თვითონ თითს თითზე არ აკარებენ ამ მთლიანობის ალსადგენად. პირველი ნაბიჯი მაინც გადადგან — მშვიდობისმყოფელები გადააადგილონ გალის რაიონისკენ, სადაც ქართველთა 95% ცხოვრობდა, მაშინ ლტოლვილთა ნახევარი მაინც ხომ დაუბრუნდებოდა მშობლიურ კარ-მიდამოს.

ვერ გამიგია, რა ხდება აფხაზეთში. იქ აფხაზებს დაუბრკოლებლად აძლევენ რუსეთის მოქალაქეობას. მაშინ გამოდის, რომ თუ აფხაზეთში მცხოვრები ასი ათასი კაცი რუსეთის მოქალაქე გახდება, ტერიტორიულად აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დარჩება, მაგრამ მისი მკვიდრნი, ანუ სეპარატისტული ნაწილი, დე იურე რუსეთისა გახდებიან? აი, ასეთი პენალტი მიიღო საქართველომ რუსეთიდან. არადა, აფხაზეთი დე ფაქტო ახლაც რუსეთის ტერიტორია არ არის? ქართველებისთვის სავიზო რეჟიმია შემოღებული, აფხაზები კი თავისუფლად მიდი-მოდიან რუსეთში, რუსები კი აფხაზეთში — უვიზოდ. მეტიც, რუსეთის დუმაში აფხაზეთის სეპარატისტთა თხოვნა იხილებოდა — რუსეთის შემადგენლობაში გვინდაო. მაშინ, ვკითხულობ: რატომ არ ვაძლევთ ხმას ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას? საინტერესოა, რა გუნებაზე დადგებიან დუმაში, ვთქვათ, საუდის არაბეთმა რომ ჩეჩნებს მოქალაქეობა მისცეს? არა იმიტომ, რომ ჩეჩნები აიბარგონ და იქ გადასახლდნენ, არამედ იცხოვრონ ჩეჩნეთში და ამავე დროს საუდის არაბეთის მოქალაქეები იყვნენ.

ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მე მგონი, ჩვენი მეთაურები საქმის გამკეთებლები არ არიან. სწორედ მათ გასაგონად მივმართე რუსეთისა და საქართველოს ხალხებს, რადგან ჩვენს თავკაცებს ყური აქვთ და არ ისმენენ, თვალი აქვთ და ვერ ხედავენ...

მაშ, იქნებ, ჩვენ თვითონ მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას? ვგულისხმობ მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების და ლიტერატურის მუშაკებს.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ სახალხო დიპლომატია უფრო ეფექტიანად წყვეტს სადავო საკითხებს, რადგან სიმართლისთვის თვალის გასწორება შეუძლია.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №25*

# საქართველოს რუსეთის რადიოაქტიური მემკვიდრეობა ერგო



ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ექსპედიცია (МАГАТЭ) თებერვლიდან ეძებდა რვა ელექტროგენერატორს, რომელიც ძლიერ რადიოაქტიურ ელემენტებს შეიცავს. ექვსი მათგანი ნაპოვნია, ორი უკვალოდ გაქრა. გენერატორები ელექტროენერგიით ამარაგებდნენ საქართველოში მყოფ რუსეთის სამხედრო ბაზებს, რომლის დატოვება მოსკოვს შარშან, წლის ბოლოს მოუხდა. მათ შორისაა გუდაუთის ბაზა. ამ რეგიონს საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. „მაგატე" სწორედ ამ რეგიონში აწარმოებს ძიებას. მხოლოდ ორი აგრეგატი სტრონციუმ-90-ის იმდენ იზოტოპს შეიცავს, რამდენიც ამოიფრქვა ჩერნობილში 1986 წელს. წყალბადის ობიექტებზე მეთვალყურეობის ქართული განყოფილების უფროსი სერგო კაკუშაძე შიშობს, რომ სინამდვილეში შეიძლება მეტ რაოდენობაზე იყოს ლაპარაკი. როცა რუსები სამხედრო ბაზებს ტოვებდნენ, მათ ასობით რადიოაქტიური წყარო დატოვეს ისე, რომ არც შეუტყობინებიათ საქართველოს მთავრობისთვის. 1991 წლიდან კაკუშაძის დაწესებულებამ, სადაც სულ თორმეტი თანამშრომელია, რადიაციის 289 „გამოუსადეგარი" წყარო აღმოაჩინა, აქედან 120 — „მაგატეს" დახმარებით, რომელსაც დროებით საცავში ინახავენ. კაპიტალური საცავის ასაშენებლად საქართველოს ფული არ გააჩნია. სასაზღვრო ჯარების სარდალმა ვალერი ჩხეიძემ ბრალი დასდო მოსკოვს „დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობაში" და ეს ასეცაა. არადა, დაკარგული გენერატორები სრულყოფილი ატომური ბომბისთვის თუ არა, „ბინძური ბომბისთვის" მაინც გამოდგება, რომელმაც შეიძლება საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე რადიოაქტიური მოწამვლა გამოიწვიოს.

*NRZ-Online (გერმანია)*






ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გენიოსობენ

**3 წლის ელენე საპანაძე** უყურებს, ეზოში როგორ არბენინებენ ლორები ნინო ბებოს.

ამის შემხედვარე ელენემ ცოტა ხანი იფიქრა და მიუმღერა:

„ნინა ბებო დაფრინავს,
ნინა ბებო არ დადის...“

***

**პატარა აჩი** გაკვირვებული შეჰყურებს მოციმციმე ნათურას და ბებიას ეუბნება:

— ნახე, ნახე, შუქი როგორ ცელქობს.

***

**2 წლის დათა** ეკითხება ბებიას:

— ბებო, გზას კარი აქვს?

— არა, — პასუხობს ბებია.

— მაშ, როგორაა გზა გადაკეტილი?

***

**3 წლის გიორგი ჯოხაძე** დედამ ამერიკიდან ჩამოტანილი შამპუნით აბანავა. აბაზანიდან გამოსულმა ბიჭმა დიდედას მიაშურა:

— ლილი ბებო, ნახე, რა კარგი შამპანურის სუნი მაქვსო.

***

**3 წლის აჩი მაჭუტაძე** წვიმიან ამინდში ცდილობს ფეხი ჩაჰკრას გუბეში, დედა უშლის და ეუბნება:

— რეზინის ბოტებს რომ გიყიდი, მერე შეიძლება გუბეში ფეხის ტყაპუნიო. აჩიმ იქვე, გუბეში მოჭყუმპალავე ჩიტები შენიშნა და დედას ჰკითხა:

— დედიკო, ჩიტებს რა, ბოტები აცვიათ?!

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ „მფრინავი თაგვის“ სახელს.






მოძებნე ქვემოთ მოცემული ფრაგმენტები ნახატზე

## იპოვე 11 განსხვავება





მოძებნე განსხვავებული თევზი და თაგვი

მიიყვანე ლომი გვირგვინთან





იპოვე საგანი, რომელიც მარჯვენა ჯგუფში არ არის

ოთხივე ნახატზე ერთი და იგივე ვაშლის ხეა მოცემული, ოღონდ სხვადასხვა მხრიდან. ამის გათვალისწინებით გამოიცანი დანარჩენი ყვავილების ფერები და გააფერადე




## I რებუსი






ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალლო-სალალო“

## ქიავორდი

| მერქნიანი მცენარე | ... პუპი | უბანი თბილისში | განსაცდელი, ფათერაკი, საფრთხე | დათვის საყვარელი ტკბილეული | ღვინისა და დროს ტარების ღმერთი (მითოლ.) |
|---|---|---|---|---|---|

| მდინარის კალაპოტი | საბჭოური მანქანა | ცხვირის ამოზნექილი ნაწილი | მუსიკ. ნოტი | ყურძნის ჯიში | ცბიერი, გაიძვერა | ხევისბერი გოჩას ვაჟი |
|---|---|---|---|---|---|---|

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაია ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ასე გადარჩა ათი ლარი!..



ერთი მეზობელი მყავს, დათო გ., რომელსაც ძმაკაცებში თავი მოაქვს, გენიოსი ბიჭი მეზრდება, ყოველდღე ხუთიანებს იღებს და მეც თავს არ ვიზოგავ, ყოველდღე ათლარიანებს ვჩუქნიო. არ ვიცი, დათოს ძმაკაცები იჯერებენ თუ არა ამ ნათქვამს, მაგრამ ერთხელ რომ მისმა გენიოსმა ბიჭმა, 9 წლის ალეკომ ყური მოჰკრა და დაიჯერა, ამას წყალი არ გაუვა! თანაც დათომ, მეგობრებში რომ აქო თავისი „ორიანებთან დაძმაკაცებული" ბიჭი, შინ მისულმა, ეტყობა, გადაწყვიტა, იქნებ ათლარიანებმა მაინც უშველოსო და უთხრა — ერთ დღეს თუ მაინც არ მიიღებ ორიანს, 10 ლარს გაჩუქებო...

ალეკომ მამას უდარდელად შეხედა და სკოლაში ამჯერად ხალისიანად წავიდა...

— მამა, მამა... — გზიდანვე გაისმა ნაშუადღევს სკოლიდან მომავალი ალეკოს გახარებული ხმა.

— რა იყო, შვილო? — გაეგება ამაყად მომავალი შვილის დანახვით იმედმიცემული დათო და ჯიბეში ათლარიანი მოიჩხრიკა.

— გადაგირჩა, მამი, ათი ლარი, გადაგირჩა!..

*ა.თ., თბილისი*

## „სვარშჩიკები" ბაზალეთში

ერთი ენაკვიმატი მეზობელი მყავდა, გივი — პროფესიით ელექტროშემდუღებელი. იგი ერთხანს ბაზალეთში ცხოვრობდა... ერთხელაც, სოფლის ბირჟაზე, ვითომ შემთხვევით, იქ თავმოყრილ უსაქმურ თუ საქმისმაძიებელ ახალგაზრდებს „გამოუტყდა", ბიჭებო, ნაღდად სარფიანი საქმე ვიშოვეო!



ბიჭებიც დაინტერესდნენ, რა საქმეო? — შემოეხვივნენ ამ ჩემს მეზობელს და გასაქანი არ მისცეს, სანამ არ ათქმევინეს. გივიმაც, მთელი სერიოზულობით გათქვა „სახელმწიფო საიდუმლო": — ბაზალეთის ტბას ფსკერი გაბზარვია, წყალი გასდის და ვინც შედუღება იცის და თანაც კარგი სპეციალისტია, გამოცდიან და ამის შემდეგ მისცემენ სპეციალურ აპარატს, ჩააცვამენ აკვალანგს, ჩაუშვებენ ტბის ფსკერზე და მართალია, სამუშაო საკმაოდ რთულია, სამაგიეროდ კარგად გადაუხდიანო!..

გივიმ ეს კი უთხრა „ბირჟავიკებს", მაგრამ ნათქვამი მაშინვე დაავიწყდა, საღამოს გვარიანად მოულხინა და დილაუთენია ნამდვილად არ აპირებდა გაღვიძებას, რომ არა მის ჭიშკართან თავგანწირული ძახილი.

ნაბახუსევი გივი შეშინებული მივარდა ჭიშკარს, რა ამბავიაო და რას ხედავს, ათიოდე რეზინის ჩექმებში გამოწყობილი ახალგაზრდა გაბრწყინებული სახით დგას და რა დროს ძილია, ძმაო, წამოდი, ბაზალეთი „დავასვარკავოთო"...

გაგრძელებას აღარ მოგიყვებით, მხოლოდ ერთს დავძენ, გივი „სვარშჩიკებს" ცოცხალი გადაურჩა!

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, სოფელი ბაზალეთი*

## რა ნომერია დიმა ობოლაძე?



სპორტული კომენტატორი დიმა ობოლაძე ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ცნობილია, როგორც ერთ-ერთი კურიოზის გმირი და იგი ამჯერადაც იმავე ამპლუაში „გვევლინება".

შარშან, ფეხბურთის მატჩის ბილეთები შევიძინე (თბილისის „დინამო" და ბათუმის „ბათუმი" ხვდებოდა ერთმანეთს ჩვენს სტადიონზე) და ჩემი მეგობარი გოგონა თეა წავიყვანე, რომელიც ფეხბურთში მაინცდამაინც ვერ ერკვევა, მაგრამ „ჩემი ხათრით" წამოვიდა.

შუა თამაშია, გულშემატკივარი აზარტშია შესული. ხან დინამო-დინამო ისმის, ხან ბათუმი-ბათუმი!.. არის ერთი ვაი-უშველებელი, გაწევ-გამოწევა...

თბილისელი მაყურებელი წამდაუწუმ მოთამაშეთა გამოცვლას ითხოვს. თეაც ჩაერთო „ფერხულში" და ხმამაღლა მეუბნება, რა არის ბოლოს და ბოლოს, შემოიყვანონ მოედანზე დიმა ობოლაძეო!..

*ნ.შ., თბილისი*

## მამულის დასაცავად...



ხარაგაულის რაიონის სოფელ მოლითში ცხოვრობდა ჩემი ახლო ნათესავი ბიძინა ყიფიანი, კაცი მახვილგონიერი და ენამოსწრებული. თანასოფლელები ხშირად ცდილობდნენ მისთვის სიტყვის მოგებას, მაგრამ ნურას უკაცრავად.

დიდი სამამულო ომი ახალი დაწყებული იყო. გამოცხადებულია მასობრივი გაწვევა სამშობლოს დასაცავად. სოფლის გასაწვევ პუნქტთან ხალხმრავლობაა. ჩამოიარა ბიძინა ყიფიანმა, ხალხს ჩვეული თავმდაბლობით მიესალმა და გზა განაგრძო. ამ დროს ვილაცამ დაუძახა:

— ბიძინა! ომი დაიწყო და მამულის დასაცავად არ მიდიხარ?

ბიძინა შეჩერდა, მეზობლების შემოუბრუნდა და თქვა:

— რაც მამულები მქონდა, ბოლშევიკებმა რომ ჩამომართვეს ხომ კარგი იყო. ახლა, ჩემო ბატონო, ვინც დაეპატრონა ჩემს მამულს, ფრონტზეც ის წავიდეს და მამულიც იმან დაიცვას, მე დასაცავი აღარაფერი დამრჩაო!

*დურმიშხან ყიფიანი, თბილისი*

## რავა ახლა ჭამს, თუ?!



ჩემი მეგობრის ბაბუა — 90 წელს მიღწეული გურული მოხუცი ლოგინად ჩავარდა. შვილმა და რძალმა თბილისში წაიყვანეს — იქ უკეთ მოვუვლითო. დაახვიეს ექიმები, მაგრამ მოხუცს არაფერი ეშველა — თანდათან უარესობისკენ მიდიოდა. ბოლოს სულ შეწყვიტა ჭამა და სხვა გზა რომ არ იყო, ექიმებმა ურჩიეს მის ოჯახს: მართალია, მოხუცია და ნარკოზის გადატანა გაუჭირდება, მაგრამ მაინც ოპერაცია სჯობს, რალაც შანსი მაინც არის გადარჩენის, ასე კი, უეჭველი სიკვდილი ელისო.

ეს რომ ავადმყოფის სოფელში მცხოვრებმა ძმამ შეიტყო, მაშინვე დეპეშა აფრინა თბილისში: არ გაბედოთ და ექიმებს არ დაუჯეროთ, ჩემი ძმა ოპერაციას ვერ გადაიტანსო.

მაგრამ ოპერაცია მაინც გადაწყდა და ბაბუამ საოპერაციო მაგიდაზევე დალია სული. ჩაასვენეს სოფელში შვილმა და რძალმა. გამოეგება ცხედარს მოხუცი ძმა თავში ხელების ცემით და ტირილით:

— რა გიქნეს აი, ჩემო ძმაო! რავა მოგკლეს და მოგსპეს, შე საცოდავო! და ა.შ. — ერთი სიტყვით, ფაქტობრივად ძმისშვილსა და რძალს დააბრალა თავისი ძმის „მკვლელობა".

სხვა გზა არ იყო და, რძალმა ხალხის გასაგონად მიატირა:

— რა გვექნა, ბიძია, სულ აღარ ჭამდა საჭმელს...

მგლოვიარე მოხუცი უცებ გაჩუმდა, რძალს შეხედა, შემდეგ ხალხს მიუბრუნდა და ისევ ქვითინი აუვარდა:

— რავა, ახლა ჭამს თუ?!

*გია პატარიძე, თბილისი*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანმა ყავაში ჩახედვა მოისურვა და მკითხავს სავსე ჭიქა გაუწოდა.

— არა, ჯერ დალიე და მერე ჩავიხედავო, — უთხრეს.

სვანმა ერთ ყლუპად გადაჰკრა ყავა, ჭიქა გვერდზე გადადო და მკითხავს პირი გაუღო, — აჰა, მიმკითხავეო.

*მერაბ უძილაური, თბილისი*



მიხოს ეკითხებიან:

— შენი სიდედრი სად არის? დიდი ხანია არ დაგვინახავს...

— უცხოპლანეტელებმა წაიყვანეს, ჯო, ვენახის შესაწამლადა!

*პაატა წიქარიშვილი, ხაშური*



მეგრელ სტუდენტს (მომავალ ექიმს) ლექტორი ეკითხება:

— დეტალურად განმიმარტე, რა არის ეროზია?

— მაგას რა დაკონკრეტება უნდა, გვარია, ოღონდ წინა ასო აკლია — „შ"...

*ფერნანდო, კაზრეთი*



სვანი თბილისში ტროლეიბუსის მძღოლს უბრძანებს, აჰა, შენ ფული და მესტიაში ამიყვანეო!

— კი მაგრამ, ტროლეიბუსით როგორ აგიყვანო?!

— არ ვიცი მე, ამიყვანე თორემ მოგკლავ!

რას იზამდა მძღოლი, როგორც იქნა, აიყვანა სვანი მესტიაში ტროლეიბუსით.

მძღოლი სვანის ეზოში ხედავს, მიწაა ამოთხრილი და ვეებერთელა გვირაბი ჩანს. ეს რა არისო, კითხულობს.

— უჰ, კინაღამ დამავიწყდა, გუშინ დავთვერი და მეტროთი ამოვედი!

*ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

გოდერძი ჩოხელი

# ვიცოდი, აუცილებლად იქნებოდა აღდგომა

## დოკუმენტური მოთხრობა



აი, ახლა ამ მოთხრობის წერასაც ძია საშა მაბედვინებს, იგი სულეთის ქვეყნიდან გამომყურებს და თითქოს მაქეზებს:

— დაწერე! დაწერე!

მანამდე კი, სანამ ძია საშა გახდებოდა ჩემთვის, ბატონი საშა იყო, ყველასათვის მკაცრი და წესრიგის მოყვარე ბატონი საშა, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე, რომელმაც სულ ზეპირად იცოდა, რომელ ჯგუფში რამდენი სტუდენტი ვიყავით და ვინ როდის, რამდენი წუთით დავაგვიანეთ ამა თუ იმ ლექციაზე. დაირეკებოდა თუ არა ლექციის დაწყების ზარი, ბატონი საშა შემოივლიდა ინსტიტუტს, ყველა აუდიტორიის კარს შეაღებდა, კარში გაჩერდებოდა და დაითვლიდა: ერთი, ორი, სამი... სად არის მეშვიდე? სად არის მერვე? და ა.შ., იმის მიხედვით, რამდენი სტუდენტი ვაკლდით ლექციას. მე, რაკი მთიდან ვიყავი ჩამოსული, მეცხვარეს მეძახდა. ხშირად მაგვიანდებოდა, განსაკუთრებით, პირველ ლექციაზე და ბევრჯერ მიმისწრია იმ დროს, როცა ჩემი მისამართით ხმამაღლა ყვიროდა ბატონი საშა:

— სად არის მერვე? მე თქვენ გეკითხებით, სად არის მეცხვარე?

— მოვა პატივცემულო, ხომ იცით, შორს ცხოვრობს, — იმხანად ნათესავთან ვცხოვრობდი ლოტკინის გორაზე.

— აგე, აგე მოვიდა! — ეუბნებოდნენ ჩემი თანაკურსელები და მეც დანაშაულში დაჭერილი, თავჩაღუნული ვჩერდებოდი კართან.

— რატომ აგვიანებ, ჰა?! — მერამდენედ მიყვიროდა ბატონი საშა.

— ავტობუსს დააგვიანდა, ბატონო საშა და მეც ველარ მოვედი დროზე.

— ავტობუსი არ ვიცი მე, ავტობუსი არ სწავლობს ამ ინსტიტუტში და რა ჩემი საქმეა, სად დააგვიანდა, შენ რატომ აგვიანებ, შენ, შე მეცხვარე, შენა. რას მოეთრეოდი მთიდან, თუ ინსტიტუტში დროზე მოსვლა არ შეგიძლია, ყოფილიყავი ცხვარში.

— მაპატიეთ, პატივცემულო, მეტს აღარ დავაგვიანებ.

— დააგვიანებ და დაემშვიდობე, მოგიხსნი სტიპენდიას! — მემუქრებოდა ბატონი საშა. მაშინ სტუდენტისათვის სტიპენდია, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულებისთვის, ყოფნა-არყოფნის ტოლფასი იყო და ყველა ვცდილობდით, როგორმე არ დაგვეგვიანა, რომ ბატონ საშას თავისი მუქარა მართლა არ შეესრულებინა. მახსოვს, ერთხელ ერთ ქუთაისელს როგორ დაემუქრა:

— ქუთეისი, მოგიხსნი სტიპენდიას!

— არ მაქვს, პატივცემულო! — ნიშნისმოგებით და ღიმილით შეეპასუხა ქუთაისელი.

— დაგინიშნავ და მოგიხსნი! — თავისი პრინციპიდან არ გადაუხვია ბატონმა საშამ და რაც შეჰპირდა, მართლა შეასრულა.

ქუთაისელმა ბატონი საშასთვის სამაგიეროს გადახდა მოინდომა და თავისი თანაკურსელები აიყოლია. ბუტაფორიული საამქროდან საკურსო სპექტაკლებისათვის გამზადებული კუბო, სასახლეს რომ ეძახიან (ზოგისთვის მართლა რომ სასახლეა და ზოგისთვის მართლა კუბო) თავიანთ აუდიტორიაში შეიტანეს, შიგ ქუთაისელი სტუდენტი ჩაწვა, გულზე ხელები დაიკრიფა და ასე დაელოდნენ ლექციის დაწყებას. დაირეკა ზარი, იმათი აუდიტორიის კარი ჩვეულებისამებრ შეაღო ბატონმა საშამ, დაითვალა სტუდენტები და იკითხა:

— სადაა ქუთეისი?

— მოკვდა, პატივცემულო! — ტირილი მორთეს ქუთეისის თანაკურსელებმა.

ბატონი საშა შეცბა:

— როდის?! როგორ? რა დაემართა?! — კითხულობდა შეშფოთებული.

— ლალიძის წყლის დასალევად იყო შესვენებაზე გადასული, რუსთაველის პროსპექტი გადმოირბინა და მანქანამ დაარტყა. იქვე დალია სული და ეს-ესაა ჩავასვენეთ — ფარდის უკან სასახლეში ჩასვენებული ქუთეისი აჩვენეს სტუდენტებმა და ერთხანს ტირილი შეწყვიტეს; ყველას აინტერესებდა შემდეგი სცენა. ბატონი საშა თავზე დაადგა ქუთეისს და ეჭვით მიმოიხედა. მერე დაბალ ხმაზე წამოიწყო.

— ქუთეისი!

ქუთეისი წევს, არ ინძრევა, არც სუნთქავს, გულზე ხელები აქვს დაკრეფილი.

— ქუთეისი, ადექი ზეზე! — ცოტა ხმას აუწია ბატონმა საშამ. ქუთეისმა უფრო შეიკრა სუნთქვა.

— ქუთეისი, ადექი ზეზე! — ქუთეისი არ ინძრევა.

— ქუთეისი, ადექი თორემ ისევ დაგინიშნავ და ისევ მოგიხსნი სტიპენდიას.

ქუთეისი არ ჩუჩუნებს.

ბატონმა საშამ ჩაიმუხლა, სასახლეში მწოლიარეს გულზე ყური დაადო, ჯერ თავზეწამომდგარ სტუდენტებს ახედა, მერე ქუთეისს ყურში უჩურჩულა:

— ადექი, შე ღვთის უბედურო, თორემ ემანდ მართლა არ გაიგუდო და მერე მე კი არა, ღმერთიც ველარ დაგინიშნავს სტიპენდიას.

„მკვდარი" სასწრაფოდ წამოხტა ფეხზე.

ბატონი საშა მშვიდად გავიდა აუდიტორიიდან. იგი ჩია ტანის კაცი იყო, ასაკი არ ეტყობოდა, მე მგონი, თეატრალური ინსტიტუტის დაარსების დღიდან აქ იყო და მთელი ამ ხნის მანძილზე რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე ხალხი ხშირად გაკვირვებულნი უყურებდნენ, სასტუმრო „თბილისის" ქვეშ მდებარე სახინკლედან როგორ ფაცხაფუცხით მიჰყავდა ქუჩაზე გოლიათები: ხან ბატონი დოდო აბაშიძე, ხან ზურა ქაფიანიძე და რა ვიცი, სავსე იყო გოლიათებით ინსტიტუტი. ვინც არ იცოდა, ვინ იყო ბატონი საშა, გაკვირვებული იყო ამ სანახაობით, ვერაფრით გაეგოთ, რატომ ეშინოდათ ამ გოლიათებს ასეთი ჩია ტანის კაცისა, მაგრამ ათეული წლების მანძილზე მეორდებოდა ასეთი სცენები და ბევრმა უკვე იცოდა, რაც ხდებოდა.

ერთხელ, ის-ის იყო გავცდი ოპერის შენობას, რომ ჩემი თანაკურსელი, კარგად მოსული, თეძოებგანიერი გოგო წამომეწია, შეშინებულმა ხელკავი გამომდო და წამჩურჩულა: ჩქარა, ზარი უკვე დაირეკა, საშა მოგვდევს უკან.

ფეხს ავუჩქარეთ.

უკნიდან გვესმის ბატონი საშას კომენტარები:

— მეცხვარე, ისევ დააგვიანე, არა?

— არ მიიხედო, ვითომ ვერა ვხედავთ, — წამჩურჩულა გოგომ.

— ვითომ არ ესმით. ეს კიდე, ნახე, ნახე, როგორ მიაქანავებს! — გვეწევა ბატონი საშა. ჩემი თანაკურსელი აღშფოთებული სახით მიუბრუნდა და წინ გაუჩერდა.

— ჩანთას, გოგო, ჩანთას, — დაუყვავა ბატონმა საშამ და მერე სამივემ ერთად ავუჩქარეთ ნაბიჯს.

იმ დღეს გადავრჩი, რომ სტიპენდია არ მომიხსნა, მაგრამ ერთი კვირის მერე, ისევ ოპერის თეატრთან მომესმა ჩვენი ინსტიტუტიდან ზარის ხმა.

— მეცხვარე, ისევ არ იშლი დაგვიანებას, არა?! — უკნიდან ბატონი საშას ხმა გავიგონე.

მივიხედე. მართლა ისაა. არ ვიცი, ამ ბოლო დროს თვითონ რატომ აგვიანებს. ეტყობა, ავადაა და მაინც დადის სამსახურში, თავს არ უტყდება. ელდანაცემი გავიქეცი ინსტიტუტისაკენ. ძირს არ ვიხედები, მეშინია, არ დამეწიოს და აუდიტორიაში მინდა დავხვდე შემოწმების დროს. ის-ის იყო, მივაღწიე ინსტიტუტის შესასვლელს, რომ უცებ ასფალტი ჩაინგრა და მიწაში ჩავვარდი. ეტყობა, ამ ადგილას გამდინარე წყლებია და რუსთაველის თეატრის შენობაც, რომელიც ჩვენს ინსტიტუტს ეკვრის, იმან დააზიანა. ცოტა ხნით გონება დავკარგე. მერე ბატონი საშას ხმა შემომესმა:

— მეცხვარეე!

ავიხედე. ქვევრის პირივით პირმორღვეულ ასფალტს ზემოთ ბატონი საშა ჩამომჩერებია:

— რა გინდა მანდ?! მიწის ზემოთ არ გეყო გაცდენები და ახლა მიწაშიც მემალები, არა?! ამოდი ზემოთ! ამოდი ჩქარა!

მე წამოვიწიე, მაგრამ ღონე არ მყოფნის, ისე ვარ გაოგნებული.

— არ ამოდიხარ, ხომ? დამაცა, მოგიხსნი სტიპენდიას და იჯექი მანდ მეორედ მოსვლამდე, აღდგომას დაელოდე. მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა სტიპენდიის მოხსნა! — ორმოში მესმოდა ბატონი საშას მუქარა, რომელიც უკვე ინსტიტუტში შევიდა.

ვიჯექი ბნელ ორმოში და ვფიქრობდი, ეს რა იყო?!

რა დამემართა?!

ან ეს ორმო საიდან გაჩნდა, მაინცდამაინც ახლა... ბედი არა მაქვს და ეგ არის... ახლა კი მართლა მომიხსნის სტიპენდიას და რა მეშველება. სახლიდან ვინ რას გამომიგზავნის, თვითონაც უჭირთ. რას ავიტეხე ეს კინო და თეატრალური ინსტიტუტი, ვყოფილიყავი მართლა მეცხვარე. ყველაფერი იმის ბრალია, ვინც პირველად კინო მოიტანა გუდამაყარში. მაშინ მესამე კლასში ვიყავი. მთელ ხეობაში გავარდა ხმა, კინო მოიტანეს, ამ საღამოს უჩვენებენო. აუარება ხალხი შევგროვდით სკოლის შენობასთან, რომლის ერთ კედელზეც თეთრ ზეწრებს კიდებდნენ ეკრანის სანაცვლოდ. დაღამებას ელოდებოდნენ, სიბნელეში უფრო კარგად გამოჩნდებაო. ერთმა ჩვენებურმა კაცმა შეგვაშინა, კინოს კი ნახავთ, მაგრამ თავიდან ფრთხილად თუ არ იყავით, კინოს ისეთი მჭახე ხმა აქვს, შეიძლება ყურის ბარაბნები დაგიხეთქოთ და დაყრუვდეთ.

ჩვენ შევშინდით.

— ნუ გეშინიათ, მე წინ დავდგები, ყურებში თითებს გავიკეთებ და თქვენც გაიკეთეთ, მერე მომენტს შევურჩევ, როცა დაბალ ხმაზე ილაპარაკებენ, ნელ-ნელა გამოვწევ თითებს და თქვენც ასე ქენით, ნელ-ნელა შეეჩვიეთ.

ყველამ თითები გავიკეთეთ ყურებში.

ჩამობნელდა.

დაიწყო კინო.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, კინალამ გადავირიე ამ არაჩვეულებრივი სანახაობით. ვხედავ, ჩვეულებრივად დადიან იმ უჩვეულო მეორე სამყაროში ადამიანები, ლაპარაკობენ... მივიხედმოვიხედე, ყველას გამოღებული აქვს ყურებიდან თითები და გულიანად იცინიან. მეც მინდა მოვისმინო, რას ლაპარაკობენ კინოში, მაგრამ დაყრუებისა მეშინია. მერე ჩემთვის გადავწყვიტე, მოდი, რაც იქნება, იქნება, ჯანდაბას, ერთი ყურით დავყრუვდები, ოღონდ მოვისმინო, რას ლაპარაკობენ, რაზე იცინის ეს ხალხი, მაგრამ კარგა ხანს იმაზე ვიჭოჭმანე, რომელი ყური გამეწირა, მარჯვენა თუ მარცხენა. ბებიაჩემის ნათქვამი გამახსენდა: კაცს რასაც მარცხენა ყურში ეშმაკი ჩასძახებს, მიდი, ასეასე გააკეთე, ასე-ასე ქენიო, მარჯვენაში კეთილი ანგელოზი ელაპარაკება და ჭკვაზე არიგებს. რაკი ასეა, მარცხენა ყურიდან გამოვწიე თითი და ეკრანიდან ძახილი გავიგონე: გოდერძიი! გოდერძი, შვილო!

ვაი!

მიცნო!

მე მეძახის! — გამიკვირდა მე, რა ვიცოდი, რომ ჯარისკაცის მამა თავის შვილს ეძახოდა. იმ დღიდან მოვიწამლე კინოთი და სხვა საქმეა, რა გადამხდა და როგორ ჩავაბარე ინსტიტუტში, როგორ დავწერე კინოს გარჩევის ნაცვლად ლექსი, რაკი რუსული არ ვიცოდი და გამოცდაზე რუსული ფილმი გვაჩვენეს. ვერაფერი ვერ გავიგე და შემრცხვა, ცარიელ ფურცლებს ხომ არ ჩავაბარებდი, ლექსი დავწერე: ირემზე, რომელიც ბარად ჩამოვიდა და დაჭრეს, არწივზე და მგონი კიდევ შვლის ნუკრიც შევურიე შიგ — ყველა ამათგანში კი ჩემს თავს ვგულისხმობდი.

სწორედ ამ ლექსმა გადაწყვიტა ჩემი ბედი.

გამიყვანეს მეორე გამოცდაზე. მოდიოდნენ ჩემ სანახავად: მთიდან ვიღაც პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა და კინოფილმების გარჩევას გამოცდაზე ლექსადა სწერსო. ერთი დარბაისელი კაცი მოვიდა, გამომკითხა, ვინა ვარ და საიდანა ვარ. მოვუყევი, რატომ მიყვარს კინო. მერე იმ კაცმა მხარზე ხელი დამადო და მითხრა: შვილო, მიგიღებთ, ოღონდ ჩემი თხოვნა იქნება, თბილისმა არ გაგაფუჭოს!

წავიდა ის კაცი. მერეღა გავიგე, რომ ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი იყო. აი ახლა, ინსტიტუტის წინ ფეხქვეშ ასფალტი ჩამენგრა, ვზივარ იმ ორმოში და თან იმ კაცის ხმა მესმის, თან საშას მუქარა, რომ მომიხსნის სტიპენდიას.

რა ვქნა, ჰა?

ამოვფოფხდი მაღლა და დარდიანი შევედი ინსტიტუტში.

მერეც დარდიანი დავდიოდი, ვიცოდი, შემისრულებდა ბატონი საშა დანაპირებს.

დადგა სტიპენდიების გაცემის დღე.

მე, რა თქმა უნდა, სალაროსთან არ მივსულვარ, მაგრამ ჩემმა თანაკურსელმა მითხრა, მოლარე გეძახისო. გულში იმედი ჩამესახა. ორმოცი მანეთი მქონდა, რაკი ოთხები მეწერა საგამოცდო მატრიკულში. ხუთოსნებს ორმოცდაათ მანეთს აძლევდნენ. ახმეტელის სახელობის სტიპენდიანტებს — სამოცს, მარჯანიშვილისას — ოთხმოცს, ხოლო ლენინურ სტიპენდიანტებს — ას მანეთს.

— ჩოხელო, რატომ არ იღებ სტიპენდიას, ჰა? — გამიღიმა მოლარემ.

— აღარა მაქვს, მომიხსნა ბატონმა საშამ.

— მოგიხსნა კი არა, მოგიმატა, აჰა, — მომაწოდა ფული მოლარემ.

დავითვალე და ასი მანეთია. სამოცს უკან ვუბრუნებ, შეგეშალათ-მეთქი.

— არაფერიც არ შემეშალა, ბატონმა საშამ ლენინური სტიპენდია დაგინიშნაო, — ისევ გამიღიმა მოლარემ.

წამოვედი გახარებული. რესტორან „თბილისში" მაშინ კაცი ათი მანეთი „ჯდებოდა".

მერე გავიგე, საბჭოზე, როცა ბატონმა საშამ ჩემზე ითხოვა ლენინური სტიპენდია დავუნიშნოთო, პროფესორ-მასწავლებლებს გაკვირვებით უკითხავთ, კი მაგრამ, რა დამსახურებისთვისო?!

— ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ არ მინახავს, რომ ამოდენა თბილისში, ამდენი ხალხი რომ მიდი-მოდის, ვინმეს ფეხქვეშ მიწა ჩანგრეოდეს და მიწაში ჩავარდნილიყო. მაინცდამაინც მაგ საწყალ მთის ბიჭს ჩაენგრა ფეხქვეშ მიწა და ვინ იცის, რა შიში ჭამა. ეს ჩემი პირადი თხოვნაა თქვენდამი, რომ დავუნიშნოთ ლენინური სტიპენდია, — ასე უთხოვია მათთვის ბატონ საშას, ახლა უკვე ჩემს ძია საშას. კომკავშირის „ცეკელებისაგანაც" ძია საშამ დამიხსნა. რაკი ლენინური სტიპენდიანტი ვიყავი, უნდოდათ დავალებები მოეცათ და ინსტიტუტში მომადგნენ წასაყვანად.

— ვერ გამოვუშვებ! — მკაცრად განუცხადა ძია საშამ.

— რატომ?! — გაუკვირდათ იმათ.

— რეპეტიციები აქვს, როლს თამაშობს.

— რა როლს? — დაინტერესდნენ.

— მეცხვარის როლს! — არ დაიბნა ძია საშა.

— რა პიესაა?

— ა ღ დ გ ო მ ა ! — ეს სიტყვა რატომღაც დამარცვლით უთხრა ძია საშამ.

ისინი ნაწყენი სახეებით წავიდნენ.

ძია საშაც წავიდა ამ ქვეყნიდან — და ახლა, როცა ძალიან მომენატრება, სულეთის ქვეყნისაკენ მივაპყრობ ხოლმე გულისყურს და მაშინ, თითქოს ცხადში, ისე ვხედავ ძია საშას: თან მიღიმის, თან თითს მიქნევს და რაღაცას მეძახის მკაცრი ტონით იქიდან. ალბათ მაიმედებს — ყოჩაღად იყავი, ჩემო მეცხვარე ბიჭო, არ ჩაუმუხლო წუთისოფელს! — და მისი შემხედვარე, მეც იმწუთას ვმხნევდები, აღარ მეშინია, რომ კიდევ ჩამენგრევა ფეხქვეშ მიწა; ვიცი, თუ ასე მოხდა, ჩემი ძია საშა იმდენს შეძლებს, იქიდანაც მოახერხებს და მისი სულის ნათელი დამეხმარება აქ. თანაც მჯერა, მთელი სულით და გულით, მთელი ჩემი არსებით მჯერა, იქნება, იქნება, აუცილებლად კიდევ იქნება აღდგომა.

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა. 2. ჟურნალისტიკა.
3. ქართული ენა-ლიტერატურა. 4. უცხოური ენები - ინგლისური. გერმანული. ფრანგული. რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
6. ფინანსები და საბანკო საქმე. 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია.
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია.
9. ისტორია და რელიგიის ისტორია.
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება.
11. ფიზიკა და მათემატიკა. 12. ქიმია და ბიოლოგია.
13. სკოლამდელი აღზრდა.
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა. მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

# „მე უნიკალური ვარ..."

## „ჯოჯოხეთს ქრთამი მაგრად ანათებს..."



გიო ცეცხლაძე — მალხაზ ძიძიშვილი ახლახან „კაგებეს" გენერალიც „გახდა". ეს-ესაა დამთავრდა მისი მონაწილეობით ახალი მხატვრული ფილმის გადაღება. გიო-მალხაზი თავისი ნამუშევრით კმაყოფილია, მაგრამ ყველაზე მეტად აინტერესებს მაყურებლის აზრი. ახალ კინოროლზე ალბათ, მალე შეძლებთ კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროთ ქურიკაშვილის „კაგებეს ჩინოვნიკი". მანამდე კი მასთან ინტერვიუს გთავაზობთ. გიოს მობილურზე საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა, რადგან თურმე ღამით მუშაობს ან ქეიფობს, დილით კი სძინავს და გამუდმებით ურთავს და იმავეს იმეორებს — მაპატიეთ, მაგრამ არ მცალია.

— ძილისგუდა ნამდვილად არ ვარ. თუ საქმე მოითხოვს, დღე-ღამეს გავასწორებ. ისე, დილა არ არსებობს ჩემთვის, რადგან მთელი ღამე მეგობრებთან ერთად ვილხენ და სწორედ დილით ვიძინებ. რომ ვილვიძებ, უკვე შუადღეა.

— **ილხენთ, რას ნიშნავს, სვამთ კიდეც? თქვენ ხომ თავი ანებეთ ამ „ჩვევას".**

— კი, დავანებე, მაგრამ ქეიფი ძალიან მიყვარს და თუ ხასიათზე ვარ, მაინც ვსვამ. ძილზე არ ვლაპარაკობდით? რა შუაშია აქ სმა. ძილი მიყვარს, დილის ძილი.

— **გადავწყვიტე, კითხვები ანდაზების მიხედვით დაგისვათ ძილისგუდა მალხაზ, გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, „ადრე ამდგარისა კურდღელსა ვერ მიეწევა მწევარი?"**

— ვერა. ისიც გაგებული გექნებათ, „მოაკლდეს მძინარესაო, მიემატოს მღვიძარესაო". ჩვენ ანდაზებს ინსტიტუტში ვსწავლობდით. „არაკუნე კუდელიო, დაარიგე რეგვენიო", — აი, ამას მეტყველებასთან დაკავშირებით ხშირად ვამბობდით. ისე, დილის ძილის გამო საქმე არასდროს გამიფუჭებია. თუ ვიცი, რომ საქმეზე დილაადრიან უნდა წავიდე, ჩემი გონება მაღვიძარაზე ადრე მაღვიძებს.

— **„არა შეჰფერი მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი", ნებისმიერი საქმის კეთების წინ ...?**

# „მარშრუტკით" უფასო მგზავრობა ერთი ანეკდოტის მოყოლა მიჯდება



„ამერიკელი ქართველები": ცეცა, ლევან უჩანეიშვილი და ია დათუაშვილი

„პა-სტარშილი ცეცა — ცისიკო კაპანაძე გულმოდგინედ სწავლობს ინგლისურს. თურმე დიდი სურვილი აქვს ამერიკელებს მათ ენაზე ელაპარაკოს და მათი ნათქვამიც საკუთარი ყურით მოისმინოს. ცეცა საქართველოს ტოვებს. ამ სიახლის გარდა, მასზე უამრავი სხვა ამბავიც გავიგე და სანამ ცეცა-ცისიკო „პოლეტში" წავიდა, მომზადებული კითხვებით ინტერვიუსთვის მის ვეწვიე.

— **გაიგეს, ცეცა ამერიკაში მიდის საქმიანი ვიზიტით.**

— მივდივარ, მაგრამ დიდი ხნით არა. ჩემი მეგობრის, ლევან ბახტურიძის მეუღლე, პიტერ სირილსონი ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ქართულ-ამერიკული დასის პროდიუსერია. მისი მიწვევით მივდივარ ამერიკაში. პიტერი საქართველოსთვის ძალიან დიდ, ეროვნულ საქმეს აკეთებს. მისი დასის კონცერტი, ყოველთვის იწყება საქართველოს შესახებ მოკლე ისტორიული მიმოხილვით.

— **ბოლო ხანს ხშირად სტუმრობთ უცხოეთს. ახლახან არ დაბრუნდით გერმანიიდან?**

— სამი კვირის წინ ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრმა გერმანიაში მეორე თეატრების ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. უამრავი ქართველი მაყურებელი გვყავდა. მარტო კარლსრუეში 300 ქართველი ცხოვრობს. ნაწილი სტუდენტობაა, ნაწილი კი ავხაზეთის ომის დროს წასულები. იქ დაბადებული ქართველი ბავშვები უკვე სკოლაში დადიან და აქცენტიანი ქართულით საუბრობენ. სამწუხაროდ, მალე ისიც დაავიწყდებათ. „მოდი ნახე" სპექტაკლებზე ისეთი აშშლაგი იყო, ადგილები დაამატეს და შესასვლელში პოლიცია დააყენეს.

— **საქართველოშიც ბევრ საინტერესო წინადადებას გთავაზობენ თურმე ...**

...

სახლი სახლია, სადაც მიხვალ და დაიძინებ.

— აი, ეს ბოლოა ჩემთვის სახლი. სადაც ვისვენებ და ვიძინებ. ჩემი სახლიც და ყველაფერიც მაინც ჩემი თეატრია, მართლა, ახლა ჩვენს თეატრს მოუვიდა მოწვევა ამერიკიდან და ამერიკულ დასთან ერთად კონცერტებს რომ მოვრჩები და თბილისში დავბრუნდები, ისევ უკან ვიქნები წასასვლელი, — ამერიკელებს თავს კი მოვანატრებ.

ეკა ლომიძე


**ავიაკომპანია „საქავიასერვისი" გთავაზობთ შემდეგ რეისებს:**

**თბილისი-ლარნაკა (კვიპროსი)-თბილისი.**

გაფრენა სამშაბათობით —10.00 სთ

**თბილისი-მინერალური წყლები-თბილისი.**

გაფრენა ხუთშაბათობით —10.00 სთ

აგრეთვე გთავაზობთ რუსეთის ვიზების გაფორმებას

რუსთაველის №17
ტელ: 99-02-37
98-37-10





საკონდიტრო ნაწარმი

კათოლიკე მღვდელი

იაპონური ორთაბრძოლა

მჭევრმეტყველება

ატომური ენერგ. განვით. საერთაშორ. სააგენტო

რომის გადამრჩენი ფრინველი

ელიავა

„ჯარისკაცის მამის" გვარი

მკურნალობა (ლათინურად)

მაგიდის გადასაფარებელი

კომპონენტი კაკლის სამურაბედ ხარშვისას

ჭეშმარიტად ფრანგული სასმელი

უაზრო ლაპარაკი: სიტყვების ...

გამხმარი ბალახი

სტალონეს დასამახსოვრებელი როლი

მდინარე აღმოსავლეთ ციმბირში

„გრაფი მონტე კრისტო" პესონაჟი

იალქანი

მოძღვრება ზნეობის შესახებ

საღებავებით ხატვის ხელოვნება

1/100 ჰექტარი

ჩინური ჭადრაკი

ქალაქი იტალიაში

ფრანგი კინომსახიობი

ნიცშეს ფილოსოფ. ამოსავალი პიროვნება

ბზიკი

ინდური ფილოსოფიის შემდგ. ნაწილი

არხი წითელსა და ხმელთაშუა ზღვებს შორის

სპილოს „ძვალი"

მხიარული ქეიფი

ისლამის მიმართულება

სრული მარცხი

ადამიანშებმული ეტლი

ბულგარული ვალუტა

ნოტი

ანაბარი საზღვარგ. ბანკში

თანხმობის ანტიპოდი

მეფის მხლებლები

მაგარი ქვა

გადასახადი საქონლის შემოტანაზე

ძველეგვიპტური ღმერთი

ფეხბ. XVII-ჩემპიონატის ფინალის მსაჯი

სწრაფად გათამაშებ. ჭადრაკის პარტია

მხალი

პოჟარსკის თანამებრძ.

რბილი ლითონი



ობსერვატორიის ადგილსამყოფ. საქართველ.

იტალიელი კომპოზიტორი ... მორიკონე

დაბრკოლება ქუჩის ბრძოლის საწარმოებ.

მომგებიანი კომბინაცია პოკერში

ვიწრო პოდიუმი

იაკობინელთა ერთ-ერთი ლიდერი

პუგაჩოვა

მატერიის არსებობის ფორმა

ქნარი

მამაკაცის სასიმღერო ხმა

გლადიატორთა მოედანი

ქრისტიანობისთვის ნაწამები არაბი

დემი მურის ყოფილი ქმარი

ერთნაირი სიმაღლის ორი ბგერის აჟღერება

წიგნის შინაარსის მოკლე გადმოცემა

ბატონის მიწაზე მცხოვრები გლეხი

ტბა თბილისში

ძირითადი ინსტინქტი (მსახიობი)

ქვაზე მომუშავე მშენებელი

ნაცარტუტაში გამოხარშული სოკო

ათი მანეთი

ინგლისელი მსახიობი

იაპონური სპ. თანრიგი

კერძების სია

გამოსახულებიანი ძვირფასი ქვა

საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში

დღე...; ბავშვ...

ლათინური ანბანის ბოლო ასო

„ექიმი ფაუსტუსი" (მწერალი)

ბანქოს ფურცლების ერთობლიობა

სარეკლამო აირი

... ჟირარდო

დამუხტული ნაწილაკი





შეადგინა რამაზ ალანიამ

მიუსაფარი და უპატრონო ბავშვების პრობლემამ ბევრი ჩააფიქრა და ბევრიც გამოგვეხმაურა. ერთი ქალბატონი რედაქციაშიც გვეწვია — იმდენი მაქვს სათქმელი, მთელი დღე რომ გესაუბროთ, ბოლომდე მაინც ვერ ამოვთქვამ იმას, რაც გადავიტანე და დღემდე გულს მიღრღნის, თუმცა სიტყვით მაინც ხომ უნდა მოიშოროს ადამიანმა ის ტვირთი, რაც დიდი ხნის მანძილზე დარდად უტარებიაო, — მითხრა. ქალბატონი დავამშვიდე — თუ საჭიროა, მთელი დღე მოგისმენთ-მეთქი. გაეღიმა, გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟი გაახსენდა და მეც „დარდების შემგროვებელი" მიწოდა.

ქალბატონ ლიანასთვის უპატრონო ბავშვების თემა გაცილებით მეტია, ვიდრე პრობლემა. მისთვის ის ტრაგედიად ქცეულა. ამიტომაც ყველა ქალს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს იშვილოს სხვისი ბავშვი, ურჩევს, რომ კარგად დაფიქრდეს, სანამ ამ საბედისწერო ნაბიჯს გადადგამს...

# სულ მოვიშვიშე ახლობელსაც მობეზრდები...



**— ქალბატონო ლიანა, რატომ უწოდებთ ღრმა ადამიანურ და ჰუმანურ ნაბიჯს საბედისწეროს?**

— ზოგჯერ საკუთარი სისხლი და ხორცი არ დაგიფასებს ამაგს და სხვის ნაშიერს რა უნდა მოსთხოვო? გული დამწვა იმ ბავშვებზე, თქვენ რომ მეტროპოლიტენის ვაგონში ნახეთ, მაგრამ მერე ჩემი ამბავი გამახსენდა და... არა, განა სიკეთის საწინააღმდეგოს ვქადაგებ, მაგრამ ხშირად სიკეთის მქნელს ავად უტრიალდება საქმე. რატომ იჩაგრება კეთილი ადამიანი?

**— თქვენი სიკეთე ვინმემ ბოროტად გამოიყენა?**

— კარგა ხანია ახლობლებთან აღარ ვწუწუნებ, რადგან შინაურსაც მობეზრდები სულ ცრემლიანი და მოვიშვიშე. სამოცი წლის ქალი ვარ, ოცისა გავთხოვდი. არა და არ შემეძინა ბავშვი. დედამთილი და მულები, რა თქმა უნდა, მე მაბრალებდნენ უშვილობას. ისე მენატრებოდა შვილი, რომ ყველაფერზე წამსვლელი ვიყავი. რა არ ვცადე, მაგრამ... ასე გავიდა 15 წელი. ერთხელაც, როცა მორიგი „რძალდედამთილური" ჩხუბის მერე თავი მოვიწამლე, ძლივს გადამარჩინეს. საავადმყოფოდან ჩემმა ქმარმა სოლოლაკში, ნაქირავებ ბინაში მიმიყვანა. გამიხარდა, რადგან ვიგრძენი, რომ ძალიან ვუყვარდი. იქვე, ახლოს, სკოლაში დავიწყე მუშაობა პედაგოგად. ჩვენს მეზობლად, ერთი გოგო ცხოვრობდა ქირით, ხაშურელი. ლამაზი იყო, მაგრამ თავის სილამაზეს არ აფასებდა, ნებისმიერ კაცს კარს უღებდა. მეზობლებმა გასახლება დაუპირეს. წინ გადავუდექი — აქედან რომ გააგდებთ, ვინ იცის, რა უბედურებას გადაეყრება-მეთქი. მეზობლები გავანაწყენე, სამაგიეროდ, ციცო მოვიმადლიერე. დამიმეგობრდა. კანტიკუნტად აკითხავდნენ კაცები. „თავისუფალ დროს" ჩემთან მოდიოდა — ლიანა დეიდა, მოდი, ყავა დავლიოთო. უარს ვერ ვეუბნებოდი. მეცოდებოდა ახლობლებისგან დავიწყებული, გზასაცდენილი გოგო. ხანდახან, ჭკუას ვარიგებდი, დაფიქრებული მისმენდა ხოლმე. ერთხელაც გახარებული მოვიდა, ერთი ბიჭი შემიყვარდა, მასაც ძალიან ვუყვარვარ და წარსულის მიუხედავად, ცოლობას მთხოვსო. ალალად გამიხარდა. ციცოსთან ყოველ საღამოს მოდიოდა ახალგაზრდა, მოხდენილი ბიჭი, რომელიც მილიციის თანამშრომელი აღმოჩნდა. ერთ საღამოს, დაღონებული ციცო კვლავ ჩემთან მოვიდა და მითხრა: სვანეთში მას (მილიციელს) ცოლ-შვილი ჰყოლია. მიტოვებას არ აპირებს, თან მემუქრება, სხვასთან რომ წახვიდე, მოგკლავო. არადა მისგან ბავშვს ველოდებიო.

ვიფიქრე, ახლა რომ აბორტი გაიკეთოს, მომავალში შეიძლება აღარ ეყოლოს ბავშვი, თანაც შვილის სიყვარული წესიერი ცხოვრებისკენ შემოაბრუნებს-მეთქი და ვურჩიე, გაეჩინა, დამიჯერა, მაგრამ „საქმროს" ტყუილი მძიმედ გადაიტანა.

ადრე ერთი ბიჭი ჰყავდა შეჩენილი ციცოს, ისიც ხაშურელი იყო. ერთი ხანობა დაიკარგა, მერე ისევ გამოჩნდა. ერთხელაც რომ „ეწვია" და ველარ გააგდო, საშველად მიხმო, „იმან" რომ მოგვისწროს, ორივეს დაგვხოცავს. თქვენ რომ დაგინახავთ, ვერაფერს იეჭვებს, თანაც ვეტყვი, რომ ჩემი ნათესავიაო. ჩავედი. მალე მილიციელიც მოვიდა. ხაშურელი ძალიან გამომწვევად იქცეოდა. მილიციელი აიმრიზა, მაგრამ ჩემი ხათრით იმ საღამომ მშვიდად ჩაიარა...

ბოლო ორი თვე „ნათესავი" აღარ გამოჩენილა. ციცოს ბიჭი შეეძინა. მამამისი უზომოდ გახარებული იყო, არაფერს აკლებდა დედა-შვილს.

ხაშურელი კვლავ გამოჩნდა. ციცოს ვურჩიე, მკაცრად მოექეცი-მეთქი. თითქოს ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა. არადა ვატყობდი, ციცოს სიამოვნებდა მასთან ყოფნა. მოულოდნელად მილიციელს მამა გარდაეცვალა, წასვლის წინ ციცო მოამარაგა და უთხრა, სამ კვირაში ჩამოვალო. ციცო უკმაყოფილო არ დარჩენილა. ხაშურელი ყოველდღე მოდიოდა. ციცო ამომძახებდა, — შეიძლება 2-3 საათით ბავშვი ამოგიყვანოო? სიხარულით ვთანხმდებოდი.

გავიდა ორი კვირა. შუაღამე იქნებოდა. ქვემოდან შეკივლების ხმა მომესმა, რასაც ორჯერ გასროლა მოჰყვა. მე და ჩემი ქმარი დაფეთებულები ჩავცვივდით ქვემოთ. თქვენს მტერს, მე იქ სანახაობა დამხვდა. ციცოც და ის ხაშურელიც საწოლში სისხლში ცურავდნენ...

მძიმედ გადავიტანე ციცოს საზარელი სიკვდილი. რატი (ციცოს ბიჭი) ვიშვილეთ. იგი წლინახევრის იყო, თითქმის ჩემთან იზრდებოდა, ამიტომაც უდედობა არ გასჭირვებია. 14 წლისა რომ გახდა, ყველაფერი მოვუყევი (ის არ მითქვამს, რომ მამამისმა სხვა კაცთან შეუსწრო დედამისს). დაღონდა, თუმცა მალევე გადაუარა ნაღველმა. ლალად ვზრდიდით, ჩემი ქმარი უარს არაფერზე ეუბნებოდა. 17 წლის ასაკში ძალიან გამოიცვალა, ჯიუტი გახდა. მამშვიდებდნენ — რთული ასაკი აქვს, მერე დადინჯდებაო, მაგრამ რატი ახალ-ახალ „სიურპრიზებს" გვიწყობდა. მეზობელს მაგნიტოფონი მოჰპარა და ძლივს გადავარჩინეთ დაპატიმრებას. სწავლა არ ისურვა, გამოგვიცხადა, ჯერ უნდა ვიმუშაოო. წაიყვანა ჩემმა ქმარმა, მუშაობა დააწყებინა მექანიკურ ქარხანაში. მალე საამქროს უფროსს ფული მოჰპარა. მერე, უწლოვანი გოგო გააუპატიურეს მან და მისმა მეგობრებმა. ამჯერად ველარ დავიხსენით. ჩემი ქმარი ნერვიულობას გადაჰყვა. რატი, ციხიდან რომ გამოვიდა, სრულიად სხვა ადამიანი იყო. სვამდა, ნარკოტიკებს იღებდა, საეჭვო ხალხი მოჰყავდა შინ; ერთხელ მკაცრად ვუთხარი, არ დამანახვო ნარკომანები და ქურდბაცაცები-მეთქი. გაბრაზდა, ყველაფერი დალეწა. ერთი კვირა ხმას არ ვცემდი. მერე მითხრა, — 5000 დოლარი მიშოვე და აქედან წავალო. პატარა დანაზოგი მქონდა, მივეცი. რუსეთში წავიდა და გაუჩინარდა. ჩემი უფროსი დის-შვილიშვილი ჩამოვიდა გურიიდან, ინსტიტუტში ჩააბარა. ჩემთან ცხოვრება შევთავაზე. ექვსი თვის შემდეგ, რატი კვლავ გამოჩნდა, ჩემი დისშვილიშვილი ვერ აიტანა, ამას გინდა ქონება დაუტოვოო? ჩხუბი დამიწყო. დისშვილიშვილი გამომექომაგა. რატიმ ის დანით დაჭრა. თავბედი ვიწყევლე, რატომ იმ დღეს არ მოვკვდი, როცა მისი შვილად აყვანა გადავწყვიტე?! ჩემი ქმარიც მან შეიწირა, მე ხომ ცხოვრება გამიმწარა, ახლა ეს მობარებული ბიჭი კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა... ამ ბოლო პატიმრობიდან რომ გათავისუფლდა, ჩემთან აღარ მოსულა. მგონი, ისევ რუსეთშია. ყოველი დილა შიშით იწყება და დღეც შიშით მთავრდება. რატომ შემომიბრუნდა სიკეთე ავად? მე ხომ არაფერი დამიშურებია მისთვის? უზომოდ მიყვარდა...

**— მამამისი აღარ გამოჩენილა?**

— მხოლოდ ერთხელ იყო, სასჯელი რომ მოიხადა, მომინახულა, ბიჭიც მოიკითხა, მაგრამ მაშინ რატი ციხეში იყო. ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. იმის მერე აღარ მინახავს..

სიკეთეს იმიტომ აკეთებ, რომ ადამიანი ხარ და გიხარია, როცა გემადლიერებიან. იმედია, ახლა მაინც არ მკრავენ ხელს ის ადამიანები, რომლებსაც გულით ვეხმარები...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# „ბოიფრენდი" არ ვიცი მე, მაგას საყვარელი ჰქვია, გენაცვალე...

*ტრადიციულ საქართველოში საქმე იქამდე მისულა, რომ „ბიოფრენდისა" და „გელფრენდის" ინსტიტუტი თურმე აშკარად არა, მაგრამ „იატაკქვეშ" იკიდებს ფეხს.*

*რა აზრის არიან ამ საკითხზე ქართველი ქალები? გამოკითხვა თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ ბარში შედგა. ქალები ასაკის მიხედვით შევარჩიე. მაშ ასე:*



**— გყავთ თუ არა მეგობარი მამაკაცი და, საერთოდ, რა აზრისა ხართ „გელფრენდისა" და „ბოიფრენდის" ინსტიტუტზე?**

**მარინა (37 წლის)** — მეგობარი მამაკაცი მყავს. ჩემს საახლობლოში თითქმის ყველამ იცის ამის შესახებ, რატომ უნდა დავმალო? როდესაც ქალი კაცის ფუნქციებს ასრულებს და მთელი კვირის განმავლობაში დაძაბულია, მასაც ისევე სჭირდება ფსიქოლოგიური და ფიზიკური, გნებავთ, ფიზიოლოგიური წონასწორობისთვის მამაკაცის სითბო და ალერსი, როგორც კაცს სჭირდება ანალოგიური დამოკიდებულება ქალისგან. თუ არა მყავს ქმარი, რა ვქნა? ველოდო; როდის გამოჩნდება ბრილიანტისთვალიანი ბეჭდის მომწოდებელი?

**ქეთევანი (57 წლის)** — მეგობარი მამაკაცი მყავს თუ არა? დიახ. ის კაცი ჩემი ქმარია. სასურველია, რომ ყველა ქალს ჰქონდეს ოჯახი და ჰყავდეს გვერდით მდგომი. ამისათვის ყველაზე კარგი ვარიანტია ქმარი.

ჩემი თაობა ისეთ პერიოდში გაიზარდა, როცა სხვანაირი სტერეოტიპული შეხედულებები იყო გაბატონებული და ალბათ ძნელია ახლა, უცებ ავდგე და დაგეთანხმდეთ, რომ ქალს თუ არა ჰყავს ქმარი, აუცილებლად უნდა ჰყავდეს მეგობარი მამაკაცი.

**ანა (25 წლის)** — (იცინის). ეს, ვფიქრობ, საძრახისი არ არის, მაგრამ პირადად მე, ალბათ გამიჭირდება ასეთი ნაბიჯის გადადგმა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ისინიც სცილდებიან ხშირად ერთმანეთს და არ ვიცი, რა განსხვავებაა, მეგობარ კაცს გასცილდები თუ ქმარს.

სასურველია, ცხოვრებაში ერთ კაცს შევხვდე და მის გვერდით ვიყო.

**თაკო (17 წლის)** — „ბოიფრენდი" ჩემს თაობაში მოდასავით შემოდის, ვისაც უნდა, მიყვება მაგ მოდას, ვისაც არ უნდა — არა. იცით, რა ხდება? ჩემი მეგობრებისგანაც გამიგონია და, საერთოდ, ვატყობ, რომ ჩემს ტოლებში მნიშვნელობა აქვს, ვინ როგორი სოციალური წრიდან არის. მდიდარი ოჯახის შვილები გათხოვებაზე და ცოლის მოყვანაზე უფრო არ ფიქრობენ, მათ ერთად ყოფნა უნდათ და არიან კიდეც. ხელმოკლე ოჯახის შვილებს კი, გოგონებზე მაქვს საუბარი, ოჯახის შექმნა სურთ. მეგობარი ბიჭის ყოლას ვერ რისკავენ.

*ბარიდან გამოსულმა იქვე მზესუმზირის გამყიდველი ქალი დავინახე და კითხვა მასაც დავუსვი:*

**ჟენია (67 წლის)** — ქმარი 32 წლისას მომიკვდა. რა მეგობარი კაცი, რას მეკითხებით, მაგას საყვარელი ჰქვია, გენაცვალეთ... არ მყოლია ეგ საყვარელი და არც მყავს, მაგრამ უკაცოდ არ მოვმკვდარვარ. არა შეჯდა მწყერი ხესაო, ხომ გაგიგონიათ? — სხვანაირი ხალხი ვართ ქართველები და საყვარლებთან ნებიერობა და ცოლქმრობაზე უარის თქმა, ქართველი ქალისთვის არა მგონია, კარგის მომტანი იყოს.

***ჩაიწერა ეკა ლომიძემ***

# მკითხველი გვწერს

**უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით მივესალმები გაზეთ „კვირის პალიტრის" რედაქციას!**

15 წლის გოგონა, პირობითად „კიტი", უმორჩილესად გთხოვთ რუბრიკაში „თქვენთვის, ქალბატონებო" დამიბეჭდოთ წერილი, რომელიც ჩემს პირველ სიყვარულს ეხება...

წავიკითხე ნუციკოს, მარიკას თქვენთან გამხელილი ამბები და ვერ წარმოიდგენთ, მაინც რამდენი ხნის ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე თქვენთვის ჩემი ამბის განდობა.

მაშინ, როცა მე და ჩემი ცხოვრების მეათე გაზაფხული ვსაუბრობდით, სიყვარული ნაზად მომიახლოვდა და ჩემს გულში დაუკითხავად ჩასახლდა. მეგონა, რამდენიმე დღეში ეს სიყვარული შორიდან მოვარდნილ ქარს გაჰყვებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. შემიყვარდა ჩემზე ათი წლით უფროსი ბიჭი, პირობითად მას ირაკლის ვუწოდებ... მაშინ არც მიცნობდა... მერე კი როცა საკმაოდ პოპულარული გავხდი (ეს დღესაც ასეა, რასაც ყოველ კონკურსში ჩემი გამარჯვებები და საკმაოდ შეძლებული დედ-მამა უწყობს ხელს), ბუნებრივია, გაიგო ჩემი არსებობა. არ ვიცნობდი, მაგრამ მიყვარდა, უსაშველოდ „კარგი" მეგონა... მერე გავიგე მისი შეყვარებულის შესახებ... მინდა ნანა საუკეთესო იყოს, მე ხომ ირაკლისთვის ყველაფერი კარგი მინდა... საერთოდ, ისეთი სენტიმენტალური არა ვარ, რომ ჩემთვის მიუწვდომელი ირაკლის გულისთვის ბედნიერებას ხელი ვკრა... და წარმოგიდგენიათ?! ახლა მე და ირაკლის ძმას, ზურას გვიყვარს ერთმანეთი... თუმცა გულს არ ესმის ბრძანება შევეშვა ირაკლიზე ფიქრს.

მადლობა თქვენ და აგრეთვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მერაბ სეფაშვილს სიმღერისთვის „ფიქრებში მეორდები". ამ სიმღერაში ვპოულობ სულიერ სიმშვიდეს და ჩემი პანია გზის გამოძახილს.

ჩემი თხოვნაა წერილს ფსიქოლოგის კომენტარი ახლდეს. როგორც მომავალ ექიმ-ფსიქოლოგს, ამ ამბის კომენტარი ძალიან მაინტერესებს.

*პატივისცემით, „კიტი"*
*(სტილი დაცულია)*

## ფსიქოლოგის პასუხი

### „კიტი"!

შინაგანი დისკომფორტი იმითაა გამოწვეული, რომ მიუხედავად 15 წლის ასაკისა, ხვდები, რომ ზურას სიყვარული ირაკლისკენ მიმავალი გზაა. მისასალმებელია, როცა ასეთი პატარა გოგონა ცდილობს პირველ გაუმართლებლობას (თუკი შეიძლება ასე დაერქვას) ვაჟკაცურად შეხვდეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ პირუთვნელი მონაცემებით ჰარმონიული სრულყოფისკენ ისწრაფვი, მაგრამ შეეცადე, ფაქტების შეფასებისას არ გადააჭარბო. ხომ იცი, რომ ირაკლის ვერ დაადანაშაულებ, მან შენს ფიქრებზე არაფერი იცის, ვერც ნანას გამოუცხადებ „ომს", ის ხომ შენ მიერ შექმნილ სიყვარულში მისგან დამოუკიდებლად გადაიქცა „მეტოქედ". იცი ეს და ამიტომაც ეძებ ფიქრებიდან გამოსავალს და ვერ გაგიგია, რატომ არ ესმით ფიქრებს შენი ბრძანება.

ფიქრების „დაუმორჩილებლობას" რამდენიმე საბაბი შეიძლება ჰქონდეს: წმინდა სუბიექტური, რომელსაც ადამიანური სისუსტეები ჰქვია და ყველა ადამიანს ახსენებს თავს პრობლემის გაჩენისთანავე. პირველი, რაც ფიქრებს არ ზღუდავს, ეგოიზმია. ფიქრობ, რატომ უნდა დათმო შენ და არა ნანამ, შენც ხომ გიყვარს და გაქვს უფლება ბედნიერების. მეორე — ამბიციის მომენტი არ გასვენებს: პოპულარულს, შეძლებული ოჯახის შვილს რატომ არ გიხრიან ქედს, რატომ არა ხარ ყველაფერში პირველი. შეიძლება ეს ფიქრები ბოლომდე გაცნობიერებულად არ „გიტევდნენ", მაგრამ ირაკლიზე ფიქრს სწორედ ისინი ამძაფრებენ მალულად. გსურს ფიქრი და გრძნობა ერთმანეთს დაუმორჩილო, მაშინ ასე მოიქეცი — იფიქრე ირაკლიზე. ზურაზეც გწყდება გული — იმაზეც იფიქრე, ოღონდ სანამ ფიქრები არ „დალვინდებიან", სამსჯავროზე არ გამოიტანო. გრძნობასთან თამაშმა შესაძლოა დიდი რამ დაგაკარგვინოს. ისწავლე სიყვარულის ლოდინი, ნუ ცდილობ სიყვარულის ნაპერწკლისგან უცებ ცეცხლი ააგიზგიზო, რადგან უცაბედი ცეცხლი ასევე უცებ შეიძლება ჩაქრეს. სიყვარულის სახლი ნელ-ნელა და ძლიერი გრძნობით უნდა ააშენო, ამისთვის კი პარტნიორი გჭირდება, სიფრთხილით და გრძნობით შერჩეული. ირაკლი არ გიყვარს, მასზე ოცნება გიყვარს და თუ ეცდები ოცნებიდან რეალობაში გადმოერთო, თუნდაც დროებით, მიხვდები, რომ შეუძლებელი არაფერია. ფიქრებში ზურა არ დაჩაგრო, ჯერ კარგად განსაზღვრე, რას გრძნობ მის მიმართ და მერე დაარქვი თქვენ შორის ურთიერთობას სახელი.

სიმღერაში შვებას პოულობ. ხელოვნების დანიშნულება სწორედ სულის წვრთნაა. ხელოვნების სხვა სფეროებსაც მიაკითხე — კინოს, თეატრს, პოეზიას... აუცილებლად დაგეხმარებიან ფიქრების „დალვინებაში".



## დიასახლისებს ვურჩევთ...

— ცხიმიანი ქვაბები და ტაფები ადვილად გაირეცხება, თუ წყალში დაამატებთ ძმარს. ასევე კარგად ირეცხება სამზარეულოს ჩვრები, ღრუბლები(?), ჯაგრისები;

— ხარშვის დროს კვერცხი არ გასკდება, თუ მდუღარე წყალში დაუმატებთ 1-2 ჩ/კ ძმარს, და თუ მაინც გასკდა, ცილა არ გამოვა;

— საპურეში უსიამოვნო სუნი სწრაფად გაქრება, თუ გაწმენდთ ძმრიანი ჩვრით;

— კარტოფილის გაფცქვნისას ხელები რომ არ გაგიშავდეთ, წაისვით ძმარი, გაიშრეთ და ისე გაფცქვენით;

— ზეთში შემწვარი კარტოფილი დაიბრაწება და ხრაშუნა გახდება, თუ შეწვის შემდეგ მოაყრით მარილს;

— ნებისმიერი რემონტის შემდეგ ბინაში უსიამოვნო სუნი დგება, რაც ხშირად იწვევს ალერგიას, გულისრევის შეგრძნებასა და თავის ტკივილს. ამ სუნს გააქრობს შავი და მწვანე ჩაის პატარა ტომსიკა. თურმე, ჩაიში შემავალი ნივთიერება ტანინი ბრწყინვალედ ასუფთავებს ჰაერს;

— მაცივარში უსიამოვნო სუნი რომ გაქრეს, ყინულის გალღობის დროს ლამბაქით დადგით გაცხელებული ძმარი. ცოტა ხნის შემდეგ კი გაწმინდეთ სველი, კარგად გაწურული ჩვრით. შეიძლება მაცივრის თაროებზე მოათავსოთ შუაზე გაჭრილი ხახვი ან ახალი შავი პურის პატარა ნაჭრები.



# სად არის დეიდა ნატო?

— დაგვიანებისთვის დაგსჯი, ახლა შენ დამელოდე, — მითხრა „დეიდა ნატომ", ქალბატონმა **ციცინო ციციშვილმა**, სამზარეულოში გავიდა და სადილის მომზადება განაგრძო. ალბათ ჩქარობდა, რადგან მაშინვე მომესმა დავარდნილი ქვაბის სახურავის ხმა და ჩალაპარაკება — ხელი დავიწვიო! რა უნდა მექნა, დავჯექი და ოთახის დათვალიერება დავიწყე — ცნობილი ქართველი მხატვრის ზურაბ ნიჟარაძის ამდენი მშვენიერი ტილო სხვაგან სად უნდა მენახა?! სხვათა შორის, ერთ კედელზე ჩემთვის უცნობი მერი შერვაშიძის ფოტოც აღმოვაჩინე. ამასობაში, ხელზე ზეთდასხმული დიასახლისიც შემოვიდა და მკითხა:

— აბა, ახლა მითხარი, ვის გავახსენდი?

**— ერთ გოგონას, წერილი მოგვწერა, „სხვის შვილებში" რომ დეიდა ნატოა, სად არის, რას აკეთებს, გვიამბეთ მის შესახებო...**

— ბევრი რომ არაფერი მაქვს მოსაყოლი?

**— გჯერათ, აბა, ყველას როგორ შეუყვარდით?!**

— ფილმია ასეთი: თბილი, ადამიანური. ამ ფილმის გამო ყველა დეიდა ნატოს მეძახდა. ეს არის და ეს.

**— აქ იმდენი მშვენიერი ნახატია და თანაც მერი შერვაშიძის ეს ფოტოც...**

— დედამთილმა დამიტოვა ეს ფოტო. მერი მისი ნათესავი და მეგობარი იყო. ფეხმძიმედ რომ ვიყავი, მეუბნებოდა, უყურე და ლამაზი შვილი გაგიჩნდებაო...

ნახატები, მიხვდით ალბათ, ჩემი მეუღლისაა. ამ ნამუშევრებს, როცა დრო მაქვს, დავჯდები, ვუყურებ და ვწყნარდები. ყველაზე მეტად „ვაკის პარკი" მამშვიდებს. ახლა, ერთი ქალის ფოტოსაც გაჩვენებ — აი, ნახე, ეს ქალი ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილია, ასეთი სილამაზე თუ გინახავს?.. ამისი ქალიშვილი ჩემი მეუღლის დიდი ბებია იყო.

**— ასეთი მზეთუნახავის შთამომავალი როგორ იპოვეთ?**

— სტუდენტობის დროს მეგობრის დაბადების დღეზე „აღმოვაჩინე". სასაცილო ის არის, რომ უფრო ადრე მომწონდა, სანამ გავიცნობდი — სამხატვრო გალერეაში ედმუნდ კალანდაძის გამოფენაზე ვნახე ნახატი, წარწერით: „მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე". ისე მომეწონა, ყოველდღე დავდიოდი მის სანახავად. მივიდოდი, დავჯდებოდი და ვუყურებდი. რომ გავიცანი, მაშინვე მითხრა, უნდა დაგხატოო. ერთი თვე მხატავდა. აი, ის პორტრეტია, კარებთან...

**— რა სევდიანი ხართ. რამეზე დარდობდით თუ ასეთი სახით სიარული მოგწონდათ?**

— არა, არა... სულაც არ ვდარდობდი, სადარდებელი ახლა უფრო მაქვს, არც გაპრანჭვა მიყვარდა, ეს არ მჩვევია.

**— აბა, როგორი იყავით?**

— ძალზე ჩვეულებრივი. სკოლა რომ დავამთავრე, დიდი ნაწნავი მქონდა, უამრავი მეგობარი მყავდა და სულ კონცერტებზე დავდიოდი. თუმცა სასიმღერო ხმა არ მქონდა, მაგრამ სიმღერა გაგიჟებით მიყვარდა. ჩემი მეგობრის, ნანი ბრეგვაძის ერთ-ერთ კონცერტზე მნახა თენგიზ აბულაძემ.

**— ძალიან გაგახარათ თავისი წინადადებით?**

— ძალიან. საკმაოდ ემოციური ვიყავი. სცენარი რომ წავიკითხე, ძალიან მომეწონა. „სხვისი შვილები" ხომ სინამდვილიდანაა აღებული. ასეთი რამ მაშინ მართლა მოხდა, თანაც თენგიზი იმდენად სანდომიანი და ჭკვიანი იყო, მასთან მუშაობა არ გამჭირვებია. ამიტომაც გამოვიდა ფილმი ასეთი თბილი. დღემდე მეკითხებიან, ის კაცი, თავისი შვილები რომ შეგატოვა, თუ დაბრუნდებაო...

**— დაბრუნდება?**

— არა, არა...







**— სანამ ფილმს ... ილებდნენ, ალბათ, მართლა შეგიყვარდათ ბავშვები.**

— ძალიან საყვარლები იყვნენ. ნანი ალქაჯი და მატრაკვეცა იყო, დღესაც რომ ვხედავ, მეღიმება, სამაგიეროდ, მიხო იყო ბუნჩულა და უსაყვარლესი.

**— „სხვისი შვილების" დედას ყველა გიცნობთ, როგორი იყავით საკუთარ შვილებთან?**

— ისეთივე მოსიყვარულე... თანაც, ძალიანაც რომ მნდომოდა, ვერ გავუბრაზდებოდი ბავშვებს, რადგან ჩემს მეუღლეს მიაჩნია, რომ სახლში ხმამაღალი ლაპარაკი არ შეიძლება. მის მშობლებთან ხომ საერთოდ შეუძლებელი იყო ხმის აწევა.

**— როგორი შვილები გყავთ?**

— ჩვეულებრივი. წიგნი უყვართ, პრობლემებს მშვიდად ხვდებიან — ამით მამას ჰგვანან. მე კი ყველაფერს განვიცდი... და როგორც ყველა შვილი ყველა მშობელს, ხან გულს მტკენენ, ხან მახარებენ. მაგალითად, უმცროსი ანი, ძალიან ადრე გათხოვდა და ძალიან განვიცადე, თუმცა, სამაგიეროდ, ახლა 15 წლის ბიჭი ჰყავს.

**— წელან, უნებურად მოგისმინეთ, ვიღაცას ეფერებოდით ტელეფონით, — მოდი, რასაც დაგპირდი, მოგცემო, ვინ იყო?**

— სოფო, ჩემი შვილიშვილი.

**— რას ჰპირდებით ხოლმე შვილიშვილებს?**

— ფულს. სასაცილოები არიან. მშობლებზე უფრო ბებიის იმედი აქვთ. ასე ჰგონიათ, ბებიას ბევრი ფული აქვს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ფულიც მაქვს?... თუმც, რა მნიშვნელობა აქვს — რამდენიც მაქვს, იმდენს ვუნახავ.

**— რაც მოვედი, ვერ ისვენებთ, სულ საქმიანობთ, ყოველ დღეს ასე იწყებთ?**

— ჰო, ასეთი ვარ. სხვა გამოსავალი მაინც არ მაქვს, ამათ მშივრებს ხომ არ დავტოვებ. შემიძლია თუ არა, მაინც ვაკეთებ. სულ სხვადასხვა დროს მიდიან და მოდიან და სულ რაღაცის კეთება მიხდება... ზურა მეუბნება, რასაც აკეთებ, სიყვარულით უნდა აკეთო და არ მოგწყინდებაო — ის თავისი საზომით ზომავს.. აბა, დადგეს ქურასთან, ვნახოთ, თუ არ მობეზრდება... სულ ასე ვარ. ოღონდ თუ კარგი კონცერტია სადმე, არ ვაცდენ...

**— მუსიკა რომ გიყვართ, იმაზეც გეტყობათ, როსტროპოვიჩთან ასეთი კარგი ფოტო რომ გაქვთ გადაღებული, თუ გამატანთ, დავბეჭდავთ.**

— არა, ვერ გაგატანთ. იტყვიან მატრაკვეცააო, ნახა როსტროპოვიჩი, გადაიღო სურათი და როგორც კი შემთხვევა მიეცა, თავი მოიწონაო...

**— როგორც გნებავთ... ერთი რამ უნდა გკითხოთ: გისმენთ, გისმენთ და დავასკვენი, რომ ერთთავად სხვისთვის ზრუნავთ, თქვენთვის რაღა გრჩებათ.**

— ხანდახან „მზიურში" ჩავდივარ და ვვარჯიშობ. ამ სახლში ბევრი წიგნია — ჩემს მეუღლეს მოაქვს გაუთავებლად — ვკითხულობ. ხან ვფიქრობ... ძალიან მეშინია ხვალინდელი დღის. ჩემმა თაობამ რაღაც კარგი მაინც ნახა ცხოვრებაში... ჩვენს შვილებს კი რა ეშველებათ, როგორ იცხოვრებენ, აღარ ვიცი... რთული დროა. ძლიერები გაუძლებენ ალბათ...

**— ამაზე ნუ იფიქრებთ, ხვალე თვითონ იფიქრებს ხვალისას... რა გახარებთ ქალბატონო ციცინო?**

— ჩემი ქალაქი, შვილები, მეუღლე, მისი ნახატები, ჩემი მეგობრები. მეგობრების წრეში ისე ვგრძნობ თავს, როგორც მაშინ, 19 წლისანი რომ ვიყავით.

**— როცა ფილმი ვნახე, მაშინ დავიჯერე, მაგრამ დრო გავიდა და ეჭვი შემეპარა, რომ ნამდვილად შეიძლება სხვისი შვილები ასე გულწრფელად შეიყვარო, რას იტყვით, შეიძლება?**

— შეიძლება, დარწმუნებული ვარ! — მაგრამ მარტო სიყვარული როდი კმარა. თანაგრძნობაც საჭიროა და პასუხისმგებლობაც, რაც სიყვარულზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

*ეთერ ერაძე*

# მაკა მახარაძე: დედაჩემს მედეა ჩახავა თამაშობდა, მამაჩემს — კოტე მახარაძე

ქალბატონი **მაკა მახარაძე** კარგა ხანია პროფესიულ სცენას ჩამოსცილდა. ახლა მის მთავარ საზრუნავს ოჯახი და საბალეტო სტუდიის ბავშვები წარმოადგენენ. ცოტა ხნის წინ ნორჩმა მსახიობებმა ოპერისა და ბალეტის სცენაზე მაყურებელს „კოპელია" შესთავაზეს. საოცარი სანახავები იყვნენ დარბაზიდან 4-5 წლის და ცოტა უფროსი მოცეკვავეები. ვაჟკაცურად გაუძლეს მღელვარებას და გამოცდაც წარმატებით ჩააბარეს. მაყურებლით გადაჭედილი პარტერი ოვაციებით ეხმაურებოდა პატარების ვირტუოზულად შესრულებულ ნომრებსაც და, რა თქმა უნდა, მათი ასაკისთვის დამახასიათებელ უხერხულ მოძრაობებსაც... ყველაზე მეტად კი კულისებში მდგარი ქალბატონი მაკა ღელავდა — მით უმეტეს, რომ სპექტაკლში მისი შვილიშვილი — დათა თავაძე და ძმისშვილი — უმცროსი კოტე მახარაძეც მონაწილეობდნენ. ჩვენი საუბარი ქალბატონი მაკას ედემის ბაღივით მშვენიერ ეზოში შედგა, რადგან სახლში მის უმცროს შვილიშვილს, სულ რამდენიმე კვირის მარიამ თავაძეს ეძინა...

**— თქვენ თუ გახსოვთ 4-5 წლის ასაკში საკუთარი თავი სცენაზე?**

— ძალიან კარგად მახსოვს — სწორედ 5 წლის ვიყავი, როცა „ოიდიპოს მეფეში" ოიდიპოსის პატარა და და ამავდროულად, შვილი განვასახიერე. ოიდიპოსს ლეგენდარული აკაკი ხორავა თამაშობდა. სურათებიც კი მაქვს შემორჩენილი. 6 წლისამ კი მიხეილ თუმანიშვილის „ფილოსოფიის დოქტორში" პატარა ბიჭის — პეპიკის როლი შევასრულე. დედაჩემს თამაშობდა მედეა ჩახავა, მამას კი — კოტე მახარაძე. ალბათ მაშინ მოვიწამლე თეატრის სენით.

**— თქვენი მოსწავლეებიდან უმეტესობა აცხადებდა, რომ სცენაზე დაიბნენ. თქვენ თუ იბნეოდით ხოლმე?**

— ბავშვობაში დაბნეულობა არ მახსოვს, როცა პროფესიონალი მსახიობი გავხდი, ყოველი სპექტაკლის დროს ისე ვნერვიულობდი, ენით ვერ გადმოგცემთ. ასევე იყო დედაც... ყველა მეუბნებოდა — დრო გავა და მიეჩვევიო — პირიქით კი მოხდა... როცა პოპულარული გავხდი, ჩემმა ღელვამ და პასუხისმგებლობის გრძნობამ პიკს მიაღწია. მახსოვს, დედას სპექტაკლის დროს კულისებში ბაბუაჩემი რომ ელოდებოდა დამამშვიდებელი წამლით ხელში და მოქმედებას და მოქმედებას შორის ნემსს



უკეთებდა. მამა შედარებით მშვიდი იყო სცენაზე გასვლის წინ... ჩემი ქალიშვილი — ნატოც, ასე უზომოდ არა, მაგრამ მაინც ღელავს. ამაში ჩვენ დაგვემსგავსა. იმ დღესაც კი, როცა „კოპელია" ვაჩვენეთ, მხოლოდ სპექტაკლის შემდეგ გავედი სცენაზე და კინაღამ ჩავიკეცე...

**— ბავშვები ძალიან გეფერებოდნენ...**

— როცა მათთან რეპეტიციაზე მივდივარ, ყოველთვის სამუშაოდ ვარ გამოწყობილი. იმ დღეს საღამოს კაბა ჩავიცვი და ამან საოცარი ეფექტი მოახდინა... სულ ვეფერებით ერთმანეთს, მაგრამ ის დღე განსაკუთრებული იყო — მოდიოდნენ, მკოცნიდნენ... არა მარტო მე, დანარჩენ პედაგოგებსაც, რომლებიც ბავშვობიდან ჩემთან ერთად მოდიან და დებივით ვიზრდებოდით... ჩვენი სტუდია პატარა ოჯახივით არის — შეიძლება მეტადაც ვათამამებთ ბავშვებს, მაგრამ სხვანაირად არ შეგვიძლია. ყოველი გაკვეთილი იწყება ხვევნა-კოცნით... ძალიან ხალასები არიან — ბევრი გვბაძავს კიდეც... რომ ჩაგვეხუტებიან, ხანდახან გვეუბნებიან, დღეს ახალი სუნამო გასხიათ, ან ის სამკაული არ გიკეთიათ, რომელიც წინა დღეებშიო. ამას ძალიან ბავშვურად და სასაცილოდ გამოხატავენ. შინაც თურმე სულ ჩვენზე საუბრობენ... ეს დიდი ბედნიერებაა...

**— ბატონი კოტეც ესწრებოდა სპექტაკლს... როგორ შეაფასა უმცროსი კოტე მახარაძე — ჰგავს ბატონ კოტეს?**

— კოტეს ისე არა, როგორც ჩემს ძმას — სულ პატარა ივიკო მიდგას თვალწინ, მიუხედავად იმისა, რომ დედასაც ძალიან ჰგავს. მამა ძალიან ბედნიერია იმით, რომ ჩვენში არსებობს სტუდია, სადაც 4-5 წლის ბავშვები შეიძლება ამ ულამაზეს ხელოვნებას ეზიარონ... შეიძლება ბოლომდე არც გაჰყვნენ ამ გზას, მაგრამ ეცოდინებათ ბალეტის ფასი, კარგი მაყურებლები იქნებიან.

**— თუ არ ვცდები, როცა ბატონი კოტე მახარაძე საბალეტო სტუდიაში სწავლობდა, მაშინაც დაიდგა ეს სპექტაკლები — „მაკნატუნა" და „კოპელია"...**

— „მაკნატუნაში" მამა ცეკვავდა ფრიცს, „კოპელიაში" — ფრანცს და კოპელიუსს. ახლა კოპელიუსს ცეკვავდა



მისი შვილთაშვილი — დათა თავაძე, ფრანცს კი მისი შვილიშვილი და მოსახელე — კოტე მახარაძე.

**— დათა და კოტე თუ აპირებენ გაჰყვნენ ხელოვნების ამ გზას?**

— არ ვიცი... დათა რომ ხელოვანი იქნება, ეს ცხადია. სულ ერთი ციდაც კი სპექტაკლებს დგამდა... სიგიჟემდე უყვარს კლასიკური მუსიკა და 6 წელია სერიოზულად დაინტერესდა ვოკალით. რაც შეეხება კოტეს — მამამისს კატეგორიულად უნდა, რომ სპორტს გაჰყვეს. დადის თხილამურებზე და ჩოგბურთზე. სპორტსმენობა ივიკოს განუხორციელებელი ოცნებაა.

**— ქალბატონ მედიკოს ამ ცოტა ხნის წინ კიდევ ორი შვილთაშვილი შეეძინა...**

— ეს მოხდა ერთი კვირის შუალედით — ნატოს ეყოლა პატარა მარიამ თავაძე, ეკა ჩხეიძეს კი — ბატონი დათა მუშკუდიანი. დედა ძალიან ბედნიერია. როგორც თვითონ ამბობს — პატარები მისი დოპინგია. შეუძლია მთელი დღეები მათთან გაატაროს...

**— საერთოდ არ მგონია, რომ ქალბატონი მედიკო ოდესმე ვინმეზე ბრაზდებოდეს...**

— არა, გაბრაზება არ იცის, ხანდახან იბუტება ხოლმე — მხოლოდ 15 წუთით... მას ვერც ბუტიას და ვერც ფხუკიანს ვერ დავარქმევ.

**— ბატონი კოტე არაჩვეულებრივი მოსაუბრეა. თუ არის ხოლმე საღამოები, როცა შვილიშვილების და შვილთაშვილების გარემოცვაში ზის და უზიარებს მათ თავის ცოდნას?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი საღამოები იშვიათად არის და ამას თვითონაც ძალიან განიცდის და ჩვენც... ვაპირებთ უფრო მოვუხშიროთ მამასთან და დედასთან სიარულს.

**— დედას თუ უყურებთ ხოლმე სერიალში?**

— სამწუხაროდ, ვერა, რადგან ჩვენთან ძალიან ცუდად ვიჭერთ პირველ არხს. თუ სადმე ამ დრომდე შევრჩი, მაშინ თუ შევხედავ ხოლმე... ბედნიერებაა საკუთარი საქმით რომ არის დაკავებული. სანამ „ძილის წინ" დაიწყებოდა — სულ შინ იყო და თითქოს ცოტათი მოწყდა... სერიალმა სიმხნევე შეჰმატა...

**— შეიძლება ითქვას, რომ ბევრ ახალგაზრდაზე ახალგაზრდაა...**

— იმიტომ, რომ სულითაა ახალგაზრდა. სულ ვეუბნები — შენი საპასპორტო მონაცემები სინამდვილეს არ შეეფერება-მეთქი.

**— რა არის, თქვენი აზრით, ამ სიმხნევის საიდუმლო?**

— საიდუმლო? უპირველესად, რა თქმა უნდა, გენეტიკა... მედეას დედა 86 წლის წავიდა ამ ქვეყნიდან და მჯერა, მისნაირი სახის კანი და ბუნებრივად ვარდისფერი ლოყები თითზე ჩამოსათვლელ ახალგაზრდას თუ ექნება... დედა დღემდე მხოლოდ მკვებავს ისვამს — ეს არის მისი თავის მოვლა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კეთილმოსურნეა, მხოლოდ სიკეთე უტრიალებს თავში. არასდროს არავის არ მოახვევს თავს ცუდ განწყობას... არ შეიძლება ასეთი ადამიანი დაჭკნეს.

**— თქვენ თუ ჰგავხართ დედას?**

— თუ კადნიერებად არ ჩამითვლით, გეტყვით, რომ კეთილმოსურნეობაში დედასაც ვგავარ და მამასაც. ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ მამა ასეთი არ არის. ორივეს ძალიან რბილი ხასიათი აქვს და ამით პირველ რიგში ჩვენ, შვილები, ვართ ამაყები და ბედნიერები...

**— თუ ისვენებთ ხოლმე ზაფხულში მშობლებთან ერთად?**

— რა თქმა უნდა. შარშან ნახევარი ზაფხული დედასთან გავატარე, ერთი კვირით კი ქობულეთში ვიყავი მამასთან და სოფიკოსთან ერთად. მე და სოფიკოს არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს — ისეთი არა, როგორიც ქართულ ზღაპრებშია მიღებული. მე და ჩემს გერსაც მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს — გამორიცხულია, ჩვენს შორის ავი დედინაცვლის და გერის მომენტი...

**— წელს სად აპირებთ დასვენებას?**

— არ ვიცი... წელს მთლიანად პატარა მარიამზე ვარ დამოკიდებული.

**— ბავშვები უკვე დაითხოვეთ სტუდიიდან?**

— დავითხოვეთ და მათაც და ჩვენც ძალიან დაგვწყდა გული... სექტემბრამდე როგორმე უნდა გავძლოთ. სექტემბერში ახალ მოსწავლეებსაც ველოდებით. მათ მონაცემების მიხედვით არ ვირჩევთ — ხშირად მოდიან ბუთხუზა, ჩამრგვალებული გოგონები, ისინი საოცარი სანახავები არიან სცენაზე... საბალეტო მონაცემები უიშვიათესი რამ არის... რადგან ჩემთან ისწავლიან, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ოდესმე პროფესიონალი ბალერინები გახდებიან.... ერთიც არის — სპექტაკლებში ყველა ჩვენს მოსწავლეს ვრთავთ. ერთი ისეთი ოთხი წლის გოგოც ვათამაშეთ, რომელიც მარჯვენას და მარცხენას კი არა, სიტყვებს — „წინ" და „უკან" ვერ არჩევდა... ხანდახან, როცა გვეტყვიან ხოლმე, რა კარგები არიან თქვენი პატარები სცენაზეო, მე ვხუმრობ — ჩვენი სისხლი ჭიქებით აქვთ დალეული-მეთქი.

**— ამ ულამაზეს ეზოს ვინ უვლის?**

— ვინც აქ ვცხოვრობთ, ყველა ვცდილობთ, რომ ამ ეზოში იყოს სიმშვიდე, სიწყნარე, სიმწვანე, ჩიტების ჭიკჭიკი, როგორ გამოგვდის, თვითონ განსაჯეთ...

*ეკა მახარაშვილი*

# საბედისწერო სიყვარული

**ქვეყნად არ არსებობს ამაზე სევდიანი ამბავი... ამ სიყვარულს კრძალავდნენ, დასცინოდნენ, ჭორავდნენ... ამ სიყვარულს ბედისწერა სდევნიდა, მასზე იყო დამოკიდებული სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესები. ხანგრძლივ განშორებას მხურვალე შეხვედრა ცვლიდა... დღესაც არავინ იცის, რით დამთავრდება ყოველივე... ფაქტია, რომ ამ სიყვარულმა ყველა განსაცდელს გაუძლო...**

## რომეო

სულ ცოტა ხნის წინ ადამიანი, რომელიც ადრე თუ გვიან დიდი ბრიტანეთის მეფე გახდება, საზოგადოებაში ტრაგიკომიკური სახელით სარგებლობდა. ბევრი ინგლისელის აზრით, იგი უნებისყოფო, უსახური პიროვნება იყო და სულ არ შეეფერებოდა იმ როლს, რომელიც ბედმა არგუნა.

ასეა კი ეს?

უელსის უფლისწული 1948 წელს დაიბადა. მშობლები თვლიდნენ, რომ იგი ნამდვილ მამაკაცად უნდა გაზრდილიყო და ამიტომაც არ ანებივრებდნენ. მაგრამ ჩარლზი ბუნებით რბილი ხასიათისა იყო და ვერაფრით მოახერხა გამხდარიყო მკაცრი და მიზანსწრაფული, ამიტომაც თავის თავში ჩაიკეტა და მხოლოდღა ცხენოსნობა, ნადირობა და ცურვა ახარებდა. ერთადერთ ახლობელ ადამიანად კი ბებია, დედა-დედოფალი მიაჩნდა, რომელიც ბავშვობიდან უნერგავდა ხელოვნების სიყვარულს.

დაწყებითი განათლება ჩარლზმა სასტიკი დისციპლინით ცნობილ ელიტარულ სასწავლებლებში მიიღო. ტახტის მემკვიდრეს არავითარი შეღავათი არ ეძლეოდა, ხოლო მიჩენილი აღმზრდელები ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. მის თანატოლებს უკვე ალკოჰოლიც გასინჯული ჰქონდათ და გოგონებთან პაემანზეც დადიოდნენ. ის კი არც სასმელს ეკარებოდა და სუსტი სქესიც მაინცდამაინც არ აინტერესებდა. მერე ჩარლზი კემბრიჯში სწავლობდა — ტრადიციულად — სამხედრო-საზღვაო კოლეჯში. ნელ-ნელა გათამამდა, გალაღდა და მალე სიმპათიურ და საზოგადოების მოყვარულ ჭაბუკად იქცა. ოც წელს რომ გადააბიჯა, მის ცხოვრებაში ქალიც გაჩნდა.

მკაცრმა აღზრდამ თავისი ქნა — ჩარლზმა მტკიცედ შეითვისა ის, რომ ბედმა განსაკუთრებული როლი არგუნა და მზად იყო მის შესასრულებლად.

## ჯულიეტა

კამილა შენდი 1947 წელს დაიბადა. მისი მშობლები თუმცა არისტოკრატთა წრეს არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ ამ საზოგადოებაში თავისიანად გრძნობდნენ თავს. მათ დიდი კარმიდამო ჰქონდათ, ყოველთვის ესწრებოდნენ სასახლის მეჯლისებს და ქალიშვილსაც დიდებული განათლება მისცეს. ბავშვობაში კამილა მორცხვი, შეუხედავი გოგონა იყო. მაგრამ ქალიშვილობაში საოცრად მიმზიდველი გახდა — იგი ლამაზი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ისეთი სექსუალური, მომხიბვლელი, გონებამახვილი და საინტერესო მოსაუბრე იყო, რომ ყმაწვილები არ ასვენებდნენ, თვითონაც მათ წრეში ამჯობინებდა ყოფნას. მშვენივრად დააჯირითებდა ცხენს და ტკბებოდა თაყვანისმცემლების ყურადღებით. კამილას იდუმალმა ხიბლმა ბევრ მამაკაცს დააკარგვინა თავი. მალე ქალს სიყვარული ეწვია. მისი რჩეული ბრწყინვალე ოფიცერი-კავალერისტი ენდრიუ პარკერ-ბოულზი იყო. ქალებისგან განებივრებული ენდრიუ დაქორწინებას არ ჩქარობდა. მერე გულგრილობაც დაეტყო კამილას მიმართ. ქალი საშინლად დარდობდა...

სწორედ ამ დროს გაიცნო ჩარლზი.

## გაცნობა

ამბობენ, მათ ერთმანეთი საცხენოსნო სკოლაში გაიცნესო. თითქოს კამილა უცერემონიოდ მივიდა უფლისწულთან და გააოგნა კითხვით, — იცოდით, რომ თქვენი ბაბუის ბაბუას და ბებიაჩემის დედას ერთმანეთი უყვარდათო?



მალე მთელმა ბრიტანეთმა გაიგო, რომ ტახტის მემკვიდრეს თავდავიწყებით შეუყვარდა კამილა.

ქალსაც მთელი გულით შეუყვარდა უფლისწული. მაგრამ შესაძლებელი იყო ამ სიყვარულის ქორწინებით დაგვირგვინება? არა, რადგან ტრადიციის თანახმად, მომავალ მეფეს ქალწული უნდა შეერთო ცოლად, კამილასა და პარკერ-ბოულზის რომანის შესახებ ყველამ იცოდა. ჩარლზს ეს კარგად ესმოდა. სხვა გზა არ იყო და...

1973 წელს ჩარლზი საზღვაო რეიდში წავიდა, ასე რომ, შეყვარებულს არ ან ვერ აუხსნა ვითარება. შინ დაბრუნებულს კამილა უკვე ენდრიუ პარკერ-ბოულზის ცოლი დახვდა. მალე ბიჭიც გააჩინა, მერე გოგონაც...

## მეორე ტალღა

ჩარლზი ვერაფრით შეურიგდებოდა საყვარელი ქალის დაკარგვას და მათ კვლავ განაახლეს ურთიერთობა. ამას ხელი ალბათ იმანაც შეუწყო, რომ ენდრიუ თავისუფალი სიყვარულის მომხრე იყო, წარამარა ღალატობდა კამილას და ცოლის ყოფილი საყვარლის გაუთავებელ ვიზიტებს დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ამბობენ, რომ იმ პერიოდში უფლისწული ისე იყო გაგიჟებული, რომ ქალს სთხოვდა, ქმარს გაშორდი და დავქორწინდეთო. ამ ამბავმა დედოფლის ყურამდეც მიაღწია. სასახლეში შეშფოთდნენ, რაღაც უნდა ეღონათ, საჭირო იყო უფლისწულისთვის შესაფერისი საცოლის მოძებნა.

ასეთი აღმოჩნდა ნორჩი დაიანა სპენსერი. იგი სავსებით შესაფერისი იყო სადედოფლოდ: უძველესი გვარის შვილს უზადო რეპუტაცია, მანერები, თვინიერი ხასიათი და მშვენიერი გარეგნობა ჰქონდა. ჭორები დადიოდა, ჩარლზს თავად კამილამ ურჩია, დაიანას მიაქციე ყურადღებაო, რადგან იცოდა, მათ კავშირს მომავალი არ ჰქონდა. და თითქოს მხოლოდ ამიტომ დაქორწინდა ჩარლზი დაიანაზე. თანაც კამილამ სამუდამო მეგობრობა შეჰფიცა...

დაიანასა და ჩარლზის ქორწინებას მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომები აღფრთოვანებულნი შეხვდნენ.

## ოჯახური უბედურება

ოჯახური ცხოვრების პირველსავე დღეებში ჩარლზი მიხვდა, რომ იგი ვერ დაიცავდა ცოლისადმი მიცემულ ფიცს და ვერ შეწყვეტდა ურთიერთობას კამილასთან.



ჯერ ერთი, მათ საოცარი სულიერი ნათესაობა აკავშირებდათ — საერთო ინტერესები და შეხედულებები. უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის. მეორე: ისინი საოცარი ძალით ელტვოდნენ ერთმანეთს. ასტროლოგებმა მათ ჰოროსკოპში ოთხი საერთო ე.წ. სექსუალური ასპექტი აღმოაჩინეს, მაშინ, როდესაც სამიც კი იშვიათად ხვდებათ ხოლმე. ჩარლზსა და დაიანას კი ეს ასპექტები საერთოდ არ გააჩნდათ. ახალგაზრდა ცოლი უფლისწულს ვერ შესთავაზებდა იმას, რასაც საყვარელი აძლევდა. დაიანამ მოსთხოვა ქმარს კამილასთან ურთიერთობის გაწყვეტა, მაგრამ ეს ჩარლზის ძალას აღემატებოდა... უფლისწულმა ეს პირველი ვაჟის დაბადების შემდეგ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. თავს ზევით ძალა აღარ იყო. დაიანაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც თავიდან ჩანდა, წამდაუწუმ სახალხოდ უმართავდა ეჭვიანობის სცენებს ქმარს. მერე კი თავადაც დაიწყო ქმრის ღალატი. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ განქორწინება გარდაუვალი გახდა. დათრგუნვილი უფლისწული განზე გადგა და მაღალი საზოგადოების ქრონიკის ფურცლებზე ბრწყინვა ყოფილ მეუღლეს დაუთმო. ლამაზმა და უკომპლექსო დაიანამ მალე მოიპოვა პოპულარობა და ხალხის სიყვარული გაუთავებელ საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობით. საზოგადოებრიობის აზრი მის მხარეზე იყო, მონარქის რეიტინგი კი დღითი დღე ეცემოდა. და როდესაც დაიანა საყვარელთან, დოდი ალ-ფაიედთან ერთად დაიღუპა, ბრიტანელებმა იგი, როგორც სახალხო გმირი, ისე დაასაფლავეს...

## ამბავი, რომელსაც დასასრული არ უჩანს

და აი, დღევანდელი დღე — ორი არცთუ ახალგაზრდა, ორმოცდაათს გადაცილებული ადამიანი. ორივეს მოზრდილი შვილები ჰყავთ. კაცი — ქვრივია, ქალი — ქმარს გაშორებული. ოცდაათი წელია გრძელდება მათი რომანი და მომავლის არავითარი პერსპექტივა...

დაიანას დაღუპვის შემდეგ უფლისწული ჩრდილიდან გამოვიდა და აღმოჩნდა, რომ თურმე ის მშვენიერი მამაა; წესიერი ადამიანი — რადგან საჯაროდ არასდროს უთქვამს ავუგი დაიანაზე, ის კი წარამარა ამცირებდა მას. აღმოჩნდა, რომ ჩარლზიც დიდ დროს ანდომებდა საზოგადოებრივ საქმიანობას და ქველმოქმედებას. თანაც ყველაფერს უხმაუროდ აკეთებდა. ბრიტანელები მიხვდნენ, რომ უფლისწული წმინდად იცავს სახელმწიფო ინტერესებს და სავსებით შეუძლია გახდეს სანიმუშო მეფე.

ჩარლზმა გადადგა ნაბიჯი საიმისოდ, რომ ბრიტანელებისა და თავისი დედისთვის ჩაენერგა მის გვერდით კამილას არსებობის აუცილებლობის ფაქტი. მან გააცნო კამილა ვაჟიშვილებს, რაც ბიჭებმა საკმაოდ მშვიდად მიიღეს. ჩარლზმა კამილასთან ერთად დაიწყო საზოგადოებაში გამოჩენა და პაპარაცებსაც აღარ ერიდება. ასე განსაჯეთ, უფლისწულის სატრფო დედოფალ ელისაბედის კორონაციის 50 წლის ზეიმსაც ესწრებოდა და დედოფლის ახლოსაც იჯდა. ეს უკვე ბევრზე მეტყველებს. და მაინც...

ოდესღაც ჩარლზმა ტრადიციებს პატივი მიაგო და კამილა მისი მშფოთვარე წარსულის გამო ვერ შეირთო ცოლად. მაგრამ ახლა კიდევ ერთი ტრადიცია უშლის ხელს: მეფეს უფლება არ აქვს ჯვარი დაიწეროს განათხოვარ ქალთან. კონსერვატორი ელისაბედი კი, ძნელი დასაჯერებელია, რომ კანონს შეცვლის. ნაკლებად სავარაუდოა, ისიც, რომ ჩარლზმა გაბედოს მოვალეობის ღალატი.

აი, ასეთია ეს სიყვარული, რომელსაც დასასრული არ უჩანს...

*ტვ პარკი №26*

# პიკანტური ეპიზოდები „სახალხო პრინცესას“ ცხოვრებიდან



ბუკინგემის სასახლეში შეშფოთებულნი ელიან ლედი დის საყვარელი მსახურთუფროსის, პოლ ბარელის მემუარების გამოქვეყნებას.

ცოტა ხნის წინ ცნობილმა ამერიკულმა გაზეთ „გლოუბ“-მა გამოაქვეყნა ამონარიდები მომავალი წიგნიდან, რომელიც ეხებოდა დაიანას რთულ ხასიათს, მის ურთიერთობას ქმართან და ვნებიან რომანს პაკისტანელ კარდიოქირურგთან ჰასნათ ჰანთან.

ცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, რომ დაიანას უკანასკნელი სიყვარული ეგვიპტელი მილიონერის ვაჟი დოდი ალ ფაიედი იყო. პრინცესას უახლოესმა მეგობრებმა იციან, დოდისთან „ზაფხულის რომანი“ პრინცესამ მხოლოდ იმიტომ წამოიწყო, რომ ჰასნათ ჰანის ეჭვიანობა გამოეწვია. სწორედ ჰასნათი უყვარდა დაიანას და მის ცოლობაზე ოცნებობდა.

გაზეთ „გლოუბ“-ში გამოქვეყნებულია მხოლოდ რამდენიმე პიკანტური მომენტი, რომელიც იცოდნენ მხოლოდ იმ სასიყვარულო რომანის მონაწილეებმა და მსახურთუფროსმა ბარელმა, რომელსაც დაიანა არაფერს უმალავდა.

ბარელი იხსენებს, რომ ერთხელ დაიანამ მოინდომა ჰანის განცვიფრება და მასთან პაემანზე სრულიად შიშველი წავიდა, ტანთ მხოლოდ ქურქი ემოსა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.

პაემნების შემდეგ დაიანას ექიმი ჰანი ხშირად მოჰყავდა კენსინგტონის სასახლეში, სადაც ის ჩარლზთან განქორწინების შემდეგ ცხოვრობდა. დილაობით ჰასნათი დაიანას საწოლში ნებივრობდა, ამ დროს კი პრინცესა საქმეებზე დარბოდა, როგორც სამეფო კარის წარმომადგენელი.



ჰასნათ ჰანი და პოლ ბარელი

ლედი და ჰანი თითქმის სულ ერთად იყვნენ. როცა ექიმი ოპერაციაზე იყო და ტელეფონთან მოსვლა არ შეეძლო, დაიანა მას მობილურზე შეტყობინებას უტოვებდა.

ეს რომანი თითქმის ორი წელი გრძელდებოდა და 1997 წლის ივლისში პაკისტანელის ინიციატივით დასრულდა. ჰანის არ მოსწონდა, რომ პრესა და ტელევიზია დაიანას ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა და მასთან ერთად ისიც ხდებოდა ყურადღების ცენტრში.

მაგრამ, რასაკვირველია, ჰანისთვის მთავარი იყო მისი მკაცრი მუსლიმანური აღზრდა. პაკისტანში მიღებულია, რომ შვილის მომავალ ოჯახურ ბედ-იღბალს მშობლები წყვეტენ და, რა თქმა უნდა, ჰასნათ ჰანის ახლობლებს გაუძნელდებოდათ თავიანთ ოჯახში ევროპელი, ქმარგაყრილი, სხვა აღმსარებლობის, შვილებიანი ქალის მიღება, თუნდაც ის ბრიტანელი პრინცესა ყოფილიყო.

სხვათა შორის, ბარელი წერს, რომ დაიანას საკმაოდ რთული ხასიათი ჰქონდა და ინტრიგები უყვარდა. როცა უგუნებოდ იყო, ხშირად ლანძღავდა განურჩევლად ყველას, ვის რას არ აბრალებდა. მაგალითად, 1995 წელს მან უსამართლოდ დაადანაშაულა თავისი შვილების ძიძა და როცა გაოგნებულმა ქალმა თავის გამართლება სცადა, კრინტი არ დააძვრევინა და ქედმაღლურად განუცხადა: „მე არ მჭირდება დამამტკიცებელი საბუთები თქვენი უდანაშაულობისა! თავადაც ყველაფერი ვიცი“.

დაიანა ქმრის ნათესავებს არ უყვარდათ და ისიც სამაგიეროს უხდიდა. დედამთილის ნაჩუქარ ძვირფასეულობაზე ამბობდა, — ეს იმ საშინელი წლების საფასურია, რომელიც ამ „წყეულ“ ოჯახში გავატარეო. დაიანას მაგარ-მაგარი, უხეში გამოთქმები უყვარდა და უინძორის სამეფო ოჯახისთვის ამ სიტყვებს არ იშურებდა. ეჭვიანობდა პრინც ენდრიუს ცოლზე, ფერგიზე — დედოფალი ელისაბედი ფერგის გაცილებით უკეთ ექცეოდა, ვიდრე მეო. რძალთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფერგი პრინცს გაეყარა.

პოლ ბარელი უშუალო მოწმე გახლდათ იმისა, თუ როგორ უარესდებოდა დაიანასა და ჩარლზის ურთიერთობა. პრინცმა მკაცრად უბრძანა მსახურებს, არ მოეხსენებინათ დაიანასთვის თავისი საყვარლის კამილას სასახლეში სტუმრობის შესახებ.

ერთ-ერთი ლაქია საგანგებოდ ინიშნავდა სალამოს ტელეპროგრამებს, დაიანას რომ ჰგონებოდა, თითქოს ჩარლზი შინ იყო და ტელევიზორს უყურებდა.

დაიანა ძალიან განიცდიდა ქმრისა და კამილა პარკერის რომანის ამბავს. ერთხელ, პოლოს თამაშის დროს, ჩარლზმა ხელი მოიტეხა. როგორც კი დაიანამ ეს გაიგო, მაშინვე საავადმყოფოში მივიდა და... დაინახა კამილა, რომელიც მის ქმარს ბალიშს უსწორებდა.

1992 წელს პრინცესამ სცადა ქმრის დაბრუნება — კამილას დის დაბადების დღეზე სთხოვა მეტოქეს, ჩარლზი მიეტოვებინა, მაგრამ კამილამ ცივი უარი უთხრა. აცრემლებულმა დაიანამ ზეიმი დატოვა და შინ მარტო დაბრუნდა.

„მე არ შემიძლია მათი დაშორება, — შესჩივლა დაიანამ პოლ ბარელს, — ჩარლზს კამილა ყოველთვის უყვარდა.“

განქორწინების წინ დაიანა და ჩარლზი ხშირად ჩხუბობდნენ სულ უმნიშვნელო წვრილმანის გამოც კი. ქალი ახლობლებთან ქმრის უხეშობაზე ჩიოდა. ჩარლზი კი ცდილობდა, მისთვის გული ეტკინა. პრინცმა იცოდა, როგორ ყურადღებას აქცევდა დაიანა თავის გარეგნობას და დასცინოდა, აკრიტიკებდა მის გემოვნებას, ჩაცმის მანერას და ხან სტიუარდესას, ხან კი კომივოიაჟერს ადარებდა.

სიცოცხლის ბოლოს დაიანას დევნის მანია აეკვიატა. დარწმუნებული იყო, რომ ჩარლზისა და მისი ოჯახის ბრძანებით, კენსინგტონის სასახლეში მოსასმენი აპარატები იდგა. ვიღაცამ მას ჰაიდ-პარკში სეირნობისას ესროლა, მისი მოკვლა გადაწყვიტეს და ამიტომ მანქანაში მუხრუჭები დაუმტვრიეს... დაიანა სულ უფრო ხშირად ფიქრობდა თვითმკვლელობაზე.

პოლ ბარელის მეგობრები გაოცდნენ, როცა გაიგეს, რომ დაიანას უახლოესი, ნდობით აღჭურვილი პირი მის შესახებ მემუარების გამოქვეყნებას აპირებდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ ნაბიჯით ბარელი შეეცადა თავის დაცვას, ვინაიდან 14 ოქტომბერს ყოფილი მსახურთუფროსი უნდა წარდგეს ლონდონის სასამართლოში. მას ადანაშაულებენ დაიანას კუთვნილი ნივთების (სულ 350 ნივთის) მითვისებაში. პოლ ბარელი უარყოფს ამ ბრალდებას და ამბობს, რომ მის სახლში აღმოჩენილი ნივთები სხვადასხვა დროს თავად დაიანამ უსახსოვრა.

გამორიცხული არ არის, რომ მემუარების გამოქვეყნების მუქარა ბრიტანელ მოსამართლეებს აიძულებს, ანგარიში გაუწიონ ბარელს, რადგან მემუარებში ასახული იქნება არა მარტო დაიანას სკანდალური თავგადასავლები, არამედ ტახტის მემკვიდრის, ჩარლზის პირადი ცხოვრებაც.

*ინტერპოლ-ექსპრესი №25*

# კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით

**8-9-10/VII, კირჩხიბი** — ხეხილის, ვაზისა და კარტოფილის შენამვლა მავნებლების წინააღმდეგ. ოთახის ყვავილების რწყვა, განოყიერება. გაზონების სხვლა. ხილეული წვენების მომზადება.

მოერიდეთ გაციებას, გაუფრთხილდით მკერდის არეს, ფილტვებს, ნაღვლის ბუშტს და ნერვულ სისტემას. ეს პერიოდი მიზანშეწონილია ორგანიზმის გამწმენდი პროცედურებისა და ქირურგიული ოპერაციების ჩასატარებლად. ფიზიკური დატვირთვა უნდა იყოს მინიმალური.

ეცადეთ მიიღოთ საკვები ხშირად და მცირე ოდენობით. სასარგებლოა შიმშილი წვენების თანხლებით. მოერიდეთ ცხარე და შემწვარ საკვებს.

**11-12-13/VII, ლომი** — ხორბლის აღება, ბალახის თიბვა, თივის ზვინის დადგმა მხოლოდ 29 ივლისიდან — 8 აგვისტომდე პერიოდში.

აუცილებელია ბინის განიავება ყოველ დილით, აგრეთვე ლოგინის გამზეურება. სასურველია ვარჯიშის ციკლის დაწყება. ამ პერიოდიდან ერთი კვირის განმავლობაში აუცილებელია აბაზანის მიღება სამკურნალო მცენარეების ნაყენის დამატებით. ამ დღეებში ერიდეთ გულის, ზურგისა და დიაფრაგმის გადატვირთვას. თავი შეიკავეთ სექსუალური ურთიერთობებისაგან. აუცილებელია დილით მსუბუქი ვარჯიში, ხოლო საღამოს სუფთა ჰაერზე გასეირნება — კარგი პერიოდია გულის სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად.

შეგიძლიათ მიირთვათ ხორცი, პარკოსნები, შავი პური. სასარგებლოა კუნელის ფოთლის ჩაი. მიუღებელია თამბაქო და ალკოჰოლი.

**14-15/VII ქალწული** — ნაკელის დაგროვება, კომპოსტის მომზადება, ოთახის ყვავილების განოყიერება, მავნებლებთან ბრძოლა. ამ დღეებში დასობილი ბოძი დიდხანს ძლებს. მიზანშეწონილია შესაკეთებელი სამუშაოები.

უფრთხილდით გაცივებას, მიუღებელია ბინის დიდი ხნით განიავება და ლოგინის გამზეურება. ნუ გადატვირთავთ საკვებმომნელებელ და ნერვულ სისტემებს. კარგია დასვენება ბუნების წიაღში, მოგზაურობა. შეგიძლიათ თანდათან გაზარდოთ ფიზიკური დატვირთვა — მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გართულება კუჭ-ნაწლავზე, თირკმელსა და შარდის ბუშტზე. ასევე მოსალოდნელია თავის ტკივილები. ამიტომ მიიღეთ წინასწარი ზომები, მოერიდეთ კონფლიქტებს.

კარგია ბოსტნეულის სალათით, წიწიბურათი და თაფლით კვება.

**18-19/VII, ლომი** — ბაღისა და ოთახის მცენარეების რწყვა, განოყიერება (მაგრამ არა ხეხილისათვის). ხორბლისა და ბალახის თიბვა. ბრძოლა ლოკოკინების წინააღმდეგ.

ამ დღეებში ადვილად ცივდებიან. ნუ გაანიავებთ ბინას და ლოგინს. გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას და სასქესო ორგანოებს. მიუღებელია სექსუალური ურთიერთობა. შეიძლება გამოწვეული იქნეს ორგანიზმის მოთენთილობა — მოერიდეთ ოპერაციებს თავის არეში.

მიირთვით რძე, რძის პროდუქტები, იოგურტი, საქონლის ღვიძლი, ბოსტნეული და ბალჩეულის სალათა, შავი პური. მოერიდეთ ალკოჰოლს.

**20-21/VII, მშვილდოსანი** — სამურაბე ხილის კრეფა. ვაზისა და კარტოფილის შენამვლა. ხეხილის მყნობა. მიუღებელია მარგვლა, კულტივაცია.

აუცილებელია ოთახისა და ლოგინის დიდი ხნით განიავება. გაუფრთხილდით სისხლძარღვებს, გრძნობის ორგანოებს. მოსალოდნელია თავის ტკივილი, გონების დაქვეითება. ეცადეთ ეს დღეები სიმშვიდეში გაატაროთ და ყოველი მოძრაობა დაკვირვებით შეასრულოთ — საჭიროა ჩაატაროთ შინაგანი განმწენდითი პროცედურები. დილით აუცილებელია სუნთქვითი ვარჯიშები და თვითმასაჟი.

ამ დღეებში ძირითადად მიზანშეწონილია კვება პარკოსნებით, ბოსტნეულით, ხილით და წვენებით. მიუღებელია მარილი და ალკოჰოლი.

**რატომ მამულ-დედული?**

იმიტომ, რომ დიდი საბა ორივეს დიდი პატივით მოიხსენიებს – მამული (მამისეული), დედული (დედისეული), ვისაც რა გვრგოთ, ილვაწეთ მშვიდობით – *რედ.*

## საიდან „მოვიდა“ პომიდორი

ჩვენთვის ცნობილი პომიდორის სამშობლო სამხრეთ ამერიკაა, სადაც მისი ნამდვილი სახელწოდება იყო — „ტომატლი“, რაც ინდიელების ენაზე ნიშნავს „დიდ კენკრას“. ევროპაში თავიდან ტომატის სახელით შემოვიდა, მაგრამ იტალიელებმა დანახვისთანავე თავისებურად მონათლეს — „ოო! პომიდორე!“, ანუ „ოქროს ვაშლი!“ ფრანგები დიდი სიფრთხილით შეხვდნენ და რატომღაც მას დაავადებული ატამი შეარქვეს, მომწამვლელი ნაყოფი ეგონათ.



პომიდორი რუსეთშიც მომწამვლელი ნაყოფის სახელით შემოვიდა, ამიტომაც ის დიდი ხნის განმავლობაში მოჰყავდათ, როგორც დეკორატიული მცენარე, რომლის ნაყოფს არ ეკარებოდნენ. ბოლოს ერთმა გაბედულმა იგემა მისი ნაყოფი...

მიირთვით პომიდორი — გემრიელი და სასარგებლოა.

## ყველა ბაღის ხილი არ იჭმება

ალბათ გქონიათ შემთხვევა, როდესაც თქვენთვის მოურთმევიათ ესა თუ ის ხილი (მაგ. მარწყვი, ჟოლო, თუთა და ა.შ.) — „მიირთვით სუფთაა, ჩემს ბაღშია მოკრეფილი“. პირველ ყოვლისა ეს არის დიდი შეცდომა. ბაღი ბაღია და ხილს, სადაც არ უნდა იყოს აღებული, აუცილებლად უნდა კარგად გარეცხვა გამდინარე წყლით, ვინაიდან თქვენ არ იცით, ვინ როგორ უვლის ბაღს. თუ მებაღე საუკეთესო პირობებს ქმნის მცენარეებისათვის, ასევე საუკეთესო პირობები იქმნება ნიადაგის ცოცხალი ორგანიზმებისათვისაც, რომელთა დანახვა შეიარაღებული თვალითაც შეუძლებელია. ასეთებია — ინფუზორიები, ამებები (ზომებით 0,005-0,05მმ). ბაქტერიები — უამრავი რაოდენობისა და სხვადასხვა სახეობის (ზომები დაახლოებით 0,001მმ). გარდა ამისა, ბაღში მრავლად შეიძლება ბინადრობდნენ მღრღნელები, თხუნელები, რეპტილიები, ტკიპები, ობობები, რგოლოვანი და ბრტყელი ჭიები. ეს ცოცხალი ორგანიზმები შესანიშნავ პირობებს ქმნიან ნაყოფის დასანაგვიანებლად, რასაც შეიძლება იოლად მოჰყვეს ადამიანის მოწამვლა. ბაღში რომ შედარებით ნაკლები რაოდენობით იყოს მავნებელი ცოცხალი ორგანიზმები, ეს დამოკიდებულია მებაღეზე, მის კულტურაზე.

ჩვენს ქვეყანაში, სოფელსა თუ ქალაქში მრავალი საინტერესოდ მოვლილი, გემოვნებით გაშენებული ბაღია. ასეთი ბაღი გარეგნულად ლამაზი და მიმზიდველია. ბაღი შიგნით ლამაზად განწყობილია მისასვლელი ბილიკებით, მწვანილის სუფთა კვლებით, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ასეთი ბაღი მაშინ უფრო სასიამოვნოა, როდესაც ხილიც შემოსულია. აი, ასეთ ბაღს მართლაც ჰყავს შრომისმოყვარე და გონიერი მებაღე.

***მინდა ერთ ასეთ მებაღეზე მოგახსენოთ, ეს გახლავთ ბატონი ევტიხი შუბითიძე. მას პატარა გლდანში აქვს საუკეთესოდ მოვლილი შესანიშნავი ბაღი თავისი ვაკე ადგილით თუ ფერდობზე გაშენებული ტერასებით — ბატონი ევტიხი შვილივით უვლის ბაღს, ეფერება ყოველ მცენარეს და არ აკლებს ყურადღებას.***

სამწუხაროდ, ამას ყველაზე ვერ იტყვი. ზოგჯერ ბაღში თვეობით და წლობით ყრია ნაგავი, რაც ქვეწარმავლების ბუდე ხდება. ხშირად მეზობლები ერთმანეთს უყრიან ეზოში ნაგავს, ვითომდა ჩემი ტერიტორიიდან მოვიშოროო. იმას კი არ უფიქრდებიან, რომ მავნებლებმა ზღვარი არ იციან და სადაც უნდათ იქ გადავლენ — დაუშვებელია ბაღ-ბოსტანში ძაღლის, კატის, ქათმებისა და სხვა ცხოველების ნავარდი, ვინაიდან ისინი ბაღს აბინძურებენ. ამ ბაღში მოწეული ხილი კი ადამიანებმა უნდა მიირთვან.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დიდი სიფრთხილე გვმართებს ხილით კვებისას. მიუღებელია ასევე ბაზარში ხილის გასინჯვა ყიდვის დროს. ხილს თვალითაც ეტყობა, არის თუ არა გემრიელი.

და რაც მთავარია, კარგი მეურნე მხოლოდ შემოსავალზე არ უნდა ფიქრობდეს, პირველ ყოვლისა, უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი ბაღი მოწამვლის ან ინფექციური დაავადების გავრცელების კერა არ გახდეს.



## ჭიამაია

ვის არ შეგინიშნავთ ტოტზე მცოცავი პატარა ხოჭო, ამობურცული ტანით, წითელი ან ნარინჯისფერი, ხშირად ნაცრისფერი, შავი წინწკლებით. წინწკლები აუცილებლად 7 ცალი აქვს. ზედაპირი ლაქით აქვს დაფარული. როდესაც ჭიამაიას ხელში აიყვანთ, ის თავს მოიმკვდარუნებს და გამოყოფს ნარინჯისფერ სითხეს. ამ სითხით ის აფრთხობს მწერებს. ჭიამაიას 300-ზე მეტი სახეობა არსებობს. ის ითვლება მტაცებელ მწერად, ვინაიდან იკვებება მღილებით, ფოთოლჭამია ბუგრებით, მწერებით, რომლებსაც დიდი ზიანი მოაქვთ მცენარეებისათვის. კვების თვალსაზრისით ჭიამაია გაუმაძღარია. მას დღეში შეუძლია გაანადგუროს 50-დან 200-მდე მავნებელი, რითაც დიდი სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის.

ზოგიერთი სახეობის ჭიამაია საზღვარგარეთიდანაც შემოჰყავთ. ასეთ სახეობას ეკუთვნის ჭიამაია — როდოლია, რომელიც შემოიყვანეს ავსტრალიიდან მრავალ ქვეყანაში და საქართველოშიც, ვინაიდან ის ანადგურებს ჩაისა და ციტრუსების მავნებლებს.

დააკვირდით ზაფხულობით ამ პატარა მწერებს ბაღში, მოცხარის ტოტზე. მოცხარის ფოთოლზე აუცილებლად იქნება მავნებლები — მწვანე ფერის ბუგრები, რომლებიც ფოთლიდან იღებენ წვენს და აკნინებენ მცენარეს. ხოლო ჭიამაია ეხმარება მცენარეს თავი დაიცვას მავნებლისაგან.



## გინდათ გემრიელი მურაბა?

**თუ გნებავთ, რომ მურაბა გამოგივიდეთ გემრიელი და კარგად და დიდხანს შეინახოთ, საჭიროა იცოდეთ, რომ:**

— მურაბისათვის ხილი მოკრეფილი უნდა იყოს მზიან დღეს და მურაბა უნდა მომზადდეს იმავე დღესვე.

— მურაბის მოსახარში ჭურჭელი უნდა იყოს განიერი და დაბალი;

— სამურაბე ხილის დიდი ოდენობით ერთად მოხარშვა არ არის მიზანშეწონილი. ყველაზე საუკეთესოა 1200 გ მურაბის მომზადება;

— ხილის ნაყოფი ან კენკრა ძალზე რომ არ დარბილდეს და სიმკვრივე შეინარჩუნოს, საჭიროა მურაბა ხარშვისას ყოველი 5-7 წუთის შემდეგ გადაიდგას 15-20 წუთით ან უმჯობესია, გაცივებამდე.

— მურაბა ხარშვისას არ მოქაფოთ, ვინაიდან წარმოქმნილი ქაფი იგივე შაქარია, ამიტომ სჯობს ყოველი გადმოდგმისას ჭურჭელი შეარხიოთ.

## იცით თუ არა, რომ...

მსოფლიოში ყველაზე ძველი **კაკლის ხე** აღრიცხულია გარდაბნის რ-ნის სოფ. მარტყოფში, ის 800 წლისა მოჭრეს გასული საუკუნის 70-იან წლებში.

**ობობა** თავის ნადავლს ჯერ კუჭის წვენით სხამავს, რის შემდეგაც მიმდინარეობს მონელება და ნადავლს მხოლოდ მერე მიირთმევს. ე.ი. ობობა ერთადერთი არსებაა, რომელიც საკვებს ჯერ ინელებს, შემდეგ ჭამს.

არსებობს **სოკოს** სახეობა, რომლის ზრდის ხანგრძლივობა 600 წელიწადს გრძელდება.

**ზვიგენი** ერთადერთი არსებაა, რომელსაც მოტეხის შემთხვევაში კბილი ნახევარ საათში ეზრდება.

თავის წონაზე მეტი საკვების მიღება მხოლოდ **სვავს** შეუძლია.

**ფუტკრის** ფრთების რხევის სიხშირე წამში 440-ია.

**P.S. ბატონებო!**

**თუ დაგაინტერესათ ჩვენი გაზეთის ამ გვერდმა, გთხოვთ გამოგვეხმაუროთ. მოგვწერეთ რა თემაზე ან რომელი ცხოველისა თუ მცენარის შესახებ გაინტერესებთ ინფორმაცია ან იქნებ ისე ახლოს ხართ ბუნებასთან, რომ არ შეიძლება რაიმე საინტერესო მოგონება არ გქონდეთ... ველით თქვენს გამოხმაურებას.**

*გვერდი მოამზადა დურმიშხან ყიფიანმა*


## ბუასილი — უსისხლოდ დაძლეული პრობლემა

ტკივილი და დისკომფორტი, ბუასილის დროს, ბევრისათვის არის ნაცნობი. ყოველი მე-9 ადამიანი ამ დაავადების მსხვერპლი ხდება. უახლესი გამოკვლევების შედეგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბუასილის წარმოშობის ძირითად მიზეზს სისხლის მიმოქცევისა და შორისის კუნთების ფუნქციის დარღვევა წარმოადგენს.

ასეთი სახის დარღვევები უმეტესწილად ვითარდება ეგრეთ წოდებულ მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორიც არიან მძიმე ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანები, სპორტსმენები (სიმძიმეების აწევა), ე. წ. "მჯდომარე" პროფესიის მქონე პირები. ასევე, მშობიარობა და ხშირი შეკრულობები ბუასილის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ.

ბუასილისათვის, ტრადიციულად, დამახასიათებელია ორი ძირითადი სიმპტომი: სისხლდენა (51%) და კვანძების გამოვარდნა (37%). აგრეთვე აღინიშნება დისკომფორტი, ტკივილი, ქავილი და ლორწოვანი გამონადენი.

ბუასილს შეიძლება ჰქონდეს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული მიმდინარეობა. მწვავე ბუასილის დროს აუცილებელია კონსერვატიული მკურნალობის ჩატარება, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაავადების პროფილაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის მოწესრიგებაში და "გაღიზიანებული მსხვილი ნაწლავის"–კოლიტის მკურნალობაში, რომელიც აღინიშნება დაავადებულთა ნახევარზე მეტს.

სამედიცინო ცენტრში "ექიმი გილი" დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერმენტულ საშუალებებს, რომლებიც მოქმედებენ სწორი და მსხვილი ნაწლავის ფლორაზე და პერისტალტიკაზე, ჰიდროფილურ კოლოიდებს და სხვა, ვინაიდან, ნაწლავის შიგთავსის კონსისტენციის რეგულაცია და მისი ტრანზიტი მსხვილ ნაწლავში, წარმოადგენს ბუასილის პროფილაქტიკისა და მკურნალობის აუცილებელ წინაპირობას.

კლინიკაში დანერგილია თანამედროვე ლაზერომაგნიტური და კვანტური თერაპია, სისხლის სტიმულაცია ლაზერით. გარდა ამისა, "ექიმი გილი" გთავაზობთ ბუნებრივი და მცენარეული პრეპარატების ფართო არჩევანს, რაც საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში მიღწეულ იქნას მკურნალობის მაქსიმალური ეფექტი.

კონსერვატიული მკურნალობა ნაჩვენებია ბუასილის ქრონიკული მიმდინარეობის დაწყებით სტადიაში და მწვავე მიმდინარეობის დროს. მკურნალობა მოიცავს საერთო და ადგილობრივ თერაპიას. ადგილობრივი თერაპია მოიცავს ტკივილითი სინდრომის ლიკვიდაციას, ჰემოროიდალური კვანძების თრომბოზის, ანთების და სისხლდენის მკურნალობას.

ზოგადი თერაპია ითვალისწინებს ფლებოტროფული პრეპარატების გამოყენებას, რომელთა მოქმედება ამაღლებს ვენების ტონუსს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და მიკროცირკულაციას კავერნოზულ სხეულებში.

ბოლო წლებში, მედიცინაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და ახალი პრეპარატების შექმნასთან დაკავშირებით, ამერიკასა და ევროპის მრავალ ქვეყანაში ტიპური ოპერაცია ბუასილის დროს, უტარდება პაციენტთა მხოლოდ 17%–20%-ს; უმეტესწილად გამოიყენება ე. წ. ნაკლებინვაზიური (უოპერაციო) მკურნალობის მეთოდები.

სამედიცინო ცენტრი "ექიმი გილი" აღჭურვილია თანამედროვე, უნიკალური აპარატურით, ზემოთ აღნიშნული უსისხლო "ოპერაციების" ჩასატარებლად ამბულატორიულ პირობებში. ასეთი მეთოდიკა თავიდან აცილებს პაციენტს ნარკოზს, საავადმყოფოში ყოფნას და რაც მთავარია, მტანჯველ ტკივილებს, რომელიც ახასიათებს ჩვეულებრივი ოპერაციის შემდგომ პერიოდს. მათ, ვისთვისაც ბუასილი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად და მოუცილებელ ჭირად ქცეულა, დღეს ძალუძთ უნიკალური საშუალება უკან მოიტოვონ დისკომფორტითა და ტკივილით გატანჯული დღეები. ნუ იტყვით უარს ჯანმრთელ და აქტიურ ცხოვრებაზე.

სამედიცინო ცენტრი

"ექიმი გილი"

ტ: 29-05-25 25-27-09

ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

# მედიცინა

## სილამაზის სალათი



ყველასათვის ცნობილია, რომ არასწორი კვების შედეგები პირველ რიგში აისახება კანზე, თმასა და ფრჩხილებზე, აქედან გამომდინარე, ჩვენს გარეგნობაზე. ყოველთვის ახალგაზრდულად რომ გამოვიყურებოდეთ, დიეტოლოგები გვირჩევენ ყოველ დილას მივირთვათ ე.წ. სილამაზის სალათი:

შეურიეთ ერთმანეთს 2 ს/კ შვრიის ბურბუშელა (ჰერკულესი), 1 ს/კ ცხელი წყალი, 3 ს/კ უცხიმო რძე, ცოტა ვაშლი, 1 ჩ/კ თაფლი და ერთი ლიმონის წვენი. ეს სალათი გაამდიდრებს თქვენს ორგანიზმს აუცილებელი ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებით, მინერალებით და პექტინებით. და რაც მთავარია — სალათში ძალიან ცოტა კალორიაა.

*ოქდოხნი! №26*

## უძილობა გაწუხებთ?



მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მთვარე ზეგავლენას ახდენს ადამიანის გუნება-განწყობილებაზე. განსაკუთრებით, სავსემთვარეობის დროს ადამიანისთვის გარდაუვალია ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ნერვიულობა, გაფანტული ყურადღება, მოუსვენარი ძილი.

ამ უსიამოვნებებისგან თავის დაღწევა თუ გსურთ, გაითვალისწინეთ რამდენიმე მარტივი რჩევა:

...სავსემთვარობისას ფანჯრებზე ჩამოაფარეთ მუქი ფარდები ან დახურეთ ჟალუზები.

...საძინებელი უნდა ჩააბნელოთ, რადგან მთვარის ნათებამ შეიძლება ძილი დაგიფრთხოთ.

...უძილობას შეიძლება ეშველოს, თუ უარს იტყვით ნოყიერ ვახშამზე. საღამოს დალიეთ ანისულის, კატაბალახას, იის ან ანწლის ნაყენი — ეს ამშვიდებს, ადუნებს და ამზადებს ორგანიზმს ღამის ძილისთვის.

...უძილობას შველის ცაცხვის ყვავილის აბაზანაც. ერთი მუჭა ცაცხვის ყვავილი წამოადუღეთ 1 ლ წყალში, გააჩერეთ 10 წუთი და ჩაასხით აბაზანაში. ჩაწექით და ინებივრეთ. როგორც კი ძილი მოგერევათ, მაშინვე ამოდით წყლიდან და ჩაწექით ლოგინში.

...დილით, გაღვიძებისთანავე ნუ წამოდგებით, 5 წუთით ჩამოჯექით საწოლზე, გაიჭიმეთ, გაიზმორეთ და თანდათანობით „გამოაფხიზლეთ" კუნთები. შემდეგ მიიღეთ კონტრასტული შხაპი. ყავის ან შავი ჩაის ნაცვლად, ტონუსის ასამაღლებლად უმჯობესია დალიოთ გვირილის, როზმარინის ან ბარამბოს ნაყენი. ნევროზსა და სტრესს შველის დღეში 3-ჯერ ცაცხვის ყვავილის ჩაი თაფლით, უმიზეზო ნერვიულობას მოგიხსნით 15-წუთიანი გასეირნება სწრაფი ნაბიჯით. როგორც წესი, სავსემთვარეობის დროს მადა მატულობს, თუ გინდათ, რომ წონაში არ მოიმატოთ სავსემთვარეობამდე, წინა დღეებში მოიწყეთ განტვირთვის დღე — წვენებითა და ხილით. წვენები ბოსტნეულს სჯობია.

...თუ მგრძნობიარე კუჭი გაქვთ, სვით მაწონი, იოგურტი, კეფირი. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ სავსემთვარეობის დროს ორგანიზმი ცუდად ითვისებს მარილიან და ცხიმიან საკვებს.

...თუ თავის ტკივილმა ან შაკიკმა შეგაწუხათ, თითები დაისველეთ გარგარის ზეთში და გაიკეთეთ საფეთქლების მსუბუქი მასაჟი წრიული მოძრაობით.

აი, კიდევ ერთი საშუალება უძილობის საწინააღმდეგოდ: თავქვეშ დაიდეთ გამხმარი ლავანდის ბალიში, მისი სურნელება სიმშვიდეს მოგგვრით და ძილისათვის განგაწყობთ.

*ჟენსკოე დელა №12*

## ჯარაექიმის რჩევები



**ტოლო** ბრწყინვალე ოფლმდენი საშუალებაა. სამკურნალოდ შეიძლება გამოიყენოთ ახალი და გამხმარი ნაყოფი, მურაბა და ვაჟინი.

**ქაცვი** — ანთებსაწინააღმდეგოა. სამკურნალოდ გამოიყენება შაქართან ერთად გახეხილი კენკრა, წვენი, ბალზამი. გაცივების დროს ცხვირ-ხახის ლორწოს რეგენერაციისთვის ეფექტურია ქაცვის ზეთი.

**ძახველი** (თანაბარი პროპორციით) შაქართან ერთად გახეხილი ან გამხმარი და წყალში დამბალი დაბლა სწევს წნევას, იგი მატონიზებელი საშუალებაა.

**შავი მოცხარი** — დიდი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს, შველის გაცივებას.

**ზეითუნის ზეთი** ამაღლებს ლორწოვანი გარსის მდგრადობას, ანთებსაწინააღმდეგოა, რეკომენდებულია 1-2 ს/კ მიღება მწვავე რესპირაციული დაავადების, სინუსიტისა და ფარინგიტის დროს.

**ალოე (ამერიკული აგავა)** ეხმარება ბრონქების გარსის რეგენერაციას, აქვს ანთებსაწინააღმდეგო თვისებები, აძლიერებს იმუნიტეტს, რეკომენდებულია ახალგამოწურული წვენის რამდენიმე წვეთის მიღება, მას შეიცავს გაცივების საწინააღმდეგო ბევრი წამალი.

**კრაზანას** ხალხში 99 დაავადების სამკურნალო ბალახს ეძახიან. ყველაზე მეტად მას იყენებენ როგორც ანთებსაწინააღმდეგო საშუალებას. კლავს მიკრობებს, აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტს, აჩქარებს ჩირქოვანი ჭრილობების შეხორცებას. რეკომენდებულია 1 ს/კ ნახარშის როგორც მიღება, ისე გამოვლება რინიტის, პნევმონიის, გრიპის, ბრონქიტისა და ანგინის დროს. გარდა ამისა, კრაზანას ნაყენი აქრობს პირის ღრუდან ცუდ სუნს და კურნავს ღრძილებიდან სისხლდენას.

**ცაცხვის ყვავილის** ნაყენი შეიცავს ეთეროვან ზეთებს, ფიტონციდებს, კაროტინს და ძალიან ბევრ სასარგებლო ნივთიერებას, ახასიათებს სიცხის დამწევი და ოფლმდენი თვისებები. ცაცხვის ჩაი რეკომენდებულია მწვავე რესპირაციული დაავადებების, გრიპის, ტრაქეიტისა და ბრონქიტის დროს.




**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**
საკარტუიმიკამეთი
სიახლე!!!
კომპლექტი:
აპარატი: 50ც. ტესტ-ჩხირი: ავტოკალამი.
**159 ლარად + 25ც.**
ტესტ-ჩხირი **საჩუქრად!**
შპს „კონბრასბი", ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55



**ვმკურნალობთ**
ქრონიკულ პროსტატიტს
— [illegible] 15-20 წუთში;
— [illegible] აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღევანდელ დღესათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუხკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

ექიმ-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა. ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**მაქვს ოსტეოქონდროზი, მარილები. მტკივა სახსრები და თავი. ვინაიდან მაწუხებს კუჭი და ნაღვლის ბუშტი, მედიკამენტებით მკურნალობის რა მეთოდს მივმართო?**

*ლალი გალდავა*

სამწუხაროდ, ართროზების სამკურნალოდ გამოყენებული მრავალი ქიმიური პრეპარატი მართლაც აღიზიანებს კუჭ-ნაწლავს, რაც მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია ამ დაავადების მკურნალობის დროს. თუმცა, არის სხვა გზაც: მედიკამენტურ თერაპიაზე არანაკლებ ეფექტურია ბალნეოთერაპია, ფიზიოპროცედურები, სამკურნალო მასაჟები და სპეციალური ვარჯიშები. შეგიძლიათ მიმართოთ თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს, სადაც სამკურნალო აბაზანებით, ტალახით და სხვა მრავალი მეთოდით, რომელიც ართროზების დროს საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა ხოლმე, საგრძნობლად შეიმსუბუქებთ მდგომარეობას. ვინაიდან ართროზის პათოგენეზის წამყვანი რგოლი ნივთიერებათა ცვლის დარღვევაა, გირჩევთ რეგულარულად მიირთვათ მინერალური წყლები, რომელიც აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას. ოსტეოქონდროზის სამკურნალო-პროფილაქტიკურ სპეციალურ ვარჯიშებს ნევროპათოლოგი შეგასწავლით.

ფართოდ გამოიყენება ე.წ. კვებითი დანამატები — უცხოური წარმოების მცენარეული პრეპარატები, რომლებსაც ნაკლები გვერდითი მოქმედებები და მეტი დადებითი ეფექტი აქვს.

**ვარ 37 წლის. ვგრძნობ ტკივილს წელისა და მარჯვენა თეძოს არეში. დილაობით ქუთუთოები შესივებული მაქვს. მეგონა, მაწუხებდა თირკმლები. როგორც ვიცი, ამ დაავადებას ახასიათებს მაღალი წნევა. მე კი, მაქვს დაბალი — 90/60. შეიძლება ამის გამო გამოირიცხოს თირკმლების დაავადება?**

*თქვენი ერთგული მკითხველი*

თირკმლის ზოგიერთ დაავადებას მართლაც ახლავს მაღალი წნევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ წნევა ნორმალური ან დაბალია, თირკმლის პათოლოგია შეიძლება გამოირიცხოს, რადგან არსებობს პათოლოგიური მდგომარეობა, როცა წნევა არ იცვლება, მაგრამ შარდში საკმაოდ სერიოზული დარღვევებია. გირჩევთ, გაიკეთოთ შარდის საერთო ანალიზი.

**ვარ 53 წლის ქალი. 3-4 თვის წინ დამეწყო წნევის ცვალებადობა, დღის პირველ ნახევარში მაქვს 90/50, მეორე ნახევარში კი 190/100. მივმართე ექიმს. მკურნალობა შედეგს არ იძლევა. გთხოვთ განმიმარტოთ, რა იწვევს ასეთ ცვალებადობას და რომელ სპეციალისტს მივმართო?**

*ვ. ჯელაძე*

არტერიული ჰიპერტენზია (მაღალი წნევა), ჩვეულებისამებრ, თანდათანობით ვითარდება ხოლმე. პირველ ხანებში წნევის ციფრები უმნიშვნელოდ და შედარებით იშვიათად მატულობს, შემდგომში წნევა უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევს და მისი მატების ფაქტებიც ხშირდება ხოლმე. მაგრამ ეს იმ შემთხვევას ეხება, როცა ჰიპერტენზია პირველადია, ანუ ვითარდება, როგორც გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია და დაკავშირებული არ არის სხვა ორგანოთა დაავადებებთან. ხოლო თუ წნევა თავიდანვე საკმაოდ მაღალია და ადვილად არ ექვემდებარება წნევის დამწევი წამლებით მკურნალობას, სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეორად ჰიპერტენზიასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ წნევა სხვა ორგანოს დაავადების შედეგია. ასეთ დროს უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, კერძოდ რომელი პათოლოგიაა ჰიპერტენზიის გამომწვევი მიზეზი და მკურნალობა უნდა მივმართოთ ძირითადი დაავადების საწინააღმდეგოდ. ყველაზე მეტად გავრცელებულია თირკმლისმიერი ჰიპერტენზია; საკმაოდ ხშირად გვხვდება ენდოკრინული პათოლოგიით გამოწვეული ჰიპერტენზია.

თქვენი მონათხრობის მიხედვით, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს სწორედ მეორად ჰიპერტენზიასთან. გირჩევთ, ჩაიტაროთ ყოველმხრივი სამედიცინო გამოკვლევა ზუსტი დიაგნოზის დასადგენად. მხოლოდ წნევის დამწევი წამლებით თქვენს შემთხვევაში წნევა არ მოწესრიგდება, რადგან მისი გამომწვევი ძირითადი დაავადება ჯერჯერობით უცნობია.

*თამარ მამაცაშვილი*

## გოგრა — ყველაზე დიდი ბოსტნეული...

გოგრა, როგორც სიდიდით, ასევე თავისი ღირსებებით, აჭარბებს ყველა ბოსტნეულს. რას აღარ შეიცავს ეს უნიკალური ბოსტნეული — ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, შაქარს, პექტინს, კალიუმს, რკინას, თუთიას, კალციუმსა და ფოსფორს.

ექიმები გვირჩევენ ვჭამოთ გოგრა, თუკი გვაწუხებს ამ დაავადებებიდან ერთ-ერთი მაინც: ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და მასთან დაკავშირებული სიმსუქნისადმი მიდრეკილება, ათეროსკლეროზი, ქოლეცისტიტი, თირკმლებისა და ღვიძლის დაავადებები, ყაბზობა. ყველაფერთან ერთად ეს გოლიათი ბოსტნეული ძალიან გემრიელია და მისგან სხვადასხვა დელიკატესის მომზადება შეიძლება...

*ლიზა №25*




# ამერიკელი ათეისტი ფიცის დადებას უკანონოდ მიიჩნევს

ამერიკელი ბავშვები ყოველ დილით, სკოლასა და საბავშვო ბაღში მეცადინეობის დაწყების წინ, გულდაგულ წარმოთქვამენ ფიცს. 1954 წელს, მაშინდელი პრეზიდენტის, დუაიტ ეიზენჰაუერის ხელმოწერილი კანონის თანახმად, ფიცის სიტყვებს ჩაემატა „ღვთის წინაშე". ალბათ ეს სიტყვები განხილვის საგანი არ გახდებოდა, რომ ამერიკის მოქალაქეს, ათეისტ ენდრიუ ნიუდაუს ერთი ამბავი არ აეტეხა — არ მსურს ჩემმა 8 წლის გოგონამ ყოველდღე ფიცი დადოსო. ნიუდაუმ კალიფორნიის ფედერალურ სასამართლოში განცხადება შეიტანა — ფიცის



დადება რელიგიური იდეაა, რომელსაც ყველა არ ეთანხმება. ჩემი გოგონა კი ათეისტად უნდა აღიზარდოს. კონსტიტუციის თანახმად, ეკლესია ამერიკაში სახელმწიფოსგან გამოყოფილია, ღმერთის ხსენება გაუმართლებელიაო.

რაც არ უნდა საკვირველი იყოს, სასამართლომ ენდრიუ ნიუდაუს მოთხოვნა სამართლიანად მიიჩნია. მალე ფიცის დადება აიკრძალება 9 შტატის სახელმწიფო სკოლებში.

მთავრობის რეაქციას არ დაუყოვნებია. სენატორებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია სახელმწიფო დროშასთან ფიცის დადების აღდგენის თაობაზე. კონგრესმენმა ბობ ბარიმ განაცხადა, — ფიცის აკრძალვა არის ყველაზე იდიოტური გადაწყვეტილება, რომელიც კი სასამართლოს ოდესმე მიუღიაო.

ჯორჯ ბუშის აზრი კი თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის, არი ფლეიშერის პირით გაცხადდა, — უზენაესი სასამართლოც კი სხდომას იწყებს სიტყვებით — „ღმერთო, ფარავდე შეერთებულ შტატებს", ჩვენს ფულს აწერია — „ღმერთი გვწამს". არავის ეპარება ეჭვი, რომ უზენაესი სასამართლო გააუქმებს თავისი კოლეგის შეცდომას.

*ნიუ ზუიქ*

# დელიმ უომრად გაიმარჯვა

მრავალთვიანი დაპირისპირების შემდეგ ინდოეთსა და პაკისტანს შორის დაძაბულობა ერთგვარად შენელდა. ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ატალა ბიჰარ ვაჯპაის თქმით, დელიმ გამარჯვებას უომრად მიაღწია. პაკისტანის პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი კი ირწმუნება, — კონფლიქტი მხოლოდ იმიტომ ავიცილეთ თავიდან, რომ ბირთვული იარაღი გვაქვსო.

ორივე მხარე საკუთარ დამსახურებად მიიჩნევს დაძაბულობის შესუსტებას. აზიის ორ უდიდეს ქვეყანას შორის დაპირისპირება, უპირველეს ყოვლისა, მათი შინაური პრობლემებით იყო გამოწვეული. ინდოეთი ახლაც არ ჩქარობს ქაშმირის ინდოეთისა და პაკისტანის გამყოფი საკონტროლო ხაზიდან ჯარის გაყვანას. საქმე ის არის, რომ შემოდგომაზე არჩევნები ჩატარდება ჯამასა და ქაშმირის შტატში, სადაც მძლავრობენ სეპარატისტული რადიკალურ-ისლამისტური და ტერორისტული ელემენტები. ამ შტატში არჩევნების შედეგების წარმატება საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში დააკანონებს ინდოეთის ტერიტორიულ უფლებას ქაშმირზე.

საგარეო ფაქტორი პაკისტანისთვისაც ბევრს ნიშნავს. ოქტომბერში აქაც საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, რომლის შედეგების განსაზღვრა ძნელია. პაკისტანელი გენერლები დღემდე ვერ მოურიგდნენ წამყვან პოლიტიკურ ძალებს — მუსლიმანურ ლიგას და სახალხო პარტიას, რომლებსაც ყოფილი პრემიერები ნავაზ შარიფი და ბენაზირ ბჰუტო უდგანან სათავეში. ამიტომაც გამორიცხული არ არის, რომ არჩევნების შედეგად შეიქმნას ოპოზიციური პარლამენტი, რაც, რამდენადმე შეასუსტებს სახელმწიფოს მეთაურის ძალაუფლებას.

*ნეზავისიმაია №129*

# ოცნება ახდა

ოდესღაც კომუნიზმის გერმანელი მამები წინასწარმეტყველებდნენ — ერთხელაც იქნება, ფული ნისლივით გაქრებაო. საუკუნე-ნახევრის შემდეგ მათი ნაოცნებარი თითქმის ახდა, თანაც მათსავე სამშობლოში, მაგრამ სრულიად მოულოდნელი ფორმით. ცეცხლში ჩაიწვა გდრ-ის — გერმანიის მიწაზე პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ფული. სახელმწიფო კი, როგორც გვახსოვს, მარქსისა და ენგელსის კომუნისტური მანიფესტის რეცეპტით შეიქმნა.

კუპიურების ნაწილს სიგარეტის დასამზადებლად გამოიყენებენ. ისტორიის საკუთრება გახდა გფრ-ის მარკებიც, ისინი ევრომ შეცვალა, მაგრამ მათ ნამდვილად არ გამოიყენებენ სასიგარეტე მასალად და მუზეუმებსა და სეიფებში შეინახავენ, როგორც გერმანული სასწაულის სიმბოლოს. დაწვით კი ყალბი იდეის ყალბ ნიშნებს წვავენ...

*შტერნი*

# კუბური სოციალიზმი მარადიულია



კუბაში დამთავრდა რიგგარეშე საპარლამენტო სესია, რომელიც ფიდელ კასტროს ინიციატივით გაიმართა. სხდომები ორ დღეს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ნაციონალური ასამბლეის დეპუტატებმა წარმოუდგენელი სიბეჯითე გამოიჩინეს და სესია გააგრძელეს. კუბაში დამატებითი დასვენების დღე გამოაცხადეს, რათა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ყველა მოქალაქეს გულისყურით მოესმინა უკლებლივ ყველა ორატორის სიტყვა. ეს სესია უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რადგან კონსტიტუციაში შესწორება უნდა შეეტანა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არც არაფერი შეცვლილა. „სამშობლო წმიდათაწმიდაა, რევოლუცია დაუმარცხებელი, სოციალიზმი შეუცვლელი" — ამ სიტყვებით შეაჯამა დეპუტატების მიერ მიღებული შესწორებები ფიდელ კასტროს ერთ-ერთმა მოადგილემ კარლოს ლახემ. სესიამ ერთხმად გადაწყვიტა — კუბაში არასოდეს არ დაბრუნდება კაპიტალიზმი, ხელისუფლების ერთპარტიული კომუნისტური სისტემა ყველაზე საიმედოა, სოციალიზმი კი შეუცვლელი. თავიდან უნდოდათ დაეწერათ სოციალიზმი — ხელშეუხებელიაო, მაგრამ „შეუცვლელი" ამჯობინეს — უფრო საიმედოაო. მით უფრო, რომ დისიდენტური იატაკქვეშა მოძრაობა ძალას იკრებს და ფიდელისა და რაულ კასტროს ზეობის ხანაც ადრე თუ გვიან დასრულდება. ორივე ძმამ 70 წელს გადააბიჯა. ჯერჯერობით კი, სანამ ხელისუფლების სათავეში დგანან, მათმა გარემოცვამ ყოველნაირად უნდა დაუჭიროს მხარი ძმების იდეებს. სოციალიზმის მარადიულობას 559-მა დეპუტატმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. თითოეული დეპუტატი მიკროფონთან მიდიოდა და სახალხოდ აცხადებდა — სოციალიზმს ვემხრობიო. კასტრომ ყველას მადლობა გადაუხადა და ბუშს შეუთვალა, — თუ თავს არ დაგვანებებ შენი კაპიტალიზმით, იცოდე, აშშ-ის საელჩოს დავხურავთო. თანაც ყველამ იცის, რომ მათ შორის დიდი სიამტკბილობა არ არის...

*კომერსანტი №113*

# ბალტიისპირეთი: ათი წელი „ოკუპაციის" შემდეგ




2004 წლიდან ლატვიაში მხოლოდ ლატვიური სკოლები იქნება. სეიმის რუსი დეპუტატი ო. ტოლმაჩოვი ამბობს: „ჩვენ მზად ვართ, ვიყოთ დამოუკიდებელი ლატვიის პატრიოტები, მაგრამ გვსურს შევინარჩუნოთ ენა, რომელიც მშობლიურია ლატვიის მცხოვრებთა 42%-ისათვის."

ლატვიისაგან განსხვავებით, ესტონეთის სასკოლო პროექტის განხორციელება 2007 წლისთვის გადაიდო. ესტონელებს მშვენივრად ესმით, რომ მათ შვილებს „ცხოვრების საგზური" მხოლოდ ესტონურ ენაზე უნდა გამოეწეროთ. რუსები ერთმანეთში ამბობენ, — ესტონელობა — უკვე თანამდებობააო, მაგრამ ესტონურ სკოლებში უცხოტომელებს ჯერჯერობით არ მიერეკებიან. ამასობაში კი, საურთიერთობო ენად ნელ-ნელა ინგლისური ხდება — რუსი ახალგაზრდები თავს უფრო ევროპის მცხოვრებლებად მიიჩნევენ, ვიდრე ესტონეთისა, ამიტომაც ინგლისურის შესწავლას არჩევენ. ახალგაზრდა ესტონელებსაც კარგად ესმით, რომ დღეს თუ არა ხვალ, ევროპის მოქალაქეები გახდებიან. ხომ არ ელის ესტონურ კულტურას საერთო ევროპულ კულტურაში გათქვეფა? ესტონეთის პრემიერ-მინისტრს სიიმ კალასს მიაჩნია, რომ „ევროპა დიდ ყურადღებას უთმობს მცირერიცხოვან ერებს და, ამდენად, ესტონურ ენასა და კულტურას არანაირი საშიშროება არ ელის."

რაც შეეხება რუსულენოვან მოქალაქეთა ესტონურ საზოგადოებაში ინტეგრაციას, პრემიერის აზრით, „ესტონეთის კანონმდებლობა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნების თანახმად მოქმედებს და ასაღელვებელიც არაფერია".

საინტერესოა, რომ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ეთნიკურ ესტონელთა მხოლოდ 4% ცხოვრობს. ნარვას საქალაქო საბჭო სხდომებს რუსულ ენაზე ატარებს, რაც კანონის დარღვევაა, მაგრამ მთავრობას სხვა გზა არა აქვს.

საინტერესოა, ათი წლის შემდეგ ნარვაში რომელ ენაზე ილაპარაკებენ — რუსულად, ესტონურად თუ ინგლისურად?

*არგუმენტი ი ფაქტი №27*

# შოტლანდიის ნაპირებთან განძი ელის მპოვნელს

ინგლისის წიაღისეულის მაძიებელმა კომპანია Subsy explorer-მა განაცხადა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შოტლანდიის ნაპირებთან ჩაძირულია დიდი რაოდენობით ოქრო-ვერცხლი. იგი მე-17 საუკუნისაა, მისი ახლანდელი ღირებულება 4 მლრდ დოლარს აღწევს. კომპანია ამზადებს ექსპედიციას განძის მოსაძებნად. ეს სიმდიდრე თავის დროზე ხელში ჩაიგდო ლორდმა კრომველმა შოტლანდიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის დროს. საგანძური ინახებოდა ედინბურგის მახლობლად, ქალაქ დანდში. კრომველის ყოფილმა თანამოაზრემ გენერალმა ჯორჯ მონკმა განძი 60 ნავში ჩატვირთა. მცირე მანძილის გავლის შემდეგ საზღვაო ქარავანი რიფს შეასკდა და ჩაიძირა. Subsy explorer-ი დარწმუნებულია, რომ აურაცხელი ქონება ხელუხლებლად დევს ზღვის ფსკერზე. მომავალ ექსპედიციას კომპანია 1,5 მლნ დოლარს მოახმარს.

*ინტერფაქსი*

## მოკლედ

**აზერბაიჯანის** პრეზიდენტმა ჰ. ალიევმა ევროსაბჭოს მოსთხოვა, თანამდებობა დაატოვებინოს თავის წარმომადგენელს აზერბაიჯანის საკითხებში, ანდრეას გროსს. ბაქო ბატონ გროსს ადანაშაულებს აზერბაიჯანის საერთაშორისო იმიჯის შელახვის მცდელობაში.

უშიშროების უპრეცედენტო ზომების მიუხედავად, **აშშ**-ის დამოუკიდებლობის დღეს, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ პირველად აღინიშნა, ლოს-ანჯელესის აეროპორტში მაინც მოხდა ინციდენტი. შტატებში 1992 წლიდან მცხოვრებმა მოჰამედ ალი ჰადაეთმა, ვიდრე მოკლავდნენ, ისრაელის ავიაკომპანიის სალაროებთან ორი ადამიანი დაცხრილა.

**პენტაგონმა** აღიარა, რომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები შესაძლოა დამნაშავენი იყვნენ რამდენიმე ათეული მშვიდობიანი ავღანელის სიკვდილში. ურუზგანის პროვინციაში მექორწილეებს ორი საათის განმავლობაში ბომბავდნენ. დაღუპულია დაახლოებით 40 ადამიანი, დაიჭრა ასამდე. დაღუპულთა შორის არის ნეფე-დედოფალიც. არადა სროლა სულ გაუთვალისწინებლად დაწყებულა... პირველებს, ჰაერში, ზეიმის აღსანიშნავად მექორწილეებს უსვრიათ და ამას მოჰყოლია ის მასირებული დაბომბვა.

**პალესტინის** ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაურმა იასირ არაფატმა გადააყენა სპეცსამსახურების რამდენიმე ხელმძღვანელი. საკადრო ცვლილებები მოხდა იასირ არაფატის ხავიერ სოლანასთან სატელეფონო საუბრის შემდეგ. არაფატმა და სოლანამ ისაუბრეს იმ ზომებზე, რომლებიც საჭიროა დაძაბულობის შესანელებლად და ცეცხლის შესაწყვეტად.

## წერილი რედაქციას

— ძალიან საინტერესოა გვერდი „საზღვარგარეთის ქვეყნები", რომელიც მიმდინარე პოლიტიკის თაობაზე გვიამბობს; მაგრამ კარგი იქნება, თუ გაგვაცნობთ მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოთა წარსულს და დღევანდელობას, პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტებს.

*როგორც ყოველთვის, თხოვნას ვასრულებთ.*

# ცათამბჯენებისა და მობილურების აზიური სახელმწიფო

ტურისტებისთვის განკუთვნილ რეკლამაში წერია: **„მალაიზია — ნამდვილი აზიაა"**. სტუმრებს გულღიად ხვდება დედაქალაქ კუალა ლუმპურის სუპერთანამედროვე აეროპორტი. ბევრის მნახველსაც კი აკვირვებს ულამაზესი ჩანჩქერებით დამშვენებული ტროპიკული ბაღი.

ტერმინალიდან საკონტროლო პუნქტამდე სტუმრები ავტომატურ ელექტრომატარებელს გადაჰყავს, რომელიც მემანქანის გარეშე მოძრაობს. საპასპორტო ფორმალობა მინიმალურია —



მალაიზია უცხოელებს უვიზოდ უშვებს, ოღონდ კი ტურისტი არ დაკარგოს. ტურისტები კი მოდიან და მოდიან, ქვეყანას მატებენ დოლარებს, მარკებს, ფრანკებს, ევროს...

ალბათ ყველაზე საოცარი (თუ იაპონიას სათვალავში არ ჩავაგდებთ) მაინც მალაიზიის საგზაო ინფრასტრუქტურაა. ქვეყანა დასერილია შესანიშნავი გზატკეცილებით, რომლებიც ტოლს არ უდებენ დასავლეთ ევროპისას.

23 მლნ მოსახლიდან დედაქალაქში 3 მლნ ბინადრობს. ცათამბჯენები მართლა ცას სწვდებიან. მეზობელი ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტასთან შედარებით, აქ გაცილებით სუფთა ჰაერია. ქუჩაში დაქრის ბევრი მალაიზიური წარმოების ავტომობილი. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მაჰათჰირ მოჰამედი ამბობს, ავტომობილი „პროტონ-პრემიერი" ჩვენი ეროვნული სიამაყეაო. მალაიზიის მთავრობის ოფიციალური რეზიდენცია დედაქალაქიდან 50 კმ-ის დაშორებით — პუტრაჯაიშია. აქ ყველაფერი ელექტროენერგიას ემყარება. ყველგან მოქმედებს „უცხოს" ამოცნობის ელექტრონული ბარათები, რომლებზეც აღბეჭდილია თითების ანაბეჭდი.

პრემიერ-მინისტრი მაჰათჰირ მოჰამედი უკვე 20 წელია მართავს მალაიზიას. იგი ოცნებობს, საქმის წარმოებაში ქაღალდის ელექტრონიკით შეცვლაზე. მოსახლეობის უმეტესობა მალაიზიელია. მათ გარდა ცხოვრობენ ჩინელები, ინდოელები და სხვ. მალაიზიელი მუსლიმანები მეჩეთში ლოცულობენ, ეთნიკურ ჩინელთა შორის კონფუციანელებიც არიან და ბუდისტებიც.

მალაიზია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ცენტრში მდებარეობს და 11 შტატადაა დაყოფილი. აქ მარადიული ზაფხულია, ტემპერატურა 21-დან 31 გრადუსამდეა.



მშვენიერი კლიმატის, მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. 130 წელი პორტუგალიის კოლონია იყო, 1641 წელს ჰოლანდიელებმა დაიპყრეს და 200 წელზე მეტხანს ბატონობდნენ. 1842 წელს ქვეყანა ბრიტანეთს დაუთმეს.

მეორე მსოფლიო ომის წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია იაპონიის ჯარმა დაიპყრო, მერე ინგლისელები დაბრუნდნენ. 1963 წლიდან არსებობს დამოუკიდებელი მალაიზიის ფედერაცია.

# ქართული ღვინის ფალსიფიკაციით მილიარდებს აკეთებენ



რუსეთის ღვინის ბაზარზე საქართველო, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყანა, ათეულშიც კი ვერ ხვდება

ქართულ სამარკო ღვინოებს „ქინძმარაულსა“ თუ „ალაზნის ველს“ საერთაშორისო ღვინის ბაზარზე ჯერ კიდევ გემოს უსინჯავენ. ქართული ღვინის ძირითად მომხმარებლად ჯერჯერობით მაინც პოსტსაბჭოთა ქვეყნები რჩება. ძირითადი აქცენტი, როგორც წესი, რუსეთის ტრადიციულ ღვინის ბაზარზე კეთდება. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის 85% სწორედ რუსეთის ფედერაციაში იგზავნება: მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტ „სამტრესტის“ მონაცემებით, 2002 წლის ხუთ თვეში ქართული ღვინისა და ღვინომასალის ექსპორტმა სულ 457 ათასი დეკალიტრი (10 ლიტრი უდრის 1 დეკალიტრს) შეადგინა, აქედან 388 ათასი დეკალიტრი რუსეთზე მოდის. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ღვინის ბაზარზე დასამკვიდრებლად თავგამოდებით იბრძვის მსოფლიოს არაერთი ღვინის მწარმოებელი ქვეყანა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლავთ. რუსი ანალიტიკოსების გათვლებით, რუსეთის ღვინის ბაზარი ყოველწლიურად სულ მცირე, 15%-ით იზრდება. ეს საკმაოდ დიდი ციფრია. დღეს რუსეთში ერთი ადამიანი წელიწადში საშუალოდ 5 ლიტრ ღვინოს მიირთმევს, ხოლო საბჭოთა პერიოდში ეს ციფრი 20 ლიტრსაც უტოლდებოდა. ალკოჰოლურ სასმელებზე მოთხოვნილების ზრდის პერსპექტივას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ გაიზრდება მოთხოვნილება ჩვენს ღვინოებზეც. ახლახან რუსულმა სააგენტომ „Бизнес - Аналитика“-მ გამოაქვეყნა სრული ინფორმაცია, თუ რა წილი უკავია მოსკოვის ღვინის ბაზარზე ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს. სააგენტოს მონაცემებით, ბაზრის თითქმის 60% თავად რუსეთს აქვს ათვისებული. საქართველო, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყანა, ათეულშიც კი ვერ მოხვდა. რუსული სააგენტოს ინფორმაციით, მოსკოვის ღვინის ბაზარზე ისევ ლიდერობს მოლდოვა (31.2%) და უკრაინა, რომელსაც ბაზრის მხოლოდ 3.69% უკავია. სხვათა შორის, მოლდოვურმა ღვინომ რუსეთის ბაზარი თავისი სიიაფით დაიპყრო. რუსეთსა და მოლდოვას შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, მოლდოვური პროდუქცია, ფაქტობრივად, არ იბეგრება. შესაბამისად, მაღალი ხარისხის წითელი მოლდოვური ღვინო სადისტრიბუციო ფირმებს საშუალოდ 65 ცენტად შეუძლიათ შეიძინონ, როცა ანალოგიური ქართული ღვინო, სულ მცირე, ორი დოლარი ღირს. რუსეთის ღვინის ბაზარზე აშკარად იზრდება მოთხოვნა ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ და ბულგარულ ღვინოებზე და აშკარაა, რომ ისინი სულ მალე, ქართულ სამარკო ღვინოებს მძლავრ კონკურენციას გაუწევენ. ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დღეს ქართული ღვინის ბედი მთლიანად კერძო კომპანიებზეა დამოკიდებული და რომ სახელმწიფოს ასე მკვეთრი გამიჯვნა დარგისაგან ქართული ღვინის წარმოებაზე დამღუპველად მოქმედებს. „სამტრესტის“ თავმჯდომარის მოადგილე **აკაკი ჯანაშვილი** აცხადებს: „დღემდე ქართული ღვინის ფალსიფიკაციაზე ბევრი ქვეყანა აკეთებს მილიარდებს.

ამ ფულს ძლიერი და გავლენიანი პატრონები ჰყავს, რომლებიც თავს მოიკლავენ და მას არ დათმობენ. თუმცა, ქართულ ღვინოზე აშკარა შეტევა, ფაქტობრივად 12 წლის წინ დაიწყო. მაშინ პრივატიზების პროცესი თითქმის დასრულებული იყო. მეწარმეებმა შეიძინეს წარმოების საშუალებები, შენობა-ნაგებობები, მაგრამ კაპიკი აღარ დარჩათ ყურძნის შესაძენად, გადასამუშავებლად და პროდუქციის საწარმოებლად. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთის ტრადიციულ ბაზარზე ქართული ღვინო აღარ შედიოდა და, ბაზარს კი როგორც იტყვიან, სწყუროდა ქართული „ხვანჭკარა“. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ გაუბედურებული ქართული ღვინის ბაზარზე ჩვენი პროდუქციით დაინტერესებული ფინანსური ჯგუფები. ცხადია, მათ ინტერესს სულაც არ წარმოადგენდა ქართული ღვინის წარმოების განვითარება. უცხოური კაპიტალიც მხოლოდ ყურძნის გადამუშავებაში ჩაიდო. ყიდულობდნენ ყურძენს და გადამამუშავებელ ქარხნებს აბარებდნენ. მომსახურებისთვის საწარმოებს წარმოებული ღვინომასალის 10% რჩებოდათ, ისიც უხარისხო, ნარჩენი, ბაზრისთვის აბსოლუტურად მიუღებელი ღვინო. შედეგად, ქართველ მეღვინეებს მატერიალური საშუალება ღვინის სახით არ გააჩნდათ, რათა კონკურენცია გაეწიათ ისევ მათ მიერ წარმოებული პროდუქციისთვის. რაც მთავარია, კაცმა არ იცის, რა ხვდებოდა ბაზარზე, რას ასხამდნენ იმ გატანილი ღვინომასალიდან საქართველოს საზღვრებს გარეთ, შეიძლება ვინმემ გაიტანა საფერავი, მაგრამ მისგან „ქინძმარაულიც“ ჩამოასხა ან „ხვანჭკარა“. ეს პროცესი წლობით გაგრძელდა და ბაზარიც დაიკარგა“.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველო ჯერ კიდევ 1986-1990 წლებში გადაამუშავებდა 2.1 მილიონ ტონა ყურძენს. ღვინის წარმოებაში აშკარა უკუსვლა 1991-1995 წლებში ფიქსირდება. უკვე 1996 წელს საქართველოში მთლიანად 60 ათასი ტონა ყურძენი გადამუშავდა. სხვათა შორის, სახელმწიფომ პირველად 1996 წელს გადაწყვიტა დახმარებოდა ქართული ღვინის წარმოებას და ბიუჯეტიდან 6 მილიონი ლარიც გამოიყო, ამას დაემატა კომერციული ბანკების კიდევ 3 მილიონი. სესხი უნდა მოხმარებოდა გლეხებისაგან ყურძნის შესყიდვას. ეს ასეც მოხდა, მაგრამ განმარტავენ, მაშინ სახელმწიფოს დაავიწყდა, რომ რუსეთის ბაზარი მთლიანად იყო გაჯერებული სხვა ქვეყნებში ჩამოსხმული ე.წ. ქართული ღვინით. ამას დაემატა სესხის საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთიც და შედეგად ბანკებმა ქარხნები დააყადაღეს და ნაწილ-ნაწილ გაყიდეს. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობამ კიდევ რამდენჯერმე „სცადა“ ქართული ღვინის წარმოების რეაბილიტაცია, მაგრამ უშედეგოდ. 2001 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2002 წლის პირველ ხუთ თვეში ღვინისა და ღვინომასალის ექსპორტის საერთო მოცულობამ საგრძნობლად იკლო.

თუმცა, „სამტრესტის“ თავმჯდომარის **ვაჟა მამაიაშვილის** განმარტებით, „შემცირება მთლიანად ნედლეულის ანუ ჩამოსასხმელი ღვინომასალის ხარჯზე მოდის. დღეს უკვე გამოიკვეთა ქართული ღვინის წარმოებისთვის მეტად სასარგებლო ტენდენცია. მომხმარებელი უკვე ითხოვს ქართულ ღვინოს, რომელიც რუსეთსა თუ მოლდოვაში კი არა, საქართველოშია ჩამოსხმული. სწორედ ამიტომ დღეს თითქმის გაორმაგდა ბოთლში ჩამოსხმული „ცქრიალა ღვინის“ ექსპორტი. თუკი აქამდე უცხოელი ინვესტორები კაპიტალს მხოლოდ ღვინის წარმოებაში დებდნენ, ახლა გაფართოვდა მათი ინტერესები, რომელიც ვენახიდან იწყება. ხოლო რამდენიმე წელია, აქტიურად დაიწყო ვენახების გაშენება. სერიოზული უცხოელი იმპორტიორი ღვინოს ისე არ შეიძენს, ვენახი რომ არ ნახოს. ერთგვაროვანი ჯიშით გაშენებული ვენახი ანუ როგორც მას უწოდებენ, სუფთა ვენახი, უკვე მეტყველებს პროდუქციის ხარისხზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ღვინომასალის ექსპორტი აღარ ხდება. საზღვარგარეთ გატანილი ღვინომასალა კი ფალსიფიკაციის ძალიან კარგ საშუალებას იძლევა.

როგორ ფიქრობთ, თავის დროზე ინგლისის ღვინის ბაზარზე მხოლოდ იმიტომ შეაღწია ბულგარულმა ღვინომ, რომ ლამაზად იყო შეფუთული? მთელი 10 წლის მანძილზე ბულგარეთის მთავრობა ღვინის მწარმოებლებს უნაზღაურებდა ზარალს, რასაც ისინი იღებდნენ ღვინის დაბალ ფასში გაყიდვის გამო. მას შემდეგ, რაც ინგლისელი მომხმარებელი მიეჩვია ამ პროდუქციას, ფასმაც აიწია და ბაზარიც დღემდეა შენარჩუნებული. სახელმწიფომ თუ არ არეგულირა, თუ არ წარმართა მთელი ის პროცესი, რასაც ქართული ღვინის წარმოება ჰქვია, მხოლოდ რამდენიმე კერძო კომპანია საქმეს ვერ უშველის“.

ბოლო რამდენიმე წელია, რაც საერთაშორისო ბაზარზე აშკარად გაიზარდა წითელ ღვინოზე მოთხოვნა. ამ ფაქტორმა ქართულ სამარკო ღვინოს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, წითელი ყურძნის ჯიშს საქართველოს ვენახების მხოლოდ 19% უკავია, დანარჩენი უჭირავს თეთრ ყურძენს, — რქაწითელსა და ცოლიკაურს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ყველა ჯიშზე მეტი იყო. წითელ, მშრალ, ნახევრად მშრალ და ნახევრად ტკბილ ღვინოებზე მსოფლიო ღვინის ბაზრის მოთხოვნის ზრდას იმით ხსნიან, რომ წითელ ღვინოს ორგანიზმიდან გამოაქვს მძიმე რადიაციული მეტალი სტრონციუმ-90. ვაჟა მამაიშვილი აღნიშნავს: „დღეს წითელ ყურძენზე ბუმია. შარშან ერთი კილო წითელი ყურძნის ფასი რომ დაიწყო 85 თეთრიდან 3 ლარამდეც კი ავიდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოში მოყვანილ წითელ ყურძენს — ალექსანდროულს, ხვანჭკარას, კილო 5 ლარიც კი ღირდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რა უნდა დაჯდეს აქედან ლიტრი ღვინოს დამზადება. მით უფრო, როცა საშუალოდ 1500 ტონა იკრიფება. რუსეთის ბაზარი კი ლამის ვითომ „ხვანჭკარამ“ წალეკოს.

ახლო მომავალში „სამტრესტი“ ისრაელის სასამართლოში აღძრავს საქმეს იქ მოქმედი ერთ-ერთი იმპორტიორი კომპანიის მიმართ, რომელსაც ბულგარეთიდან ფალსიფიცირებული ქართული ღვინო შეაქვს. სასამართლოს ხარჯებს თავის თავზე იღებს ქართული ღვინის ერთ-ერთი იმპორტიორი „არიელ-არდი-კომპანი“. სწორედ მის ინტერესებშია, რომ ბაზარი დაცული იყოს ქართული ფალსიფიცირებული სამარკო ღვინისგან. ჩვენც მათ გვერდში ამოვუდგებით. ეს იქნება პრეცედენტი, როცა საქართველოს სახელმწიფო ქართული ღვინის ღირსებას საზღვარგარეთ დაიცავს“.

**2002 წლის ხუთ თვეში ქართული წარმოშობის ღვინო და ღვინომასალის ექსპორტის საერთო მოცულობამ შეადგინა 457 ათასი დეკალიტრი (10 ლიტრი=დეკალიტრს), მათ შორის:**

| | |
|---|---|
| რუსეთი | 388 ათასი |
| უკრაინა | 26 ათასი |
| აშშ | 13 ათასი |
| ისრაელი | 8 ათასი |
| ლატვია | 8 ათასი |
| ყაზახეთი | 6 ათასი |
| ლიტვა | 2 ათასი |
| იაპონია | 2 ათასი |

შედარებით მცირე რაოდენობით, ძირითადად, საცდელი პარტიები გაიგზავნა ინგლისში, შვედეთში, გერმანიაში, ბელგიასა და ჩეხეთში.

*ლელა წითლანაძე*

## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია



*ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.*

*მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.*

*ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...*

## ფული „პეჩენიით“

ერთ დღეს სუპერმარკეტში, წვიმისგან თავშეფარებული, დახლებს ვათვალიერებდი. გამოგიტყდებით, მიხაროდა ამდენი დასახელების სამამულო პროდუქტი რომ გაჩნდა. ჩემი ყურადღება ერთ-ერთმა მყიდველმა მიიპყრო. დავაკვირდი. გამახსენდა, სააღდგომო ვაჭრობის წინ ამ ქალმა უცნობ კაცს პასქის ძალიან კარგი რეცეპტი მომცა. გამოველაპარაკე. ვკითხე, როგორ ხართ-მეთქი, გაიცინა და მითხრა, — სულ ვაცხობ და ვაცხობო... მეც გავუღიმე — თბილისში არ არის მაღაზია, რომელშიც ტკბილეული არ იყიდებოდეს, თუ ამდენს აცხობთ, როგორ ასაღებთ, რით გამოირჩევა თქვენი ნახელავი-მეთქი...

— მხოლოდ ფასით და გემოთიო — მიპასუხა, დანახარჯი მეც დიდი მაქვს, მაგრამ, იაფად ვყიდი, შინ წაღებას ასე მირჩევნია, სამაგიეროდ, ყველაფერი მეყიდება, რადგან ჩემი ნახელავი სხვებისას არც გემოთი ჩამოუვარდება და არც წონითო... განსაკუთრებით მარტივი რეცეპტის „პეჩენიას“ ვასაღებ, მომზადებისთვის ცოტა დრო სჭირდება, დიდი რაოდენობით ვაცხობ და მოგებაც მაქვსო — კმაყოფილი ჩანდა. სახეზე დაღლილობა ოდნავ ეტყობოდა, მაგრამ რომ არ უჭირდა, მისი ჩაცმულობითაც ჩანდა. დამეთანხმებით, დაღლილობა არაფერია იმასთან შედარებით, როცა ადამიანს თავისი შრომის შედეგი მოსწონს. დაწვრილებით გამოვკითხე, რა ნამცხვარია, რომელშიც ასეთ მოგებას ნახულობთ-მეთქი. არ დაუმალავს და რეცეპტიც მითხრა და ისიც მიამბო, რომ 8 თეთრად იბარებს მაღაზია, იქ კი 10 თეთრად ყიდიან. რეცეპტი მეზობლის ქალებსაც „გავანდე“, ისინიც აცხობენ და 7 თეთრად მაბარებენ. თითოს ყოველდღიურად 100-120 ცალი მოაქვს, ასე რომ მეზობლებისგან 4-5 ლარი მრჩება, ამას დავუმატოთ დღეში ჩემი 8 ლარი — თვეში თითქმის 350-400 ლარს ვშოულობო, — ისე სწრაფად ჩამიჭიკჭიკა, ეტყობოდა, რომ ამ საქმის დიდი პროფესიონალი იყო. ისიც კი ვიფიქრე, ეს ამბავი ძილში რომ ჰკითხონ, მაშინაც სხაპასხუპით ალაპარაკდება-მეთქი. თან ძალიან მესიამოვნა, რომ ეს ქალბატონი თავისი შრომით და გონებით ოჯახსაც შეეშველა და მეზობლებსაც.

ახლა კი თქვენც გთავაზობთ იმ „პეჩენიის“ რეცეპტს, რომელიც ჩემმა სანდომიანმა მოსაუბრემ გამიმხილა. ამ რეცეპტიდან ზუსტად 20 ცალი ნამცხვარი გამოდის:

1 ც კვერცხი, 200 გ შაქარი, 100 გ მარგარინი, 2 ს/კ მაწონი, 500 გ ფქვილი, 1 ჩ/კ სოდა, ვანილი და მარილი გემოვნებით.

მოზილეთ ცომი, გააბრტყელეთ, დაჭერით თანაბარი ზომის ნაჭრებად, დააწყვეთ გრილ ტაფაზე. დააშორეთ თანაბარი მანძილით და შედგით გამოსაცხობად ჰაერლუმელში.

*ნიკო გორგი*

**P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 6 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2150 |
| ევრო | 2,1556 |
| ინგლ. ფუნტი | 3,3628 |
| რუსული რუბლი | 0,0702 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3547 |

„ტრანსცენტრის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

აწარმოებს

ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“
აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:
• იურიდიული; • ქართული ენა და ლიტერატურა; • ჟურნალისტიკა; • საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; • საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; • ფინანსები და კრედიტები; • საბანკო საქმე; • უცხო ენები; • დაწყებითი განათლების პედაგოგიკა; • სკოლამდელი აღზრდა.
წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით
საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-17 სთ-მდე. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს“ სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

## მილოცვა

**ჩემი ოთახის მენეჯერს!**

მოხარული ვარ, რომ საშუალება მეძლევა, ჩემი მილოცვით გაგაბედნიერო და ჩემს მხარდამხარ მუშაობით ისედაც გალამაზებული ცხოვრება, კიდევ უფრო გაგილამაზო.

გილოცავ, ჩემო ზურაბ! – შენ კიდევ ერთი წელი მოგემატა, მაგრამ ეს ერთი წლით დაბერებას კი არა, ერთი წლით მეტ ბედნიერებას ნიშნავს. ბედნიერებას, რომელიც იღბალმა გარგუნა და მე კი მხარი დავუჭირე.

დარწმუნებული ვარ, ეს ბედნიერება კიდევ დიდხანს გაგრძელდება, რადგან მე დიდად კმაყოფილი ვარ ოთახში დამკვიდრებული წესრიგითა და სისუფთავით. ასეც გაგვეგრძელებინოს!

P.S. ხვალ სამსახურში არ დაიგვიანო!

**დინა ანთელავა-ჯიბლაძეს!**

ძვირფასო დინა, გილოცავთ დაბადების დღეს, სიხარული არ მოგაკლებოდეს შენს საყვარელ ქალ-ვაჟთან ერთად. ღმერთმა გაკმაროს ტკივილი. გისურვებთ სიკეთეს. ღმერთმა დაგლოცოს!

*მთელი „კვირის პალიტრა“*

**ჩემო ძვირფასებო: მზია, შალვა, სანდრო, ბეჟან!**

გილოცავთ დაბადების დღეებს – 6 VII, 14 VII, 19 VII და 26 VII. თანამიმდევრობით გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს.

*გიორგი ბენდელიანი*

**ჩვენო ლაშა!**

გილოცავთ დაბადების დღეს! დაესწარი მრავალს, დედასთან და ახლობლებთან ერთად. იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი და დაშორებოდე ხელმომართული, შენს სამშობლოს!

გულით საქართველოდან

*მზია, ნიკა და მარი*

**თამრიკო ჯოგლიძეს** ვულოცავთ საიუბილეო თარიღს – 12 ივლისს. შენ შეუდარებელი ხარ მეგობრობაში, გულუხვობაში, გულისხმიერებაში. შენ ღირსეული შვილების – ეკა და მიშიკო მოდებაძეების დედა და თვალხატულა ნინიკოს ბებია ხარ. პეტრეპავლობის დღეს შემთხვევით არ დაბადებულხარ. სიკეთე და სიყვარული გქონდეს მუდამ!

*ელისო ბუთხუზი და გულიკო გეჯაძე*

## მადლობა

29 დღის განმავლობაში, თავდაუზოგავად იბრძოდა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის №1 კლინიკის მედპერსონალი. ესენი არიან: პროფესორი *თამაზ ჩხეიკვაძე*, ქირურგი *გივი პარასკევაშვილი*, დოცენტი *ზურა თურმანიძე*, რეანიმაციის განყოფილების გამგე ქალბატონი *თამილა სუმბაძე*; ექიმები *ნ. იაკობაშვილი, ბ. ბუჩუკური, ტ. შენგელაია, ე. ყიფიანი, ნ. ციხელიძე*; ექთნები *ლ. როზომაშვილი, გ. ამისულაშვილი, მ. ხუციძე*; სანიტრები *ი. მამულაშვილი, ნ. შუბითიძე*, ქირურგიის განყოფილების ექთნები *ე. დრაილინგი და ლ. შანიძე*.

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარა ხარ, ჩემო ანზორ. ძალიან გვენატრები.

მიუხედავად იმისა, რომ ანზორი გარდაიცვალა, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ ადამიანებს უანგაროდ გაწეული დიდი შრომისათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და ძალიან დიდხანს გაცოცხლოთ. თქვენ სჭირდებით ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ხალხს. დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

*პატივისცემით ცხოვრებაძეების ოჯახი*

პირველი კლინიკური საავადმყოფოს გულმკერდის ქირურგიული ცენტრის პროფესორს – **ვახტანგ ქაცარავას!**

ამ დუხჭირ ყოფაში ამდენი სითბო რამ დაგიგროვათ გულში? ღმერთის მორწმუნევ, თვითონ ღმერთო კაცო, დიდხანს იცოცხლეთ და ილვაწეთ, რათა ჩვენსავით ბევრს ხელახლა განაცდევინოთ სიცოცხლის ხალისი.

*113-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი*

## ბინები

2-ოთახიანი, არასტანდარტული, სუფთა ბინა ლოჯიით, საბურთალოზე – 48 კვმ. ფასი $20.000. მის: ბუდაპეშტის ქ. №4, მე-4 სართ. ტელ: 38-98-94. ნანა

> სასწრაფოდ! საგურამოდან 1 კმ-ში ახალი აშენებული ევროდიზაინის სახლი. შიდა ტერასული, 4 სართულით, 4 საძინებლით – თავისი აბაზანა-ტუალეტებით, შიდა აუზით, ბუხრით, ს/ფ 320კვმ, 1200კვმ, კაპიტალური ღობით, 350კვმ დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ცხელი და ცივი წყლით. ტ: 899 94-11-94

თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) ბურამში 800 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $1.000. ტელ: 23-07-65

ცხვარიჭამიაში, პიონერთა ბანაკ „მერცხალთან“, 1000 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით. ფასი $1.000. ტელ: 23-07-65

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯები). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ამერიკულ-ბალტია-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს, მზარდი ანაზღაურებით. ხელფასი გამომუშავებით, თვეში – $300-500, აშშ სტანდარტებით. ვიწვევთ 17-40 წლამდე ასაკის ადამიანებს. მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46; 899 15-89-92. ქეთი

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ცელულიტის დაშლა თანამედროვე აპარატურის გამოყენებით, მოკლე დროში, ხელმისაწვდომ ფასებში. ტელ: 39-27-35, 893-30-52-00

„ფესვები“, ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაიარევი. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სახლეუ! გარანტირებული ჭარბთმიანობისაგან უმტკივნეულოდ განკურნება 5 სეანსით, პლატინის ერთჯერადი ნემსებით, კანის ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. იზრუნეთ საკუთარ თავზე. ტელ: 899 55-97-89; 60-40-91

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

დასვენება ესპანეთის კურორტებზე, შეღავათიან ფასად, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; დასვენება აჭარაში: ბათუმი, ქობულეთი, სარფი, კვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახინჯაური; ასევე, ბაკურიანი, ბორჯომი, ცემი – კვებით და კვების გარეშე, სასტუმროებსა და კერძო სექტორებში. მის: ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტურ. კომპანია „Dilaplus“. http://dilaplus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

ტურისტული ფირმა „ქართი“ გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დასვენებას ქობულეთში, კარგი პირობებით და ხელმისაწვდომ ფასებში, 10-15 დღე, 3-ჯერადი კვებით, ზღვასთან და პარკთან ახლოს, ექსკურსიით. აგრეთვე გთავაზობთ დასვენებას მწვანე კონცხზე, კარგი პირობებით. მის: ალმაშენებლის №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89; 899 90-67-52. ირინა ჯანაშია, ნონა ლადუა

ჯგუფური და ინდივიდუალური დასვენება ქობულეთში, ფიჭვნარში (სასტ. „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია), კერძო სექტორში, ათი დღე სამჯერადი კვებით კოტეჯში. ფასი: 10 დღე – 70-დან 250 ლარამდე, სეზონისა და საცხოვრებელი პირობების მიხედვით. მის: თბილისი, დავით ალმაშენებლის 113/115, კაბ №31 (ეზოს ბოლოში). ტელ: 69-18-38 (დილასაღამოს); 95-83-54 (სამს); 877 41-86-16. ციანა სუმბაძე

ვასრულებთ ბრტყელი სახურავების საიზოლაციო სამუშაოებს გარანტიით – მინა-ქსოვილით, ჰიდროიზოლით, ფასი შეთანხმებით – ფართის მიხედვით. ტელ: 64-31-72; 899 56-83-62; 893 31-63-90. თემური

საზაფხულო ფასდაკლება! ფირმა „ხმელი წიფელი“ დაგიმზადებთ ბუნებრივად გამოშრალი ხის მასალით ნებისმიერი სტილის კარ-ფანჯარას, ჩვენივე მომსახურებით, მიტანით, დაყენებით, ლაქის წასმით, ხარისხზე პასუხისმგებლობით. ტელ: 64-73-67; ლალი ან ზურა; 899 10-94-65. ზურა (ნებისმიერ დროს)

ვასრულებთ ბრტყელი სახურავების გადახურვას გარანტიით – მინა-ქსოვილით, ტოლით, გუდრონით, რესპუბლიკის ფარგლებში. შეღავათები – ფართის მიხედვით. ტელ: 62-55-69

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სავარძლებზე შალითების გადაკერა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სავარძლებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სავარძლებს. ტელ. 95-97-12. ვალერი

პიანინოს, როიალის, ავეჯისა და სხვადასხვა ტვირთის გადაზიდვა სპეციალური ა/მანქანით, საქართველოს ფარგლებში, გნებავთ, ჩვენივე კვალიფიცირებული მუშებით. ტელ: 32-69-14; 899 57-00-28. ალეკო (ნებისმიერ დროს)

სწრაფი სესხება-გასესხება, სამგვი ღირებულების კორპუსის ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკის წესით, რეალურ პროცენტში, რეალური გადახდით. დაგეხმარებით საბუთების სწრაფად შეგროვებაში. გაგიწევთ უფასო კონსულტაციებს. ტელ: 95-63-10; 37-30-50; 899 93-26-64

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

> მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი ქეთინო ლოლაძე მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, საშწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ქეთინო ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

> ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სტელიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კოჟოზი, ქუდუზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უძლურება. მკურნალი ანატოლი შავიძე მის. ძმები გორიშელების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან“). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე გარდა კვირისა)

პოლიკლინიკის დირექტორ ლომთათიძეს მოწვეული ჰყავს რუსეთისა და ისრაელის კლინიკაში ნამუშევარი მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც მკურნალობენ: საჯდომი ნერვის ანთებას, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს, ოსტეოქონდროზს, ასთმურ ბრონქიტს, სტელიოზს, პარალიზებას, ყურებში შუილს, ნევროზს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრდებას, ტროფიკულ წყლულს, წითელ ქარს, ბუასილს, თმის ბუდობრივ ცვენას, ართრიტს, სტენოკარდიას, მანკს, ინფარქტგადატანილ ავადმყოფებს; დაგაკლებინებთ წონაში. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: ალმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29

სარძევე ჯირკვლის (მასტიტის, მასტოპათიის, ონკოდაავადების) უზუსტესი დიაგნოსტიკა, დასხივების, კომპიუტერისა და პუნქციის აღების გარეშე. რამდენიმე წუთში დაგიდგენთ, რა სახის პათოლოგია მიმდინარეობს, საჭიროებს თუ არა ოპერაციას ან პირიქით; მკურნალობა 10-დღიანი კურსით. მის: დავით ალმაშენებლის №115. კაბ. №10. ნინო. დიაგნოსტიკური ცენტრი „პანაცეა“

ქართული ფლორის მცენარეებით და ფრანგული ფიტოპრეპარატებით, გთავაზობთ ჩიყვის, კისტის, ფიბრომის, მიომური კვანძების, მასტოპათიის, ბუასილის, კუჭის წყლულის, ბუასილის მაღალეფექტურ და გარანტირებულ მკურნალობას უოპერაციოდ. მის: ალმაშენებლის 112 (ჩოდრიშვილის შეს. 10), ეზოში მარჯვნივ, I სართ. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 94-00-27 (სამს); 897 58-29-18

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საქმიო გამოცდილებით – აღმდგენი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ჭანბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. წინასწარი სატელეფონო ჩაწერა: 899 55-05-75

ეს საახლეა! დიაგნოსტიკური ცენტრი „პანაცეა“ გთავაზობთ გახდომის ორიგინალურ წესს უახლესი მეთოდით: წონის დაკლება 14 დღეში, 7-10 კგ-მდე, ჯანმრთელობის სრული შენარჩუნებით. ჩაწერა წინასწარ. მის: ალმაშენებლის 113. კაბ. №10. ნინო. ტელ: 61-61-18; 899 19-59-19; 899 17-18-50

> მეჭეჭებისა და ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, მთელ ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. ექიმი რუსეთიდან საყვარელიძე პაციენტებს ღებულობს ახალ მისამართზე: ზურაბ ჭავჭავაძის (ყოფ. შეროზიას, შესახვევი დავით ალმაშენებლის №99-თან) ქ. №10. შპს „თვალის დისპანსერი“. კაბ. №2. ტელ: 95-30-26 (სამს); 39-00-70 (ბინა); 899 56-96-61

> ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მეძავი ძალეთა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, სანთლებს და ხსნარებს. მკურნალობს: სახსრებს, ოსტეოქონდროზს (მარილებს), პოლიართრიტს, ართროზს, ბრონქიალურ ასთმას, დისკს, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ფრონტიტს, ჰაიმორიტს (ფრონტიტი და ჰაიმორიტი იკურნება 6-8 დღეში სრული გარანტიით). მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს“ პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ)

## ვასწავლი

კომპიუტერის შესწავლა ინდივიდუალური მეთოდით. შესწავლება: Windows, Word, Excel; Inernet, E-mail, Outlook Express; Page Maker, Photoshop, Quark Express. სწრაფი ბეჭდვა; Web-საიტის შექმნა. მის: გაბაშვილის ქ. №7 (მ. „რუსთაველთან“), ქ/თ „ქოლგის“ უკან. ტელ: 98-80-23

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახური); 96-22-89 (ბინა.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

წარმოებს მიღება კოსმეტიკის კურსებზე, საზაფხულო ფასდაკლებით. დაჩქარებულად შესწავლება: კანის მკურნალობა, მასაჟი, ეპილაცია, გაწმენდა, კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მეცადინეობა დაიწყება 16 ივლისს. „ნაძალადევი“, მ. „ვაგზლის მოედანი“, დიდიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

> თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას ქართული და რუსული სექტორების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა; 2. უცხო ენები; 3. ეკონომიკური. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან მე-3 კურსზე. კოლეჯში ფუნქციონირებს იგივე ფაკულტეტები. ფასი 220-300 ლარი. გათვალისწინებულია შეღავათები. მის: თოფურიას №12 (ვაჟა-ფშაველას III და IV კვარტალებს შორის), 128-ე საშ. სკოლა. ტ: 32-82-60; 32-06- 97; 30-51-30 (საღამოს)

## იყიდება

სასწრაფოდ! ა/მ „გაზ 21-05“, თეთრი, „21-03“-ის ძრავით, იდეალურ მდგომარეობაში. ბოლო ფასი $1.000. ტ: 877 71-09-89

მოტოციკლეტი „იავა-350“, კარგ მდგომარეობაში. ფასი $250. ტელ: 53-67-62

ძველებური გერმანული ვიტრინკა-გორკა, ზედა მხარე სამმხრივი ბროლის მინებით, ქვედა მხარე 2-კარიანი დახურული. ფასი 200$. 5-სანთლიანი ჩეხური ჭაღი, ფაიფურის დეტალებით. ფასი 80 ლარი. ტ: 23-07-65

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## სხვადასხვა

განტერესებთ სასიყვარულო პრესა? – იკითხეთ ყველაზე სასიყვარულო პრესის ლიდერი – გაზეთი „სიყვარულის სამყარო“. გაზეთის რედაქციის ოფისში ფუნქციონირებს გაცნობისა და დაოჯახების კლუბი. მობრძანდით, ჩვენ დაგეხმარებით დაოჯახებაში. მის: კოსტავას ქ №14, II სართ, ოთ. №210. (შესასვლელი ჭოველიძის №2-დან). ტ: 93-49-72; 899 56-32-59

## ხსოვნა



**ნოდარ გაბელაიას ხსოვნას!**

40 დღე გავიდა 4 ივლისს, აქედანვე შენი წასვლიდან. ცრემლსა და მწუხარებაში გავიდა ეს ორმოცი დღე. თავზარდამცემი იყო შენი უეცარი სიკვდილი.

შენი წასვლით დაცარიელდა ის დიდი და შეუცვლელი ადგილი, რომელიც გეკავა საკუთარ ოჯახში. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი ყველას – განსაკუთრებით შენს ცოლ-შვილს, შვილიშვილებს, დასა და ძმას, ნათესავებსა და მეგობრებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

*შენი ოჯახი*

**ნინო ქავთარაძის მონატრება**



ჩვენო საყვარელო ნინო! თავზარი დაგვცა შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ. ძნელი ყოფილა ბავშვობის მეგობართან სამუდამოდ განშორება. შენ კი ჩვენთვის სამუდამო ტკივილად იქეცი. ძალიან გვენატრება შენი ხალისიანი სიცილი, რაც ცხოვრებას გვიხალისებდა.

ნინო, ჩვენს გულებში სამუდამოდ ცოცხალი ხარ. ვლოცულობთ შენთვის, რათა შენი ლამაზი სული განისვენებდეს სამუდამო სასუფეველში.

*ლელა და თამუნა ხოჭოლავები*

დაუვიწყარი გამოსათხოვარი

2 ივნისს წაიყვანა სოფლის ბურჯს – **ალექსი დიანოზის ძე პატიაშვილი.** კაცი, რომელიც ჭეშმარიტად დააკლდა სოფელს. კაცი მართალი, შეუპოვარი, მებრძოლი, შეუპოვარი, ხუთი ღირსეული შვილის აღმზრდელი, ყველა პატიოსანი ადამიანის უანგარო დამხმარე. მას ძველი კეთილშობილი ლევნის თვისებები ჰქონდა, რომელსაც მხოლოდ გამოვარჩეული ადამიანები ატარებენ. იგი ფიზიკური შრომის ადამიანი იყო, უყვარდა შრომა და სხვისი შრომის დაფასებაც იცოდა. წარმატება თავბრუს არასოდეს ახვევდა, წონასწორობას არასოდეს აკარგვინებდა. საკუთარი თავისა და სხვის მიმართ კონტროლის გრძნობა ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი არ დასჩლუნგებია. ეს ხომ ქართველების ხვედრია.

ომისა და შრომის ვეტერანს, შრომის წითელი დროშის ღირსეულს ორდენოსანს, ქვეყნის უდიდესი ნაწილი სოფლის საპირბოროტო ყოველდღიურობას მოახმარა.

დაკარგა ოჯახმა მეუღლე, მოსიყვარულე ამაგდარი მამა და პაპა, სოფელმა – კაცური კაცი. თითქმის საუკუნეს მიღწეული, მოფუსფუსე და ხალისიანი, ოჯახისთვის მუდამ ახალგაზრდა, ვინმეს მეტად არ რჩებოდა. ალექსი პატიაშვილი ეკლესიაში და პირუთვნელი განისვენებს სამუდამო სასუფეველში. დაგვიტოვა სამაგალითო გაკვეთილი კაიკაცობისა, კაცურკაცობისა – საქმისადმი უანგარო დამოკიდებულებისა და პასუხისმგებლობის შეგრძნებისა.

სოფლის უხუცესო, ღირსეულო ადამიანო, ვერარა ძალა ვერ წაშლის შენს ხსოვნას ჩვენს გულებში. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური სოფლის მიწა.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

*გურჯაანის რაიონის სოფელ ჭოდალის მცხოვრებლები*

**ბადრი ლომიძის გახსენება**



მორე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს შენზე უზომოდ მონატრებული ნათესავები. ძალიან გვენატრები. 4 ივლისი შენი დაბადების დღეა, 25 კი – გარდაცვალების. 36 წლის წაგვართვა სიკვდილმა შენი თავი. უსაზღვრო ტკივილია ყველა ახლობლისთვის, რასაც უშენობა ჰქვია. გვენატრება შენი სიყვარული – ყველას თანაბრად რომ უნაწილებდი. ამიტომაც გაგვყვა უკანასკნელ გზაზე უამრავი ცრემლი. ვის შეუძლია ანუგეშოს შენი გამწარებული მშობლები, რით შევცვალოთ უშენობა შენს ფრთამოტეხილ ძმას?! როგორ გვიყვარდი. ექსი წელი გვენატრებოდი და მელოდა, ცოცხალს განახავდი. ექსი წლის უნახავს ჩავიხუტებდი, მაგრამ ძმო, ცოცხლის ნაცვლად შენს გაციებულ სხეულს ვეფერებოდი. გვეჭირს უშენობა. ისლა დაგვრჩენია შენს დედას და დედაშვილს, ვილოცოთ შენთვის. მსუბუქი ყოფილიყოს, ძმო, შენთვის მშობლიური მიწა – ჩვენი ლოცვა-კურთხევით მარადიულ სასუფეველი იმ შეუცნობელ სამყაროში.

*შენი დედაშვილი და დედა*

**პეტრე ცქიტიშვილის გახსენება**



8 წლის წინ, 9 ივლისს ჩვენგან წავიდა კაცი, რომლის გულმა ვერ გაუძლო სოხუმის დაცემით გამოწვეულ ტკივილს. სტუდენტობის დროიდან ჩვენი სამეგობროს უცვლელი მასპინძელი იყო სოხუმში; თავის განუმეორებელ მეუღლესთან ერთად სტუმარი დაბრუნებული ჩავიხუტეთ, მოვეფერეთ, ვუმასპინძლეთ, მაგრამ... ვერაფრით ვუშველეთ. როგორც ჩანს გულის ნახევარზე მეტი თავის სოხუმში დარჩა, დარჩა მამაპაპისეულ გადამწვარ სახლ-კართან ერთად. არასოდეს დაუკარგავს დაბრუნების იმედი, მაგრამ ამოუთქმელ დარდს, რომელსაც ზოგჯერ მეუღლეს და შვილებს, ახლობლებს, მეგობრებსაც არ უმხელდა, ვერ მოერია. ხშირად უთქვამს – კაცს რომ მშობლების სურათიც არ დარჩება, როგორ უნდა იცოცხლოსო და ვერც იცოცხლა.

გადის წლები, მაგრამ ჩვენი ტკივილი არ ხუნდება, ლიმილნარევი სევდით ვიხსენებთ, არაჩვეულებრივ მეგობარს, მამას და ბაბუას, ნათელ პიროვნებას, ნიჭიერ მხატვარს, ჩვენს პეტიას (თამამად ვამბობთ ამას, მაგრამ ის სხვებსაც ბევრს ეკუთვნოდა).

*მეგობარი „პალიტრელები“*

**თემურ კაჭარავას ხსოვნას!**



3 ივლისი შენი დაბადების დღეა, მამა 54 წლის გახდებოდი. გილოცავთ, ოღონდ ზეციურ სასუფეველში. უსაშველო სევდამ და მწუხარებამ დაისადგურა ჩვენს სახლში. რა ლამაზი და დაუნდობელი ყოფილა სიკვდილი. ჩუმმა და უპრეტენზიომ სიკვდილიც ასეთი არჩიე, თუ პირიქით, სიკვდილმა აგირჩია. ერთი სიტყვაც არ გითქვამს, ისე წახვედი. გვებრალება დედა, რომელსაც შენი გარდაცვალების შემდეგ ცრემლი არ შეშრობია თვალზე. გვეჭირს უშენოდ. შუა გზაზე მიგვატოვე, მამა! როგორ ვიცხოვროთ, არ ვიცით. დაგვიბნით.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს შენს სპეტაკ სულს.

ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები.

*შვილები სოსო და თამთა*

**ზურა უსენაშვილის მოგონება**



9 ივლისს დილით „მორიელი“ უკვე იქ იყო. სიმღერ „ანუარხუ“. არასოდეს არ გვეშინოდა და სიხარულით ვიღებდით, რასაც ღმერთი გვიგზავნიდა. როგორც გვასწავლეს: მამაც გულზე იმსხვრევა ყველა უბედურების ლოდები. დილით კი პატარა, ახალგაზრდა, ელიტარული „მორიელი“, რომელსაც ზურგს „ვეფხი“ უმაგრებდა, უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. არ შეშინდა და არც უკან დაიხია. დაიხოცა, დაიღუპა, მაგრამ არ დამარცხდა.

–უცნაურად, ომში მიხმეს. სად მოვკვდები სადაური.

*სიმონ ჩიქოვანი*

**რამაზ ლევანის ძე მიქელაძის მონატრება**



უკანასკნელი ყარაჩოხელი გამოეთხოვე საკუთარ ქალაქს და ნაღვლიანად გაუყევი ზეციურ მიმავალ ბილიკებს, აუხდენელი ოცნებებით და დარდით დამძიმებული გულით. ქრიალოსნის თვლებივით იმარცვლება სევდიანი დღეები და ჩემი შენდამი უსაზღვრო სიყვარულის, ახლა განშორების მწარე სევდა სდევს თან.

ჩვენ ექსი წელი ვიყავით ერთად. ეს იყო ერთი ლამაზი, სევდიანი, გრძელი სიზმარი. შენს პატარა შვილში უკვე ზეიმობს შენი გენი, არასოდეს დაავიწყდება სათაყვანებელი, შენი შეგონება: კაცი უნდა გამოხვიდე, შვილო, სამშობლოს სიყვარული უნდა ისწავლო და არა მისი გამოყენება. შენც ასეთი იყავი, მუდამ გვერდში ედექი შენს ქვეყანას, ლხინში კი არსად ჩანდი, ჭირდღიში იყავი, რადგან შენი ცხოვრების წესი გქონდა შენ მიერ დაკანონებული და ყველასგან განსხვავებული. შენი სიჭაბუკე და ჯანმრთელობა იმ მიწას ანაცვალე, რომელმაც გულში ჩაგიკრა.

შეურყვნელი სული წავიდე ამ ცოდვით სავსე ქვეყნიდან და მეც ასეთივე მოვიტან ჩვენს ლამაზ სიყვარულს, როცა კვლავ შევხვდებით ერთმანეთს განუშორებლად.

*თამუნა*

**სალომე (ცუციკო) და ავთანდილ ჯარიაშვილების გახსენება**





ცუციკო, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ოცმა წელმა ხანაცარი სისწრაფით გაირბინა. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი. გვაკლიხარ... გვეჭირს უშენოდ. შენ ხომ დიდი მოამაგე ქალი იყავი ძმისშვილებისთვის, დისშვილებისთვის, საზოგადოებისთვის. ძნელი ყოფილა უშენობა, განსაკუთრებით ჩემთვის – შვილმკვდარი დედისთვის. შენ ხომ იცი, როგორ ძალიან მიყვარდი. მენატრება შენი გულის სითბო, ღიმილი, ვაჟკაცური სიტყვა. ყოველთვის მეხსომები, ვერ დაგივიწყებ. ორივე ხომ ამ მშვენიერ თვეს მოევლინეთ ქვეყნიერებას. დაბადების დღეს გილოცავთ ორივეს ერთად – ჩემს გულუბრყვილო შვილს ავთოს და შენ, ჩემო ცუცა! ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი და უმწიკვლო სულები მარადიულ სავანეში.

*თამარ ჯარიაშვილი*

> „მონის“ ყოფილი თანამშრომლები იუწყებიან უსაყვარლესი მეგობრის, თანამშრომლის და ხელმძღვანელის
>
> **ალიკა ყარალაშვილის**
>
> გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს

# ლექსიკონი პოლიტიკოსებისთვის

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით განგვიმარტოთ სიტყვა კონსოლიდაცია, რადგანაც ამ სიტყვას ჩვენი პოლიტიკოსები ძალიან ხშირად, დიდი სიყვარულითა და რუდუნებით იმეორებენ.

*გიორგი თავაძე*



რედაქციაში შემოდის არაერთი წერილი, რომელშიც ამა თუ იმ სიტყვის განმარტებას გვთხოვენ. ვიწყებთ უცხო სიტყვათა „მოთარგმნას":

**კონსოლიდაცია** (ლათ.) — ნიშნავს განმტკიცებას, შემჭიდროებას, გაერთიანებას პირთა, ორგანიზაციათა, თანამოაზრეთა და ა.შ. (ამ სიტყვას, მკითხველისა არ იყოს, ჩვენი პოლიტიკოსები ხშირად კი ხმარობენ, მაგრამ რატომღაც კონსოლიდაცია ნაკლებად ეხერხებათ — რედ.)

**კარტ-ბლანში** (ფრანგ.) — ხელმოწერილი სუფთა ფურცელი (ბლანკი), რომლის შევსების უფლებას ხელმომწერი აძლევს სხვა პირს. გადატანითი მნიშვნელობით — მოქმედების თავისუფლების მინიჭებას, განუსაზღვრელ რწმუნებათა გადაცემას ნიშნავს.

**იმიჯი** (ინგ.) — სიტყვასიტყვით წარმოსახვას ნიშნავს. ე.ი. იმას, თუ როგორ წარმოაჩენს ესა თუ ის პიროვნება საკუთარ სახეს. იგულისხმება გარეგნობის, ქცევა-მანერების, ჩაცმულობის, მეტყველების კულტურის ერთიანობა. იმიჯი საერთაშორისო სიტყვაა და ამიტომ მყარად დამკვიდრდა სხვადასხვა ხალხის ლექსიკონში.

**მესიჯი** — ინგლისური სიტყვაა და წერილობით შეტყობინებას, წერილობით გზავნილს ნიშნავს. ეს სიტყვაც საერთაშორისო მნიშვნელობისაა. მესიჯი ჩვენთან მობილურ ტელეფონებს „შემოჰყვა". დღეს ხშირად გაიგონებთ — მესიჯი გამოგიგზავნეო, რაც იმავეს ნიშნავს, რომ გაგზავნილია წერილობითი შეტყობინება.

**მასმედია**, იგივე მედია — ნიშნავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (ტელევიზია, რადიო, პრესა). მასმედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია იგივეა, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია.

# სასწაულმოქმედი ჟენშენი

ჟენშენის ფესვზე საოცრებებს ჰყვებიან. თურმე არ არსებობს ავადმყოფი, ამ ფესვმა რომ არ უშველოს. არადა ადრე ჩვენთან შემოდიოდა ჟენშენის არაყი, რომელიც ჩემი დაკვირვებით, არც გემოთი გამოირჩეოდა და არც მაინცდამაინც სამკურნალო თვისებებით. საინტერესოა, რას წარმოადგენს ეს მცენარე.

*ვასო ბოსტაშვილი*

სიტყვა „ჟენ-შენ"-ი ჩინურიდან ითარგმნება როგორც ადამიანი-ფესვი. მისი სამკურნალო თვისებები უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. მას ხან „ღმერთების ბალახს", ხანაც „სიცოცხლის ფესვს" უწოდებდნენ. ჩინეთში ამ ფესვს უკანასკნელი 3000 წლის განმავლობაში იყენებენ. ჩინურ წყაროებში მითითებულია, რომ ჟენშენის ნაყენი სასიკვდილო სარეცელზე მყოფ ადამიანს, თუ არ აჯანსაღებდა, სიცოცხლეს ნამდვილად უხანგრძლივებდა. ნაყენს მიირთმევდნენ მოხუცებიც — ძალების შესანარჩუნებლად. X საუკუნის დასაწყისში ჟენშენის შესახებ უკვე შუა აზიაშიც იცოდნენ. თავის ნაშრომში მას ავიცენაც მოიხსენიებს. დიდი ადგილი უკავია ჟენშენს ტიბეტურ მედიცინაშიც. ამის მიუხედავად, ეს მცენარე ევროპაში მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში გახდა ცნობილი. თავად ჟენშენი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მისმა ასაკმა შეიძლება 70-100 წლამდეც მიაღწიოს. იზამთრებს მხოლოდ მოგრძო, ნაკლებდატოტვილი, ხორციანი, მოთეთრო-მონაცრისფრო ფესვი. მცენარის მიწისზედა ნაწილი სიმაღლით არ აღემატება 50 სანტიმეტრს. ეს არის ღეროს ბოლოში გატოტვილი 15-20 ფოთოლი, რომელთა შორისაც იზრდება ქოლგის ფორმის ყვავილედი. მომწვანო-მოთეთრო ყვავილებს მსუბუქი არომატი აქვთ. ნაყოფი მოწითალო ფერისაა. ჟენშენი ივლისში ყვავის, ხოლო ნაყოფი აგვისტოში მწიფდება. ჟენშენის ფესვს დიდი ფასი აქვს. მით უფრო ძვირია ფესვი, რაც უფრო მეტად წააგავს ადამიანის ფიგურას. ჩინეთში არსებობს გამოთქმა: თუ ღმერთმა ფესვი შექმნა ადამიანის დარად და მის განსაკურნად, ის გარეგნობითაც უნდა ჰგავდეს ადამიანს.

# ანომალიური მოვლენები კრწანისის დასახლებაში?!

ჩვენ კრწანისში, მელიორეობის კომპლექსის დასახლებაში ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში ჩამოვსახლდით ზემო სვანეთიდან და პირველივე დღიდან რაღაც ანომალიურ პირობებში გვიწევს ცხოვრება. თბილისის ცენტრიდან ჩვენს დასახლებამდე დაახლოებით 15-17 კილომეტრია. მაგრამ აქ სულ სხვა კლიმატური პირობებია, თითქმის ისეთივე, როგორიც უდაბნოში. ჩვენს მეზობლად, 4 კმ-ის დაშორებით აზერბაიჯანელების დასახლებაა და საკვირველი ის გახლავთ, რომ იქ თუ ზაფხულში სიცხე 40 გრადუსია, ჩვენთან 60 გრადუსამდე აღწევს. მეორე საკვირველება ის გახლავთ, რომ გაზაფხულის შემდგომ აქ წვიმა არ მოდის. სოფლის მეურნეობას ვერ ვაწარმოებთ. მოსახლეობის ნაწილმა უკვე გული აიცრუა და მიატოვა წვალებით აშენებული კარმიდამო. ნუთუ ჩვენც ეს ბედი გველის?

*კრწანისის მელიორეობის კომპლექსის დასახლების მცხოვრებნი*

კითხვაზე პასუხობს **კუკური თავართქილაძე**, პროფესორი, გეოგრაფიის ინსტიტუტის ბუნებრივი პროცესების მათემატიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი

თავდაპირველად დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს არც ერთ რეგიონში უდაბნოსთვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები არ არსებობს. მხოლოდ ცნობილი გარეჯის კომპლექსი გახლავთ ნახევრად უდაბნო, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ტერიტორიაზე არ არსებობს ბუნებრივი წყლის რესურსები და მისი მიწოდება ხელოვნური გზითაც არ ხდება. წარმოუდგენელია თბილისიდან 15-17 კმ-ის მოშორებით არსებობდეს უდაბნოსთვის დამახასიათებელი კლიმატური ზონა. კლიმატური პირობების ცვალებადობა დამოკიდებულია არაერთგვაროვან გარემოზე (ასე მაგ. მაღლობზე და დაბლობზე), ხოლო თბილისიდან რუსთავამდე რაიმე საგრძნობი განსხვავება კლიმატის მიხედვით არ შეიძლება არსებობდეს. თქვენი პრობლემა გახლავთ უწყლობა და არა ანომალიური მოვლენები. ყველაფერი მოგვარდება, თუ ადგილობრივ მოსახლეობას გადაუწყვეტენ წყლის მიწოდების საკითხს. ხოლო რაც შეეხება ნალექიანობას, ეს ისეთი პროცესია, რომელიც ვარიაციებს განიცდის, ანუ მერყევია. წლიდან წლამდე ზოგჯერ ნალექის ნორმა მოჭარბებულია, ზოგჯერ კი შემცირებული. შეუძლებელია, რომ ამ ტერიტორიაზე ნალექის



მოსვლა საერთოდ არ ფიქსირდებოდეს. თუმცა დასაშვებია, რომ ნორმაზე მცირე იყოს მისი რაოდენობა. მაგრამ ეს ანომალიურ მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს. ასევე შეუძლებელია თქვენ მიერ აღნიშნული ტემპერატურა +60°C შეესაბამებოდეს რეალობას. თუ თქვენ თერმომეტრის მეშვეობით ტემპერატურას მზის სხივების მოქმედების ქვეშ ზომავთ, მაშინ ბუნებრივია მისი მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე გარემოს ანუ ჰაერის ტემპერატურის რეალური მაჩვენებელი. საქართველოში ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირებული იყო აჭარასა და კოდორის ხეობაში, სოფელ ლათაში და ვარნალში — +43°C, ხოლო თბილისში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი +41°C დაფიქსირებული იყო 1966 წელს. აქედან გამომდინარე, თქვენი მონაცემები მცდარია.

ჰაერის ტემპერატურის ასეთი საგრძნობი განსხვავება ორ მეზობელ დასახლებას შორის სულ მარტივი მიზეზის გამო ხდება. ისინი ახერხებენ ნიადაგის მორწყვას, რასაც შედეგად დღისით სიგრილე, ღამით კი სითბო მოჰყვება. თქვენი დასახლება კი, თუ მორწყვას ვერ ახერხებს, მიწა დღისით ცხელი, ღამით კი გრილი იქნება.

ვინაიდან ეს ტერიტორია თქვენამდე არ იყო დასახლებული და გაკულტურებული, შეგექმნათ აუარებელი პრობლემა. ჩემი რჩევაა, პირველ რიგში, მოაგვაროთ წყალთან დაკავშირებული პრობლემები.

# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები

— იქნებ მოკლედ მოგვითხროთ ქართველ კათოლიკოს-პატრიარქთა შესახებ. კერძოდ მათი საერო გვარ-სახელისა და საეკლესიო მოღვაწეობის უმთავრეს პერიოდებზე.

*ლევან ინჯია*

კითხვაზე პასუხობს **ჯაბა სამუშია**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი



ქართული დედაეკლესიის საჭეთმპყრობელთა სია მეტ-ნაკლებად დადგენილია. „ქართლის ცხოვრებისა" და სხვადასხვა საეკლესიო ხელნაწერების მიხედვით.

ქართული ეკლესიის პირველი მამამთავარი იყო იოანე I, რომელიც ქართლის (მცხეთის) ეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა. ის IV საუკუნეში, ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, მეფე მირიანის თხოვნით, იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა გამოგზავნა ქართლში სასულიერო პირთა თანხლებით. სწორედ იოანე I-ის სახელს უკავშირდება ერუშეთში, წუნდასა და მანგლისში ეკლესიათა აშენება.

V ს-ის 60-იანი წლებიდან ვახტანგ გორგასლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმების შემდეგ, ქართლში კათოლიკოსობა დაწესდა. პირველი კათოლიკოსი იყო პეტრე I.

XI საუკუნის დასაწყისიდან შემოდის კათოლიკოს-პატრიარქის წოდება. პირველი კათოლიკოს-პატრიარქი იყო მელქისედეკ I (1010-1033).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გარდა, შუა საუკუნეებში, მოიხსენიება ასევე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსიც. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსთა რეზიდენცია იყო ბიჭვინთაში, ხოლო შემდეგ, XVI ს-ის II ნახევარში ევდემონ I-მა (ჩხეიძე) საკათოლიკოსო ტახტი გელათში გადმოიტანა.

XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა. რუსეთის წმ. სინოდი საქართველოში თავის ეგზარქოსებს ნიშნავდა, რომელთაც ევალებოდათ ადგილობრივი საეკლესიო საქმეების განკარგვა.

1917 წ-ს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა. ამიერიდან საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი უნდა ყოფილიყო „უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი".

1917 წლის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქები იყვნენ:

კირიონ II (გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი) 1917-1918;
ლეონიდე (ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე) 1919-1921;
ამბროსი (ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია) 1921-1927;
ქრისტეფორე III (ქრისტეფორე მურმანის ძე ციცქიშვილი) 1927-1932;
კალისტრატე (კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე) 1932-1952;
მელქისედეკ III (მიხეილ გიორგის ძე ფხალაძე) 1952-1960;
ეფრემ II (გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე) 1960-1972;
დავით V (ხარიტონ ჯიბოს ძე დევდარიანი) 1972-1977.

**ამჟამად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახლავთ ილია II (ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი) — 1977 წლიდან.**

აქვე დაინტერესებულ მკითხველს მივუთითებთ უკანასკნელ ხანს აღნიშნულ საკითხზე გამოცემულ საკმაოდ საინტერესო საცნობარო ლიტერატურას: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ. 2000წ; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთაისი 1994 წ.

# სად «ვეძებოთ» ჩვენი წინაპარი?

მეგობართა წრეში ხშირად ვდაობთ ცნება „წინაპრის" თაობაზე. მე ენციკლოპედიასა და განმარტებითი ლექსიკონის დაყრდნობით ვამტკიცებ, რომ პაპა და ბებია შვილიშვილებისათვის წინაპრებად ითვლებიან, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ ეთანხმება ჩემს მოსაზრებას. გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი აზრი.

*შ. შარაძე*

წინაპარი ზოგადი ცნებაა და მისი თქვენეული დაკონკრეტება არ უნდა იყოს მართებული.

სიტყვა პაპას და ბებიას თავისი კონკრეტული შინაარსი აქვს და მათი კიდევ ერთი ცნების ქვეშ მოქცევა, ჩვენი აზრით, ზედმეტია. ამ ლოგიკით დედ-მამაც წინაპარია.

ყველა იმ თაობას, რომელიც შვილიშვილების და მათი შვილების თაობას შეიძლება მოესწროს, ქართულში თავისი შესატყვისი გააჩნია. ასე მაგ., არსებობს ცნება დიდი პაპა, რომელიც პაპის მამას აღნიშნავს (შესაბამისად დიდი ბებია). ასე რომ, წინაპარი ჩვენი დიდი ბებიებისა და დიდი პაპების წინა თაობაში უნდა „ვეძებოთ".

# საიდან მოდის ქოლგა ანუ პასუხი «ბულდოგების შეკითხვაზე»

„კვირის პალიტრის" წინა ნომერში „ფოტო განწყობისათვის" ბულდოგებმა დაგვისვეს შეკითხვა — ვინ მოიგონა ქოლგა? ჩვენც მივიკითხ-მოვიკითხეთ და ქოლგის შესახებ ბევრი რამ შევიტყვეთ...



— ქოლგის მოხმარება კაცობრიობამ ჯერ კიდევ 3 ათასწლეულის წინ, დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე XI ს-დან დაიწყო. იგი თავდაპირველად მზისგან დამცავი საშუალება გახლდათ. ამ ფუნქციის გარდა, ქოლგა ძველ ჩინეთში ძალაუფლების სიმბოლოდაც აღიქმებოდა. თუმცა ამ პროცესების მიღმა, დამოუკიდებლად მისი გამოყენება ეგვიპტესა და სხვადასხვა აფრიკულ ტომშიც ხდებოდა. უბრალო ბამბუკისაგან დამზადებული აქსესუარი სწრაფად ხდება მბრძანებლობის სიმბოლო. ძველი ათენის მკვიდრი მოქალაქეები აიძულებდნენ ემიგრანტებს ქოლგით ხელში უკან გაჰყოლოდნენ, რათა მათთვის მზე მოეჩრდილათ. ქოლგა იმდენად პოპულარული და ძვირად ღირებული ფუფუნების საგანი გახლდათ, რომ ტაილანდის მმართველს, გარდა იმ წოდებებისა, რომელთაც იგი ფლობდა, 24 „ქოლგის მფლობელის" ტიტულიც კი ჰქონდა. ხოლო ბირმის მმართველი შემკული იყო დიდი, შავი ქოლგის მფლობელის ტიტულით.

XII საუკუნიდან ქოლგის გამოყენება დაიწყეს კათოლიკე ეპისკოპოსებმა, ხოლო XVI საუკუნეში რომის პაპი იძულებული იყო, მოეხდინა ქოლგის ტარების შესახებ კანონის კოდიფიცირება. ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება.

რატომღაც ქოლგა თავდაპირველად მხოლოდ როგორც მზისგან დამცავი საშუალება ისე გამოიყენებოდა და არა წვიმისაგან დამცავი აქსესუარი. პირველი ქოლგა, რომელიც დამზადებული იყო სპეციალური ნაჭრისაგან, გაჩნდა საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XII-ის გარდერობში 1637 წელს.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

# — მოსკოვში შვილის ნაცვლად მისი ნივთები დაგვიბრუნდა...

იცით, ჩემი სიმდიდრე რა არის? ლექსომ რაღაც საბუთები გამოგზავნა. კონვერტზე დააწერა: „ლექსოს ლიანას“. გავივლი-გამოვივლი და ვუყურებ ამ კონვერტს... ამაზე მეტი რა უნდა მომწეროს?!

შეუძლებელია, სასიამოვნო გაკვირვება არ დაგეუფლოთ, როცა შვილი დედაზე ამგვარად დაწერს:

*„ყოველთვის თავის თავთან მართალი, არასდროს ზედმეტად შემპარავი, მხოლოდ თუ რა ძალიან სჭირდება ან პირიქით, მაშინ ლალატობს ზოგჯერ ზომიერებას... დამოკიდებულების სწორად შემოსაზღვრული, მტკიცე და ამიტომ ხშირად სუბიექტური, საკმარისად გონებამახვილი (ნუ ერევით გონებამახვილობაში!). გარემოცვასთან ურთიერთობაში მუდმივად სჭირდება მისი ამ თვისების დაცვა. ვერ ვწვდებით... ძალიან წინ წასვლა კი გაწყვეტს ნიშნავდა და ნიშნავს... ახალი სტუმრების და სტილის ადვილად შემსწავლელი... თავისთვის არაფრის მთხოვნი და ფუქად, უქცევად, მხოლოდ გარეგნული ფარისათვის არაფრის გამცემი. კლდესავით ამტანი და ზღვასავით მოღვაწე. სილამაზის მოყვარული და მისი დამნახავი მრავალმხრივ გამოხატვაში: მუსიკაში, ადამიანში, სავანში, წიგნში, ძაღლებში, თევზებში, ბუნებაში... უძნელესი შავი სამუშაოს თავად და სურვილით აღმსრულებელი მიზნის სიძლიერესის გამო. პოლიფონიური აზროვნების და მოქნილი მოქმედების მქონე, ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება და ფიქრზე ფიქრი მისი სტიქიაა. არასოდეს არავისთან — ფამილარული. დარწმუნებული ვარ, ყველა ჩემს ნაკლებად კეთილმოსურნეს ყველაზე მეტად მისი ძლიერება არ სიამოვნებს“...*

ეს არის ნაწყვეტი ცნობილი პიანისტის **ლექსო თორაძის** დღიურიდან...

საუბარი უმშვენიერეს ქალბატონს — ლიანა ასათიანს ეხება...

ქალბატონი ლიანა სათუთად ინახავს ამ დღიურს... იყო წლები, როცა შვილს მონატრებულს მხოლოდ მისი წაკითხვით უნდა დაეამებინა ტკივილი. ნახვა, საუბარი, მიმოწერა ამერიკაში მცხოვრებ შვილთან მაშინ წარმოუდგენელი იყო. ის გახლავთ დედა, რომელმაც უდიდეს განსაცდელს გაუძლო. თუმცა, დამეთანხმებით, სასოწარკვეთილი, დასუსტებული ლიანა ასათიანი არავის უნახავს...

— სუსტი არც უნდა იყო... ყველაფერი უნდა შეგეძლოს ადამიანს. ალბათ მდგომარეობა ქმნის ხასიათს და მეც ბავშვობის წლებშივე ჩამოვყალიბდი, როგორც გამძლე და დამოუკიდებელი. შინ თითქმის სულ მარტო ვიყავი. დედა მუშაობდა, ჟურნალისტი გახლდათ. შესანიშნავად წერდა. მაშინ არ იყო გაზეთების ჯიხურები. „კომუნისტი“ და „კოლექტივიზაცია“ ხელზე იყიდებოდა. მახსოვს, როგორ გაიძახოდნენ გაზეთის გამყიდველები: იყიდეთ, იყიდეთ, მერი ბურდულის სტატიაა სასამართლო დარბაზიდანო... მამასაც უამრავი საქმე ჰქონდა, ფინანსისტ-ეკონომისტად მუშაობდა.

ლექსო ჩემზე წერს, — ძლიერიაო... სად ვარ ძლიერი!.. ადამიანმა ერთი უხეში სიტყვა რომ მითხრას, შეიძლება ერთი თვე ვერ დავიძინო, ის კი არა და, ფეხზეც ველარ გავიარო. ეს — ლექსოს ეგონა, რომ ძლიერი ვიყავი. ერთხელ რაღაც მთხოვა, — გამიკეთეო. უარი ვუთხარი, — ვერ შევძლებ-მეთქი. გაუკვირდა. ახლაც მახსოვს მისი განცვიფრებული მზერა. ვერ დაეჯერებინა, რომ რაღაც არ შემეძლო. ოჯახში ყველაფრის კეთება მე მიწევდა, აბა, რა მექნა? ჩემი მეუღლე გუგული თორაძე შემოქმედი კაცი იყო და ნაკლებად აინტერესებდა, რა ხდებოდა მის გარშემო. თუმცა, შეეძლო, სხვისი გულისთვის რკინის ქალამნები ჩაეცვა და საქმე გაეკეთებინა. საკუთარი ოჯახისათვის — ვერ იცლიდა. ეტყობა, ასე ხდება. ერთი მხარის პასიურობა მეორეს იძულებით გაააქტიურებს, თორემ სიამოვნებით ვიქნებოდი ყოფით პრობლემებს მოწყვეტილი, მხოლოდ სულიერი ცხოვრებით ვიცხოვრებდი...



კადრი ფილმიდან „გიორგი სააკაძე“

**— და გაცილებით მეტი დრო დაეთმობოდა ხელოვნებასაც, რომელიც თქვენს ცხოვრებაში სიყმაწვილიდან შემოვიდა...**

— კულტურის „ცენტრში“ ვიზრდებოდი. ჩვენი სახლი ემიჯნებოდა ოპერის თეატრს. თავიდან ის გასტროლიორებისა და თეატრის თანამშრომლებისათვის აუგიათ. მერე ჩამოართვეს კერძო მესაკუთრეებს და ხალხს დაურიგეს. იქ ცხოვრობდა ჩვენი ოჯახი. ორი ფეხის ნაბიჯზე მქონდა ოპერა, რუსთაველის, გრიბოედოვის, მოზარდ მაყურებელთა თეატრები. დაღმართზე დავეშვებოდი და მარჯანიშვილის თეატრში მოვხვდებოდი. სულ პატარა გოგო ხან ბილეთით, ხან უბილეთოდ დავდიოდი ხოლმე თეატრებში, თანაც მარტოდმარტო... ჩვენ მეორე სართულზე ვცხოვრობდით, მესამეზე — ოლგა ბახუტაშვილი-შულგინა. მან პირველმა იმღერა „აბესალომ და ეთერში“ ეთერის პარტია. მასთან ხშირად ვხვდებოდი სამეცადინოდ მოსულ ვოკალისტებს... ყველა ძალიან მიყვარდა. საერთოდ, მომწონდა არტისტები — არაორდინარული ხალხი...

**— აკი, თავადაც, მონაწილეობის დროსვე „გიორგი სააკაძეში“ მოგიხდათ თამაში.**

— მერვე კლასში ვიყავი, მიხეილ ჭიაურელმა რომ მიმიწვია. ფილმის დასრულების შემდეგ დავამთავრე სკოლა.

**— ასე გიყვარდათ ხელოვნება და პროფესიად მსახიობობა რატომ არ ინდომეთ?**

— „გიორგი სააკაძის“ გადაღებისას არაერთხელ მინახავს, როგორ მოდიოდნენ ცნობილი მსახიობები და ეხვეწებოდნენ მიხეილ ჭიაურელს, — მასობრივ სცენებში მაინც გადაგვიღეთო... მათ შემყურეს საშინლად მტკიოდა გული. მაშინ გადავწყვიტე, — მე არასოდეს მივალ ვინმესთან რაიმეს სათხოვნელად. ისეთი პროფესია უნდა მქონდეს, რომ ვინმეზე დამოკიდებული არ ვიყომეთქი და ამიტომ ავირჩიე მედიცინა. ვიფიქრე: თუ ჩემი გადაღება ენდომებათ, ისეც გადამიღებენ. ბოლოს და ბოლოს, ჯულიეტა მაზინა ქიმიკოსი იყო, მარჩელო მასტროიანი — ფელინის ბულალტერი.




ლექსო და „ლექსოს ლიანა“

როცა კარგ რეჟისორს შეხვდები, კარგ ფილმში მიგიწვევს, კარგადაც ითამაშებ, წარმატება გვერდს როგორ აგივლის! თუ ასე არ მოხდა, თუნდაც ათი სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრე... კინომსახიობის კარიერა იღბალზეა დამოკიდებული. „თავადის ქალ მაიაში“ რატომ არის, რომ ყველა მსახიობი ძალიან კარგია? ციცინო ციციშვილიც, ოთარ მეღვინეთუხუცესიც... გიული ჭოხონელიძე ასე არც ერთ ფილმში არ მომწონს... იმიტომ, რომ კარგი რეჟისორი — ლანა ღოღობერიძე და ჩინებული ოპერატორი — ლევან პაატაშვილი გვყავდა... თანაც ჩვენი კინომოღვაწეობა ხომ არ არის პროფესიონალური... არ შეიძლება 5-6 წელიწადში ერთ ფილმში ითამაშო. ყოველი ინტერვალის შემდეგ გადასაღებ მოედანზე თავიდან უნდა აიდგა ფეხი.

**— მაგრამ თეატრში მსახიობს შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს. არასოდეს გიფიქრიათ, თეატრში გეცადათ ბედი?**

— თეატრში მიმიწვიეს შალვა ღამბაშიძემ, აკაკი ხორავამ... მაგრამ ძალიან მალე მივხვდი, რომ ვერ გავუძლებდი იქაურ გაუთავებელ სირთულეებს... მე სულიერ ტკივილს ავარიდე თავი. კოლეგისაგან მიღებულ წყენას ვერ ავიტანდი... კინოში არასოდეს, არავის უბრალოდაც არ შევკამათებივარ.

**— თქვენი პირადი ცხოვრება როგორ წარიმართა, ბატონ დავითს როდის შეხვდით?**

— გუგულის (ასე არჩია ქ-ნმა ლიანამ მეუღლის მოხსენიება) მეორე ფილმის გადაღებისას შევხვდი. ეს იყო შოთა მანაგაძის „ჭირვეული მეზობლები“. მუსიკა მას უნდა დაეწერა. ახალგაზრდა კაცს უკვე დიდი სახელი ჰქონდა. იგი ხელმძღვანელობდა პირველ ქართულ ჯაზორკესტრს და სწორედ ამან მოუტანა პოპულარობა. ჯაზს ხომ ფანტასტიკური წარმატებები ჰქონდა! გუგულიმ უმალ მიიქცია ჩემი ყურადღება, იმიტომ, რომ არავის ჰგავდა, სასიამოვნო, კეთილშობილური გარეგნობის და პერსპექტიული ახალგაზრდა იყო. მას მართლაც დიდი წარმატებები ჰქონდა. შემოსავლისთვის, მატერიალური კეთილდღეობისთვის არასოდეს არაფერი დაუწერია. ჩვენ გვერდით ბევრი მატერიალურად დალხენილი ცხოვრობდა, მაგრამ წუთითაც არ გავცვლიდი ჩემს უქონლობას მათ უზრუნველ ცხოვრებაზე. ჩვენთვის სხვა რამ იყო მთავარი. შვილებსაც ისე ვზრდიდით, რომ სულიერი ღირებულებების უპირატესობა ეგრძნოთ ყველაფერში...

**— როგორც ცნობილია, ლექსო თორაძის საზღვარგარეთ დარჩენა თქვენს დიდ სულიერ ტრავმასთან არის დაკავშირებული.**

— ძალიან მძიმე იყო... მე და გუგული მოსკოვში ველოდით შვილის დაბრუნებას. ...მაგრამ ლექსოს ნაცვლად მისი ნივთები მოგვიტანეს... სამწუხაროდ, სხვა გზა არ ჰქონდა — მოსკოვის ტელე-რადიო ორკესტრის დირიჟორი ძალიან უსამართლოდ მოექცა. მან გასტროლებამდე ექვსი თვით ადრე შეუკვეთა ლექსოს რახმანინოვის მეორე კონცერტი. სხვათა შორის, ლექსოს სულაც არ უნდოდა ესპანეთში წასვლა. წინა ზაფხულს რაჭაში ისვენებდა. იქიდან ლეჩხუმში გამოიარა. ძალიან მოეწონა ცაგერის კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზი. იქაურებს შეჰპირდა — გაისად ჩამოვალ და დავუკრავო. მეუბნებოდა, — გასტროლებზე ვერ წავალ, სიტყვას ვერ გავტეხ, ცაგერში უნდა დავუკრაო. მე დავაძალე, — შენ მოამზადე კონცერტი. არა თქვან, ვერ შეძლოო. მერე ავადმყოფობა მოიმიზეზე და ნუღარ წახვალ-მეთქი.

გასტროლებამდე ათი დღით ადრე უნდა მოესმინათ, მაგრამ გადაიდო და მხოლოდ წასვლის წინა დღეს მოუსმინეს. ხომ ველარ იტყოდა, — ვერ წავალო!.. მადრიდის აეროპორტშივე გაირკვა, რომ ბინძური ფინანსური გარიგების გამო მისი კონცერტები მოიხსნა.

ლექსოს უთქვამს, — კარგი, ბატონო, ნუ გამამართვინებთ კონცერტს, მაგრამ მოსკოვში დამაბრუნეთო. არც გამოუშვეს... ოცი დღე აწონიალეს ალმა-დალმა... ლექსო ამ დროს ამერიკაში რვაჯერ იყო კონცერტებით ნამყოფი, ვან კლაიბერნის კონკურსის ლაურეატი იყო. ამერიკელებს ფილმიც ჰქონდათ გადაღებული მასზე — „ო, ლექსო“. ესპანეთში მის მოსასმენად ამერიკელებიც კი ჩავიდნენ. რომ ნახეს, რა დღეში იყო, 16 ანგაჟემენტი მისცეს ამერიკის პრესტიჟულ დარბაზებში...

ლექსოს რომ საბჭოთა კავშირიდან გაქცევა ნდომებოდა, ესპანეთში არ გააკეთებდა ამას. მაშინ ესპანეთსა და სსრკ-ს შორის არსებობდა ხელშეკრულება — თავშესაფრის მთხოვნელთა უკან დაბრუნების თაობაზე. ლექსოს სურათები ყველგან იყო გაკრული. ეძებდნენ. ნაცნობ-მეგობრების ოჯახებში იმალებოდა. დღედაღამ ვლოცულობდი, რომ კგბ-ს არ ეპოვა. მერე იტალიაში გააპარეს. იქ უკვე თავისუფალი იყო...

**— რამდენი წელი არ გენახათ შვილი?**

— ხუთი წელი.

**— და არც არაფერი იცოდით მასზე?**

— ვიცოდი. ჯერ კიდევ ესპანეთიდან დარეკა. გუგული შინ არ იყო. მე ველაპარაკე. არაფერზე იდარდო. შენ იყავი კარგად-მეთქი, — დავამშვიდე. მეორე საღამოს ისევ დარეკა მამამისთან. გუგული მოძღვრავდა: აბა, შენ იცი, სამშობლოზე ცუდი არაფერი თქვაო. მართლაც ასე იყო. უხმაუროდ ჩავიდა ამერიკაში.

**— თქვენი შეხვედრა როგორ მოხდა?**

— მე ვიყავი პირველი დედა, რომელიც საზღვარგარეთ გაუშვეს შინ დაუბრუნებელი შვილის სანახავად. პატიაშვილის მდივნობისას აქედან არ მიშვებდნენ. რამდენჯერ შევიტანე თხოვნა. გადამიდეს და გადამიდეს. რეიგანის ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე ბუში ჩამოვიდა მოსკოვში და წერილი დაუტოვა პატიაშვილს — გაუშვით დედა ლექსო თორაძესთანო. გამომიძახეს ცეკაში და მითხრეს, — გიშვებთ და აბა, იქნებ ლექსო დააბრუნოო.

საოცარი შეხვედრა მომიწყო ლექსომ. აეროპორტი თითქმის დაიხურა. ტელევიზია, პრესა, ფოტორეპორტიორები გვეხვივნენ თავს. მე ვფიქრობდი, — ჩავიდოდი, წყნარად დავსხდებოდით სადმე. ვისაუბრებდით, ვიტირებდი... გუგული უკვე აღარ იყო ცოცხალი. ლექსომ კი ფეიერვერკი მომიწყო. ამით თვითონაც გაიადვილა ჩემთან შეხვედრა და მეც გამიადვილა. სულ მეუბნებოდა ყურში — გაიცინე, გაიცინეო. თაიგულებით ამავსო. როგორი საქმეა — ჩადიხარ, ამდენი წელია არ გინახავს შვილი და უცებ არენაზე ხვდები. პოლიტიკური ელფერიც კი მისცა ჩემს ჩასვლას.

ათი დღის შემდეგ კონცერტი ჰქონდა. იქ, სცენაზე, თაიგულები არ მიაქვთ, სამსახიობოში შეაქვთ. როცა ლექსოსკენ გაემართა ადმინისტრატორი თაიგულით ხელში, მან — მე არა, დედაჩემს მიართვითო. დარბაზში ერთი ამბავი ატყდა. სიხარულის ცრემლები ღვარად მომდიოდა...

ლექსომ დიდი სიყვარულის მოპოვება შეძლო წასვლამდე არა მარტო მუსიკალურ წრეებში, უბრალო ხალხშიც კი... ერთი ქურთის ფაშფაშა ქალი გვილაგებდა სადარბაზოს. ერთხელ დავპატიჟე: მოდი, ერთად ვისაუზმოთ-მეთქი. არ მინდა, ლექსოს გეფიცებიო... განცვიფრებული დავრჩი. რა ხიბლი აქვს ასეთი. რით შეაყვარა თავი ასე ხალხს. ასეთი სიყვარული ხშირად მიგრძნია თბილისშიც და მოსკოვშიც.

**— არასოდეს გაგიჩნდათ სურვილი თქვენს შვილთან წასულიყავით საცხოვრებლად? აქ ხომ ასე ჭირს ცხოვრება...**

— მე რომ ინგლისური ენა ვიცოდე და იქ მსახიობად მუშაობის საშუალება მქონდეს, შეიძლება ცოტა ხნით წავსულიყავი კიდეც... მაგრამ მარტო იმიტომ, რომ იქ თბილა, ყველაფერი კეთილმოწყობილია და მდიდარი სუპერმარკეტები აქვთ, ვერ წავალ... ერთადერთი — ცოტა ხანს ალბათ ბალტიმორში გავძლებდი. იქ იმდენი სიყვარული და სითბო ვიგრძენი ლექსოსა და ჩემ მიმართ, ვერ აგიწერთ. ბალტიმორში ბევრი ქართველი ებრაელი ცხოვრობს. ჩიკვაშვილები, ჯანაშვილები გვმასპინძლობდნენ...

**— ახლა როგორ არის ლექსო?**

— საზღვარგარეთ ცხოვრება წარმოუდგენლად ძნელია. ჩვენთან ასე ჰგონიათ, იქ ყველაფერი ციდან ცვივა. მეტისმეტად ძლიერია მიწის ყივილი, როცა გიხმობენ შენი ფესვები. კიდევ კარგი, ლექსოს იქ ქართული დიასპორა ჰყავს, რაც ძალიან ეხმარება. თანაც განუწყვეტლივ კონცერტები აქვს. ნიუ-იორკის შტატის მუსიკალური აკადემიის დოქტორობა მიანიჭეს. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რაც ავალდებულებს, მუდამ ფორმაში იყოს.

**— თქვენი მშვენიერი გარეგნობის, ნიჭის წყალობით, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ბრძანდებით, იოლია ამასთან შეგუება?**

— ძნელია... სხვა ქალაქებში როცა ვხვდები ლექსოს, უფრო მშვიდად ვარ... შემიძლია ქუჩაში თავისუფლად ჩამოვჯდე... ნიუ-იორკში ცენტრალურ პარკთან ცხოვრობდა ჩემი შვილი. დილაობით გამოვიდოდი სახლიდან, პარკში ვსეირნობდი. რომ დავიღლებოდი, სკამზე წამოვწვებოდი, თავქვეშ ჩანთას ამოვიდებდი და ვისვენებდი ხოლმე. ვერიდებოდი ლექსოს — მუშაობაში ხელი არ შემეშალა... ერთხელ თავზე წამომადგა — ლიანა, აქ რა გინდაო?! ასე თავისუფლად საქართველოში ცხადია, ვერ ვიქნები...

**— თქვენ ყოველთვის ყურადღებით, მზრუნველობით განებივრებული ქალბატონის შთაბეჭდილებას ტოვებდით და ტოვებთ. ბევრს ბედის ნებიერადაც წარმოუდგენიხართ...**

— რატომღაც ყოველთვის ეგონათ, ლიანა „რძეში ბანაობს“, არანაირი გასაჭირი არ ადგასო... ჩემი შვილებისათვის არავის არაფერი გაუკეთებია. ამ სახლში ყველაფერი ჩემს ხელშია გამოვლილი. არა ვყოფილვარ ბედის ნებიერი... ალბათ, ასე იმიტომ ჰგონიათ, რომ არასოდეს დამიწუწუნია. ჩემი თავისთვისაც კი არ მიკადრებია, რომ მეთქვა: „მე არ მიღებენ ფილმებში“, „მე მიჭირს“... საერთოდ, ჩემს საფიქრალს შვილებსაც კი არ ვუმხელ, არ ვაწუხებ... ერთხელ მომივიდა შეცდომა: ლექსოს დავურეკე და შეტყობინება დავუტოვე — ლექსუნა, მომენატრე, გამეცი ხმა, შემოგევლოს ჩემი თავი-მეთქი. შუაღამისას დამირეკა გულგახეთქილმა — რა მოხდაო. ამას კი არ არიან მიჩვეულები ჩემი შვილები... ახლა ნინოც ლექსოსთან წავიდა. გავაფრთხილე: როცა მოგენატროთ, თვითონ დამირეკეთ, მე არ დავრეკავ-მეთქი...

იცით, ჩემი სიმდიდრე რა არის? ლექსომ რაღაც საბუთები გამოგზავნა. კონვერტზე დააწერა: „ლექსოს ლიანას“. გავივლი-გამოვივლი და ვუყურებ ამ კონვერტს... ამაზე მეტი რა უნდა მომწეროს?!

როცა მეკითხებიან: შენი ნათამაშები რომელი როლი მოგწონსო, დაუფიქრებლად ვპასუხობ — რაც ჩემს რეალურ ცხოვრებაში ვითამაშე-მეთქი... ეს არის და ეს...

*ლელა ჯიყაშვილი*

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი
Programming Development Institute
აცხადებს მიღებას 2002-2003 წ.წ.
✓ პროგრამირების ფაკულტეტზე
სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი.
✓ ინსტიტუტთან არსებული მეორადი კურსები:
- პროგრამული ენები: Turbo pascal; Delphi; C; C++; SQL; Java... (სწავლის ხანგრძლივობა 10 თვე).
- დიზაინური პროგრამები; WEB-გვერდის დამზადება.
- ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების კურსი აუდიო-ვიდეო მასალების თანხლებით (სწავლის ხანგრძლივობა 6 თვე).
საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7. ცეკავშირის შენობა. V სართული. №544. ტელეფონი: 999911
E-mail: kiber@www.com

*ეს ამბავი ქალბატონმა ლილი ზარანდიამ მიამბო (კითხვა-კითხვით მომაგნო — „კვირის პალიტრის" ჟურნალისტი ინგა მინდაო, — მომესმა და შინ შემიპატიჟა).*

— რაღაც არ მასვენებს იმის შემდეგ, რაც შემემთხვა... მინდა ვილაცამ დამამშვიდოს. 48 წლის ქალი ვარ და იმდენი გაჭირვება გადამიტანია, არ მეგონა, კიდევ თუ რამე გამაკვირვებდა... ოღონდ, არ დამცინოთ და არც გიჟი გეგონოთ. შვილებს გეფიცებით, არაფერი მომჩვენებია!..

*ასეთი გრძელი შესავლის შემდეგ, მივხვდი, უჩვეულო ამბის მოყოლას აპირებდა და დავამშვიდე, — ბრძანეთ, ქალბატონო ლილი, გულისყურით გისმენთ-მეთქი.*

— ასეთი რაიმეს მოგონება არ შეიძლება, არ გვაპატიებს უზენაესი, — დაიწყო მოყოლა ჩემმა რესპონდენტმა, — ისე, ამ ამბის შემდეგ განსაკუთრებით მორწმუნე გავხდი, სიცოცხლესაც სხვაგვარად ვუყურებ და სიკვდილსაც...

ცხოვრება რომ აირია, ჩემს ოჯახსაც გაუჭირდა და მერე როგორ. მეც და ჩემი მეუღლეც პედაგოგები ვართ, სამი შვილი ლამის შიმშილით დაგვეხოცა. მეტი გზა არ გვქონდა და ცხინვალში დავიწყეთ ჩვენი ძველი მანქანით სიარული. დავტვირთავდით პროდუქტებით, ჩამოვიტანდით ქუთაისში და სულ ქუჩა-ქუჩა დავივლიდით უბნებს ხუთი და ათი თეთრის მოგების იმედით. მერე იმდენი მოვახერხეთ, ბაზრობაზეც ვიყიდეთ ადგილი და მასწავლებლობაზეც უარი ვთქვით.

ერთხელაც ისე დავიტვირთეთ ერგნეთის ბაზრობაზე, მანქანაში ჩემი ადგილიც აღარ დარჩა. გამოვუშვი ქმარი და მე სამარშრუტო ტაქსით გამოვყევი. ისეთი დაღლილი ვიყავი, ფეხზე მეძინებოდა. უკანა სავარძელზე კუთხეში მივიყუჟე თუ არა, ჩამძინებოდა. ჩემ გვერდით მჯდომის ხმამ გამომაფხიზლა, — მძღოლს მიმართავდა: რიკოთზე გაჩერდეთ, წავიხემსოთო. გავახილე თვალი და... სკამებს შორის ჩამჯდარი ახალგაზრდა ქალი დავინახე, რომელსაც თხელი შიფონის თეთრი კაბა ეცვა, თითქოს ქორწილიდან ამდგარა და წამოსულაო. გაშლილი თმა წელამდე სცემდა. ჩვენ, ყველანი, პალტოებში ვიყავით ჩაფუთნილები და მაინც გვციოდა, ის კი დაჟინებით მისჩერებოდა, ვითომც არაფერიო, სავარძელში მშვიდად მოკალათებულ მამაკაცს. რატომღაც ვიფიქრე, სიზმარია-მეთქი და თვალები დავხუჭე... ცოტა ხანში ისევ გავახილე, რადგან მძღოლმა გამოაცხადა: — აი, იმ სასადილოსთან მხოლოდ თხუთმეტი წუთი შევჩერდებითო!.. „იმ ქალმა" პირველმა გასწია გასასვლელისკენ და ხელჩაკიდებული კაციც გაიყოლია... ხალხი წამოიშალა და ვერ გეტყვით, რა ხდებოდა, მაგრამ როდესაც ჩამოვედი და ის ქალი მოვიძიე თვალით, ველარსად დავინახე. იქვე მდგომ ქალბატონს ვკითხე:

# მეგზური... საიქიოდან!



— ვინ იყო ის გიჟი, ამ ყინვაში თხელი შიფონის კაბით რომ იდგა-მეთქი და ისე შემომხედა, შემრცხვა.

ტუალეტში შევედი, ცხვირსახოცი დავასველე და სახეზე მოვისვი — აშკარად, ვერ ვგრძნობდი თავს კარგად. ჭამის არავითარი სურვილი არ მქონდა. ციოდა და ავტობუსისკენ გავწიე, რომლის ირგვლივაც ხალხის მომეტებული ფუსფუსი შევამჩნიე. მივედი და ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი. ვილაც მამაკაცი მკვდარი იპოვეს სავარძელშიო. გულმა რეჩხი მიყო... ახლოს მივიწიე და... სწორედ ის კაცი იყო, რომელსაც თეთრკაბიანი ქალი ადგა თავს და მერე ხელჩაკიდებულმა გაიყოლა ჩასვლისას...

ხომ გეუბნებოდით, ხალხი რომ აიშალა, მე წინ დავიწყე ცქერა, თეთრკაბიანს ვეძებდი თვალით, სალონში რაც ხდებოდა, ყურადღების მიღმა დამრჩა... მივხვდი, რომ უჩვეულო მოვლენის მოწმე გავხდი და რატომღაც მხოლოდ მე დავინახე მამაკაცის „წასაყვანად" მოსული სული თუ ანგელოზი...

**— არ იკითხეთ?!**

— თეთრკაბიან ქალზე ლაპარაკი არ დამიწყია. მივხვდი, არ დამიჯერებდნენ. ამიტომ, ისევ ყურადღება დავძაბე და ყველას ვუსმენდი, ვინ რას იტყოდა. თეთრკაბიანი ქალი არც ერთ მგზავრს არ მოუკითხავს და უხსენებია.

**— გამოდის, მამაკაცის სულიც დაგინახავთ...**

— მოძღვარს ვუამბე მოგვიანებით, — ჩემი თვალით დავინახე, კაცი რომ გაჰყვა ქალს და სავარძელში როდისლა დაბრუნდა-მეთქი მიცვალებული?! ამიხსნა: შენ კაცის სული გიხილავს, სხეული არსად დაძრულაო.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ... რაც მთავარია, მოძღვარმა დამიჯერა, რომ არ ვტყუოდი, განსაკუთრებული ლოცვა-კურთხევა მომცა, მაზიარა, დამამშვიდა. მართალია, ვერ ახსნა ჩემი ხილვა, მაგრამ მითხრა, რომ ამით არავითარი ზიანი არ მოგვადგებოდა არც მე და არც ჩემს ახლობლებს!

**— სხვა დროს თუ გქონიათ უჩვეულო ხილვები?**

— არავითარი!.. არც სიზმარი ვიცი განსაკუთრებული, არც წინათგრძნობა მაქვს გამახვილებული... მკითხაობასა და ნათელმხილველობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

**— გარდაცვლილის ვინაობით დაინტერესდით?**

— ჰო, საბუთები უპოვეს ჯიბეში და დავიმახსოვრე სახელი და გვარი. საკმაოდ ახალგაზრდა კაცი იყო, 52 წლის. დაკრძალვაზე მივედით მე და ჩემი მეუღლე, იქ გავიგეთ, რომ მეორედ იყო დაქორწინებული. პირველი მეუღლე 32 წლის ასაკში დაღუპვია, მშობიარობას გადაჰყოლია თურმე. ძალიან ჰყვარებიათ ერთმანეთი, ეს მეორე ცოლსაც სცოდნია და იცოდა, რომ მისი ქმარი კვირაში ერთხელ მაინც მიდიოდა მის საფლავზე... ძალიან მინდოდა „იმ ქალის" სურათი მენახა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თავის გამჟღავნებას მოვერიდე, ჭირისუფლების აფორიაქებაც არ მინდოდა.

კარგა ხანს ნევროზი მქონდა, სიბნელის და მარტოობის შიში დამჩემდა, მაგრამ ეკლესიამ და ჩემმა მოძღვარმა მიშველეს.

*...მონუსხულივით ვუსმენდი ქალბატონ ლილის, რომელიც ამდენი ხნის შემდეგაც, თხრობის დროს ისეთი განცდით საუბრობდა, მსმენელს ეჭვის ნატამალიც აღარ გრჩებოდა.*

*ინგა ჯაყელი*

# ჯადოსნური ჩხირი



უძველესი დროიდან იყო ცნობილი სხვადასხვა საშუალება კონკრეტული პრობლემის მოსახსნელად. ერთ-ერთი მათგანია ე.წ. ჯადოსნური ჩხირი.

თავდაპირველად უნდა მოამზადოთ ჩარჩო თუნდაც მსხვილი საქსოვი ჩხირისაგან. რუსული ასო Г-ს ფორმის ჩარჩოს სახელურის სიგრძე 15-20 სმ უნდა იყოს, ფრთისა — 30-40 სმ. ჩარჩომ რომ თავისუფლად იმოძრაოს, მოათავსეთ ის ფლომასტერის ან პასტის ცარიელ ბუდეში. კარგად გაასუფთავეთ ზუმფარის ქაღალდით. ამგვარად მომზადებული ჩარჩოთი ხელში შეიძლება ნებისმიერი „ოპერაცია" ჩაატაროთ (შეგიძლიათ „ჯადოსნური ჩხირი" გამოჭრათ ვაზის ნასხლავისგან, ოღონდ მას H-ის ფორმა უნდა ჰქონდეს). მაგალითად, თუ გსურთ მოძებნოთ ადგილი, სადაც ბლომადაა სოკო ან ტყის მარწყვი, უხმოდ, გულში სთხოვეთ ჩარჩოს, გიჩვენოთ მიმართულება იმ ადგილისაკენ. თან წარმოიდგინეთ, ვთქვათ, ხენდროთი ან სოკოთი მოფენილი მინდორი. ჩარჩო მიბრუნდება სასურველ მხარეს. ახლა მანძილი გაზომეთ. დაიწყეთ გუნებაში თვლა: ერთი მეტრი (ნაბიჯი), ორი, სამი და ა.შ. მანამდე თვალეთ, სანამ ჩარჩო თქვენკენ არ შემობრუნდება. ეს იქნება პასუხი — თქვენ თვალწინ გადაიშლება სასურველი კენკრით ან სოკოთი დაფარული ადგილი.

ლაშქრობის დროს შეიძლება ჩარჩო დაგეხმაროთ ბევრ რამეში: სად გაშალოთ კარავი, სად იპოვოთ სასმელი წყალი...

კითხვების მიცემის დროს თუ ჩარჩო მარცხნივ შემობრუნდა, ეს ნიშნავს — „დიახ", მარჯვნივ — „არა".

ჩარჩო მიგანიშნებთ, სად იზრდება სამკურნალო ხეები: მუხა, ფიჭვი, ძეწნა...

მუხა და არყის ხე სწრაფად მოგიხსნით დაღლილობას, ენერგიით აგავსებთ. ძეწნა — დაგიამებთ დაშავებული ფეხის ან მხრის ტკივილს. თუ გზა აგებნევათ, ნუ შეშინდებით. ჰკითხეთ ჯადოსნურ ჩხირს და ყველაფერზე მიიღებთ პასუხს.

*ტალისმანი* №12

# მოჩვენებების საჰიფიანი ბიზნესი

კრაკოველი სოკოლების ოჯახს მოსვენებას არ აძლევდნენ მოჩვენებები. ისინი მათთან 1988 წელს გაჩნდნენ. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ოჯახს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს. ყველაფერს, რაც „ხელთ მოხვდებოდათ", ესროდნენ ოჯახის წევრებს, დაჯდომის დროს სკამებს აცლიდნენ...

სოკოლების ოჯახმა გადასახლებაზე დაიწყო ფიქრი. ერთ-ერთმა მათგანმა კი შესთავაზა შეწუხებულ ახლობლებს, — ხალხი უამრავ ფულს იხდის საშინელებათა ფილმების სანახავად და ნამდვილი მოჩვენებების სიახლოვეში არაფერს დაინანებენო.

მართალიც გამოდგა: სამოთახიან ბინაში ცნობისმოყვარეთათვის სასტუმრო გახსნეს. „სტუმრებს ძალიან უხარიათ, როცა მათ მოჩვენებები „ავიწროებენ". მე, ჩემდათავად, ვერ ვიტან, როცა გამოსროლილი ტაფა ჩამიქროლებს ხოლმე, მათთვის კი ეს დიდი სიხარულია", — ამბობს ანჯეი სოკოლი.

1999 წლიდან სასტუმროს 1800 კაცი ეწვია. მათ შორის ბევრი ცნობილი პიროვნებაა — სახელმწიფო ჩინოვნიკი და პოლონური კინოს წარმომადგენელი.

*ტაინაია ვლასტ* №12

„საზალოო-სალაღო" გვერდის პასუხები

**I. რებუსი**

ოფოფს თავით იცნობენ, კარგ საქმეს კი ბოლოთიო;

II. ღამურა;

III. მწვანე ყვავილებია: 1,10, 15; ყვითელი — 6, 11, 14; ლურჯი — 4, 7, 13; ფორთოხლისფერი — 3, 8, 9; წითელი — 5, 2, 12.


# სხეულის ფორმის კორექცია — რა გზა ავირჩიოთ?

ალბათ ყველა ადამიანი ოცნებობს უნაკლო და პროპორციულ სხეულზე, მაგრამ ხშირად იძულებული ხდება შეეგუოს არასასურველ ფორმებს.

ის, ვისაც საკუთარ თავზე გამოუცდია, დაგვეთანხმება, რომ სხეულის მოვლის ტრადიციული მეთოდები – მასაჟები, მექანიკური თუ ელექტროტრენაჟორები, სხეულის თერაპიული თუ აპარატული დამუშავება, – ხანმოკლე ეფექტს იძლევა. ამასთან, ეს მეთოდები ძირითადად მიმართულია ცელულიტის დაშლისაკენ. მიღწეული შედეგის შესანარჩუნებლად აუცილებელია პროცედურების ხშირი გამეორება, რომელთა დაუმთავრებელ სერიას ადამიანი ხშირად ნევროზამდე და სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს.

არასასურველ ადგილებზე მდებარე ცხიმოვანი ფენა, – გამოკვეთილი „გალიფე", ნაკეცები და ცხიმგროვები მუცელზე, ბარძაყებზე, – მნიშვნელოვანი ნაკლია, რომლის გამოსწორება დიეტით, ვარჯიშით და კრემებით პრაქტიკულად შეუძლებელია.

მთელ მსოფლიოში, უკვე ყველამ აღიარა, რომ სხეულის ფორმის კორექციის გარანტირებული და სტაბილური კორექცია შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული ჩარევით, რომლის ეფექტურობაც დამოკიდებულია არჩეულ ქირურგიულ მეთოდზე.

კორექციის ქირურგიული მეთოდებისთვის უპირველესი მოთხოვნებია უსაფრთხოობა, სწრაფი რეაბილიტაცია და მინიმალური კვალი სხეულზე ოპერაციული ჩარევის შემდეგ. სადღეისოდ ყველა ამ პირობას მხოლოდ ლიპოსაქცია აკმაყოფილებს, რაც ნიშნავს ზედმეტი ცხიმის მოშორებას სპეციალური ტექნიკით, კანის განხვლეტით, განაკვეთების გარეშე.

მას შემდეგ, რაც ლიპოსაქციისთვის გამოიყენეს უახლესი ულტრაბგერითი აპარატურა, ეს ოპერაცია პრაქტიკულად უსაფრთხო გახდა. აღნიშნული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, ოპერაცია ჩატარდეს ამბულატორიულად, რამდენიმე საათის განმავლობაში, ისე, რომ ადამიანი არ გამოეთიშოს ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

საქართველოში, ულტრაბგერითი ლიპოსაქცია პირველად დაინერგა და წარმატებით ხორციელდება სამედიცინო ცენტრში „მედი". ეს უნიკალური მეთოდი უახლესი მიღწევაა კოსმეტიკურ ქირურგიაში და ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე კლინიკებში.

ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დროს, ცხიმოვანი ქსოვილი, ულტრაბგერის ზემოქმედებით იშლება, გადადის ემულგირებულ მდგომარეობაში და იმავდროულად ხდება მისი ამოტუმბვა. ამ დროს, ჩვეულებრივი ლიპოსაქციისგან განსხვავებით, არ ზიანდება სისხლძარღვები, ლიმფური სადინარები და ნერვული ბოჭკოები, რის გამოც მას გართულებები პრაქტიკულად არ ახლავს. ოპერაცია მიმდინარეობს ადგილობრივი გაუტკივარებით, ნარკოზის გარეშე, არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას და ადამიანი არ ეთიშება ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ერთადერთი, რამაც მას შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას, კომპრესიული თეთრეულის (ბანდაჟის) ტარებაა, რაც აუცილებელია ოპერაციის შემდეგ ერთი-ორი კვირის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დახმარებით, ერთხელ მოშორებული ცხიმოვანი უჯრედები მომავალში აღარ ვითარდება და სხეულის სასურველი ფორმა უცვლელი რჩება წლების მანძილზე. ამასთან ერთად, ოპერაციის დროს, ცხიმების დაშლის გარდა, თავს იჩენს ულტრაბგერის კიდევ ერთი თვისება – კანის ელასტიკურობის აღდგენა. რის შედეგად კანი თვითონვე იბრუნებს პირვანდელ სახეს და არ ვითარდება ნაკეცები, რომელთაც მოშორება ან მოკვეთა სჭირდება.

როდესაც ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, შეცვალოს თავისი გარეგნობა ქირურგიის საშუალებით, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მაქსიმალური შედეგის და წარმატების გარანტი მხოლოდ მაღალი კატეგორიის სოლიდური სამედიცინო ცენტრი და მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტები არიან.

„მედი" კოსმეტიკური ქირურგიის მხოლოდ მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებს გთავაზობთ.

უცხოელი პარტნიორების დახმარებით, აპარატურა, რომელიც აქ გამოიყენება, ყოველწლიურად ახლდება და იცვლება უფრო თანამედროვე, ტექნიკურად სრულყოფილით.

კლინიკის მყუდრო და კომფორტული გარემო, პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და გულისხმიერება, თქვენ შეგიქმნით მკურნალობისთვის იდეალურ ატმოსფეროს.

ულტრაბგერითი ლიპოსაქციის





სამედიცინო ცენტრი

**მედი**

**25-02-02 93-89-75**

ალ. ყაზბეგის გამზ.№1

# ქართული ცეკვიდან ამერიკულ კალათბურთამდე



თერთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ხნის მანძილზე ვერც ერთ სათამაშო სახეობაში ვერ მოხვდა ქართული გუნდი დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალურ ეტაპზე.

მიზეზი მარტივი და უკვე მომაბეზრებლად ერთფეროვანია — ფინანსური სიდუხჭირის გამო, სპორტის დეპარტამენტი სათამაშო სახეობების ნაკრებთა სრულფასოვან დაფინანსებას ვერ ახერხებს და აქცენტი ინდივიდუალურ სახეობებზე გადააქვს: ჭიდაობაზე, კრივზე და ა.შ. ამ პოლიტიკამ ნაწილობრივ გაამართლა — მცირე თანხა 30-მდე სპორტსმენზე იხარჯება და მეტ-ნაკლები შედეგიც მოაქვს.

თუმცა, ერთი წლის წინ, სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით წამოიჭრა საკითხი — ხომ არ სჯობდა რომელიმე სათამაშო სახეობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება? უნდა გამორჩეულიყო ყველაზე პერსპექტიული ნაკრები, რომელსაც განსაკუთრებული პირობების შექმნით, 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი ექნებოდა.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილის აზრით, ასეთად წყალბურთელთა ნაკრები უნდა მიგვეჩნია. თუმცა, ოლიმპიურმა კომიტეტმა არჩევანი საფეხბურთო ნაკრებზე შეაჩერა. არის თუ არა ეს გუნდი ყველაზე პერსპექტიული, საკამათოა. ბუნებრივია, ჩვენ სპორტის მამების არჩევანში ვერ ჩავერევით, მაგრამ საკალათბურთო სამყაროში გავრცელებულ მოსაზრებასაც ვერ ავუვლით გვერდს.

ბოლო ოთხი წლის მანძილზე კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრებები თითქმის ყველა დიდი ტურნირის ფინალში გავიდნენ. 1999 წელს სლოვენიაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე კადეტთა (16 წლამდელთა) შორის, საქართველოს ნაკრებმა მეხუთე ადგილი დაიკავა და სპეციალისტებმაც გუნდი აღმოჩენად და ტურნირის სიურპრიზად მონათლეს.

ეს ბიჭები უკვე წამოიზარდნენ და თანაც ოდნავ უფროს მოთამაშეებთან ერთად, ახლო მომავალში, საქართველოს ძლიერი საკალათბურთო ნაკრების ჩამოყალიბების პერსპექტივაც ნათლად გამოჩნდა. სწორედ სლოვენიაში გამოთქვა ტომო მახორიჩმა (ახლა სლოვენიის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტია) საქართველოს გუნდის უხელფასოდ გაწვრთნის სურვილი — ამ გუნდით სახელის მოპოვება შეიძლებაო.

უახლეს ამბებსაც მოგახსენებთ, რაც ქვეყნის საკალათბურთო პერსპექტივას ნათლად დაგვანახვებს.

26 ივნისს, ნიუ-იორკში, „მედისონ სქვერ გარდენში" შეკრებილი კალათბურთის ბომონდი 2002 წლის დრაფტის მომსწრე შეიქმნა. NBA-ს 29 გუნდის ოფიციალური წარმომადგენლები, მწვრთნელები, მენეჯერები და სკაუტები კარს უღებდნენ ყველაზე ნიჭიერ კალათბურთელებს.

დრაფტზე დაყენების იმედი ორ ქართველ ახალგაზრდას ჰქონდა — 18 წლის ზაზა ფაჩულიასა და 19 წლის ნიკა ცქიტიშვილს. ორივე მოთამაშე ცენტრფორვარდია და მათ ამერიკელთა ყურადღება ევროპულ კლუბებში თამაშით მიიპყრეს.

... ნიკა ცქიტიშვილი 212 სმ-იანი გიგანტია და წლეულს გადავიდა იტალიურ „ბენეტონში". გუნდის ამერიკელი მწვრთნელი, დანტონი ქართველს გამოუცდელობის გამო დიდი ხნით თამაშის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ ყველგან მის პერსპექტიულობაზე ამახვილებდა ყურადღებას. ამიტომაც „იჭიდავა" ცქიტიშვილის ყოფილ სლოვენიურ კლუბთან და ზამთარში გადაიბირა კიდეც. დანტონს ამერიკაში დიდი სახელი აქვს და „იანკებმაც" მის სიტყვას დაუჯერეს. ამიტომაც „ბენეტონის" ქართველ თავდამსხმელს ხშირად აკვირდებოდნენ სკაუტები.

ცქიტიშვილს ამერიკელები ასე ახასიათებენ: „ეს ახალგაზრდა საოცრად ათლეტურია, კარგი სიმაღლე და ნამდვილი ამერიკული, რბილი ტყორცნა აქვს. მოძრავია, სწრაფი, თანაბარი წარმატებით ისვრის ნებისმიერი პოზიციიდან, სამქულიან ტყორცნებს კი ამერიკული სტანდარტებითაც ზუსტად ასრულებს. მიუხედავად გამოუცდელობისა, „ცქიტას" (ასე უწოდებენ) შანსი აქვს NBA-ში დირკ ნოვიცკისა და პაუ გასოლის დარად ითამაშოს".

მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ლიგის ოფიციალური ვებ-საიტი წერს: „ცქიტიშვილი ისეთი ტალანტია, რომ ღირს მისი თამაშის საყურებლად თავის შეწუხება. თანაც, ის ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და კიდევ ჩამოსაყალიბებელია".

ნიკას მწვრთნელი, დანტონი აცხადებს: „მიუხედავად სიმაღლისა, ცქიტიშვილი მეტად მოქნილი და სწრაფია. მისნაირი მაღალი მოთამაშისთვის მსგავსი ტექნიკა უჩვეულო ამბავია... იცით, იგი ადრე ბალეტის მოცეკვავე ყოფილა, კალათბურთის თამაში კი 15 წლიდან დაუწყია, რადგან ბალეტზე მისი სიმაღლის გოგო ვერ მოძებნეს. აშკარაა, ეს ბიჭი არჩევანში არ შემცდარა".

ნიკა ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთს აპროტესტებს: „ამერიკელებმა გაიგეს, რომ ცეკვაზე დავდიოდი და რატომღაც ბალერონად მომნათლეს. სინამდვილეში, ქართულ ცეკვაზე დავდიოდი".

ნიკა წლეულს „ბენეტონთან" ერთად იტალიის ჩემპიონი გახდა და დრაფტსაც წელში გამართული ელოდა. დრაფტზე ხომ აქამდე არც ერთი ევროპელი, მეხუთე ნომრად არ დაუსახელებიათ, რაც უდიდესი პატივია ქართველისთვის.

... **ნიკა ცქიტიშვილი** NBA-ში მოხვედრამ უზომოდ გააბედნიერა და იმედოვნებს, რომ „დენვერში" ადგილს დაიმკვიდრებს:

*— მწვრთნელის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ვიმედოვნებ, რომ თავიდან ათი წუთით თამაშის საშუალებას მაინც მომცემენ. მთავარია, ახლა ნორმალურად მოვემზადო. ამისთვის ამერიკაში მალე დავბრუნდები, სერიოზულად მოვემზადები და მწვრთნელს დავარწმუნებ, რომ NBA-ში სათამაშოდ ახლაც მზად ვარ. საჩემოდ ისიც მეტყველებს, რომ „დენვერმა" წლეულს ბევრი ახალგაზრდა შეიძინა, რათა უფრო აქტიური და სწრაფი თამაში აჩვენონ. „დენვერში" გარანტირებული მაქვს ხელფასი, მაგრამ მე ეს არ მაკმაყოფილებს. სერიოზული ვარჯიშის შედეგად ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია ვარსკვლავი გახდეს და ასეთ პერსპექტივაზე საკუთარი ნებით უარს არ ვიტყვი. შრომა კი ნამდვილად არ მეზარება. ყოველ შემთხ-*



*ვევაში დღემდე ზარმაცი არ ვყოფილვარ.*

**— „დენვერში" როგორ შეგხვდნენ?**

*— როგორც ძველ ძმაკაცს. მითხრეს, — ძალიან გაგვიხარდა შენი ჩამოყვანა, ძალიან გვჭირდებოდა შენი სტილის მოთამაშე და ამიტომ მიგვაჩნია, რომ გაგვიმართლაო. მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ, რესტორანშიც დამპატიჟეს. ამ დროს იქით მეთქმის მადლობა, — თავი ზღაპარში ამომაყოფინეს.*

**— „დენვერამდე" სხვა გუნდებსაც შეხვედრიხარ...**

*— „კლიპერსისა" და „ნიუ-იორკის" წარმომადგენლები მესაუბრნენ. ერთი შეხედვით, უაზრო კითხვები დამისვეს, მაგრამ მივხვდი, ამით ჩემი პიროვნული თვისებების შესწავლა სურდათ.*

**— „ბენეტონიდან" რა თანხად გამოგისყიდეს?**

*— „დენვერი" 350 ათას დოლარს გადაიხდის, თანხის ნაწილს კი მე გავიღებ. დრაფტზე მეტად მაღალი ნომერი მხვდა წილად. ეს ძალიან მახარებს და მიკვირს. დრაფტამდე ეს არც მჯეროდა, რადგან ჯერ კალათბურთში სერიოზული არაფერი გამიკეთებია. თუმცა, NBA-ს ორგანიზაციამ რადგან ნდობა გამომიცხადა, უარს ხომ არ ვიტყოდი. მთავარია, ახლა ეს ნდობა გავამართლო.*

... **ზაზა ფაჩულია** 18 წლისა უკვე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ზაზა თურქეთის ერთ-ერთ გრანდში „ულქერში" თამაშობს და წლეულს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. დრაფტზე დაყენების შანსი მასაც ჰქონდა. ფაჩულიამ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში", „ინდიანაში", „მილოუკიში", „დენვერსა" და „ორლანდოში" ივარჯიშა.

ორივე ქართველის მენეჯერი ამერიკელი მარკ ფლეიშერია. თუმცა, 26 ივნისს მისი კავკასიელი კლიენტებიდან მხოლოდ ერთი წარდგა „მედისონ სქვერ გარდენში" — ზაზა ფაჩულიამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დროებით უარი თქვა NBA-ში მოხვედრის შანსზე, მიზეზი კი ასე აგვიხსნა:

*— გადავწყვიტე, რომ წლეულს ჩანაფიქრზე ხელი ავიღო. მხოლოდ 18 წლის ვარ, მომავალი წინ მაქვს და არსად მეჩქარება. ვითამაშებ კიდევ ერთი წელი ევროპაში, ფიზიკურად მოვმძლავრდები და შემდეგ გაცილებით იოლად შევძლებ ამერიკაში დამკვიდრებას. ახლა საამისოდ მზად არც ვარ და სათადარიგოთა შორის ჯდომას, ევროპული სათამაშო პრაქტიკა მირჩევნია.*

დრაფტის შედეგად, ნიკა ცქიტიშვილი ვოვა სტეფანიას შემდეგ მეორე ქართველია, ვინც NBA-ს კლუბში აღმოჩნდა. უინტერესო არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ NBA-ში მოთამაშის მინიმალურ წლიურ ხელფასად 380 ათასი დოლარია დაწესებული.

აღსანიშნავია საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრის, ვლადიმერ ბოისას წარმატებაც. ეს 22 წლის ახალგაზრდაც თავდამსხმელია და ლიუბლიანას „ოლიმპიას" შემადგენლობაში სლოვენიის ჩემპიონობა მოიპოვა. ამასთანავე ბოისამ ევროლიგაში თამაშით მშვენიერი გამოცდილება მიიღო.

არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ნაკრებს კიდევ სხვა ნიჭიერი ახალგაზრდებიც ეზრდება: 19 წლის თავდამსხმელი დათო უგრეხელიძე (194 სმ), რომელიც სლოვენიის მესამეადგილოსან „სლოვანში" გამოდის; 16 წლის მანუჩარ მარკოიშვილი (196 სმ) „ბასკოში" თამაშობს, მაგრამ ამჟამად „ბენეტონში" ისინჯება. იგი უნივერსალია, წარმატებით გამოდის დაცვაში და ფორვარდად; 17 წლის ირაკლი საყვარელიძეც (199 სმ) მარკოიშვილის ამპლუის მოთამაშეა და „ბასკოში" თამაშობს.

სამწუხაროდ, ათენის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი ჩვენმა ნაკრებმა უკვე დაკარგა, რადგანაც ჩააგდო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. ოლიმპიადაზე კი სწორედ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ხვდება 5 საუკეთესო ევროპული გუნდი.

ამის მიუხედავად, ცხოვრება არ დასრულებულა და დიდ საერთაშორისო ტურნირებზე მოხვედრის შანსი კიდევ გამოჩნდება, თუკი თავად არ დავკარგეთ. ამიტომაც ღირს ამ ნიჭიერი ბიჭებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

თუმცა, ერთი პრობლემა ასეთ შემთხვევაშიც შეგვექმნება: სამწუხაროდ, ევროპაში შესარჩევი ციკლის თამაშები ნოემბერ-იანვარში იმართება, როდესაც NBA-შიც სეზონი გახურებულია. ამგვარად, სტეფანიასთან ერთად ცქიტიშვილსაც თუ ვერ შეელევა მისი ამჟამინდელი გუნდი, საქართველოს ნაკრებს დიდი ძალა დააკლდება.

*ლაშა დუმბაძე*

## „კვირის პალიტრის" №26-ში, 36-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი



# კვლავ კორეა-იაპონიის გარშემო

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საინფორმაციო საშუალებები ნაირ-ნაირი გამოკითხვის მოწყობითა და შედეგების შეჯამებით იქცევენ თავს. მუნდიალის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მილიონამდე გულშემატკივარმა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები დაასახელა, სადაც ხუთი(!) კორეელი ფეხბურთელი მოხვდა. ვფიქრობთ, მათ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. უფრო საინტერესო ის არის, რომ ნაკრებში ვერც ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ოლივერ კანი მოხვდა და ვერც ფინალის გმირი რონალდო. ეტყობა, გამოკითხვაში მხოლოდ კორეელები მონაწილეობდნენ. ზემოთ ნახსენებ ვებ-გვერდზე საუკეთესო მწვრთნელებიც დაასახელეს. პირველობა თურქთა დამრიგებელს, შენოლ გიუნეშს მიანიჭეს, მეორე ადგილი კორეის ეროვნულ გმირს გუს ჰიდინკს ერგო, მესამე — გერმანელთა თავკაცს რუდი ფიოლერს. სხვათა შორის, თურქეთსა და კორეაში უამრავ ქუჩას მიენიჭა გიუნეშისა და ჰიდინკის სახელები, უახლოეს მომავალში მათ ძეგლებსაც დაუდგამენ. უეფამაც გამოაქვეყნა ჩემპიონატის საუკეთესო ევროპელ ფეხბურთელთა სია. მათ თუ დავუჯერებთ მეკარეებში თურქ რუშთუს არ ჰყოლია ბადალი, მუნდიალის უძლიერესი მცველი რუშთუს თანამემამულე ალფაი ოზალანი ყოფილა, საუკეთესო ნახევარმცველად ჰასან შაში დაასახელეს, უძლიერეს ფორვარდად კი — უმით დავალა. აქ ალბათ კომენტარიც ზედმეტია. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ უეფას წარმომადგენლებმა ოფიციალური მადლობა მოუხადეს თურქებს — აქაოდა, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, კორეა-იაპონიაში ევროპის პრესტიჟს ვინღა დაიცავდაო.

კორეელებმა იანგარიშეს და დაადგინეს, რომ მათ ქვეყანას მსოფლიო ჩემპიონატმა მოგების სახით $14 მილიარდი მოუტანა, თუმცა ეს მხოლოდ ჯერჯერობით დაფიქსირებული თანხაა. რეალურად მოგება გაცილებით დიდი იქნება. კორეის ფეხბურთის ფედერაციასა და იქაურ ფეხბურთელთა შორის დიდი დავა გაჩაღდა. საქმე ის გახლავთ, რომ ფედერაცია თითოეულ ფეხბურთელს $250.000-ს შეჰპირდა, თუ გუნდი ჯგუფიდან გავიდოდა, ნახევარფინალში გასვლა მაშინ აზრადაც არავის მოსვლია. ბუნებრივია, ფეხბურთელები შეპირებულზე გაცილებით მეტს ითხოვენ, ფედერაცია კი უარსაა — რასაც შეგპირდით, იმით გაგისტუმრებთ, ნახევარფინალში გასვლაზე წინასწარ არაფერი გვითქვამსო.

პარასკევს გამართულ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სხდომაზე თანამდებობიდან გაათავისუფლეს როჟე ლემერი. მიზეზის შეხსენება, ვფიქრობთ, არ გჭირდებათ. ჯერჯერობით გაურკვეველია ვის ანდობენ „მამლების" გაძღოლას. კანდიდატებად ასახელებენ „ლიონის" და „პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელებს, შესაბამისად — ჟაკ სანტინისა და ჟან ფრანსუა დომერგს. გაიჟღერა სენეგალის ნაკრების ტრიუმფატორი მწვრთნელის ბრუნო მეტიუს სახელმაც. მეტიუს მიწვევა თურმე რუსეთის ნაკრებსაც მოუნდომებია. თავად ფრანგი აცხადებს, საფრანგეთის ნაკრებზე უარს როგორ ვიტყვი, სხვა ვარიანტებს კი ისევ სენეგალი მირჩევნიაო.

ლემერისგან განსხვავებით, პოსტი საკუთარი ნებით დატოვა ესპანელთა თავკაცმა ხოსე ანტონიო კამაჩომ, მან საკლუბო ფეხბურთში მოღვაწეობა გადაწყვიტა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას შემცვლელი დიდხანს არ უძებნია და კამაჩოს თანამდებობა ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელს ინაკი საესს ჩააბარა. საესი ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე უხელმძღვანელებს.

აზიაში ცუდად გამოსვლის მიუხედავად, იტალიის ფეხბურთის ფედერაციას „სკუადრა აძურას" მწვრთნელი არ შეუცვლია. „მაესტროდ" წოდებული ჯოვანი ტრაპატონი იტალიელებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზეც გაუძღვება. სხვათა შორის, 21 აგვისტოს იტალიელები ამხანაგურ მატჩს გამართავენ სლოვენიასთან. ეს მატჩი იმით იქნება გამოსარჩევი, რომ იტალიის ნაკრების მაისურს უკანასკნელად მოირგებს „სკუადრა აძურას" ბოლო ათწლეულის უცვლელი კაპიტანი პაოლო მალდინი.

იაპონიის ნაკრები დატოვა ფრანგმა მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ, „ამომავალი მზის" ქვეყნის ნაკრებს ამიერიდან ლეგენდარული ბრაზილიელი ზიკო გაუძღვება, რომელიც იაპონიის ფეხბურთის ფედერაციასთან სულ მალე ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

## საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

პაკების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. კb1-f5!

თეთრები იწყებენ და [illegible] სვლაში.





# კამერონ დიასი — მაგარი გოგო

29 წლის კამერონ დიასი არ არის შეპყრობილი ვარსკვლავური სენით და, საერთოდ, არ არის ჰოლივუდის ცომისგან გამომცხვარი. მისი ბინა სადაა, ტყეში შეგროვილი გირჩებითა და ხის ტოტებით მორთული. პროდუქტებს იაფფასიან მაღაზიებში ყიდულობს, ულამაზეს ფაჩუჩებს ქსოვს დისშვილისათვის, მიირთმევს გემრიელად და არ დარბის სავარჯიშო დარბაზებში. მან ახლახან მოაწერა ხელი 20-მილიონიან კონტრაქტს „ჩარლის ანგელოზები-2“-ში მონაწილეობისთვის.

ბავშვობაში ძალიან ცელქი იყო, გამხდარი. თუ რომელიმე ბიჭი დაუძახებდა, — შე გაჩხინკულოო, მაშინვე მუშტს მიიღებდა. ერთ-ერთ ჩხუბში ცხვირიც კი გაუტეხეს... მას შემდეგ მხოლოდ ცალი ნესტოთი სუნთქავს და პირი ოდნავ ღია აქვს. ერთი სიტყვით, მას ყოველთვის შეეძლო თავის დაცვა, აქ გამომჟღავნდა მამის გენები — ნამდვილი კუბელი მაჩოსი.

16 წლისა პირველად გამოჩნდა პოდიუმზე. ცნობილმა სააგენტომ „ელიტმა“ მასთან კონტრაქტი გააფორმა. დღეში 2000 დოლარს იღებდა. მალე კინოსინჯებზე მიიწვიეს. შეთავაზებული სცენარები სავსე იყო სასიყვარულო სცენებით. პროდიუსერების აზრით, ასეთი ლამაზი სხეული უქმად არ უნდა გამცდარიყო. „ჩვენ თქვენგან მეორე მერილინ მონროს შევქმნით“, — ამბობდნენ ისინი. შესაძლოა ამ ხვედრისგან გოგონა იხსნა ვიდეოპროდიუსერისა და აგენტის, კარლოს დე ლა ტორეს გაცნობამ, რომელმაც თვალის დახამხამებაში მოახერხა გოგონას გულის დაპყრობა და კამერონიც მის ფეშენებელურ ჰოლივუდურ ვილაში გადასახლდა. მათ ერთად იცხოვრეს 5 წელი, არასოდეს უჩხუბიათ, მაგრამ 22 წლის კამერონი მიხვდა, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომწიფდა...

ერთ მშვენიერ დღეს დიასმა წაიკითხა „ნიღბის“ სცენარი. „ეს ჩემია!“ თქვა და კიდეც გაიტანა თავისი... „ნიღბის“ წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კამერონი ერთ დღეში გახდა ვარსკვლავი.

როცა ჯულია რობერთსთან ერთად მიიწვიეს ფილმში, „ჩემი ახლო მეგობრის ქორწილი“, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ განუმეორებელი ჯულია ახალგაზრდა დიასს არავითარ შანსს არ დაუტოვებდა, მაგრამ ფილმს ისეთი გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად და კამერონის სახელი და ფოტოები ისე ხშირად იბეჭდებოდა პრესაში, რომ რობერთსი გამოტყდა: „ის სერიოზული მოწინააღმდეგე აღმოჩნდა!“

...მალე კამერონმა გაიცნო მსახიობი მეტ დილონი. საოცარი დამთხვევა იყო, — მეტს იღებდნენ ფილმში, რომლის გადაღებები მიმდინარეობდა კამერონის გადასაღები მოედნის გვერდით. ორივე ერთსა და იმავე სასტუმროში ცხოვრობდა და ერთხელაც კარებში შეხვდნენ. თავიდან მეტს ეგონა, რომ დიასი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყო: „როცა დავაკვირდი, ვიცანი, რომ ეს ის იყო — ლამაზმანი „ნიღბიდან“.

— ნუთუ შენ გამო ვნახე ფილმი ხუთჯერ? — მიმართა კამერონს და მაშინვე დაპატიჟა ვახშმად, რომლის დასასრულს დიასმა თავისი ტელეფონის ნომერი მისცა.

მეტმა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაურეკა. „რაო, პაწიავ, მოგენატრე?.. ხომ არ შევხვდეთ საღამოს?“ კამერონი არ ელოდა, თუ ასე გაახარებდა მისი ზარი. დაკიდა თუ არა ყურმილი, ეცა კარადას და როგორც ყოველთვის ხდება, აღმოაჩინა, რომ ჩასაცმელი არაფერი აქვს. დრო კიდევ ჰქონდა და ფრთაშესხმული დიასი მაღაზიებში გაქანდა. როცა დილონმა მოკლეკაბიანი კამერონი იხილა, მიხვდა, რომ ხაფანგში გაება.

მათი რომანი დაახლოებით 3 წელი გაგრძელდა, მაგრამ მეტწილად ტელეფონით: დილონი ნიუ-იორკში ცხოვრობდა, კამერონი — ლოს-ანჯელესში. დილონს არ ეთმობოდა დედა, კლუბები, მანჰეტენი, ხოლო კამერონს — მზიანი კალიფორნია. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ დიასის იმედგაცრუება, როცა ერთხელ საყვარელი მამაკაცის პიჯაკში მერაია ქერის რომანტიკული წერილი იპოვა. გაბრაზებულმა კამერონმა მაკრატლით დაჭრა მეტის კოსტიუმები და პერანგები, ხოლო კედლებზე, რაც კი იცოდა, ყველა უწმაწური სიტყვა წააწერა. რამდენიმე დღის შემდეგ კამერონმა შემთხვევით ნახა მერაია ვილაც კავალერთან ერთად რესტორანში, მიუახლოვდა მათ და ერთი გრაფინი წყალი შეასხა ქერის...

კამერონის ამჟამინდელი ბოიფრენდი, 30 წლის მსახიობი ჯარედ ლეტო დღემდე ეჭვიანობს მეტზე. ცოტა ხნის წინ პაპარაცებმა კამერონს და ჯარედს ბეჭდების ყიდვისას წაასწრეს. რა თქმა უნდა, გავრცელდა ხმა, დიასი თხოვდებაო. მაგრამ... ერთხელ ძალიან გულნატკენმა კამერონმა უთხრა დედას: „ჯარედი აღარ მაქცევს ყურადღებას, როგორც ქალს. მხოლოდ თავის როლებზე ფიქრობს. სხვადასხვა საძინებელში გვძინავს. ამბობს, ღამით როლზე ვმუშაობო...“

„ცოლობაზე რომ დამითანხმოს ვინმემ, ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი ალმასებისა და ბრილიანტების ჩუქება — საკმარისია შემომთავაზოს კარტოფილის ფრი, ცოტა შავი ხიზილალა და შემპირდეს ერთი წყვილი ახალი ფეხსაცმლის ყიდვას“, — ამბობს კამერონი.

*ტვ პარკი*

# მოტყდება რობერტ რედფორდი?

**ამერიკული კინოს ცოცხალმა ლეგენდამ, 64 წლის რობერტ რედფორდმა ტაშის გრიალში დატოვა სცენა, სადაც მას მოოქრული „ოსკარი“ გადასცეს ნომინაციაში „კინოხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის“. „მადლობა ყველას, ვისაც ვუყვარვარ და ვახსოვარ, მადლობა მათ, ვინც ჩემი შვილები გადაარჩინა“ — ამ სიტყვებით დაამთავრა რობერტმა სამადლობელი სიტყვა. არც ახლანდელი ცხოვრების თანამგზავრი, გერმანელი მხატვარი სიბილა ზაგერსი დავიწყებია გულაჩუყებულ ვარსკვლავს, თვით სიბილა კი კულისებს მიღმა ულოცავს თავის საყვარულს და თან გულის კუნჭულში იმედი უტოკავს — იქნებ ახლა მაინც მთხოვოს ხელი და გული შემომთავაზოსო...**

## საოცარი დამთხვევა

ერთ მშვენიერ დილას რედფორდი პარიზში საქმის გამო ჩაფრინდა. საღამოს, უკან დაბრუნებამდე, რამდენიმე საათით თავისუფალი იყო და რომელიღაც სამხატვრო გალერეაში შეიარა. მისი ყურადღება გერმანელი მხატვარი ქალის სურათმა მიიპყრო. მართალია, მისი გვარი არ დამახსოვრებია, მაგრამ ხელოვანის მკვეთრი ავანგარდისტული სტილი სამუდამოდ ჩარჩა გონებაში.

გავიდა ხანი. ერთ-ერთი ზამთრის კურორტზე რობერტის ყურადღება მოხდენილმა მოლბერტიანმა ქალმა მიიპყრო — მთის ძირას იდგა და ხატავდა. რობერტმა ტილოს დახედა თუ არა, ეცნო ხელწერა. ეს ქალი სწორედ ის მხატვარი იყო, ვინც ასე მოხიბლა პარიზში — სიბილა ზაგერსი.

სიბილა რედფორდზე ოცი წლით უმცროსია. რობერტი მოხიბლა სიბილას დამოუკიდებლობამ, ნიჭმა და კიდევ ერთმა გარემოებამ — ქალმა ჯერ მშობლებს წარუდგინა რობერტი, მერე მისი შვილები გაიცნო და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მათი რომანი.



რობერტი და სიბილა

სიბილა სილამაზით არ ბრწყინავს, მაგრამ რად უნდა რობერტს ქალი, რომლის სახელი ბულვარული პრესის ფურცლებს არ სცილდება. სამაგიეროდ, მას აფასებენ, როგორც მხატვარს, მისი ტილოები ძვირად იყიდება.

## პირადი ცხოვრება

„ამერიკაში ვერ შეხვდები ადამიანს, რომელმაც არ იცოდეს, ვინ არის რობერტ რედფორდი“, — თქვა ერთხელ პრეზიდენტმა კლინტონმა. მას და ჰილარის ძალიან უყვარდათ რედფორდთან სტუმრობა მთიან კურორტზე, სადაც, რობერტის მამულში მორაკრაკე მდინარეში კალმახს იჭერდნენ.

რედფორდი ყოველთვის ახერხებდა პირადი ცხოვრების ავი თვალისგან გადამალვას. პრესაში არ გაუელვებია არც ერთ სტრიქონს მისი სკანდალების თაობაზე, არც რაიმე ბინძურ ამბავში გაუსვრიათ. მისი მეუღლე, სათნო და კდემამოსილი ლოლა ვაგენენი სამ შვილს ზრდიდა, არასოდეს გასჩენია სურვილი, გადაღებებზე გაჰყოლოდა ქმარს, არც ხმაურიანი წვეულებები ხიბლავდა, არც ჩხუბს უტეხდა საჯაროდ. რობერტს ძალიან უყვარდა ოჯახი, მაგრამ პატარ-პატარა მიწიერ სიამოვნებებზეც ვერ ამბობდა უარს. ჰოლივუდის ბევრი ლამაზმანი თანახმა იყო ცისფერთვალა რაინდთან წუთიერ რომანზე. ყველაფერი იმდენად შენიღბული იყო, რომ გაზეთები ხანდახან მოკრძალებულად ვარაუდობდნენ — ხომ არ ჰქონდა რობერტს „რამე“ მიშელ პფაიფერთან („გულთან ახლოს“), მია ფეროუსთან („დიდი გეტსბი“), ჯეინ ფონდასთან („ფეხშიშველა ხეივანში“), ბარბრა სთრაიზანდთან („ორი გულის შეხვედრა“) ან დემი მურთანო („უხამსი წინადადება“), მაგრამ საბუთს ვერ პოულობდნენ, თანაც ალბათ არც ხელს აძლევდათ „ნამდვილი ამერიკელი გმირის“ სახელის შებღალვა.

მაგრამ ლოლასთან 27-წლიანმა ქორწინებამ ეტყობა, თავისი დრო მოჭამა, ბავშვებიც დაიზარდნენ და თავის მოკატუნება საჭირო აღარ იყო. ამიტომაც, როგორც კი ვნებიანმა ბრაზილიელმა მსახიობმა სონია ბრაგამ გაიტაცა მისი გული, რობერტმა აღარ დამალა მათი ურთიერთობა და რესტორანში ყოფნისას ნება დართო ფოტო გადაეღოთ მათთვის, ხოლო მეორე დღეს, ინტერვიუში, ახლა უკვე სხვა ჟურნალში, არაფერი უარუყვია. ლოლამ არ აპატია. განქორწინება სწრაფად მოხდა — რობერტმა დიდი თანხა და ოჯახის შემდგომი საპატრონებელი ქონება დაუტოვა ოჯახს. სონიასაც მალე დაშორდა — ველარ გაუძლო მის ექსტრავაგანტურ გამოხდომებს...

შემდეგ მის ცხოვრებაში ქეითი გამოჩნდა, იგი მხატვარ-დეკორატორი იყო რობერტის ფილმში, მათ ბევრი საერთო ჰქონდათ. ქეითთან 10 წელი იცხოვრა რობერტმა, მერე დაშორდნენ ერთმანეთს, რადგანაც ცოლად შერთვასა და ოჯახის შექმნაზე ვერ დაითანხმა ქალმა. მალე სიბილა გაიცნო.

## ჭირშიც და სიხარულშიც

სიბილა ზაგერსს სულ სხვანაირად აღიქვამს რობერტი — ის არ ჰგავს სხვა ქალებს, ერთგული მეგობარიაო. როცა მის ვაჟს, დევიდს, მეორედ უკეთებდნენ ღვიძლის ტრანსპლანტაციას, სიბილა თავისი გამოფენის გახსნაზე არ წავიდა და გვერდში ედგა საავადმყოფოში; რედფორდის ქალიშვილი შონა მდინარეში გადაიჩეხა მანქანით და ძლივს გადაარჩინეს, არც მაშინ მოშორებია სიბილა რობერტს... მაგრამ რობერტმა ქალის თანადგომა ყველაზე მეტად დააფასა 11 სექტემბრის ტრაგედიის დროს.

...რობერტმა და სიბილამ, თავის



მამულში, იუტაში წასვლის წინ, რობერტის უმცროსი და უსაყვარლესი ქალიშვილი ემი მოინახულეს. იგი სწორედ იმ რაიონში ცხოვრობდა, სადაც ცნობილი ტყუპი ცათამბჯენი იდგა. როცა ტელევიზორში ამაზრზენი სანახაობა უჩვენეს, რობერტი ტელეფონს ეცა — ხაზი გადატვირთული იყო, ემის ფიჭური ტელეფონი არ პასუხობდა. თავზარდაცემულ რედფორდს საკუთარი თვითმფრინავით გაფრენის უფლებაც არ მისცეს... 30 საათი რობერტი კედლებს აწყდებოდა, რამდენიმე წლით დაბერდა და როცა შუაღამისას ტელეფონმა დარეკა, ატირდა... ემი იყო — მისი გულადი და კეთილი გოგონა დაჭრილებს ეხმარებოდა თურმე, ამშვიდებდა შეშინებულ ხალხს. რაც გადავიტანე, ენით არ აიწერებაო, — უთხრა მამას.

ამ მძიმე დღეებში რობერტს სიბილა არ მოშორებია. სიჩუმეს ამჯობინებდა, როცა რობერტს ხმის გაგონება არ უნდოდა და აწყნარებდა მაშინ, როდესაც ხვდებოდა, რომ მას მისი ხმა სჭირდებოდა. აი, მაშინ კი დაფიქრდა რედფორდი — სწორად იქცევა, სიბილასთან დაქორწინებას რომ არიდებს თავს? მან ხომ მშვენივრად იცის, ქალს როგორ უნდა ოჯახი და რობერტის დაკარგვის შიშით ხმას ვერ იღებს. ეს ქალი ედგა გვერდით „ოსკარის“ მიღების დროს და ბავშვივით უხაროდა მისი დაჯილდოება. მართალს ამბობენ რობერტის შვილები, — სიბილაზე უკეთეს ცოლს ვერსად იპოვი, მასთან სასიამოვნოა ლხინიცა და ჭირიცო.

მოტყდება რედფორდი?

*7 დნეი*




# მოსკოვის XXIV საერთაშორისო კინოფესტივალის შედეგები და დახურვა სკანდალური აღმოჩნდა



მიკაკო იტიკავა

სახელგანთქმული იტალიელი რეჟისორი ვიტორიო ტავიანი გრან-პრის მისაღებად სცენაზე ავიდა და მადლობის მაგიერ დაიწყო, — რუსული არ ვიცი, ვერც ამ ცერემონიალისა გავიგე ვერაფერი, გარდა იმისა, რომ ნამდვილად მოსკოვში ვარო.

სცენაზე მას დახვდა ადამიანი, რომელიც ცუდად ლაპარაკობდა რუსულად და ისიც არ იცოდა წესიერად, რა ხდებოდა. სამწუხაროდ, იგი გახლდათ ჟიურის თავმჯდომარე ჩინგიზ აიტმატოვი.

ცნობილი საბჭოთა მწერალი, ამჟამად დიპლომატი და ელჩი, ძალიან ჰგავდა დაჩაჩანაკებულ ბრეჟნევს — ერთი მოხსენების მაგივრად მეორეს რომ კითხულობდა! ჩინგიზ აიტმატოვის მიერ შექმნილ უხერხულ სიტუაციებს მოხერხებულად ანეიტრალებდა ნიკიტა მიხალკოვი.

...მთავარი პრიზი *„ოქროს გიორგი“* მიიღო იტალიელი რეჟისორების **ძმები ტავიანების** ფილმმა „აღდგომა“. ფილმს საფუძვლად უდევს დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის რომანი და, როგორც ითქვა, წარმოადგენს ტელესერიალის საეკრანო ვარიანტს. ფილმის თხრობა მდორედ მიმდინარეობს და გაკვირვებას და გამოცოცხლებას იწვევს მხოლოდ თავად ნეხლიუდოვის გორგოლაჭებით გამოჩენა.

ჟიურის სპეციალური პრიზი *„ვერცხლის გიორგი“* გადაეცა **ალექსანდრ როგოჟკინს** ფილმისთვის „გუგული“. იმავე სურათში მთავარი როლის შემსრულებელმა **ვილე ჰაპსალომ** მიიღო პრიზი მამაკაცის საუკეთესო როლისთვის. ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს იაპონელი **მიკაკო იტიკავა**, რომელიც მთავარ როლს თამაშობს ფილმში „ლაჟვარდი“. ეს კინოსურათი ლესბოსელებზეა.

საერთოდ, საკონკურსო პროგრამაში უხვად იყო ფილმები „ლაჟვარდზე“ ანუ „ცისფერებზე“. ალბათ ისინი მოდაშია ან ფილმების შესარჩევი საკონკურსო კომისია იყო ასეთი ფილმების თაყვანისმცემელი.

*რუსული პრესის მიხედვით*



## ანასტასიას საიდუმლო გაცხადდა

რუსეთის პრესა ფართოდ აშუქებდა ნიკოლოზ II-ის ასულის, ანასტასიას ამბავს — იგი ცოცხალია და მთელი სიცოცხლე საქართველოში გაატარაო (*ამის თაობაზე ვწერდით „კვირის პალიტრის" 24-ე ნომერში, — რედ.*), ტელევიზია კი შოუს აწყობდა მისი სახელობის საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენელთა მონაწილეობით. გაუთავებლად ლაპარაკობდნენ, — ანასტასიას სურს საზღვარგარეთის ბანკებში დაცული თავისი ოჯახის კუთვნილი მილიონები პუტინს დაუტოვოსო...

ამ გაწამაწიაში უეცრად იკითხეს — კი მაგრამ, რატომ არ გვიჩვენებენ თავად მოხუც ქალბატონსო?

მისი უსაფრთხოების მიზნითო, — იყო სხარტი პასუხი.

გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ" გადაწყვიტა სიმართლის გამოძიება, მაგრამ გამოსაძიებელი თურმე არაფერი ყოფილა. გაირკვა, რომ ფონდის ხელმძღვანელის ი. დერგაუსოვის გაუთავებელი მიმართვით შეწუხებულმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2000 წელს შექმნა ჯგუფი, რომლის მუშაობა გასაიდუმლოებული იყო ზედმეტი აჟიოტაჟის თავიდან ასაცილებლად. სწორედ ამით ისარგებლა დერგაუსოვმა და დღემდე განაგრძობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ამტკიცებს, ნატალია ბილიხოძე (ანუ ანასტასია რომანოვა) საზღვარგარეთ არის, მას საიმედოდ იცავენ, მალე შეხვდება პუტინს და დუმის წინაშეც წარდგებაო. მაგრამ... ეს შეუძლებელია. საქმე ის გახლავთ, რომ ანასტასია ბილიხოძე ჯერ კიდევ 2000 წლის დეკემბერში გარდაიცვალა მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში. მისი ცხედარი თითქმის ორი თვე ყოფილა მორგში, რასაც ადასტურებს იქაური არქივის ჩანაწერი. თურმე ცხედრისათვის არც კი მიუკითხავს ვინმეს. როცა დაიწყო მითქმა-მოთქმა ე.წ. „მეფის ფულზე", რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ დაბეჯითებით განაცხადა — „მეფის ფული" არ არსებობსო.

„კომსომოლსკაია პრავდამ" მიმართა მსოფლიოს ყველა ბანკს, სადაც კი სავარაუდოდ უნდა ინახებოდეს „მეფის ფული". უმსხვილესმა შვეიცარიულმა ბანკმა „კრედი სუისმა" და შვედეთის ბანკმა „რისკბანკმა", რომელიც 1668 წლიდან არსებობს, კატეგორიული უარი განაცხადეს. ჯერ კიდევ 30-40-იან წლებში დადგინდა, რომ I მსოფლიო ომის წინ ნიკოლოზ II-ს უცხოეთის ბანკებში დაუხურავს პირადი ანგარიშები, რომელიც ძალიან მცირე იყო, ხოლო მისი ოჯახის კუთვნილი თანხა იმდენად ცოტა გახლდათ, რომ იმპერატორის და, ქსენია რომანოვა არც კი წასულა შვეიცარიაში მის მისაღებად.

ასე რომ, ნისლივით გაქრა მილიარდების მითი...

P. S. მართალია, ნატალია ბილიხოძე მკვდარია, მაგრამ მისი საქმე ცოცხლობს — ანასტასიას ფონდი განაგრძობს აქტიურ საქმიანობას.

***უცხოური პრესის მიხედვით***



## 285-გრამიანი ახალშობილი

ფლორენციის სამშობიარო სახლის ექიმები თვალებს არ უჯერებდნენ: ახალშობილი გოგონა 285 გრამს იწონიდა და ხელისგულზე ეტეოდა.

მანამდე მსოფლიოში ცნობილი იყო 300-გრამიანი ციცქნა იაპონელი გოგონა, რომელიც 1994 წელს დაიბადა. მედიცინაში სიცოცხლისთვის საშიშად 1.100 გ ითვლება. ახალშობილს ექიმებმა პერლა (მარგალიტი) დაარქვეს.

პერლას გაჩენამდე დედამისს ართრიტი დაემართა, რის გამოც მშობიარეს საკეისრო კვეთა 13 კვირით ადრე გაუკეთეს. გოგონამ დაბადების შემდეგ კიდევ 30 გ დაიკლო წონაში. პირველ სამ თვეს იგი ინტენსიური თერაპიის პალატაში ჰყავდათ. დედას მისი ხელში აყვანის უფლება მხოლოდ მაშინ მისცეს, როცა ბავშვი 700 გ გახდა. ახალშობილს ბევრი რამ აწუხებდა: სუნთქვა უჭირდა, ანემიური იყო, ჰქონდა ჰიპოთერეოზი, ჰიპოკლემია, რასაც დაერთო სიყვითლე. ექიმები წუთითაც არ ანელებდნენ ზრუნვასა და ყურადღებას. შედეგიც მიიღეს. პერლა გამოწერეს საავადმყოფოდან. ის და მისი მშობლები ამჟამად ცხოვრობენ ფლორენციის ახლოს. გოგონა უკვე 2 კგ-ს იწონის.

***მირ ნოვოსტი №25***

## ტაიტელებმა უკანასკნელ მეფეს ორანგუტანგში მიაგნეს...

ასობით ტაიტელი ჩავიდა ორანგუტანგ მაიკის ბუდისტურ დაკრძალვაზე. მაიმუნი 17 წლისა გარდაიცვალა და დაასაფლავეს ზოოპარკის ტერიტორიაზე პროვინცია ლოპბურიში, ბანგკოკიდან 112 კმ-ის დაშორებით. საფლავზე აღიმართება გარდაცვლილის ქანდაკება. დაკრძალვის ცერემონიას „დაესწრებიან" მაიკის მეუღლე სუსუ და ვაჟი — ლამიაი. დამკრძალავ პროცესიაზე შესრულდება ბუდისტური სამგლოვიარო საგალობლები. ორანგუტანგის პოპულარობას ერთობ მარტივი ახსნა აქვს: „მაიკი ძალიან დაეხმარა ჩვენი პროვინციის ეკონომიკას, — ამბობს ადგილობრივი ბიზნესმენი, რომელიც უძღვებოდა მაიმუნთა პოპულაციის საქმეს პროვინციაში — მისი დახმარებით მოვიზიდეთ ასობით ათასი დოლარი და შევქმენით სამუშაო ადგილები მოსახლეობისთვის. მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ მაიკი ჩვენი უკანასკნელი მეფის რეინკარნაციაა, ჩვენს მხარეს ტურისტების ნაკადი მოაწყდა. ჩვენმა უკანასკნელმა მეფემ ხომ ცხოვრება მაიმუნების მოშენებას მიუძღვნა".

***ოგონიოკი №26***

## სათვალე ინდაურებისა და... ფანატებისთვის



ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ აგრესიული ქცევის მიზეზი, შესაძლოა მხედველობის დეფექტი იყოს. როცა ადამიანი ცუდად ხედავს, მაგრამ სათვალეს არ ხმარობს, იგი მხედველობას ძაბავს, რაც სტრესს იწვევს, გაღიზიანება სხვაზე გადააქვს და პროვოცირებას უკეთებს გაუცნობიერებელ აგრესიულობას.

როცა ეს ამბავი ინტერნეტით ერთმა ინგლისელმა ფერმერმა და მოყვარულმა ფსიქოლოგმა ჯონ ტერესმა შეიტყო, გადაწყვიტა, მეცნიერების ეს ვარაუდი გამოეცადა თავის... ინდაურებზე. მან დაუკვეთა სპეციალური სათვალე რეზინებით და დილაობით, ვოლიერიდან გამოსვლის წინ, თვალებზე უმაგრებდა ინდაურებს. შედეგი სწრაფი და მოულოდნელი აღმოჩნდა. თუკი ადრე ინდაურები გამუდმებით ჩხუბობდნენ, ახლა დამშვიდდნენ და მეგობრულად ცხოვრობდნენ.

წარმატებული ექსპერიმენტის შესახებ ინფორმაცია ჯონ პეტერსმა ინტერნეტში მოათავსა საიტზე, რომელიც ეძღვნება დანაშაულობასთან ბრძოლას. პეტერსის აზრით, თუკი ასეთ სათვალეს გაუკეთებენ სტადიონზე ფეხბურთის განსაკუთრებულად აგრესიულ ფანატებს, მაშინ მათ მიერ ატეხილი მრავალრიცხოვანი უსიამოვნო ექსცესების რიცხვი საგრძნობლად შემცირდება.

***ინტერპრეს-გაზეტა №25***

## ჩერჩილის ენამყრალი თუთიყუში

**„ჩარლი" 103 წლისაა. ის ყველაზე ბებერი თუთიყუშია დიდ ბრიტანეთში და შესაძლოა, მთელ მსოფლიოშიც**



რა თქმა უნდა, გინება ძალიან ცუდი რამ არის. ეს შეიძლება აუხსნა ადამიანს, მაგრამ როგორ გავაგებინოთ თუთიყუშს?

ჯერჯერობით, ამ შეკითხვას ვერ პასუხობენ ვერც მეცნიერები და ვერც ამ უჩვეულო ფრინველის პატრონი პიტერ ორამი. თუმცა, თავად პიტერს მაინცდამაინც არ ანაღვლებს ის, რომ თუთიყუში „ჩარლი" დროდადრო აოცებს სტუმრებს თავისი გამოთქმებით. როგორც ფრინველის პატრონი აღნიშნავს, თუთიყუშს ლანძღვა-გინება ეპატიება, მას ხომ ეს თავად ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა ასწავლა.

მეგობრების წრეში, ხელში ვისკიანი ჭიქით, ბუხართან, სავარძელში მოკალათებული მისტერ ორამი სიამოვნებით ჰყვება თუთიყუშ „ჩარლის" ამბავს, რომელიც თავად შეთხზა!

პიტერის თქმით, 1937 წელს ჩარლის რიგით მესამე პატრონი გახდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, რომელიც დიდი იუმორის გრძნობით გამოირჩეოდა და თავის ჩიტუნას განსაკუთრებული მეთოდით ზრდიდა. სერ უინსტონი ჩარლის ასწავლიდა რჩეულ ინგლისურ გინებას, რომელსაც ფრინველი ძალიან სწრაფად და აშკარად სიამოვნებით ითვისებდა. და აი, დადგა დღე, როცა თუთიყუშმა პირველად, საკმაოდ ეფექტურად შეიგინა...

სერ ჩერჩილის შემდეგ ჩარლიმ რამდენიმე პატრონი გამოიცვალა, ვიდრე ხელში არ ჩაუვარდა პიტერ ორამს.

ჩარლის უვლის მებაღე ლეონარდ სმოლი, რომელიც ძალიან შეეჩვია ფრინველს. თუმცა, აღნიშნავს, რომ უინსტონ ჩერჩილის აღზრდილი სულ უფრო და უფრო ბუზღუნა ხდება, დღითი დღე სულ უფრო ნაკლებს ლაპარაკობს და ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ბუტიაც გახდა. მებაღე ამას იმით ხსნის, რომ ფრინველი ბებერია და, როგორც მოგეხსენებათ, წლებს თავისი მიაქვს, მასაც გაუფუჭდა ხასიათი.

აქამდე ინგლისში ყველაზე ბებერი თუთიყუში იყო კაკადუ კოკი, რომელიც 80 წლის ასაკში მოკვდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველაზე დღეგრძელი უინსტონის „შვილობილია." ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩარლი დღეს ისე მომხიბლავად აღარ გამოიყურება, როგორც ახალგაზრდობაში, ვინაიდან ბუმბული დასცვივდა. მაგრამ პიტერ ორამსა და ლეონარდ სმოლისთვის ის ყოველთვის ყველაზე ლამაზი და საყვარელი თუთიყუშია მსოფლიოში.

ოფიციალურად ითვლება, რომ ჩარლი დაიბადა 1899 წელს და სერ უინსტონამდე მას ორი პატრონი ჰყავდა.

ვინაიდან თუთიყუში ჩერჩილის ხმით იგინება, ე.ი. ყოფილი პრემიერ-მინისტრი იყო ამ ნიჭიერი არსების პირველი მასწავლებელი...

***ოტდოხნი! №26***

## ენრიკე იგლესიასს თვალი ანა კურნიკოვაზე უჭირავს



მომღერალმა ენრიკე იგლესიასმა უარყო გავრცელებული ხმები მის რომანზე რუს ჩოგბურთელთან, ანა კურნიკოვასთან, მაგრამ ამასთან, აღიარა, არ იქნებოდა წინააღმდეგი, ეს ჭორი რომ სიმართლე ყოფილიყო. „ანა სწორედ იმ ტიპის ქალიშვილია, რომელიც მე მომწონს — დამოუკიდებელი და ჭკვიანი", — განაცხადა ენრიკემ. მას თურმე ანა მოეწონა კლიპზე ერთობლივი მუშაობის დროს. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ კურნიკოვა ავად გახდა და მათ დაახლოება ვერ მოახერხეს. სიუჟეტის მიხედვით, ენრიკეს ანასთვის უნდა ეკოცნა, მაგრამ ინფექციის შეეშინდა...

ახლა კი იმდენად სერიოზულადაა ანათი გატაცებული, რომ, რა თქმა უნდა, კოცნაზე უარს არ იტყვის, თუკი ამის საშუალება მიეცემა.

იგლესიასი თავს მარტოსულად გრძნობს, არავის ნახვა არ უნდა და მხოლოდ ანაზე ფიქრობს.

***ვერსია №24***

## სიცხის საზომი კუჭში

ექიმებს კარგა ხანია აღარ აკვირვებთ ოპერაციის დროს პაციენტების კუჭში ნაპოვნი საგნების მრავალფეროვნება, მაგრამ იმას, რაც რუმინელ ელექტრიკოსს უპოვეს, ისინიც კი გააკვირვა. 20 წლის მანძილზე მას კუჭში თერმომეტრი ედო. შესაძლოა მთელი ცხოვრება ასეც ეცხოვრა, მაგრამ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასასვლელად ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა დასჭირდა და ექიმებს მიაკითხა. გაირკვა, რომ სიცხის საზომი 5 წლისას გადაეყლაპა.

***იტოგი №24***

## ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"






**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში **გოეთეს** სიტყვებს ამოიკითხავთ.

**პ.** ნავსადგური; **ა.** აშშ-ის შტატი; **ლ.** ქალაქ რომის საფეხბურთო კლუბი; **ი.** გრძნობათა მცდარობის შედეგად სინამდვილის დამახინჯებულად, მცდარად აღქმა; **ტ.** ორადგილიანი ველოსიპედი; **რ.** საოჯახო ხელსაწყო, რომელშიც მსხვილი, მოგრძო ქვით ნაყავენ ნიორს, წიწაკას, ნიგოზს და ა.შ. **ა.** მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; **პ.** ანტიკური ქალაქი იტალიაში, რომელიც ვულკანმა იმსხვერპლა; **რ.** რა მდინარე ჩამოდის ონსა და ამბროლაურში; **ე.** კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების" მთავარი პერსონაჟის გვარი; **ს.** ადამიანი, რომელიც სიამოვნებას იღებს სხვისი ტანჯვაწამებით; **ი.** იაპონური დეკორატიული ხელოვნება — ყვავილებით, ფოთლებითა და ტოტებით რაიმე გამოსახულების შექმნა; **ს.** პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები; **ლ.** ძველი ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** იმამის ხელისუფლება; **დ.** სამ და ოთხწლიანი ცხენების დოლი; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ.** თავისი სილამაზით განთქმული ტბა აფხაზეთში; **ი.** მშვიდი, აუღელვებელი ცხოვრება; **ა.** იანვრის თვის ქართული ხალხური სახელწოდება.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დილემა; **ა.** აზატი; **ი.** ინჩასი; **ს.** სარბაზი; **ვ.** ვოევოდა; **ე.** ელბა; **ნ.** ნეილონი; **ე.** ეკიპაჟი; **კ.** კომპოტი; **ვ.** ვიაგრა; **ი.** იავა; **რ.** რეესტრი; **ი.** იადონი; **ს.** სარჩელი; **პ.** პიონერი; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლასკალა; **ი.** ილაჯი; **ტ.** ტრესტი; **რ.** რიტორი; **ა.** ალიკაპი; **ს.** სოკრატე; **თ.** თუნგი; **ა.** აკიდო; **ნ.** ნაცია; **ე.** ეპარქია; **რ.** რერო; **თ.** თეირანი; **ა.** ავარა; **დ.** დანია.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ლაჩრები იმავე დროს სასტიკნიც არიან.**

# სიახლე — მკითხველის პრემია — სიახლე

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №26 (300) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 655 მკითხველი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 254-მა ქალმა და 399-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა არის სრულფასოვანი დასვენებისათვის ყველაზე აუცილებელი ატრიბუტი?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობის — 52%-ის აზრით, სრულფასოვანი დასვენებისათვის მთავარია გქონდეთ ფული. მხოლოდ ოთხმა მკითხველმა (0,6%) დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **8,04** საშუალო ქულით „ფული" პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა „ჯანმრთელობა", საშუალო ქულაა 7,21. მკითხველთა 28,3%-მა შეაფასა „ჯანმრთელობა" მაქსიმალური — 9 ქულით.

ჩვენი მკითხველების აზრით, აქტიური დასვენებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია განწყობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისთვის მიკუთვნებული მინიმალური და მაქსიმალური ქულები თითქმის თანაბარია — 3,0%-მა დაუწერა მას 1 ქულა, 3,3%-მა კი — 9. მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით „განწყობას" წინ „ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა" (10,1%) უსწრებს.

როგორც ვხედავთ, რესპონდენტების აზრით, კარგი ამინდი, ავტომობილი და ზღვა მაინცდამაინც არ არის აუცილებელი სრულფასოვანი დასვენებისათვის. მაგრამ, უფულოდ, არასაიმედო ჯანმრთელობითა და განწყობის გარეშე ნამდვილად ვერ დაისვენებთ კარგად. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (27,9%) „ავტომობილს" ხვდა წილად. „ავტომობილია" ასევე ყველაზე ცოტა მაქსიმალური ქულების მფლობელიც (0,5%).

30 წლამდე ასაკის მკითხველთათვის პირველი სამეული უცვლელია. სამაგიეროდ, ისინი სტაბილურ მდგომარეობაზე მეტად უპირატესობას თავისუფალ დროს, მეგობრებსა და ზღვას ანიჭებენ.

ქალებთან მხოლოდ ერთი განსხვავებაა — მათთვის ავტომობილზე უფრო მნიშვნელოვანი ზღვაა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორები არიან თბილისელები — 54 წლის **ცისანა მოსიაშვილი,** 26 წლის **ლევან ნადირაშვილი** და 47 წლის **მერაბ სახვაძე**. მათ, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „მეგობრებს" ოთხის ნაცვლად სამი ქულა (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნეს, ხოლო „კარგ ამინდს" სამის ნაცვლად — ოთხი (მეექვსე ადგილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 10 ივლისს, 17 საათზე.

## №27 (301) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№27 (301) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 10 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 11 ივლისის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №27 (301) — გავლენიანი ფიგურა

**თქვენი აზრით, ვინ არის დღეს ყველაზე გავლენიანი ფიგურა საქართველოში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№27(301) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | პიროვნება | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ასლან აბაშიძე | |
| 2 | ნინო ბურჯანაძე | |
| 3 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 4 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 5 | გოგი თოფაძე | |
| 6 | ავთანდილ ჯორბენაძე | |
| 7 | ბადრი პატარკაციშვილი | |
| 8 | ლევან გაჩეჩილაძე | |
| 9 | ზურაბ ჟვანია | |

**დამატებითი კითხვა**

მიზანშეწონილად თუ არა თქვენთვის ზაზილ მკალდგიშვილის ბრძოლის შეთოდები იეღოველების წინააღმდეგ?

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი — ტელეფონი

**„კვირის პალიტრის" ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

სერიალში „ძალის წინ" რომელი გმირი იწვევს თქვენს ყველაზე დიდ სიმპათიას?

| | | |
|---|---|---|
| 1. | სანდრო ცერცვაძე | 22,3% |
| 2. | ლელა დეკანოსიძე | 12,7% |
| 3-4. | ზიო ცერცვაძე | 9,5% |
| 3-4. | მარეხ ძოძუაშვილი | 9,5% |
| 5. | ნინო ლონლაძე | 9,3% |
| 6. | ლალა ვაჩნაძე | 8,3% |
| 7. | ვერსაჩი დიდია | 6,6% |
| 8. | ტოტორიკა | 2,6% |
| 9. | შურა ლლონტი | 1,6% |
| 10. | ძეთო ტაბალუა | 1,4% |

*სერიალს არ უყურებს მკითხველთა 4,2%, კითხვაზე პასუხის გაცემა 1,8%-ს გაუჭირდა.*

*8,2%-მა კი განაცხადა, რომ სიმპათიით არც ერთი გმირის მიმართ არ არის განმსჭვალული.*

*მკითხველის რეიტინგში 504 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

### მკითხველის პრემია

დასახელდა მკითხველის პრემიის ლაურეატი. პუბლიკაციისათვის **„მარტოკაცი ჯაყოების ქვეყანაში"** (ინტერვიუ ნოდარ მგალობლიშვილთან) — თქვენი პრემია — 50 ლარი გადაეცემა ჟურნალისტ — **ლელა ჯიყაშვილს.**



გამარჯვებულს ჩამორჩნენ — მარინა მამისაშვილის „სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ პოლიციის ფორმას ამოფარებული ბოროტმოქმედები" და ვაჟა გავაშელის „როგორ ჩაარტყეს იურა ლაკობას, ანუ კანონიერი ქურდის აღსასრული".

„მკითხველის პრემიას" სულ 436 რესპონდენტი გამოეხმაურა.

## ფოტოანტიკვარი ©  ფოტოანტიკვარი ©



დაბა სურამი, 1933 წელი, 5 წლის ედუ შევარდნაძე.

(ფოტო მოგვაწოდა მკითხველმა)






ზაალ სულაკაურის მეგობრული შარჟი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

ცოტას გიკარნახებთ: ადრეც ხშირად მხედავდით ეკრანზე და, დღესაც, უბრალოდ, ცოტა ამაღლუა შევიცვალე.

## ფოტო განწყობისთვის



— ვინ ხარ? ბეჰემოთი?
— ბეჰემოთი შენ ხარ.
— მე ნამდვილი ჰი-პო-პო-ტა-მი ვარ...
ასე უფრო მომწონს...

10/VII ახალი მთვარე
მაგნიტური დღეა:
10/VII — 11-დან – 14 სთ-მდე


## ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება **თბილისში** ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბეში ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ვორონცოვის მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ყაზბეგის - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ახასვლთან და „საქართველოს ბანკთან“.

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია). „კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

## (27) უფასო განცხადების ქვითარი

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა – 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№27 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 11 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## ამერიკული კროსვორდი

ამერიკულ კროსვორდში ამოცნობილი სიტყვა უნდა ჩაწეროთ ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად კითხვების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. თუ ერთ რიგსა ან სვეტში რამდენიმე კითხვაა დასმული, იმავე რაოდენობის პასუხი ჩაიწერება მათთვის განკუთვნილ უჯრათა ერთობლიობაში კითხვების რიგითობის მიხედვით.

ვერტიკალურად (სვეტების კითხვები, მარცხნიდან მარჯვნივ):

- „მულენ-რუჟი“ / ბერძნულ მითოლოგიაში: უკვდავი არსებები, გიგანტი
- სადღეგრძელოს შეთავაზება
- ფულის გამოძალვა / ბუნებრივი წყალსაცავი
- ნიდერლანდელი მოჭადრაკე, მსოფლიოს ექსჩემპიონი, ფიდეს პრეზიდენტი
- ძალადობრივი ანგარიშსწორება პოლიტიკურ მეტოქესთან
- მარჯნის კუნძული / ავიცენა — ... ალი იბნ სინა
- ინის დინასტიის მითოლოგიური დამაარსებელი / ბილიარდის ჯოხი
- ებრაელთა ბიბლიური სახელწოდება / დიდი უქარო თუთიყუში
- სიკეთე, კეთილი საქმე / ფინური აბანო
- ღამის მტაცებელი ფრინველი

ჰორიზონტალურად (რიგების კითხვები, ზემოდან ქვემოთ):

- ძვირფასი ქვების მასის ერთეული
- ყველა მონაწილის ერთდროული გამოსვლა ცირკში – „პარად-...“
- საუკეთესო ხარისხის ბროლი
- „გიხაროდეს მარიამ“ – „... მარია“; ალკოჰოლური სასმელი
- ქიმიური ჭურჭელი
- ხალხთა ისტორიულად მყარი ერთობა
- ქალიშვილი
- ჩაის დეგუსტატორი
- თავსართი, რომელიც მომდევნო სიტყვის შინაარსს აორმაგებს
- კ/ფ „კრიმინალური საკითხავი“ (მსახიობი)
- ძველებური ფრანგული ხურდა ფული
- შიშველი სხეული ნახატში; მაუგლის მეგობარი
- ამერიკული ჯინსის ფირმა; მდინარე პატარა არხში
- კუს ზურგის რქოვანი ფარი
- სოკოს ქსელი პროდუქტზე
- ფრანგ მეფეთა შემოკლებული სახელი








## ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(ტექნიკური უნივერსიტეტის სპეც. ფაკულტეტი) აცხადებს მიღებას 2002-2003 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ა) სამართალმცოდნეობა (ქართული და რუსული სექტორი)
   ბ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი.
2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი)
   ბ) საბანკო საქმე
   გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა)
   დ) ეკონომიკური დიპლომატია.
3. მთარგმნელობითი საქმიანობა:
   ა) ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი)
   ბ) გერმანული ენა
   გ) ფრანგული ენა.
4. ჟურნალისტიკა
   ა) ჟურნალისტიკა
   ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა
   გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა)
   დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური სექტორი)

სწავლა ფასიანია. ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა-ტესტირების საფუძველზე. აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი – 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწერის მოწმობა (დედანი ასლთან ერთად). საბუთების მიღება 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა 10-15 სთ-მდე.

მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VIII სასწავლო კორპუსი, II სართული. ☎ 36-34-34; 36-60-78



## ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ფირმების სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა“©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.